

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარული ფაკულტეტი

ეკატერინე ჯულაყიძე

ინტერტექსტუალურობის თეორია და ჟურნალისტურ ჟანრთა ენობრივი
ასპექტი ინტერვიუს ტექსტობრივი კვლევის საფუძველზე

დარგი/სპეციალობა 1005 – ფილოლოგია

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი გურამ ლებანიძე

ქუთაისი

2015

შინაარსი

შესავალი	5
თავი 1. ინტერტექსტუალურობის იდეა და ჟანრისა და ტექტის ურთიერთმიმართების პრობლემა ვერბალური დისკურსით წარმოდგენილ კულტურულ სივრცეში	31
1.1. ინტერვიუ როგორც თანამედროვე მედიასივრცის ფენომენი და მისი ტექსტობრივი კვლევისათვის აუცილებელი მეთოდოლოგიური პარადიგმა	31
1.2. სინერგიულობა როგორც კვლევითი პარადიგმა და ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის შინაგანი იერარქიულობის პრობლემა	36
1.3. ლინგვოკულტუროლოგია როგორც კვლევითი პარადიგმა და სინერგიულობის კონცეპტის ჰუმანიტარულად გააზრების პრობლემა	44
1.4. ინტერვიუს ტექსტობრივი სივრცის ლინგვოკულტუროლოგიური კვლევა: ამ კვლევის შედეგები და პერსპექტივები.....	52
1.4.1. ჟურნალისტურ ჟანრთა და მათი ტექსტობრივი სივრცის ურთიერთმიმართება როგორც კვლევის ობიექტი. შედეგები და მათი კონცეპტუალური ფორმულირება	52
1.5. სინერგიულობის და ინტერტექსტუალურობის პარადიგმათა ურთიერთმიმართება. თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობა და ანალოგიის პრინციპი როგორც ინტერპარადიგმულობის ლინგვისტურად გააზრების მეთოდოლოგიური საფუძველი	61
თავის I დასკვნები	71
თავი II. ინტერვიუსეული ტექსტობრივი სივრცის არქიტექსტი.	
არქიტექსტის ფენომენის კონცეპტუალიზაციის პრობლემა.....	73
2.1. არქიტექსტი როგორც კონცეპტი: მისი გასაზღვრისა და მოდელირების თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველები	73

2.2. თანამედროვე ანთროპოცენტრიზმი და საკვლევი არქიტექსტისთვის ფუძემდებელი სუბიექტის პრობლემა	74
2.3. ანთროპოცენტრისტული პარადიგმა და მისი კავშირი თანამედროვე ლინგვისტიკასთან	78
2.4. ველის კონცეპტი როგორც ინტერვიუსთან დაკავშირებული ტექსტობრივი სივრცის არქიტექსტის აგების კონცეპტუალური საფუძველი	82
2.5. ვექტორულობის კონცეპტი როგორც ინტერვიუსთან დაკავშირებული ტექსტობრივი სივრცის არქიტექსტის აგების კონცეპტუალური საფუძველი ..	88
2.6. სამეზბნო არქიტექსტის ადეკვატური მოდელის აგებისათვის აუცილებელი კონცეპტუალური საფუძველი: დიალოგურობა, როგორც ამ საფუძველის თეორიულ–ემპირიული წყარო	102
2.6.1. დიალოგური კონტინუუმი როგორც ინტერვიუს ტექსტობრივი სივრცის სტრუქტურული საფუძველი	102
2.7. სამეზბნო არქიტექსტის ადეკვატური მოდელის აგებისათვის აუცილებელი კონცეპტუალური საფუძველი. ინფორმაციულობა როგორც ამ საფუძველის თეორიულ–ემპირიული წყარო	109
თავის II დასკვნები	111
 თავი III. ინტერვიუსეული ტექსტობრივი სივრცის არქიტექსტი:	
არქიტექსტის ფენომენის მოდელირების პრობლემა	113
3.1. დიალოგი როგორც სამეტყველო–ჟანრობრივი ფენომენი. ინტერვიუს არქიტექსტის როგორც ფენომენის მოდელირების პრობლემა.....	113
3.2. მეტყველების თემა–რემატული სტრუქტურა და დიალოგის ჟანრობრივი ტრანსფორმაციის კონცეპტუალური საფუძველი	122
3.2.1.წინადადების აქტუალური დანაწევრების თეორია და არქიტექსტის პრობლემა	123
3.3. სამეტყველო კომპოზიციურ ფორმათა თეორია და ტექსტობრივი თემა–რემატული სტრუქტურა	126
3.4. სამეზბნო არქიტექსტი როგორც დინამიური ვერტიკალი	135

დასკვნა	161
გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა	165
გამოყენებული საინფორმაციო საშუალებები	170
გამოყენებული ვებგვერდები	- 4 171

შესავალი

სადისერტაციო ნაშრომის თემა და პრობლემა

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი თემატურად და პრობლემურად ეძღვნება თანამედროვე მედიასივრცის ისეთი ორი ფენომენის ურთიერთმიმართებას, როგორცაა ინტერვიუს ჟურნალისტური ჟანრი და ამ ჟანრის შესაბამისი ტექსტობრივი სივრცე. თუმცა, თავიდანვე უნდა აღინიშნოს ხსენებული მიმართებისათვის დამახასიათებელი ის *სტრუქტურული მომენტი*, რომელსაც შემდგომ დაუკავშირდება მთელი ჩვენი კვლევითი პრობლემატიკა. ეს მიმართება ატარებს ბიპოლარულ ხასიათს იმ გაგებით, რომ ინტერვიუს როგორც ერთ-ერთ ჟურნალისტურ ჟანრს უნდა შეესაბამებოდეს ტექსტთა სიმრავლე - სწორედ ის სიმრავლე, რომელსაც თავიდანვე მეტაფორულად აღვიქვამთ როგორც „ტექსტობრივ სივრცეს“.

ყოველივე ზემოთ ნათქვამი გვიქმნის საფუძველს, რომ თავიდანვე გავმიჯნოთ და ამავე დროს დავუკავშიროთ ერთმანეთს ჩვენი კვლევის ორი ასპექტი – *თემატური და პრობლემური*. რაც შეეხება თემატურ ასპექტს: საკვლევი თემა უკვე დასახელებულია – ესაა მიმართება ინტერვიუსა და ტექსტთა იმ ერთობლიობას შორის, რომელიც ენობრივი თვალსაზრისით თანამედროვე მედიასივრცეში წარმოადგენს ამ ჟანრს. რაც შეეხება პრობლემურ ასპექტს, იგი ატარებს მრავალგანზომილებიან ხასიათს და შეიძლება ფორმულირებულ იქნეს შემდეგნაირად: აღნიშნული მიმართება წარმოადგენს პრობლემას როგორც ზოგადჰუმანიტარული, ისე კულტუროლოგიური და ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით. უკვე პრობლემურობის ამ განზომილებათა უბრალოდ დასახელებაც კი მიგვითითებს იმაზე, როგორი უნდა იყოს ჩვენი კვლევის მეთოდოლოგია – იგი უნდა ატარებდეს *ინტერდისციპლინარულ* ხასიათს. მოგვიანებით, რა თქმა უნდა, გვექნება ზუსტი ფორმულირება იმისა, რას უნდა წარმოადგენდეს ხსენებული ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგია. რომელია ის დისციპლინები, რომელთა შორისაც უნდა დავამყაროთ კონცეპტუალური და პრობლემური კავშირი და როგორი უნდა იყოს ამ ინტერდისციპლინარული

კომპლექსის შინაგანი სტრუქტურა? მაგრამ იმისათვის, რომ რეალურად გამოვლენილ იქნეს ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის ეს შინაგანი სტრუქტურა, საჭირო იქნება ვისაუბროთ პირველ რიგში *პრობლემის აქტუალურობაზე* ზოგადად და მოგვიანებით განვიხილოთ იმ კვლევითი ამოცანების ერთობლიობა, რომელთა ფორმულირებასა და გადაჭრას უნდა მოითხოვდეს პრობლემის აქტუალურობა.

პრობლემის აქტუალურობა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ განსაზღვრული პრობლემა, ანუ იმ მიმართებების კონცეპტუალიზაცია, რომელიც უნდა არსებობდეს, ერთის მხრივ, ინტერვიუს როგორც ჟურნალისტური ჟანრისა, მეორეს მხრივ კი, ამ ჟანრის ტექსტობრივ სივრცეს შორის, უკვე მოექცა ყურადღების ცენტრში. ამ თვალსაზრისით საკმარისია დავსახელოთ თუნდაც ს. ჭეიშვილის სადისერტაციო ნაშრომი. ჩვენი კვლევის კონტექსტში იგი წარმოდგენილი იქნება სტატიით „ინტერვიუს როგორც ინფორმაციული ჟანრის ტექსტობრივი სივრცე: მისი სტრუქტურა, ტიპოლოგია და კვლევის ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემატიკა“. (ჭეიშვილი 2006:209) მაგრამ, როგორც სტატიის სათაური გვიჩვენებს, მოცემულ ჟანრისა და მის ტექსტობრივ სივრცეს შორის მიმართების ინტერდისციპლინარული კვლევა ხორციელდებოდა ძირითადად ლინგვიტური აზროვნების იმ პარადიგმაზე დაყრდნობით, რომელიც იწოდება „ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმად“ და, რომელიც გულისხმობს ენობრივ ფენომენტთა აუცილებელ დაკავშირებას კულტურულ ფენომენტთან. ხოლო, რაც შეეხება ხსენებული ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის ინტერდისციპლინარულობას, იგი მთლიანად ეფუძნება ამ ლინგვისტური პარადიგმის შინაარსობრივ სტრუქტურას. საკვლევ ტექსტობრივ სივრცეს განსაზღვრავდა ჟურნალისტური ჟანრი „ინტერვიუ“, ხოლო თვით ეს ჟანრი განიხილებოდა როგორც ჟურნალისტური დისკურსის ის ქვეტიპი, რომელსაც თანამედროვე მედიაკულტურულ სივრცეში უკავია გარკვეული სეგმენტი.

როგორც ვხედავთ, ზემოთ დასახელებული კვლევის მთელი მეთოდოლოგია საბოლოო ანგარიშში ეფუძნებოდა თანამედროვე ლინგვისტიკის *პარადიგმულ სიტუაციას* იმდენად, რამდენადაც მის ორიენტირს წარმოადგენდა დღეისათვის

დომინანტური ლინგვისტური პარადიგმა, ხოლო თვით ეს *პარადიგმული სიტუაცია* განიხილებოდა როგორც თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების მთელი პარადიგმული დინამიკის გადამწყვეტი, მაგრამ მაინც ერთ-ერთი მომენტი. სწორედ ინტერდისციპლინარულობის ამგვარმა გაგებამ განაპირობა ის ფაქტიც, რომ კვლევის პროცესში სრულად იქნა გათვალისწინებული კომუნიკაციური პარადიგმისთვის ერთობ მნიშვნელოვანი ისეთი ლინგვისტური კონცეპტები, როგორცაა **დისკურსი და ტექსტი**.

როგორც ვხედავთ, ს. ჭეიშვილის მიერ ჩატარებული კვლევა გამოირჩეოდა ინტერდისციპლინარულობის იმ შინაარსობრივი სტრუქტურით, რომელსაც მოითხოვს ლინგვისტური კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგია. მაგრამ, ამავე დროს, სწორედ ინტერდისციპლინარულობის როგორც მეთოდოლოგიური მოთხოვნის კრიტერიუმზე დაყრდნობით უნდა ითქვას შემდეგი: რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს კვლევის პროცესში *ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის* გათვალისწინება (პარადიგმული სიტუაციისა და პარადიგმული დინამიკის მთელი კომპლექსის ჩათვლით), იგივე არ იქნებოდა სრულიად საკმარისი სწორედ ინტერდისციპლინარული თავლსაზრისით. ჟანრსა და ტექსტს შორის მიმართების კვლევა მოითხოვს იმ კვლევითი პარადიგმის სრულად გათვალისწინებასაც, რომელიც, მართალია, გენეტიკურად არ უკავშირდება არცერთ ლინგვისტურ პარადიგმას, მაგრამ ფუნქციურად და შინაარსობრივად აუცილებელი ხდება ნებისმიერი ტექსტობრივი სივრცის კვლევისას: ვგულისხმობთ **ინტერტექსტუალურობის** პარადიგმას მისი როგორც თეორიული, ისე მეთოდოლოგიური ასპექტებით.

ბუნებრივია, მოგვიხდება ინტერტექსტუალურობის იდეისა და თეორიის გაშლილი სახით გაანალიზება ჩვენი ნაშრომის პირველ თავში, რომელიც მიემდგნება მთელი ჩვენი კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების განსაზღვრას. მოცემული შესავლის ფარგლებში კი, ჩვენის აზრით, საკმარისია მივუთითოთ აღნიშნული თეორიის შემდეგ ორ ასპექტზე, რითაც, ცხადი გახდება ჩვენი კვლევითი კონტექსტისთვის მისი აქტუალურობა.

ტექტის ლინგვისტიკისადმი მიძღვნილ თანამედროვე ლიტერატურაში პირდაპირაა ნათქვამი, რომ: ინტერტექსტუალურობა დღეს წარმოადგენს იმ ჯადოსნურ სიტყვას, რომლითაც მკვლევარებს სურთ გააღონ ყველა ის კარი, რომელსაც მივყავართ ტექსტობრივ უნივერსუმში (ჩერნიავესკაია 2005:178). ამასთან დაკავშირებით საუბრობენ ეგრეთ წოდებულ „ინტერტექსტუალურ სინდრომზე“ კი. აგრძელებს რა იგივე აზრს, ციტირებული ავტორი ამბობს, რომ ტერმინი „ინტერტექსტუალურობა“ დღესდღეობით არის ერთ-ერთი საკვანძო ტერმინი ენათმეცნიერებაში, ხოლო თავად ის ფენომენი, რომელსაც აღწერს ინტერტექსტუალურობა, ეკუთვნის იმ ფუნდამენტალურ, ფუძემდებელ ფენომენტა რიცხვს, რომლებიც აუცილებლები არიან როგორც ლიტერატურათმცოდნეობის, ისე ლინგვისტიკის შემდგომი განვითარებისთვის (ibid.:178).

ჩვენი ნაშრომის პირველ თავში, რა თქმა უნდა, მოგვიხდება საფუძვლიანად შევჩერდეთ ინტერტექსტუალურობის როგორც ფენომენის არსზე, გენეზისსა და ტიპოლოგიაზე. მაგრამ, ჩვენი აზრით, უკვე მოცემული შესავლის ფარგლებში საჭიროდ მიგვაჩნია მივუთითოთ მოცემული თეორიის იმ ასპექტზე, რომელიც გაგვცემს პასუხს კითხვაზე: რატომ უნდა მივიჩნიოთ ინტერტექსტუალურობის ფენომენი და ინტერტექსტუალურობის თეორია ასე მნიშვნელოვნად იმ მიმართების ადეკვატური და სრული სახით დადგენისათვის, რომელიც არსებობს ამა თუ იმ ჟანრსა და მის ტექსტობრივ სივრცეს შორის.

ზემოთ უკვე ითქვა იმის შესახებ, რომ თანამედროვე ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა, მიუხედავად მისი ფუნდამენტური მნიშვნელობისა ლინგვისტიკითვის, აღიქმება იმ თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლად, რომელიც საკმარისი შეიძლება იყოს გასაზღვრული პრობლემის გადასაჭრელად. ინტერდისციპლინარულობის ის გაგება, რომელიც დომინირებს ტექსტის ფენომენტთან დაკავშირებით მთელ ჰუმანიტარულ აზროვნებაში, მოითხოვს იმას, რაც ხაზგასმულია წინა აბზაცებში. შეუძლებელი ხდება ტექსტთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრა ინტერტექსტუალურობის იდეაზე ექსპლიციტურად დაყრდნობის გარეშე.

თუკი თავიდანვე გამოვიყენებთ მოცემული თეორიისთვის საკვანძო ტერმინს, მაშინ ნებისმიერი ტექსტოლოგიური კვლევისათვის ამოსავალი უნდა გახდეს თეზისი: „ყველა ტექსტი არის ინტერტექსტი“. ეს კი შესაბამისად უნდა ნიშნავდეს შემდეგს, რომ ყოველი ტექსტი რომელიც შედის ამა თუ იმ ჟანრის ტექსტობრივ სივრცეში, უნდა წარმოადგენდეს ინტერტექსტს, ანუ უნდა ახდენდეს იგივე „სივრცეში“ შემავალი ყველა ტექსტის ციტირებას. მაგრამ იმისათვის, რომ თავიდანვე ცხადი გახდეს თვით ინტერტექსტუალურობის იდეისა და იმ კვლევითი პერსპექტივის მნიშვნელობა, რომელზეც ვიქნებით ორიენტირებულნი, აუცილებლად მიგვაჩნია, მივუთითოთ აღნიშნული თეორიის შემდეგ ფუნდამენტალურ ნიშან-თვისებაზე. ეს თეორია არსებობს ორი სახით: ა) ისეთი თეორიის სახით, რომელიც ლამობს მართლაც მოიცვას მთელი „ტექსტობრივი უნივერსუმი“ და შესაბამისად ამტკიცებს, რომ ყოველი ტექსტი არის ინტერტექსტი და ახდენს ოდესმე რეალიზებული ტექსტის ციტირებას – ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ინტერტექსტუალურობის „რადიკალურ“ ანუ „ფართო“ მოდელთან (ჩერნიავსკაია 2005:180-183); ბ) მეორე სახეობას კი (თუ მეორე „მოდელი“), რომლითაც ინტერტექსტუალურობა არის წარმოდგენილი თანამედროვე აზროვნებაში, ეწოდება „ინტერტექსტუალურობის ვიწრო კონცეპტი“. იქედან გამომდინარე, რომ ჩვენი კვლევითი პროცესისათვის ფუძემდებლური იქნება სწორედ ეს მეორე კონცეპტი თუ მოდელი, საჭიროდ მიგვაჩნია თავიდანვე, თუნდაც სქემატურად, განვსაზღვროთ მისი ზოგადი კონტურები. ზემოთ ციტირებული ავტორის აზრით ეს ის მოდელია, რომელიც გადალახავს წინა მოდელის უადრესად ფართო კონცეპტს და იღებს ორიენტაციას ტექსტთა შორის კონკრეტულად და თვალნათლივად არსებულ მიმართებებზე (*ibid.*:184).

ამ პრობლემატიკის გათვალისწინებით კი, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა, ჩვენთვის უფრო საინტერესოდ გამოიყურება ინტერტექსტუალურობის „ვიწრო კონცეპტის“ შემდეგი დახასიათება: იგი შეიძლება ნიშნავდეს „ტექსტთა ჟანრობრივ კავშირს“ (ილინი 2001:104).

ცნობილია, რომ ჟურნალისტურ ჟანრთა ტექსტობრივი სივრცის კვლევა გულისხმობს სწორედ იმის განსაზღვრას, რასაც ციტირებული ავტორი უწოდებს

„ტექსტთა ჟანრობრივ კავშირს“. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენი კვლევისათვის აქტუალური იქნება იმის დადგენა, რას უნდა ნიშნავდეს ესა თუ ის ჟურნალისტური ტექსტი (ჩვენი კვლევის კონტექსტში კი ეს არის დიალოგის ტექსტი) როგორც ინტერტექსტი, თუ მისი ინტერტექსტუალურობა ამავე დროს განისაზღვრება ჟანრსა და ტექსტს შორის მიმართებით.

როგორც ჩვენი მსჯელობის მომდევნო ეტაპებზე ვნახავთ, ინტერტექსტუალურობის თეორია, მიუხედავად ტექსტის ფენომენტთან მისი შინაგანი კავშირის უნივერსალური ხასიათისა, არ წარმოადგენს იმ ერთადერთ თეორიას, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ზემოთ ხსენებული პრობლემის გადაჭრის პრეტენზია. მას (ინტერტექსტუალურობის თეორიას) სწორედ უნივერსალურობის თვალსაზრისით სულ უფრო და უფრო უკავშირდება ისეთი თეორია, რომლის მიზანია მთელი თანამედროვე სააზროვნო პრობლემატიკის ერთ თეორიულ „ფოკუსში“ მოქცევა – ვგულისხმობთ **სინერგეტიკულ (თუ სინერგიულობის)** თეორიას იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული თეორია ბოლო წლების განმავლობაში სულ უფრო ღრმად იჭრება ტექსტობრიობასთან დაკავშირებულ პრობლემატიკაში. მაგრამ სინერგეტიკულ თეორიას დავუბრუნდებით შესავლის იმ მონაკვეთში, სადაც ვიმსჯელებთ კვლევის მეთოდოლოგიურ ასპექტზე. მოცემულ ეტაპზე კი აუცილებელია გამოვყოთ და დავასახელოთ იმ კონკრეტულ კვლევით ამოცანათა ერთობლიობა, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან ჩვენს მიერ დასმული პრობლემის აქტუალურობას.

პრობლემის აქტუალურობასთან დაკავშირებულ ამოცანათა ერთობლიობა. როგორც შესავლის წინა მონაკვეთში ითქვა, ინტერტექსტუალურობა ვერ იქნება ჩვენი კვლევის პრობლემის დასმისა და გადაჭრის ერთადერთი ადეკვატური საშუალება (ვგულისხმობთ ისევ და ისევ ჟურნალისტურ ჟანრსა და მის შესაბამის ტექსტს შორის ურთიერთმიმართების კონცეპტუალიზაციის ამოცანას), მაგრამ გამოყოფილ ამოცანათა ერთობლიობას ჩვენ ვუკავშირებთ პირველ რიგში მაინც *ინტერტექსტუალურობის* თეორიას და არა მხოლოდ იმიტომ, რომ სწორედ ეს „ტერმინი“ ფიგურირებს ჩვენი ნაშრომის სათაურში, არამედ შემდეგი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოების გამოც: რაკი ჩვენი კვლევა ატარებს

ინტერდისციპლინარულ ხასიათს და ამავე დროს უნდა იყოს ლინგვიტურად ცენტრირებული, ჩვენ უპირველეს თეორიულ საყრდენს უნდა წარმოადგენდეს ტექსტობრიობასთან როგორც ენობრივ ფენომენტთან უშუალოდ დაკავშირებული თეორია, ანუ ტექსტის ლინგვისტიკა, ხოლო კვლევის სინერგეტიკულ ასპექტს კი შვევებით თემის შესაბამის მონაკვეთში.

ს. ჭეიშვილის სტატიაზე დაყრდნობით შვევცდებით მოვახდინოთ იმ ამოცანათა ახლებური ფორმულირება, რომელთა განსაზღვრისათვისაც ავტორი თანამიმდევრულად ეფუძნებოდა კვლევის ლინგვოკულტუროლოგიურ მეთოდოლოგიას, ბუნებრივია, ჯერ კიდევ ინტერტექსტუალურობის იდეასთან აპელირების გარეშე. ჩვენი მიზანი კი არის იმის თუნდაც სქემატურად გარკვევა, თუ რას უნდა ნიშნავდეს კვლევის პროცესში ლინგვოკულტუროლოგიურ და ინტერტექსტუალურ პარადიგმათა სინთეზი. ეს ამოცანებია:

1) ს. ჭეიშვილი აღნიშნავს, ინტერვიუ განსაკუთრებით პოპულარულია მასობრივი ინფორმაციის თანამედროვე საშუალებათა სისტემაში. მაგრამ არსებულ კვლევით ლიტერატურაზე დაყრდნობით იგი აღნიშნავს შემდეგსაც: „მიუხედავად ფართო გავრცელებისა, ეს ჟანრი ჯერ კიდევ არ არის საკმარისად შესწავლილი“ (ჭეიშვილი, 2006:211). ჩვენს მიერ უკვე ფორმულირებული მიზანდასახულობის თანახმად შეგვიძლია ვთქვათ: თუნდაც სტატიის ავტორის მიერ ციტირებული კვლევის შედეგად – ვგულისხმობთ კვლევის ლინგვისტურ ასპექტს – აღნიშნული ჟანრი მეტ-ნაკლები სისრულით ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმაზე დაყრდნობით უკვე შესწავლილია. მაგრამ ლინგვისტური აზროვნების მოცემულ ეტაპზე აქტუალური ხდება მოცემული ჟანრის ტექსტობრივი ასპექტის ისეთი კვლევა, რომელიც დაეფუძნებოდა უკვე აღნიშნულ პარადიგმათა სინთეზს. სხვანაირად რომ ვთქვათ, აუცილებელი ხდება ისეთი სინთეზი, რომლის შედეგად უფრო ღრმად იქნება დანახული ტექსტის ლინგვოკულტუროლოგიური სტრუქტურის არსი და ფუნქცია;

2) როგორც ვნახეთ, წინა პუნქტის სახით ფორმულირებული ამოცანა ატარებდა უაღესად ზოგად ხასიათს და ფაქტობრივად ნიშნავდა იმის გამეორებას, რაც უკვე ითქვა პრობლემის აქტუალურობასთან დაკავშირებით. მიუხედავად

ამისა, საჭიროდ მივიჩნით ზემოთ ნათქვამის ამოცანის სახით ფორმულირება, იმის გამო, რომ შეგვენარჩუნებინა ამოცანათა დასახელებისა და განმარტების ლოგიკური თანმიმდევრობა. მაგრამ, რაც შეეხება მეორე ამოცანას, იგი, როგორც თვით ციტირებული სტატიის ავტორი ამბობს, „ატარებდა ღიად კულტუროლოგიურ ხასიათს და უკავშირდებოდა თანამედროვეობის როგორც ეპოქის არსსა და თეორიას“ (ibid.:211). რა თქმა უნდა, ვერც ჩვენ ავცდებით კვლევის კულტუროლოგიურ ასპექტს, მაგრამ, ბუნებრივია, ჩვენი გადასაწყვეტი იქნება იმის დადგენა, როგორ უნდა დაუკავშირდეს ინტერვიუს შემთხვევაში ჟანრსა და ტექსტს შორის არსებული მიმართება ერთდროულად ორ უკვე აღნიშნულ პარადიგმას – **ლინგვოკულტუროლოგიურსა და ინტერტექსტუალურს**. ჟურნალისტურ ჟანრთა სისტემის ერთ-ერთ თანამედროვე მკვლევარზე დაყრდნობით, სტატიის ავტორი შემდეგნაირად ახდენს ინტერვიუს როგორც ჟანრის პრობლემის დასმას კულტურულ-ისტორიულ პლანში: „რატომ გამოჩნდა ასე გვიან (შედარებით გვიან) ინტერვიუს ჟანრი? თითქოს შეიძლება გვეფიქრა, რომ სწორედ იგი უნდა გამოჩენილიყო ყველა სხვა ჟურნალისტურ ჟანრამდე. ხომ ცნობილია, რომ ადამიანისთვის უკვე ბავშვობიდან დამახასიათებელია კითხვების დასმა. მსოფლიო ლიტერატურას დაგროვილი აქვს უზარმაზარი გამოცდილება დიალოგის ფორმულირებაში – ანტიკური ფილოსოფიიდან და დრამატურგიიდან მოყოლებული. მაგრამ მოხდა ისე, რომ ურთულესი ჟანრი – პამფლეტი – ფართოდ გამოიყენებოდა უკვე მე-17 საუკუნეში, უბრალო ინტერვიუ კი „მწიფდებოდა“ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდის. ჟურნალისტები, ეჭვს გარეშეა, უფრო ადრეც მოიპოვებდნენ ხოლმე მასალას კითხვების დასმის საშუალებით, მაგრამ მიღებული ინფორმაციის გადმოცემისას გამოტოვებდნენ ხოლმე კითხვებს“ (ჭეიშვილი 2006:212). როგორც ვხედავთ, მოცემულ ციტატაში ინტერვიუს როგორც ჟანრის გენეზისისა და განვითარების ისტორიულ-კულტუროლოგიური პრობლემა უშუალოდ უკავშირდება ისეთ ენობრივ ფენომენს, როგორიცაა დიალოგი, უფრო მეტიც - სწორედ დიალოგი (უფრო ზუსტად კი ტექსტობრიობის ის ფორმა, რომელიც საფუძვლად უდევს ინტერვიუს) წარმოადგენს ეპოქის კულტურულ და ცივილიზაციურ არსთან დაკავშირებულ იმ ფენომენს, რომელმაც განაპირობა

როგორც ინტერვიუს შედარებით გვიან დამკვიდრება, ისე მისი განსაკუთრებული პოპულარიზაცია ჩვენს ეპოქაში.

ბუნებრივია, უნდა გავიაზროთ ყოველივე ის, რაც ნათქვამია ციტირებულ სტატიაში ისეთი სამი ენობრივ-კულტურული მოვლენის ურთიერთმიმართების თაობაზე, როგორცაა *ინტერვიუ*, *ეპოქა* და *დიალოგი*. მაგრამ ამავე დროს მიგვაჩნია, თუ კვლევის ცენტრალურ ამოცანად მივიჩნევთ იმის დადგენას, როგორ უნდა იქნეს გაგებული ინტერვიუს, როგორც ჟანრის და დიალოგის როგორც ტექსტს შორის კავშირი, თუნდაც ისტორიულ პლანში, მაშინ აუცილებელია აღნიშნული პრობლემის დაკავშირება ინტერტექსტუალურობის თეორიასთანაც. ამ შემთხვევაში კი აუცილებელი ხდება გაეცეს პასუხი შეკითხვას: იქედან გამომდინარე, რომ ინტერტექსტუალურობის თეორიის მიხედვით ყოველი ტექსტი უნდა წარმოადგენდეს სხვა ტექსტთა ციტირებას, როგორ უნდა იყოს ჩვენ მიერ წარმოდგენილი ის ისტორიული გზა, რომლის გავლითაც ხდებოდა ინტერვიუს ყოველი მოცემული ტექსტის მიერ გასხვავებულ (მაგრამ ასევე დიალოგურ) ტექსტთა ციტირება? რა თქმა უნდა, ჩვენ ვეყრდნობით ინტერტექსტუალურობის ე.წ. „ვიწრო“ მოდელს და, შესაბამისად, კვლევის პროცესში არ ვცდილებით ინტერვიუს როგორც ჟანრის მიერ გენერირებულ ტექსტობრივ სივრცეს. მაგრამ ამით სულაც არ მარტივდება ფორმულირებული ამოცანა. პირიქით, ამ შემთხვევაში აუცილებელი ხდება იმის დადგენა, როგორ უკავშირდებოდა ერთმანეთს ორი შემდეგი ფენომენი – ის გარდუვალად ერთი და შინაგანად ერთიანი მეტატექსტი, რომელიც უნდა არეკლავდეს ინტერვიუს ზოგად მედიაკულტურულ არსს და ამ მეტატექსტის ვარიანტების პროცესი. ამოცანის ამგვარად დასახვა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია წმინდა ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით, მაგრამ ცხადია ისიც, რომ ინტერტექსტუალურობის თეორია ანიჭებს მას სრულიად *ახლებურ* ფორმასა და შინაარსს. მეტატექსტის ყოველი შინაგანი ვარიანტი უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ყოველი და ნებისმიერი ვარიანტი წარმოადგენს წინა, „ანუ პრეცედენტულ“ ტექსტთა ციტირებას. ამ შემთხვევაში ჟანრისა და ტექსტის არსებული მიმართების ინტერტექსტუალური ფორმულირება ზემოთ სხვაგვარად

წარმოდგენილი ენობრივ-ისტორიული პროცესის გაღრმავების და ხედვის საშუალებას იძლევა.

ამგვარი ხედვის აუცილებლობას განაპირობებს როგორც თვით ეპოქის სოციალურ-პარადიგმული არსი, ისე ინტერვიუს ადგილი ამ ეპოქის კულტურულ-ცივილიზაციურ სივრცეში. მაგრამ, მიუხედავად ზემოთ ფორმულირებული ამოცანის მთელი მნიშვნელობისა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ორი ხსენებული მეთოდოლოგიური პარადიგმის – ინტერტექსტუალურისა და ლინგვოკულტუროლოგიურის – სინთეზის გზით ვაპირებთ ინტერვიუს და მის ტექსტობრივ ასპექტს შორის მიმართების ისტორიულ კვლევას. ჩვენი მიზანია იმის გარკვევა, რა უნდა წარმოადგენდეს ამგვარი კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ, ანუ საბოლოო ანგარიშში, პარადიგმულ საფუძველს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ინტერვიუსა და მის ტექტობრივ სივრცეს შორის კავშირი აღარ უნდა იქნეს დანახული მხოლოდ ლინგვოკულტუროლოგიურად – აუცილებელი ხდება ზემოთ აღნიშნული პარადიგმების სინთეზი.

უკვე ფორმულირებული პროგრამის თანახმად, საჭიროდ მიგვაჩნია იმ მესამე ამოცანის ახლებურად დანახვაც, რომელიც ციტირებლ სტატიაში ასევე წარმოდგენილია ლინგვოკულტუროლოგიურად. როგორც თავად სტატიის ავტორი აღნიშნავს, ეს ამოცანა „ატარებს არა იმდენად ისტორიულ, არამედ სტრუქტურულ ხასიათს“ (ჭეიშვილი 2006:212). ჟურნალისტურ ჟანრთა ერთ-ერთი თანამედროვე მკვლევარის აზრზე დაყრდნობით ავტორი წერს: „ინტერვიუს როგორც ჟანრის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ კორესპონდენტის გამონათქვამთა ყველა ფორმა გამიზნულია მხოლოდ ინფორმაციის მიღებაზე. კორესპონდენტის ისეთ გამონათქვამებს, როგორცაა მიმართვა-კითხვა, მიმართვა-შეტყობინება, მიმართვა-მოქმედებისაკენ ბიძგი, შეუძლიათ მიაწოდონ მკითხველს დამატებითი ინფორმაცია. ამასთან ავტორი ამბობს, რომ ვერ ხერხდება იმ კანონზომიერების დადგენა, რომელიც უნდა არსებობდეს ინტერვიუს ტიპსა და გამონათქვამთა ამა თუ იმ ფორმის ხმარების რაოდენობას შორის“ (ibid.:212). როგორც ვხედავთ, ხსენებულ ციტატაში წინა პლანზეა წამოყენებული სწორედ იმ კანონზომიერების დადგენა, რომელიც უნდა არსებობდეს ინტერვიუს ტიპსა და მისი შესაბამისი

ტექსტის ტიპს შორის. ეს კი, სწორედ ის პრობლემაა, რომლის დასმა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის ფარგლებში, მაგრამ, რაც შეეხება პრობლემის გადაჭრას, ეს უკვე ის ამოცანაა, რომელიც აუცილებლად მოითხოვს ინტერტექსტუალური თვალსაზრისით „ჩარევას“. ამ ჩვენი თეზისის მართებულობა დასტურდება შემდეგი მსჯელობით: თუ ვერ ხერხდება იმის დადგენა, რა კონონომიერებას ექვემდებარება შესაბამისობა ინტერვიუს ჟანრობრივ და ტექსტობრივ ასპექტს შორის, მაშინ აუცილებელი ხდება სწორედ ინტერტექსტუალურობის თეორიის მოშველიება. მხოლოდ ამ თეორიას შეუძლია იმ დინამიურ-გენეტიკური კავშირის დადგენა, რომელიც უნდა არსებობდეს ერთსა და იმავე ჟანრთან დაკავშირებულ ტექსტებს შორის. ეს კავშირი კი უნდა იქნეს ფორმულირებული ტექსტთა *ურთიერთციტირების* პრინციპზე დაყრდნობით.

მაგრამ, ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ციტირებული სტატიის ავტორი არა მხოლოდ ახდენს პრობლემასთან დაკავშირებულ ამოცანათა ფორმულირებას, არამედ ხაზს უსვამს იმ ზოგადმეთოდოლოგიურ საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც უნდა ხდებოდეს ამ ამოცანების გადაჭრა. იგი წერს: „თვით ზემოთ ფორმულირებულ პრობლემათა არსი ისეთია, რომ აუცილებელი ხდება მათი **ინტერდისციპლინარული** გააზრება: ინტერდისციპლინარული უნდა იყოს არა მარტო დასმულ კითხვაზე გაცემული პასუხები, არამედ თვით კითხვათა ფორმულირებაც“ (*ibid.*:212). ვეთანხმებით რა აზრს აღნიშნულ პრობლემათა ინტერდისციპლინარული გზით გადაჭრის თაობაზე, მიგვაჩნია: ჟანრსა და ტექსტს შორის მიმართების ადეკვატურად დანახვის ამოცანა მოითხოვს არა მხოლოდ ინტერდისციპლინარულობას, არამედ თვით ინტერდისციპლინარულობის, როგორც მეთოდოლოგიის სრულიად ახლებურ დანახვასაც, მისი კონცეპტუალური **გაფართოებისა** და **გაღმავების** გზით. კითხვაზე, როგორ უნდა მოხდეს ეს გაფართოება და გაღმავება, სქემატური ფორმით პასუხს გავცემთ „შესავლის“ იმ ნაწილში, სადაც განვახორციელებთ, ჩვენი მეთოდოლოგიური პოზიციის სინთეზური სახით ფორმულირებას (რა თქმა უნდა, ბოლომდე დასაბუთებული სახით ეს პოზიცია წარმოდგენილი იქნება ნაშრომის პირველ თავში).

კვლევის მეთოდოლოგია. „შესავლის“ წინა პარაგრაფებში უკვე იქნა დასახელებული კვლევითი მეთოდოლოგიის გარკვეული მომენტები:

ა) ჟანრსა და ტექსტს შორის არსებული მიმართების კვლევა შეუძლებელი ხდება ინტერტექსტუალურობის თეორიაზე დაყრდნობის გარეშე; შესაბამისად, აუცილებელი ხდება ისეთი ორი კვლევითი პარადიგმის სინთეზი, როგორცაა ლინგვოკულტუროლოგიური და ინტერტექსტუალური პარადიგმები.

ბ) დასმული მეთოდოლოგიური ამოცანის თანახმად, ასევე აუცილებელი ხდება, არა მხოლოდ ინტერტექსტუალურობის თეორიასთან აპელირება, არამედ იმ *მეთოდოლოგიური არჩევანის* განხორციელებაც, რომელსაც გვთავაზობს თვით ხსენებული თეორია. ჩვენ შევაჩერეთ არჩევანი თეორიის ე.წ. „ვიწრო“ მოდელზე, რადგან სწორედ ეს მოდელი იძლევა ჟანრსა და ტექსტს შორის არსებული მიმართების ახლებურ და ადეკვატურად ხედვის საშუალებას;

გ) ინტერდისციპლინარულობის როგორც კვლევის მეთოდოლოგიური ბაზის ჭეშმარიტი გაფართოება და გაღმავება ვერ განხორცილდება, თუ ლინგვოკულტუროლოგიურ და ინტერტექსტუალურ პარადიგმათა სინთეზს არ შეუერთდება თანამედროვე აზროვნებისთვის დამახასიათებელი ისეთი სააზროვნო პარადიგმა, როგორცაა **სინერგეტიზმის** პარადიგმა. თუმცა, როცა ვახსენებთ სინერგეტიზმს, როგორც მეთოდოლოგიურ ტერმინსა და კონცეპტს და, რაც მთავარია, ვახსენებთ მას ჩვენს კვლევით კონტექსტში, აუცილებელია თავიდანვე იქნეს მითითებული მასთან დაკავშირებული შემდეგი გარემოებები:

ა) მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მეთოდოლოგიური კონცეპტი სულ უფრო მზარდ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე აზროვნებაში, იგი მაინც უნდა მივიჩნიოთ შედარებით ახალ მოვლენად როგორც თეორიული, ისე (და განსაკუთრებულად) მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. სინერგეტიზმზე, როგორც მეთოდოლოგიურ პარადიგმაზე უფრო საფუძვლიანი მსჯელობა მოგვიხდება ჩვენი ნაშრომის პირველ თავში, მაგრამ უკვე მოცემულ ეტაპზე კი საყურადღებოა შემდეგი მომენტი: ისევე როგორც *ველის თეორია*, რომლის მნიშვნელობა თანამედროვე ლინგვისტური აზროვნებისათვის საყოველთაოდ აღიარებულია, სინერგეტიზმის თეორიაც (და, შესაბამისად, სინერგეტიზმი) გენეტიკურად

უკავშირდება ბუნებისმეტყველებას, თუმცა თამამად შეიძლება ითქვას შემდეგი, რომ იგი იძენს სულ უფრო და უფრო ფუძემდებელ მნიშვნელობას მთელ თანამედროვე აზროვნებაში (როგორც საბუნებისმეტყველო, ისე ჰუმანიტარულში). შეიძლება ითქვას, რომ მისი ეს მნიშვნელობა სცილდება რომელიმე ცალკე აღებულ სააზროვნო სფეროს და, შესაბამისად, ჩნდება შემდეგი კითხვის დასმის აუცილებლობა: როგორ უნდა იყოს გაგებული კავშირი სინერგეტიზმსა და თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნების ისეთ ზოგადპარადიგმულ პრინციპებს შორის, როგორცაა **ანთროპოცენტრიზმი**? ამ კითხვის დასმა აუცილებლად მიგვაჩნია, რადგან ლინგვისტიკისთვისაც სწორედ ანთროპოცენტრიზმი – კულტუროცენტრიზმთან ერთად – წარმოადგენს ძირითად თეორიულ და მეთოდოლოგიურ საყრდენს. ასევე საინტერესოა, როგორ უნდა დაუკავშირდეს სინერგეტიზმი კულტუროცენტრიზმს (დაიკი ვან 1977).

ბ) ჩვენი კვლევითი მიზნებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შემდეგ ფაქტს: იმის მიუხედავად, რომ თანამედროვე ტექსტოლოგიური კვლევა (არ აქვს მნიშვნელობა, იგი წარმართული იქნება ლინგვისტურად, ლიტერატურათმცოდნეობითადაც თუ კულტუროლოგიურად) სულ უფრო ეფუძნება ინტერტექსტუალურობის თეორიას, ყალიბდება შემდეგი სიტუაცია: თავად ინტერტექსტუალურობა მოითხოვს სინერგეტიკულ განმარტებას და დაფუძნებას. ნათქვამის დასადასტურებლად საკმარისია მივუთითოთ ერთ ფაქტზე: ინტერტექსტუალურობის ერთ-ერთი მკვლევარი წერს, რომ თანამედროვე მეცნიერებაში სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება იმის ტენდენცია, რომ ყოველივე ცოცხალის, არაცოცხალის თუ სოციალურის მიმართ გამოყენებული იქნეს ერთიანი სინერგეტიკული მიდგომა (კუზმინა 2004:5) მოცემულ ციტატაში გამოთქმული აზრი ძალიან ზოგადად ჟღერს და ამ ზოგადი ფორმით ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი სინერგეტიზმზე. მაგრამ საკმარისია მოვახდინოთ ამ ზოგადი აზრის დაკონკრეტება ისე, როგორც ეს ხდება ციტირებულ ნაშრომში, რომ მაშინვე ცხადი გახდეს სინერგეტიზმსა და ინტერტექსტუალურობას შორის არსებული პრინციპული კავშირი (ბუნებრივია, ამ კავშირის თანამედროვე გაგებით). ავტორი თავის ინტერტექსტუალურად ორიენტირებულ კვლევაში იყენებს ისეთ

ფუძემდებლურ კონცეპტებს, როგორცაა „ინტერტექსტის ენერჯია“, „ავტორისა და მკითხველის ენერჯია“ და ა.შ. (*ibid.*:19;54;61). ნაშრომში ინტერტექსტუალობის სინერგეტიკული ინტერპრეტაცია ხორციელდება პოეტურ ტექსტთან დაკავშირებით; ჩვენ კი, კვლევის ფარგლებში საქმე გვექნება ჟურნალისტურ ტექსტებთან. გარდა ამისა ისიც გასათვალისწინებელია, რომ თავისი გენეზისით ინტერტექსტუალობის თეორია უკავშირდება სწორედ პოეტურ (ზოგადად კი მხატვრულ) ტექსტებს, რასაც ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ ტერმინი „ინტერტექსტუალობა“ დღესდღეობით გამხდარიყო ერთ-ერთი საკვანძო ტერმინი ენათმეცნიერებაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უნდა დაისვას ჩვენი – და ალბათ, ყოველი მსგავსი ორიენტაციის - კვლევისათვის მნიშვნელოვანი კითხვა: როგორ უნდა დაფუძნდეს კონცეპტუალური პარალელიზმი ზემოთ ციტირებულ ისეთ ლიტერატურათმცოდნეობით კონცეპტებს შორის, როგორცაა „ავტორისა და მკითხველის ენერჯია“ და ჩვენთვის ჯერ-ჯერობით ჰიპოტეტურ, მაგრამ აუცილებლად დასადგენ ისეთ ჟურნალისტურ კონცეპტებს შორის, როგორცაა რესპოდენტისა და ჟურნალისტის ენერჯია და, საბოლოო ანგარიშში, ჟურნალისტური ტექსტისა და ამ ტექსტის მკითხველის ენერჯია. ეს სწორედ ის კონცეპტუალური პარალელიზმია, რომელსაც მოითხოვს როგორც ინტერტექსტუალობისა და სინერგეტიზმის ერთობლივი სტატუსი, ისე ჟანრსა და ტექსტს შორის მიმართების დადგენის აუცილებლობა;

გ) აღნიშნულთან დაკავშირებით იქმნება ჩვენი კვლევისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე შემდეგი ზოგადმეთოდოლოგიური პრობლემა: როგორც არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული ისეთ მეთოდოლოგიურ პარადიგმათა შორის კავშირი, როგორცაა ლინგვოკულტუროლოგია, ინტერტექსტუალობა და სინერგეტიზმი, აუცილებელია შევიმუშოათ ის, რასაც შეიძლება ეწოდოს ინტერდისციპლინარულობის როგორც ერთიანი მეთოდოლოგიის სტრუქტურული მოდელი. სწორედ ამგვარი მოდელის შემუშავებისას დაისმის შემდეგი კითხვები: უნდა ვიგულისხმოთ თუ არა ამ ერთიანი მოდელის ფარგლებში გარკვეული იერარქია დასახელებულ მეთოდოლოგიებს შორის? როგორი უნდა იყოს ამ იერარქიის შიდა სტრუქტურა? ასევე აუცილებელია, როცა გვსურს ახლებურად და

ჭემბარიტად თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე გადაჭრილ იქნეს ჩვენთვის აქტუალური პრობლემა განვსაზღვროთ და დავადგინოთ სიღრმისეული კავშირი ჟურნალისტურ ჟანრსა და მისდამი დაქემდებარებულ ტექსტობრივ სივრცეს შორის, განვსაზღვროთ შინაგანი კავშირი ინტერდისციპლინარულობის იმ მოდელს შორის, რომელიც დაეფუძნება არა მხოლოდ ინტერტექსტუალურობის, არამედ სინერგიულობის კონცეპტებსაც.

ბუნებრივია, ჩვენი ნაშრომის პირველსავე თავში შევეცდებით გავცეთ ადეკვატური პასუხი ზემოთ დასმულ ყველა კითხვაზე, თუმცა ამ ეტაპზე უკვე შეიძლება ითქვას, რომ საკვანძო პრობლემად მთელი ამგვარი ინტერდისციპლინარულად განახლებული მეთოდოლოგიისათვის უნდა მივიჩნიოთ სინერგეტიზმსა და ინტერტექსტუალურობას შორის სიღრმისეული კავშირის ისეთი განსაზღვრა, რომელიც ერთდროულად ეფუძნება როგორც ტექსტის ლინგვისტურ თეორიას, ისე თანამედროვე კულტუროლოგიასაც - მედიაკულტურის, როგორც თანამედროვე კულტურული სივრცის ჩვენთვის გადამწყვეტი სეგმენტის გამოყოფით.

პრობლემის კვლევის ისტორია. როგორც პრობლემის აქტუალურობისა და მასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიურ მომენტთა მიმოხილვამ გვიჩვენა, რომ ჩვენს ნაშრომში ფორმულირებული პრობლემა ატარებს მრავალასპექტოვან ხასიათს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოცემულ „შესავალში“ გასაშუქებელი ისეთი საკითხი, როგორცაა „პრობლემის კვლევის ისტორია“, უნდა წარმოდგენილ იქნეს ამ მრავალასპექტოვნების გათვალისწინებით. სწორედ ამ თვალსაზრისით აუცილებელია მიეთითოს იმ შინაგან იერარქიაზე, რომელიც თან უნდა ახლდეს აღნიშნულ მრავალასპექტოვნებას. როგორი უნდა იყოს ეს იერარქია? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას უნდა დავსვათ მთელი ჩვენი კონტექსტისათვის მნიშვნელოვანი შემდეგი კითხვა: როგორ წარიმართებოდა კვლევა იმ მიმართების დადგენის მიზნით, რომელიც უნდა ვიგულისხმოთ, ერთის მხრივ, ინტერვიუს როგორც ჟურნალისტურ ჟანრსა და, მეორეს მხრივ, შესაბამის ტექსტობრივ სივრცეს შორის?

„პრობლემის კვლევის ისტორია“ უნდა წარმოვიდგინოთ ბევრად უფრო ფართოდ. ისტორიული კონტექსტის ამგვარ გაფართოებასაც ექნებოდა თავისი გამართლება. შესაძლებელია, მაგალითად გაგვეხორციელებინა თუნდაც სქემატური მიმოხილვა იმისა, როგორ ხდებოდა ჟურნალისტური დისკურსის კვლევა სხვა ტიპებისაგან განსხვავებით, და როგორ იქნა დანახული ამ კვლევითი კონტექსტის კავშირი თავად დისკურსის თეორიის განვითარებასთან. ასევე შეიძლება განხილული ყოფილიყო, როგორ ხდებოდა იმ კავშირის კვლევა, რომელიც ბუნებრივია არსებობს ჟურნალისტურ ჟანრთა (მთელი კულტურული სივრცისა და ამ სივრცის ჟურნალისტური სეგმენტის) ერთობლიობასა და მედიაკულტურას შორის. ასევე მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ მიმოხილვა, როგორ ხდებოდა ჟურნალისტურ ტექსტთა კვლევის დაკავშირება ინტერდისციპლინარულობის მეთოდოლოგიურ პარადიგმასთან. აქვე გასათვალისწინებელია შემდეგიც, თუ „პრობლემის კვლევის ისტორია“ გაგებული იქნება ამგვარი სიფართოვით, ამ შემთხვევაში ჩვენთვის აქტუალური პრობლემის კვლევის ისტორია დაემთხვევა თანამედროვე ლინგვისტიკის მთელ იმ პრობლემატიკის კვლევის ისტორიას, რომელიც დაკავშირებული იყო ამ დისციპლინის კომუნიკაციურ და ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმებთან დაკავშირებულ პრობლემატიკის კვლევის ისტორიასთან.

აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენთვის აქტუალური პრობლემის კვლევის ისტორიიდან გამოვეყოფთ იმ სეგმენტს, რომელსაც იერარქიული თვალსაზრისით უნდა მივანიჭოთ „პირველი ადგილი“. შემდეგ კი სქემატურად მაინც შევეხებით პრობლემის კვლევის ისტორიის მეთოდოლოგიურ ასპექტს და შესაბამისად დავსვამთ კითხვას: რა ადგილი ეკავა შესაბამის ლინგვისტურ და, უფრო ფართოდ, ფილოსოფიურ კვლევით ლიტერატურაში ჟანრსა და ტექსტს შორის მიმართებათა კვლევის ინტერტექსტუალურ თუ სინერგეტიკულ პრობლემატიკას?

ჩვენს მიერ უკვე ფომულირებული მიზანდასახულობის თანახმად საჭიროდ მიგვაჩნია სქემატურად მაინც მივუთითოთ იმაზე, როგორ ხორციელდებოდა ჟურნალისტურ ჟანრსა და ჟურნალისტურ ტექსტს შორის არსებული მიმართების კვლევა ქართულ ლინგვისტიკაში. ბუნებრივია, რომ მოცემულ კონტექსტში

შევეხოთ იმასაც, რა ადგილი დაიკავა ამ კვლევაში ინტერვიუს ჟანრობრივმა და ტექსტობრივმა პრობლემატიკამ. კვლევითი კონტექსტის შემოფარგვლა ხსენებული სემინტით გამართლებულია თუნდაც შემდეგი ორი მოსაზრების გამო: ა) ყველა ის ნაშრომი, რომლებშიც განიხილებოდა ჩვენთვის საინტერესო პრობლემატიკა, თავად ეფუძნებოდა ამ პრობლემატიკის კვლევის ისტორიასა და ბ) ეს კვლევა მიმდინარეობდა იმ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, რომელიც თავისი როლითა და მნიშვნელობით წინ უსწრებდა ინტერტექსტუალურობის, როგორც მეთოდოლოგიური პარადიგმის, წინა პლანზე გამოსვლას.


ზემოთა აღნიშნულთან დაკავშირებით, უნდა განვიხილოთ სამი ქართველი ავტორის ზ. ჩაჩანიძის, ს. ჭეიშვილისა და თ. ხეცურიანის ნაშრომები, რომელთა მიზანი იყო როგორც თეორიულად, ისე მეთოდოლოგიურად განეხილათ და კონცეპტუალურად განესაზღვრათ ჟურნალისტური სისტემის ისეთი ასპექტი, როგორცაა შინაგანი კავშირი ჟანრსა და ტექსტს შორის. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ინტერდისციპლინარული თვალსაზრისით ამგვარი ფუნდამენტური პრობლემის განხილვა ხსენებულ ავტორებთან ხდებოდა არა აბსტრაქტულად, არამედ დაკონკრეტებულად, მუდამ ამა თუ იმ ჟურნალისტურ ჟანრთან დაკავშირებით. ზ. ჩაჩანიძე აღნიშნულ პრობლემას განიხილავდა საინფორმაციო ცნობასთან დაკავშირებით (ჩაჩანიძე 2006), თ. ხეცურიანი რეპორტაჟთან (ხეცურიანი 2009), როგორც ჟანრთან და ს. ჭეიშვილი – ინტერვიუსთან კავშირში (ჭეიშვილი 2006). ამ უკანასკნელთან განხილული პრობლემა მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ემთხვევა ჩვენს პრობლემას.

რა უნდა მივიჩნიოთ აღნიშნული ავტორების მიერ ჩატარებული კვლევის ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტად? როგორც უკვე ითქვა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია პრობლემის მეთოდოლოგიური ასპექტი, ის როგორ იქნა დასმული და გადაჭრილი კვლევის ის მეთოდოლოგიური პრობლემა, რომელიც გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო ჟანრსა და ტექსტს შორის მიმართების განსაზღვრისათვის. აღსანიშნავია, რომ სამივე ავტორისათვის მთავარი იყო იმ ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის განსაზღვრა, რომელსაც უნდა დაეკავშირებინა ერთმანეთთან, ერთის მხრივ, ჟურნალისტურ ჟანრთა თეორია და

ლინგვისტიკა და, მეორეს მხრივ, უნდა დაედგინა კავშირი კულტუროლოგიასა და ხსენებულ ორ დისციპლინას შორის. აქვე აუცილებლობას წარმოადგენდა, ამგვარი ინტერდისციპლინარულობა ცენტრირებული ყოფილიყო ლინგვისტურად. როგორც ჩვენთვის, ასე აღნიშნული ავტორებისათვისაც. საბოლოო მიზანი კი იყო ჟანრებთან შინაგანად დაკავშირებული ჟურნალისტური ტექსტების კონცეპტუალიზაცია და მოდელირება, რაც ავტომატურად ინტერდისციპლინარულ მეთოდოლოგიას უკავშირდება, საკუთრივ კი ლინგვისტიკის პარადიგმულ დინამიკას, წარმოდგენილს შემდეგი სქემით:

სქემა №1

ლინგვისტიკის პარადიგმულ დინამიკა



იქედან გამომდინარე, რომ ინტერდისციპლინარული და პარადიგმული მეთოდოლოგიის ამგვარ სინთეზს ეყრდნობოდნენ თ. ხეცურიანი და ს. ჭეიშვილიც, ზემოთ განმარტებული მოსაზრებიდან გამომდინარე, გამოვეყოფთ ს. ჭეიშვილის ნაშრომის ორ შემდეგ ასპექტს: ა) როგორც „შესავლის“ წინა პარაგრაფებში უკვე ითქვა, ს. ჭეიშვილი, ისე როგორც ჩვენ, განიხილავს ინტერვიუს და მისდამი დაქვემდებარებულ ტექსტობრივ სივრცეს დაახლოებით იგივე მეთოდოლოგიით, რომელიც წარმოდგენილია ზ. ჩაჩანძის ნაშრომში „საინფორმაციო ცნობა როგორც ჟანრი და ტექსტი: მისი მიმართება თანამედროვე მედიაკულტურასთან და ტიპოლოგიზაციის ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემატიკა“ ბ) ამ ნაშრომის პირდაპირი და უშუალო კავშირი ჩვენს კვლევასთან არ განისაზღვრება მხოლოდ კვლევის ობიექტთა უბრალო თანხვედრით – მთავარია მიეთითოს იმ „გენეტიკურ“ კავშირზე, რომელიც წმინდა მეთოდოლოგიური თვალსაზრისით არსებობს ჭეიშვილისეულსა და ჩვენს კვლევებს შორის. ჩვენი მიზანია, გავაღრმავოთ კვლევის ინტერ-

დისციპლინარული მეთოდოლოგია ინტერტექსტუალურობისა და სინერგეტიზმის ამ მეთოდოლოგიაში ჩართვის გზით.

აქვე აღსანიშნავია ს. ჭეიშვილის კვლევის ის ასპექტი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს როგორც ჟურნალისტურ ჟანრთა თეორიის, ისე ტექსტის ლინგვისტური თეორიის თვალსაზრისით, სადაც ავტორი არსებითად და თანამიმდევრულად აკავშირებს ერთმანეთთან ინტერვიუს როგორც ჟანრს და **დიალოგს** როგორც ტექსტის ტიპს, ხოლო დიალოგის ამგვარი, ანუ ინტერვიუსთან დაკავშირებული ფენომენის განხილვა ატარებს ისტორიულ ხასიათს. დიალოგი, როგორც ჟურნალისტური და ტექსტობრივი ფენომენი უკავშირდება თანამედროვეობის კულტურულ და ცივილიზაციურ ასპექტებს. სწორედ ამ თვალსაზრისით კი უნდა გამოვყოთ ხსენებული ნაშრომის ის შინაარსობრივი მომენტები, რომლებიც აუცილებლად უნდა იქცნენ ჩვენივე კვლევის ობიექტად – თუმცა, რა თქმა უნდა, სრულიად განსხვავებულ მეთოდოლოგიურ კონტექსტზე დაყრდნობით. ეს მომენტებია:

ა) ავტორი არა მხოლოდ უკავშირებს ერთმანეთს ინტერვიუსა და დიალოგს როგორც ჟურნალისტურ და სამეტყველო ფორმებს, არამედ „დიადაც“ (ინტერვიუ/დიალოგი), საზოგადოების **დიალოგიზირებას** როგორც ისტორიულ ფაქტს და ამბობს კიდევ: „ინტერვიუ როგორც ჟანრი წარმოშვა საზოგადოების დიალოგიზირებამ“ (ჭეიშვილი 2006:213). ვფიქრობთ, ეს სწორედ ის მომენტია ს. ჭეიშვილის ნაშრომში, რომელიც მოითხოვს ახლებურად გაშუქებას არა მხოლოდ ინტერტექსტუალურობაზე, არამედ სინერგეტიზმის თეორიაზე დაყრდნობითაც. თუ ხდება საზოგადოების დიალოგიზირება, ეს ფაქტი უნდა ნიშნავდეს, რომ სწორედ ხსენებული პროცესით იქმნება როგორც კულტურის, ისე ცივილიზაციის ახლებური ენერგეტიკული (რა თქმა უნდა, სინერგიულად გაგებული ენერგეტიკული) ბაზისი;

ბ) ხსენებულ ნაშრომში დიალოგის როგორც ინტერვიუს ტექსტობრივი საფუძველის კვლევა ასევე დაუკავშირდა ჟურნალისტური დისკურსის ინტერსუბიექტურ ხედვას. როგორც ავტორი აღნიშნავს, „ჟურნალისტი იმყოფება დიალოგის რეჟიმში ერთდროულად რესპოდენტთან და მკითხველთან“ (*ibid.*:211),

როგორც ვხედავთ, ავტორი არა მხოლოდ ეყრდნობა ინტერტექსტუალურობის პრინციპს, არამედ ხაზს უსვამს ამ პრინციპის განხორციელების მრავალგანზომილებიანობას ჟურნალისტურ სივრცეში.

გ) ავტორს კვლევით პრაქტიკაში შემოაქვს ისეთი კონცეპტუალიზაციური სიახლე, როგრიცაა **დიალოგური კონტინუუმი**. მას მიაჩნია, რომ დიალოგური კონტინუუმის კვლევით პრაქტიკაში შემოტანა ქმნის იმ „თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც უნდა აიგოს ინტერვიუს ტექსტობრივი სივრცის ლინგვოკულტუროლოგიური ტიპოლოგია“ (*ibid.*:214). რადგან ჩვენ ვაგრძელებთ იმ კვლევით აქტივობას, რომელიც უკვე გავლილია ქართულ ფილოლოგიურ სივრცეში, გვსურს ამ შემთხვევაშიც გამოვთქვათ ვარაუდი, რომ დიალოგური კონტინუუმის კონცეპტმა უნდა განიცადოს თეორიული გაღრმავება ინტერტექსტუალურობისა და სინერგეტიზმის თეორიაზე დაყრდნობით;

დ) ციტირებულ ნაშრომში არა მხოლოდ ხდება დიალოგისა და ინტერვიუს ამგვარი, ანუ დიალოგური კონტინუუმის, როგორც კონცეპტისა და პრინციპის, გამოყენებით ურთიერთდაკავშირება, არამედ თვით დიალოგის როგორც ენობრივ-კულტურული გავლენის ახლებურად განხილვა. „ჟურნალისტურ გამონათქვამთა (რეპლიკათა) კლასიფიკაციზე“ დაყრდნობით, ავტორი უკავშირებს რეპლიკათა არსებულ ტიპოლოგიას „დიალოგური კონტინუუმის როგორც ვერტიკალის დონეებს“ (*ibid.*:215). დიალოგის ლინგვისტური ტიპოლოგიის მიხედვით კი ახორციელებს მის ახლებურ – უკვე ლინგვოკულტუროლოგიურ – ინტერპრეტაციას.

ს. ჭეიშვილის მიერ ჩატარებული კვლევის სქემატური განხილვის შემდეგ კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი იმ თეორიულ და მეთოდოლოგიურ ერთიანობას, რომლითაც ხასიათდება ჟანრობრივ და ტექსტობრივ ურთიერთმიმართებათა კვლევა ქართულ ფილოლოგიურ სივრცეში. ამ ერთიანობის დამადასტურებელ მომენტად კი გვინდა მივიჩნიოთ ის ფაქტიც, რომ ხსენებული ავტორები ჟურნალისტურ ჟანრებთან დაკავშირებული ტექსტობრივი სივრცის ტიპოლოგიზაციისას იყენებენ „არქიტექსტის“ კონცეპტს. როგორც ს.

ჭეიშვილი წერს „საჭიროა განვსაზღვროთ ამ სივრცის ფუძემდებელი არქიტექსტი, ხოლო თვით სივრცე მივიჩნიოთ ამ არქიტექსტის ვარიანტებისგან შემდგარ ერთიანობად“ (*ibid.*:217). ვფიქრობთ, ტექსტის თეორიის განვითარების დონე იძლევა საშუალებას „არქიტექსტი“ როგორც ტერმინი შეიცვალოს ტერმინით „მეტატექსტი“. მეტატექსტით ნაგულისხმებ ფენომენს კი უნდა მიეცეს ინტერტექსტუალური ინტერპრეტაცია, რა თქმა უნდა, სინერგეტიზმის თეორიაზე დაყრდნობით.

რადგან გვსურს ჩვენი კვლევით არა მხოლოდ გავაგრძელოთ და გავაღრმავოთ, არამედ ფაქტობრივად მთლიანად განვაახლოთ ამ ტიპის კვლევათა მეთოდოლოგიური საფუძველი, საჭიროა „პრობლემის კვლევის ისტორიის“ ფარგლებში სქემატურად მაინც მიეთითოს იმ კვლევით ფაქტებზე, რომლებიც მეტყველებენ შემდეგს: თანამედროვე ტექსტოლოგიური (როგორც ლინგვისტური, ისე ლიტერატურათმცოდნეობით) კვლევის პრაქტიკა უკვე გულისხმობს ტექსტობრივი რეალობის ახლებურად დანახვას არა მხოლოდ ინტერტექსტუალურობის, არამედ სინერგეტიზმის თეორიაზე დაყრდნობითაც, თუმცა კვლევის ამ პრაქტიკაში, უკვე გამოვლენილია ორი ისეთი მომენტი, რომლებიც საჭიროებენ ხედვის და კვლევის ახლებურად განხორციელებას. ესენია:

ა) როგორც უკვე იქნა აღნიშნული, ინტერტექსტუალურობა როგორც ტერმინი დღეს იძენს საყრდენ მნიშვნელობას ენათმეცნიერებაში (ჩერნიავსკაია 2005:178), მაგრამ, ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული ის სინთეზი, რომელიც არა მხოლოდ დეკლარაციულად, არამედ ანალიტიკურადაც დაუკავშირებდა ერთმანეთს ინტერტექსტუალურობის ზოგადჰუმანიტარულ თეორიასა და ტექსტის ლინგვისტურ თეორიას;

ბ) საფუძველი დაედო სინერგეტიზმის თეორიის გამოყენებას ტექსტოლოგიური კვლევის პროცესში და ამ ფაქტის დასადასტურებლად შეიძლება დავასახლოთ ისეთი მონოგრაფიული ნაშრომი, როგორიცაა ნ.ა. კუზმინა „Интертекст и Его Роль в Процессах Эволюции Поэтического Языка“. ამ ნაშრომში რეალიზებულია ინტერტექსტის ფენომენისადმი სინერგეტიკული მიდგომა, მაგრამ

ეს მიდგომა განხორციელებულია, როგორც თავად მონოგრაფიის სათაური გვიჩვენებს, პოეტური ენის კვლევისას (კუზმინა 2004).

თანამედროვე ფილოლოგიური კვლევის ფარგლებში უკვე გამოთქმულია იდეა ორ ხსენებულ თეორიათა – ინტერტექსტუალურობისა და სინერგეტიზმის – ერთიან კვლევით კონტექსტში მოქცევის შესახებ. რადგან ჩვენ ვცდილობთ გავაგრძელოთ პრობლემის კვლევის ისტორია, გვსურს განვახორციელოთ ხსენებული სინთეზი იმ სფეროში, რომელსაც ვუძღვნიტ ჩვენს კვლევას – ინტერვიუს როგორც ჟურნალისტურ ჟანრს და მისდამი დაქვემდებარებული ტექსტობრივი სივრცის ურთიერთმიმართება კვლევის სფეროში.

როგორც ვხედავთ, ჩვენთვის აქტუალური პრობლემის კვლევის ისტორია შეიძლება დაიყოს სამ ეტაპად. პირველად ეტაპად უნდა მივიჩნიოთ უკვე დიდი ხნის წინ რეალიზებული ეტაპი, როცა ჩამოყალიბდა ჟურნალისტურ ჟანრთა თეორია, ხოლო ინტერვიუ მიჩნეულ იქნა ამ ჟანრის სისტემის იმ ქვესისტემის წევრად, რომელიც იწოდება „საინფორმაციო ჟურნალისტურ ჟანრთა“ ქვესისტემად. მეორე ეტაპად, და ქართულ კვლევით სივრცეში წარმოდგენილ ნაშრომთა მიმოხილვამაც დაგვარწმუნა ამაში, უნდა მივიჩნიოთ ის პერიოდი, როცა საფუძველი დაედო ჟურნალისტურ ჟანრთა ტექსტობრივი ასპექტის კვლევას, ხოლო ამ კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველად გამოყენებული იქნა კვლევის ლინგვოკულტუროლოგიურად გააზრებული მეთოდიკა, განსაკუთრებულად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ კვლევის ფარგლებში ინოვაციურად იქნა გამოყენებული ისეთი კონცეპტები, როგორცაა „არქიტექსტი“ და „დიალოგიური კონტინუუმი“. პრობლემის კვლევის ისტორიის მესამე და ამჟამად აქტუალურ ეტაპად უნდა მივიჩნიოთ ის პერიოდი, როცა აუცილებლობად იქცა ჟანრთა და მათდამი დაქვემდებარებულ ტექსტობრივ სივრცეთა ინტერდისციპლინარული კვლევა ისეთ ახალ სააზროვნო პარადიგმათა თანამიმდევრული გამოყენებით, როგორცაა ინტერტექსტუალურობა და სინერგიულობა.

კვლევის სიახლე. მოცემული „შესავლის“ უკვე წარმოდგენილმა პარაგრაფებმა საკმარისად მკაფიოდ დაგვანახა ის **სიახლე**, რომელსაც შეიცავს (უფრო სწორად - უნდა შეიცავდეს) ჩვენი კვლევა. ეს სიახლე უნდა ატარებდეს

ძირითადად **მეთოდოლოგიურ** ხასიათს და შინაარსობრივად უნდა ნიშნავდეს შემდეგს: ვეყრდნობით რა იმ მეთოდოლოგიურ პარადიგმებს, რომლებიც უკვე დამკვიდრდნენ (ან ამჟამად იწყებენ დამკვიდრებას), ჩვენ ვცდილობთ გავიაზროთ ინტერვიუსა და მისი ტექსტობრივი განზომილების ურთიერთმიმართება არა მხოლოდ იმ ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის გამოყენებით, რომელმაც უკვე თითქმის სრულად წარმოაჩინა თავისი მეთოდოლოგიური პოტენციალი, არამედ ვცდილობთ თვით ამ პარადიგმის ინტეგრირებას თანამედროვე ფუნდამენტური აზროვნების ერთიან პარადიგმულ სისტემაში. მაგრამ სიახლის ამ ასპექტთან ერთად, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ სიახლის **ზოგადმეთოდოლოგიურ დონედ**, უნდა აღინიშნოს ის სიახლეც, რომელიც ატარებს უკვე საკუთრივ კონცეპტუალურ ხასიათს. ინტერვიუს ჟანრობრივ სივრცეში ინტერტექსტუალურობა განიხილება იმ კონცეპტუალური დიქოტომიის დამკვიდრების გზით, რომელსაც უნდა გულისხმობდეს სინერგეტიზმის თეორია და, რომლის თანახმად როგორც ჟანრობრივ, ისე ტექსტობრივ სივრცეში უნდა გავმიჯნოთ და ამავე დროს დავუკავშიროთ ერთმანეთს – **სტრუქტურისა და ენერჯის** კონცეპტები. ვფიქრობთ, ამგვარად რეალიზებული კონცეპტუალური დიქოტომია ახლებურად დააკავშირებს ერთმანეთს კვლევისათვის ისეთ მნიშვნელოვან ორ ფენომენს, როგორცაა მედიაკულტურა და ინტერტექსტუალურად გააზრებული ტექსტობრივი სამყარო.

კვლევის სავარაუდო შედეგები. ვფიქრობთ, კვლევის სიახლეზე მსჯელობამ საკმარისად გამოავლინა ჩვენი კვლევის სავარაუდო შედეგები. იმედი გვაქვს, რომ კვლევაში რეალიზებული მეთოდოლოგიური სიახლე არა მხოლოდ ახლებურად წარმოადგენს ინტერვიუსთან დაკავშირებულ ტექსტობრივ სივრცეს, არამედ ახალ მეთოდოლოგიურ პერსპექტივას შეუქმნის ზოგადად ისეთ ფენომენტა შორის მიმართების კვლევას, როგორცაა ჟანრი და ტექსტი.

აქედან გამომდინარე უნდა მივიჩნიოთ, რომ განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ჟანრსა და ტექსტს შორის მიმართების ის სეგმენტი, რომლის ფარგლებში ფუნქციურად და შინაარსობრივად ერთმანეთს ხვდება მედიასისტემასთან დაკავშირებული ორი კონტინუუმი – ინფორმაციული და

დიალოგური. შესაბამისად, ჩვენი კვლევის ერთ-ერთ სავარაუდო შედეგს წარმოადგენს იმის დადგენა, რა სახეს იღებს ამ კონტინუუმთა სინთეზი ისეთი ჟურნალისტური ჟანრის ტექსტობრივ სივრცეში, როგორცაა ინტერვიუ.

საკვლევი ემპირიული მასალის ზოგადი დახასიათება. საკვლევ ემპირიულ მასალად სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია ინტერვიუსთან როგორც ჟურნალისტურ ჟანრთან დაკავშირებული ის ტექსტობრივი სივრცე, რომელიც წარმოდგენილია თანამედროვე ინგლისურ პრესაში – ძირითადად კი პრესის ბრიტანულ განშტოებაში. საკვლევი მასალის შერჩევისას ჩვენთვის გადამწყვეტი იყო შემდეგი გარემოება: ინტერვიუ, როგორც ჟურნალისტური ჟანრი წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო მეტ-ნაკლები მრავალფეროვნებით, თუმცა, რა თქმა უნდა, შეუძლებლად მიგვაჩნდა ამ მრავალფეროვნების ამოწურვა. იქედან გამომდინარე, რომ ინტერვიუს ტექსტობრივ ასპექტს ვიკვლევთ ზემოთ დასახელებულ კვლევით პარადიგმათა სინთეზის გზით, ხოლო ამ სინთეზურ კონტექსტში უპირატესობას ვანიჭებთ ინტერტექსტუალურობის კრიტერიუმს, საჭიროდ მივიჩნით შევჩერებულიყავით ტექსტთა ტიპიურ ნიმუშებზე. ბუნებრივია, ტექსტთა ამგვარი შერჩევის საწყის ეტაპზე ვხელმძღვანელობდით ინტუიციით, თუმცა შემდგომში საჭირო ხდება ამ ინტუიციის სისწორის კვლევითი ვერიფიკაცია.

სადირეტაციო ნაშრომის სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლისაგან, სამი თავისაგან, დასკვნებისა და ბიბლიოგრაფიული დანართისაგან. გარდა ამისა, ყოველ თავს ახლავს მისი შინაარსით განპირობებული დასკვნები.

შესავალში ფორმულირებულია საკვლევი თემა და დასახელებულია აქტუალური საკვლევი პრობლემა. პრობლემის აქტუალურობის დასაბუთების შემდეგ განიხილება იმ კონკრეტულ კვლევით ამოცანათა ერთობლიობა, რომლებიც შინაგანად უკავშირდება თემის აქტუალურობას. შესავლის განსაკუთრებული პარაგრაფი ეძღვნება იმ მეთოდოლოგიურ პარადიგმათა განხილვას, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს ნებისმიერი ჟურნალისტური ტექსტის კვლევა, თუმცა ამ პარადიგმათა შორის სწორედ ინტერტექსტუალურობას ენიჭება ცენტრალური როლი. რეტროსპექტულად დანახულია არა მხოლოდ

ინტერვიუსთან, არამედ ზოგადად ჟურნალისტურ ჟანრთან დაკავშირებული ტექსტობრივი სივრცის კვლევა – განსაკუთრებულად კი კვლევის ის სეგმენტი, რომელიც წარმოდგენილია ქართულ ლინგვისტიკაში. ამავე დროს კი, მიჩნეულია, რომ პრობლემის კვლევის ისტორია არ დასრულებულა, იგი გრძელდება და, შესაბამისად, ჩვენს მიერ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი უნდა იყოს მის ერთ-ერთ ეტაპი.

კვლევის სიახლის განხილვისას აქცენტირებულია ის მეთოდოლოგიური სიახლე, რომლის შემოტანითაც ვცდილობთ გავაგრძელოთ და გავაღრმავოთ ჟურნალისტურ ჟანრთა ტექსტობრივი სივრცის უკვე არსებული ინტერდისციპლინარული კვლევა. შესავალი მთავრდება ემპირიული საკვლევი მასალის ზოგადი დახასიათებით.

ნაშრომის პირველ თავში – „ინტერტექსტუალურობის იდეა და ჟანრისა და ტექტის ურთიერთმიმართების პრობლემა ვერბალური დისკურსით წარმოდგენილ კულტურულ სივრცეში“ – განსაზღვრულია ის თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება წინამდებარე კვლევა. კვლევის თეორიულ საფუძვლად წარმოდგენილია, ერთის მხრივ, ის კონცეპტუალური ტრიადა, რომლის გარეშე შეუძლებელია ვიკვლიოთ არა თუ იმ დისკურსის ტექსტობრივი სივრცე, ე.ი. დისკურსი, ჟანრი და ტექსტი, მეორეს მხრივ კი, ის ჟანრობრივი სტრუქტურა, რომელიც დამახასიათებელია ინტერვიუსათვის და, რომელმაც უნდა ჰპოვოს ასახვა ამ ჟანრის ტექსტობრივ სივრცეში. რაც შეეხება კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს, გათვალისწინებულია, რომ ჟანრსა და ტექსტს შორის მიმართების მეთოდოლოგიურ საფუძველს უნდა წარმოადგენდეს სამი მეთოდოლოგიური პარადიგმის – ლინგვოკულტუროლოგია, ინტერტექსტუალურობა და სინერგეტზმი - სინთეზი. განისაზღვრება ის სტრუქტურულად ცენტრალური როლი, რომელიც ლინგვისტური თვალსაზრისით უჭირავს ინტერტექსტუალურობას ხსენებულ ტრიადულ კომპლექსში. გაანალიზებულია აგრეთვე ენერგიულობისა და სტრუქტურულობის ურთიერთმიმართება როგორც ინტერვიუს ჟანრობრივ და ტექსტობრივ, ისე დიალოგურ სტრუქტურაში. ამ თავის

დამასრულებელ მონაკვეთში ხსენებული მეთოდოლოგიური სინთეზი უკავშირდება მეტატექსტის კონცეპტს.

ნაშრომის მეორე თავი – „ინტერვიუსეული ტექსტობრივი სივრცის არქიტექსტი: არქიტექსტის ფენომენის კონცეპტუალიზაციის პრობლემა“ – ეძღვნება იმ ტექსტობრივი ინსტანციის კონცეპტუალიზაციისა და მოდელირების პრობლემას, რომელიც უნდა აკავშირებდეს ერთმანეთთან ენობრივ სისტემასა და ინტერვიუსეული ჟანრის ტექსტობრივ სივრცეს. ამგვარ ტექსტობრივ ინსტანციად მიჩნეულია არქიტექსტი, როგორც ისეთი აზრობრივი კონსტრუქტი, რომელიც დააფუძნებს ხსენებულ ტექსტობრივ სივრცეში შემავალ ტექსტთა შორის არსებულ ინტერტექსტუალურ მიმართებას.

ნაშრომის მესამე თავი – „ინტერვიუსეული ტექსტობრივი სივრცის არქიტექსტი: არქიტექსტის ფენომენის მოდელირების პრობლემა“ – ერთის მხრივ, უნდა დაეყრდნოს სამეზობლო არქიტექსტის კონცეპტუალიზაციის იმ შედეგებს, რომლებიც მიღებულ იქნება წინა თავში, მეორეს მხრივ კი, აქცენტირებული იქნება იგივე არქიტექსტის მოდელირების ამოცანაზე. საბოლოო ანგარიშში უნდა განხორციელდეს ხსენებული მოდელირება და ამ მოდელის გამოყენებით მოხდეს ნიმუშად მიჩნეული ინტერვიუსეულ ტექსტთა ტიპოლოგიური ანალიზი.

თავი I

ინტერტექსტუალურობის იდეა და ჟანრისა და ტექტის ურთიერთმიმართების პრობლემა ვერბალური დისკურსით წარმოდგენილ კულტურულ სივრცეში

1.1. ინტერვიუ როგორც თანამედროვე მედიასივრცის ფენომენი და მისი ტექსტობრივი კვლევისათვის აუცილებელი მეთოდოლოგიური პარადიგმა

შესავალში განსაზღვრული იყო ინტერვიუს როგორც თანამედროვე მედიასივრცის ერთ-ერთი სეგმენტის კვლევის ის მეთოდოლოგია, რომლის მიზანი უნდა იყოს ინტერვიუსადმი დაქვემდებარებული ტექსტობრივი სივრცის ფუნქციური არსისა და სტრუქტურის დადგენა, რაც შესაძლებელია ინტერდისციპლინარულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად ინტერვიუს ტექსტობრივი სივრცის დადგენა უნდა ხდებოდეს როგორც თანამედროვე ლინგვისტიკაზე, ისე ჟურნალისტურ ჟანრთა თეორიაზე და კულტურის თანამედროვე თეორიაზე დაყრდნობით.

აღინიშნა ისიც, რომ მოცემული ინტერდისციპლინარულობის ფონზე ამგვარი მეთოდოლოგია უნდა იყოს ლინგვისტურად ცენტრირებული, რაც ნიშნავს შემდეგს, რომ ნებისმიერი სხვა დისციპლინის მონაცემები უნდა იქნას თეორიულად აქტუალიზირებული იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია ინტერვიუს ტექსტობრივი სივრცის განსაზღვრისათვის. რაც შეეხება თვით ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის შინაგან სტრუქტურას, ეს სტრუქტურა გამჭოლი სახით უნდა ატარებდეს პარადიგმულ ხასიათს, ზოგადად კი უნდა ასახავდეს ჩვენი კვლევისათვის განმსაზღვრელ და ფუძემდებელ პარადიგმულ სიტუაციას.

ლოგიკურად ისმის შეკითხვათა ის ერთობლიობა, რომელზე პასუხებმაც საფუძველი უნდა ჩაუყაროს შემდგომ მსჯელობას როგორც თეორიული, ისე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. პასუხები ამ კითხვაზე შინაარსობრივად გამწვანებული იქნება მოცემული თავის ფარგლებში, თავად კითხვათა ფორმულირება კი უნდა მოხდეს შემდეგნაირად:

ა) როგორც „შესავალში“ განვითარებულმა მსჯელობამ გვიჩვენა აღნიშნული პარადიგმული სიტუაცია არ ეკუთვნის მხოლოდ ლინგვისტიკის, როგორც ერთ-ერთი ჰუმანიტარული დისციპლინის სფეროს, იგი ეკუთვნის იმ ჰუმანიტარულ დისციპლინათა ერთობლივ სფეროს, რომლებსაც უნდა დავეყრდნოთ კვლევის ძირითადი ობიექტის, ანუ ინტერვიუს ტექსტობრივი სივრცის არსისა და სტრუქტურის დადგენისას. შესაბამისად, ისმის კითხვა: როგორი უნდა იყოს ინტერდისციპლინარულობის ის ზოგადი სტრუქტურა, რომელმაც უნდა განსაზღვროს მთელი ჩვენი შემდგომი კვლევა?

ბ) იმ შემთხვევაში, თუ განისაზღვრება თეორიულ პლანში ამ ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის ზოგადი სტრუქტურა, როგორ უნდა აირეკლოს იგი ჩვენ მიერ ჩასატარებელი კვლევის ვექტორზე?

ამ ორი (ფუნდამენტური მნიშვნელობის) კითხვის დასმის შემდეგ შევეცდებით გავცეთ მათ პასუხები, რომლებსაც უნდა ჰქონდეს ასევე ფუნდამენტური მნიშვნელობა ჩვენი კვლევისათვის:

რაც შეეხება ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის იმ ტიპოლოგიურ ნიშნებს, რომლებმაც უნდა განსაზღვროს ამ მეთოდოლოგიის შინაგანი სტრუქტურა, ისინი ჯგუფდებიან შემდეგნაირად:

ა) პირველ ასეთ ტიპოლოგიურ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ ამ მეთოდოლოგიის შინაგანი **კომპლექსურობა** (პოლინსკი 2007:117). ეს მეთოდოლოგია პარადიგმათა სახით უნდა შეიცავდეს კვლევის ლინგვოკულტუროლოგიურ, ინტერტექსტუალურ და სინერგეტიკულ პარადიგმებს, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი კვლევა პარადიგმული თვალსაზრისით უნდა იყოს ერთდროულად ლინგვოკულტუროლოგიური, ინტერტექსტუალური და სინერგეტიკული. ეს კი თავისთავად ნიშნავს, რომ ინტერვიუსა და მის ტექსტობრივ სივრცეს შორის მიმართება უნდა განისაზღვროს და დადგინდეს ყველა ამ პარადიგმაზე დაფუძნებით;

ბ) ასევე მნიშვნელოვანია ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის შემდეგი ტიპოლოგიური ნიშანი. როგორც გვიჩვენებს ჰუმანიტარული აზროვნების (და კერძოდ ლინგვისტიკის) უახლესი ისტორია, აღნიშნული

ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგია განიცდის უწყვეტ ტრანსფორმაციას. თუ ჩვენი კვლევითი პრობლემის (ინტერვიუს ტექსტობრივი სივრცის განსაზღვრა) გადასაჭრელად არც თუ ისე დიდი ხნის წინ სავსებით საკმარისი იყო ინტერდისციპლინარულობის წმინდა ლინგვოკულტუროლოგიური გაგება, ანუ ენის ლინგვოსემიოტიკური პარადიგმის და კულტურის თანამედროვე ხედვის სინთეზი, მიმდინარე ეტაპზე აუცილებელი ხდება „დიადის“ შევსება ინტერტექსტუალურობის პარადიგმით: შესაბამისად, „დიადას“ ჩაენაცვლა „ტრიადა“. თუ ინტერდისციპლინარულობის საწყის ეტაპზე ამა თუ იმ ჟანრის ლინგვისტურად გაგებული ტექსტობრივი ასპექტი (ტექსტობრივი სივრცე) საჭიროებდა ლინგვოკულტუროლოგიურ ახსნას, შემდგომში აუცილებელი გახდა თვით ამ ორ პარადიგმათა სინთეზის ინტერტექსტუალური განმარტება. ამ ბოლო ეტაპზე კი გამოიკვეთა ინტერდისციპლინარულობის სრულიად ახალი ხედვა. უკვე განსაზღვრული და ამ პარადიგმაზე დაფუძნებული სინთეზი საჭიროებს სინერგეტულობის როგორც უახლესი მეთოდოლოგიური პარადიგმის თვალსაზრისზე დაფუძნებას.

აღნიშნულიდან უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი ხასიათდება არა მარტო კომპლექსურობით, არამედ **დინამიზმითაც**. დროთა განმავლობაში იცვლება ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის შინაგანი პარადიგმული სტრუქტურა.

გ) მესამე ტიპოლოგიური ნიშანი უნდა დავასახელოთ იმ ლოგიკური ურთიერთმიმართების გათვალისწინებით, რომლითაც კომპლექსურობისა და დანამიზმის ფარგლებში ხასიათდება ინტერდისციპლინარულობა. ყოველი შემდგომი პარადიგმა ცდილობს მოახდინოს წინა პარადიგმის თეორიული ექსპლიკაცია, ანუ დაგვანახოს მისი სიღრმისეული გენეტიკური და ფუნქციური საფუძვლები. აქედან გამომდინარე, უნდა მივიჩნიოთ, რომ ამგვარად დანახული ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგია ხასიათდება ტექსტის როგორც ფენომენის სიღრმისეულ შრეთა ხედვის შესაძლებლობით.

როგორც მოცემული პარადიგმის დასაწყისშივე ითქვა, ინტერდისციპლინარულობის ზემოთ განსაზღვრული შიდაპარადიგმული

სტრუქტურა დამახასიათებელი და მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ლინგვისტიკისთვის, არამედ მთელი თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნებისათვის, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნება და კვლევა ატარებს მკვეთრად გამოხატულ ინტერდისციპლინარულ ხასიათს. თავად ხსენებული ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგია კი თავის მხრივ ხასიათდება კომპლექსურობითა და დინამიზმით. ეს, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ თავიდანვე გასათვალისწინებელია ჩვენი კვლევის ის მეთოდოლოგიური ნიშანიც, რომლის შესახებ უკვე ითქვა „შესავალში“. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა, რომლის მიზანია ინტერვიუს როგორც ჟურნალისტური ჟანრის ტექსტობრივი სივრცის განსაზღვრა, უნდა იყოს არა მხოლოდ ინტერდისციპლინარული, არამედ ლინგვისტურად ცენტრირებულიც. სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა კვლევის შინაარსობრივი და მიზნობრივი კონკრეტიკის გააზრება. აქედან გამომდინარე კი უნდა დაისვას კითხვა: მიუხედავად მეთოდოლოგიის ლინგვისტურად ცენტრირებულობისა, ეს მეთოდოლოგია უნდა ინარჩუნებდეს კომპლექსურობისა და დინამიზმის ზემოთ განსაზღვრებულ ხასიათს, რა გავლენას უნდა ახდენდეს ხსენებული ლინგვისტურად ცენტრირებულობა (ანუ ენობრივი ასპექტის აქცენტირებულობა) ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის შიდაპარადიგმულ სტრუქტურაზე? ბუნებრივია, რაკი თვით მეთოდოლოგიის ინტერდისციპლინარულობა ატარებს ზოგადჰუმანიტარულ ხასიათს, იგი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ინარჩუნებდეს კომპლექსურობასა და დინამიზმს ზემოთ განმარტებული გაგებით. მაგრამ ამგვარი მეთოდოლოგიის ლინგვისტურად ცენტრირებულობით ისმის შემდეგი და მთელი ჩვენი კვლევისათვის მნიშვნელოვანი კითხვა: როგორი უნდა იყოს ამ შემთხვევაში ამ კვლევის პარადიგმათა შინაგანი იერარქია?

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ჩვენი კვლევა უნდა იყოს ლინგვოკულ-ტუროლოგიურიც, ინტერტექსტუალურიც და სინერგეტიკულიც, მაგრამ როგორი უნდა იყოს ამ კვლევით პარადიგმათა ურთიერთდაქვემდებარებულობა იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი მიზანი ინტერვიუს როგორც ჟურნალისტური ჟანრის ტექსტობრივი სივრცის კვლევაა? აღნიშნულ კითხვაზე არგუმენტირებული

პასუხის გაცემისას მოგვიხდება სამივე ზემოთ დასმული კვლევითი პარადიგმის ახლებურად დანახვა. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად (ანუ ინტერდისციპლინარულობის შიდა სტრუქტურული იერარქიის დადგენისათვის) აუცილებელია გავითვალისწინოთ შემდეგი მომენტი; როგორც ითქვა, თვით ინტერდისციპლინარულობა როგორც ზოგადჰუმანიტარული მეთოდოლოგია განიცდის უწყვეტ ტრანსფორმაციას და ტრანსფორმაციის ეს უწყვეტელობა მივიჩნიეთ აღნიშნული მეთოდოლოგიის დინამიზმად. მაგრამ, გასათვალისწინებელია შემდეგიც: დინამიზმი გარდუვალად გულისხმობს იმასაც, რომ ჩვენთვის უკვე ცნობილი კვლევით პარადიგმას „ერთვის“ ესა თუ ის ახალი პარადიგმა. როგორც ითქვა, ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა უკვე საკმარისი მოცულობით იქნა „ათვისებული“ თუნდაც ქართულ ლინგვისტურ სივრცეში, ინტერტექსტუალურობის პარადიგმა კი, როგორც „შესავალში“ იყო ხაზგასმული, უკვე მკაფიოდ არის წარმოდგენილი ტექსტობრივ კვლევებთან დაკავშირებულ მსოფლიო სივრცეში. (თუმცა ცხადია, რომ თავად ეს სივრცე შინაგანად არაერთგვაროვან ხასიათს ატარებს). რაც შეეხება სინერგეტიკულ პარადიგმას, იგი მხოლოდ იწყებს თავისი ზეგავლენის მოხდენას ჰუმანიტარულ კვლევაზე (ყოველ შემთხვევაში სრულიად ახლებურად უნდა გამოიყურებოდეს მისი შესაძლო მეთოდოლოგიური პოტენციალი ისეთ ინტერდისციპლინარული ტრიადის ფარგლებში, როგორცაა ლინგვოკულტუროლოგიისაგან, ინტერტექსტუალურობისაგან და სინერგეტიკულობისაგან შემდგარი ტრიადა).

ზემოთ ნათქვამის საფუძველზე შეიძლება დავსვათ კითხვა იმის თაობაზე თუ რას წარმოადგენს ტრიადის ახალი „წევრი“, სახელდობრ კი, სინერგეტიკულობის (თუ სინერგიულობის) პარადიგმა? ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ პარადიგმის შინაარსობრივი და სტრუქტურული თვალსაზრისით გააზრება მოგვცემს პასუხს ზემოთ დასმულ შეკითხვაზე. როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ჩვენი ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის შიდაპარადიგმული იერარქია იმ შემთხვევაში, თუ კვლევა ატარებს ლინგვისტურად ცენტრირებულ ხასიათს?

1.2. სინერგიულობა როგორც კვლევითი პარადიგმა და ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის შინაგანი იერარქიულობის პრობლემა

ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის შიდა სტრუქტურის განსაზღვრისას აუცილებლად თავს იჩენს ამ სტრუქტურის შინაგანი იერარქიის პრობლემა. მართალია, ამ მეთოდოლოგიის შინაგანი კომპლექსურობიდან გამომდინარე ყველა მასში შემავალი პარადიგმა უნდა მივიჩნიოთ მნიშვნელოვნად, მაგრამ ასევე ვერ ავუვლით გვერდს უკვე აღნიშნული ტრიადის შინაგან იერარქიულობასაც. ეს კი თავისთავად გვიბიძგებს ტრიადის რომელიმე წევრი მივიჩნიოთ ფუძემდებლად. მაგრამ რომელი? ნებისმიერი იერარქიულობის განსაზღვრისათვის საჭიროა კრიტერიუმი, ანუ თვალსაზრისთა წინასწარ მოცემულობა, რომლის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს იერარქიულობა. და სწორედ ამ კრიტერიუმის დადგენის პრობლემას ართულებს თავად კვლევითი მეთოდოლოგიის ხაზგასმული თავისებურება. ინტერდისციპლინარულობა, თავად ამ ტერმინის მნიშვნელობის მიხედვით, გულისხმობს განსხვავებულ დისციპლინათა (ან ამ დისციპლინებისთვის დამახასიათებელ პარადიგმათა) ურთიერთთანამშრომლობასა და სინთეზს. მაგრამ, როგორც ვიცით, ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგია ხასიათდება მეორე ნიშნითაც, სახელდობრ ლინგვისტურად ცენტრირებულობით. სწორედ ეს თავისებურებაა, რაც ქმნის მეთოდოლოგიური სიტუაციის ნახსენებ სირთულეს, რადგან ამ შემთხვევაში იერარქიულობა შეიძლება განისაზღვროს ორ განსხვავებულ კრიტერიუმზე დაყრდნობით: ა) თუ მხედველობაში მივიღებთ თავად ინტერდისციპლინარიზმს როგორც მეთოდოლოგიურ მიმართულებას, მაშინ ხაზი უნდა გაესვას მის ზოგადჰუმანიტარულ ხასიათს. შეუძლებელია დავასახელოთ რომელიმე ჰუმანიტარული დისციპლინა, რომელიც არ ხასიათდება ინტერდისციპლინარულობით; ეს კი იმას ნიშნავს, რომ სიფართოვისა და ყოვლისმომცველობის თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა და იერარქიული პირველობა ენიჭება **სინერგიულობას** (და არა ინტერტექსტუალურობას ან ლინგვოკულტუროლოგიას); ბ) მეორეს მხრივ, ჩვენი მეთოდოლოგია არის არა მხოლოდ ინტერდისციპლინარული, არამედ

ლინგვისტურად ცენტრირებულად და ვერ მივიჩნევთ, რომ ლინგვისტურად ცენტრირებულობა ჩვენი კვლევისათვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად ინტერდისციპლინარულობა. ამ კრიტერიუმზე დაყრდნობის შემთხვევაში კი უნდა აღინიშნოს, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა და იერარქიული პირველობა ენიჭება **ინტერტექსტუალურობის** პარადიგმას (უპრიანი იქნებოდა ალბათ გვეთქვა ინტერტექსტუალურობას იმდენად, რამდენადაც, როგორც ცნობილია, იგი საფუძვლად ედება ლინგვოკულტუროლოგიასაც კი).

როგორც ვხედავთ, ჩვენს წინაშეა ნამდვილი **მეთოდოლოგიური დილემა**: თუ ხაზს გავუსვამთ მეთოდოლოგიურ ინტერდისციპლინარიზმს, იერარქიული თვალსაზრისით ფუძემდებლად მოგვევლინება სინერგიულობის პარადიგმა, რადგან იგი გულისხმობს ნებისმიერი ფენომენის (არა მხოლოდ ჰუმანიტარულ სფეროს, არამედ ზოგადად სინამდვილის ფენომენის) როგორც სინერგიული ფაქტის თუ პროცესის განხილვას. შესაბამისად ჩვენი კვლევითი ობიექტი ანუ ინტერვიუსა და მისი ტექსტობრივი სივრცის ურთიერთმიმართებაც უნდა ვიკვლიოთ როგორც სინერგიულობის ფენომენი. მეორეს მხრივ კი თვით ჩვენი კვლევითი ობიექტის შინაგანი სპეციფიკა, და ამაზე მეტყველებს სადისერტაციო ნაშრომის სათაური, გამოიხატება იმით, რომ აღნიშნული ობიექტი (ანუ ინტერვიუსა და მისი ტექსტობრივი სივრცის ურთიერთმიმართება) განხილული უნდა იქნას როგორც ინტერტექსტუალურობის ფაქტი.

ზემოთ განვითარებულმა მსჯელობამ გამოკვეთა ჩვენი ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის ორი შესაძლო ფუძემდებლური პარადიგმა – სინერგიულობისა და ინტერტექსტუალურობის პარადიგმები - რამაც დაგვაყენა მეთოდოლოგიური დილემის წინაშე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ორივე ამ პარადიგმას შეიძლება ჰქონდეს ერთნაირი უფლება ხსენებულ ფუძემდებლობაზე, თუმცა, რა თქმა უნდა, განსხვავებული კრიტერიუმებიდან გამომდინარე. მაგრამ აუცილებელი გავიხსენოთ ისიც, რომ სამი აღნიშნული პარადიგმიდან სწორედ სინერგიულობა წარმოადგენს ამ ტრიადის შედარებით ახალ წევრს. აქედან კი ლოგიკურად გამომდინარეობს სინერგიულობის პარადიგმის თუნდაც სქემატური დახასიათების აუცილებლობა.

როგორც ცნობილია, სინერგიულობის კონცეპტმა და, შესაბამისად, თვით სინერგიულობის პარადიგმამაც თანამედროვე აზროვანებაში დაიწყო დამკვიდრება მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში. როგორც თანამედროვე აზროვნების ერთ-ერთი მკვლევარი ბ. კანკე ამბობს, მხოლოდ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან მეცნიერებამ დაიწყო რთულ სისტემათა თეორიული ათვისება. და სწორედ ამასთან დაკავშირებით გამოჩნდა სპეციფიკური მეცნიერება სინერგეტიკა (ბერძნულიდან synergia¹ - ანუ თანამშრომლობა), გაგებული როგორც რთულ სისტემათა თვითორგანიზაციის თეორია. ტერმინი „სინერგეტიკა“ კი შემოთავაზებულ იქნა 1969 წელს გერმანელი ფიზიკოსისა და მათემატიკოსის გ. ხაკენის მიერ. შესაბამისად სინერგეტიკის ასაკი დაახლოებით ოცდაათი წელია და იგი უნდა უნდა მივიჩნიოთ ძალიან ახალგაზრდა მეცნიერებად (კანკე 2001:312). თავად კანკე კი, რომლესაც ვეყრდნობით სინერგიულობის (სინერგეტიკის) თეორიის დახასიათებისას, ასახელებს და ჩამოთვლის ამ თეორიის (ჩვენთვის უკვე პარადიგმის) შემდეგ არსებით ასპექტებს:

ა) როგორც ციტირებული ავტორი აღნიშნავს, სინერგეტიკის უმთავრეს კონცეპტად გვევლინება **არალინეარულობა...** ლინეარულობისაგან განსხვავებით არალინეარულობა მიუთითებს სისტემათა ცვალებადობაზე, მრავალფეროვნებაზე, არამდგრადობაზე და წონასწორობის დაკარგვის შესაძლებლობაზე, შემთხვევითობაზე, განშტოებათა და ბიფურკაციათა ალბათობაზე (*ibid*:313). ჩვენთვის ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი იქნება იმის კვლევისას, თუ რამდენად ხასაითდება ტექსტობრივი სივრცე აღნიშნული არალინეარულობით;

ბ) სინერგეტიკის შემდეგ მახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ მას საქმე აქვს **ღია, ანუ არაგაწონასწორებულ სისტემებთან**, ე.ი. სისტემის შემადგენლობაში ამ ღიაობის დამამკვიდრებელ ამა თუ იმ წყაროსთან. იმისათვის კი, რომ შეიქმნას სისტემა, აუცილებელია შესაბამისი დინამიური წყარო, რომელიც აიღებს თავის თავზე მისი მორგანიზებელი საწყისის როლს (*ibid*:313). ბუნებრივია, ჩვენ ამ კუთხითაც განვიხილავთ ჩვენს საკვლევ ტექსტობრივ

¹ Online Etymology Dictionary. მოძიებული 17 მაისი, 2013
http://www.etymonline.com/index.php.allowed_in_frame=0&search=grammar=&searchmode=none

სივრცეს, განვიხილავთ მას როგორც ღია სისტემას და შევეცდებით განვსაზღვროთ, თუ რა წარმოადგენს ამ ღიაობის საწყის ფაქტორს;

გ) სინერგიულობის თეორიის მესამე მახასიათებელს წარმოადგენს **სისტემათა მერყეობა**, ავტორის აზრით, სწორედ ამ არამდგრადობის წყალობით სისტემა მიემართება შედარებით მყარი სტრუქტურებისაკენ (*ibid.*:313). ჩვენთვის ასევე აუცილებელი და მნიშვნელოვანი იქნება ინტერვიუს ტექსტობრივი სივრცის ისეთი აღწერა, როცა მისი სტრუქტურული არამდგრადობა აღქმული იქნება როგორც სისტემის შინაგანი ერთიანობის ნიშანი;

დ) სინერგიულ სისტემათა შემდეგ მახასიათებლად შეიძლება მივიჩნიოთ ის სტრუქტურები, რომლებსაც ქმნიან გარდამავალი პროცესები, რომლებსაც უწოდებენ **ატრაქტორებს**, (ლათინურიდან *attrahere* - მიზიდვა). თუ სისტემა მოხვდება გარკვეული ატრაქტორის გარემოცვაში, მაშინ ის იწყებს განვითარებას მისი მიმართულებით (*ibid.*:214). ცხადია, ჩვენს კვლევაში მოგვიხდება იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად რომელი სტრუქტურები ასრულებს ატრაქტორების როლს ინტერვიუს ტექსტობრივ სივრცეში.

სინერგიულობის პრობლემა ჰუმანიტარულ სფეროში გადმოსულია ბუნებისმეტყველების სფეროდან, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ იგი სულ მეტად მკვიდრდება ამ სფეროში და ფიზიკამდე და მისგან დამოუკიდებლად სინერგიის ბიზანტიურ ღვთისმეტყველური ცნების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც არსებობს ორი ენერგიის, ღვთიურ და ადამიანურ, ენერგიათა ჰარმონიული თანამშრომლობა, ჩაისახა და არსებობს ქრისტიანულ-მართმადიდებლური ანთროპოლოგია.

როგორც სინერგეტის სისტემის დახასიათებამ გვიჩვენა, აღნიშნული სისტემის ოთხი ატრიბუტი ისევე მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ ჰუმანიტარულ სფეროში, როგორც ბუნების სფეროში. სინერგიულობა როგორც ნებისმიერი სისტემისათვის ამ ოთხი ატრიბუტის მინიჭების აუცილებლობა თანამდეროვე აზროვნებაში იკავებს უნივერსალურობის სტატუსს. აქედან გამომდინარე, უნდა მივიჩნიოთ, რომ სინერგიულობის პარადიგმა უნდა იქცეს ნებისმიერი კვლევითი

მეთოდოლოგიის, პირველ რიგში კი ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის, აუცილებელ კომპონენტად.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით მოგვიხდება დავუბრუნდეთ სინერგეტიკულობის პარადიგმას იმისათვის, რომ მთლიანად მოვახდინოთ მისი აქტუალიზაცია ინტერვიუსთან დაკავშირებული ტექსტობრივი სივრცის კვლევის პროცესში. ასევე გასათვალისწინებელია ამ პარადიგმის ის ორი თავისებურება, რომელიც უვე ხაზგასმულია ჩვენს კვლევაში:

1) ფაქტი, რომ სინერგეტიკის პარადიგმა იძენს უნივერსალურ სტატუსს, ე.ი. ერთიანად შეიძლება მოაზრებულ იქნას როგორც საბუნებისმეტყველო, ისე ჰუმანიტარულ სფეროში (აქ ჩვენ შეგვიძლია პარალელი გაგავლოთ სინერგიულობის ცნებასა და ველის ცნებას შორის. ველის ცნებაც გენეტიკურად უკავშირდება ბუნებისმეტყველების სფეროს, სახელდობრ კი ფიზიკის სფეროს, თუმცა დღეისთვის ფართოდ გამოიყენება და წარმატებით ფუნქციონირებს ჰუმანიტარულ აზროვნებაში, განსაკუთრებით კი ლინგვისტიკასა და ფსიქოლოგიაში. ამასთან ერთად შესაძლებელია დავინახოთ ამ ორ ცნება-პარადიგმას შორის არა მხოლოდ გენეტიკური, არამედ ფუნქციური პარალელიც, რაც მოგვცემს სინერგიულობის უკვე დასახელებულ ატრიბუტთა ერთობლიობის მეტი დინამიურობით ხედვის საშუალებას);

2) ასევე მნიშვნელოვანია სინერგიულობის ცნება-პარადიგმას როგორც ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური სააზროვნო კონცეპტის გამოყენება ჩვენს კვლევით სფეროში: როგორც ცნობილია, სინერგიულობის ანთროპოლოგიური ცნების სფეროში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ენერგიათა **ვექტორი**: როგორც ღვთიური, ისე ადამიანური ენერგია მოძრაობენ ვერტიკალურად და ხვდებიან ერთმანეთს სწორედ ამგვარ შემხვედრ მოძრაობათა შედეგად. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ჩვენც მოვახდინოთ სინერგიულობის ამ ვექტორული პრინციპის აქტუალიზაცია იმ შემთხვევაში თუ, ხსენებულ ცნება-პარადიგმას ვიყენებთ ჰუმანიტარულ სფეროში.

აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ არა მხოლოდ ვიღებთ და ვიყენებთ სინერგიულობის თეორიას იმ სახით, რომლითაც იგი ფიგურირებს

თანამედროვე ჰუმანიტარულ აზროვნებაში, არამედ გარკვეული თვალსაზრისით ვახდენთ მის ტრანსფორმაციას იმით, რომ შინაარსობრივად ვუთავსებთ მას ველისა და ვექტორულობის პრინციპებით ნაგულისხმებ შინაარსს.

ჩვენ მოგვიხდა სინერგეტიკის ცნება-პარადიგმის მეტ-ნაკლები სისრულით დახასიათება იმის გამო, რომ აღნიშნული პარადიგმა შედარებით ახალი შემოჭრილია ჰუმანიტარულ აზროვნებაში. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ ამით გაეცა პასუხი ჩვენთვის მნიშვნელოვან კითხვას - როგორ უნდა წარმოვიდგინოთ პარადიგმული მეთოდოლოგიის როგორც სისტემის შინაგანი იერარქია? ამ კითხვისათვის, ბუნებრივია, უნდა განისაზღვროს იერარქიულობის კრიტერიუმი; და როგორ გამოიყურება ეს კრიტერიუმი სინერგიულობის შემთხვევაში? როგორც ვიცით, სისტემათა სინერგიულობით ნაგულისხმევი ატრიბუტიკა ატარებს უნივერსალურ ხასიათს. აქედან გამომდინარე კი შეუძლებელია იგი არ იყოს დამახასიათებელი იმ ტექსტობრივი სივრცისათვის, რომლის ადეკვატური კვლევაც ჩვენ გვსურს. აქ უკვე იქმნება იერარქიულობის შემდეგი სურათი. სწორედ სინერგიულობა უნდა მივიჩნიოთ საკვლევი სისტემის მთავარ მარგანიზებელ პრინციპად (პოლინსკი 2007). მაგრამ უნივერსალურობის ამ კრიტერიუმს ჩვენ შემთხვევაში უპირისპირდება სპეციფიკურობის არანაკლებად მნიშვნელოვანი კრიტერიუმი. მართალია სინერგიული ატრიბუტიკით უნდა ხასიათდებოდეს ნებისმიერი სისტემა, როგორც ტექსტობრივი, ისე არატექსტობრივი, მაგრამ ამავე დროს ცხადია შემდეგიც: ტექსტობრივ სისტემას (და სწორედ ასეთია ჩვენი საკვლევი ობიექტი) თან უნდა ახლდეს თვითორგანიზაციის ის სპეციფიკა, რომელიც შეუძლებელია ამავე სისრულით გვეჩვენოს სხვა სახის სისტემაში. ამ თვალსაზრისით, ბუნებრივია, დომინანტურობის სტატუსი უნდა მიენიჭოს არა იმდენად სინერგიულობის, არამედ ინტერტექსტუალურობის პარადიგმას. პარადიგმული თვალსაზრისით მთლიანად შენარჩუნებულია ჩვენი კვლევითი ამოცანის ის დინამიური ხასიათი, რომლის შესახებ გვექონდა მსჯელობა წინა პარაგრაფში.

როგორც ვხედავთ სინერგიულობისა და ინტერტექსტუალურობის პარადიგმათა ასეთმა შეპირისპირებამ იერარქიულობის თვალსაზრისით ვერ მოგვცა აღნიშნული დილემიდან გამოსვლის საშუალება.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი პარადიგმული მეთოდოლოგია გულისხმობს მესამე წევრსაც, სახელდობრ ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმას. წინა პარაგრაფებში უკვე ითქვა, რომ სინერგეტიკულობის პარადიგმის შემოსვლამ პარადიგმულ მეთოდოლოგიაში მოახდინა ამ მეთოდოლოგიის სერიოზული სტრუქტურული ტრანსფორმაცია – პარადიგმული დიადა გადაიქცა პარადიგმულ ტრიადად. აღნიშნულ სტრუქტურულ ტრანსფორმაციას კი მივყავართ ახალ შეკითხვამდე: ხომ არ იძლევა სისტემაში მესამე წევრის, ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის, არსებობა იმის საშუალებას, რომ დაძლეულ იქნეს კვლევითი ამოცანის დილემურობა. ანუ ხომ არ ძალუძს ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმას „თავის თავზე აიღოს“ იერარქიულობით ნაგულისხმები „პირველობის“ იმ მეთოდოლოგიური კონფლიქტის გადაჭრა, რომელიც იქმნება სინერგიულობისა და ინტერტექსტუალურობის პარადიგმებს შორის?

რატომ იყო აუცილებელი გამოგვეთქვა ის ვარაუდი, რომლის თანახმად ჩვენი პარადიგმული ტრიადის წევრზე (ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა) დაყრდნობით შესაძლებელი იქნება ზემოთ აღნიშნული მეთოდოლოგიური დილემის დაძლევა? აღნიშნული დილემის რეალური დაძლევა უნდა მოხდეს კონკრეტული კვლევის პროცესში. მაგრამ, როგორც ვიცით, მოცემულ პარაგრაფში მიზნად ვისახავთ იმის განსაზღვრას, როგორ უნდა იქნეს დანახული პარადიგმული სისტემის შინაგანი იერარქიულობა. და სწორედ ამ იერარქიულობის განსაზღვრისას გვსურს ხაზი გავუსვათ სინერგიულობაზე როგორც ცნება-პარადიგმაზე დაყრდნობის შემდეგ ორ წინაპირობას:

1) თანამდროვე ჰუმანიტარულ აზროვნებაში სინერგიულობის ცნება-პარადიგმა შემოსულია საბუნებისმეტყველო სფეროდან და ამიტომ ბუნებრივია, რომ მასზე დაყრდნობა ნებისმიერი ჰუმანიტარული კვლევის პროცესში უნდა გულისხმობდეს ერთდროულად ისეთსავე შინაარსობრივ ტრანსფორმაციას,

როგორც უკვე მოხდა ველის ცნებასთან დაკავშირებით. მაგრამ, აღნიშნული ტრანსფორმაცია ვერ მოხდება სპონტანურად. იგი მოითხოვს ჩვენს კონცეპტუალურ ძალისხმევას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთლიანად უნდა შევინარჩუნოთ სისტემის ხედვის ზემოთ ჩამოთვლილი სინერგიული ატრიბუტიკა და ამავე დროს „დავტვირთოთ“ იგი ჰუმანიტარული შინაარსით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არ უნდა დაფუშვათ, რომ სინერგიულობის ფიზიკურმა ხედვა პირდაპირ და უშუალოდ („ავტომატურად“) იქნეს გადატანილი ჰუმანიტარულ სფეროში.

2) ამგვარი „ავტომატური“ გადმოტანის საშიშროებაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტი: ტექსტის ლინგვისტურ თეორიაში უკვე არსებობს სინერგიულობის როგორც ტექსტის ფენომენის წმინდა **ფიზიკური** აღქმა და გაგება. ამასთან დაკავშირებით გ. მოსკალჩუკი თავის მონოგრაფიაში წერს: კვლევის აქტუალურობა (იგულისხმება ტექსტის სტრუქტურის სინერგიული კვლევის აქტუალურობა – ე.ჯ.) განპირობებულია იმით, რომ აუცილებელი ხდება ტექსტის როგორც ბუნებრივი ობიექტის სტრუქტურულ კანონზომიერებათა კვლევა (მოსკალჩუკი 2003:6). ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სწორედ სინერგიულობის როგორც ფიზიკური ფენომენის ჰუმანიტარულ (კონკრეტულად კი ტექსტოლოგიურ) სფეროში „ავტომატურ“ გადატანასთან, მეტყველებს ციტირებული ავტორის შემდეგი გამონათქვამი: „ტექსტის როგორც აზრობრივი მთლიანის ფორმულირება ხორციელდება პირველ რიგში, ფიზიკური კანონების მიხედვით“ (ibid:7).

უნდა ვაღიაროთ: ადამიანური სინამდვილისათვის დამახასიათებელ ნებისმიერ ფენომენს (და მათ შორის ტექსტსაც) შეიძლება ჰქონდეს ფიზიკური განზომილება. მაგრამ ნიშნავს კი ეს იმას, რომ ამგვარი ფენომენის სტრუქტურა წარმოიქმნება ფიზიკის კანონების მიხედვით. ციტირებული ავტორისაგან განსხვავებით მოგვიხდება სინერგიულობის საკუთრივ ჰუმანიტარული, ჩვენს შემთხვევაში კი, **ლინგვოკულტუროლოგიური** ინტერპრეტაცია. საჭირო ხდება თვით ლინგვოკულტუროლოგიის როგორც პარადიგმის თეორიულ-გენეტიკური განსაზღვრა: ლინგვოკულტოროლოგია წარმოადგენს თანამედროვე

კულტუროცენტრიზმის როგორც კვლევის ზოგადჰუმანიტარული პრინციპის ლინგვისტურ „ვარიანტს“, ხოლო თვით კულტუროცენტრიზმი კი გენეტიკურად და შინაარსობრივად უკავშირდება ანთროპოცენტრიზმს – ადამიანის როგორც ფენომენის ყურადღების ცენტრში მოქცევის მცდელობას. ამიტომაც არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ციტირებული ავტორი ნეგატიურად აღიქვამს თვით ანთროპოცენტრიზმს, როგორც კვლევით პარადიგმას. მისი აზრით: ანთროპოცენტრიზმი როგორც კვლევითი პარადიგმა ვერ ავლენს ტექსტის არსებით მახასიათებლებს (კირვალიძე 2008).

ცხადია, ჩვენ არ უარვყოფთ იმის შესაძლებლობას, რომ ტექსტის კვლევა ხდებოდეს ფიზიკის კანონების გათვალისწინებით, მაგრამ გვსურს ხაზგასმით ვთქვათ, რომ სინერგიულობის, როგორც ტექსტობრივი ფენომენის კვლევის ამოსავალი უნდა იყოს ანთროპოცენტრიზმთან ორგანულად დაკავშირებული კულტუროცენტრული ხედვა.

1.3. ლინგვოკულტუროლოგია როგორც კვლევითი პარადიგმა და სინერგიულობის კონცეპტის ჰუმანიტარულად გააზრების პრობლემა

წინა პარაგრაფში აღიარებულ იქნა იმის გარდაუვალი აუცილებლობა, რომ სინერგიულობამ როგორც კვლევითმა პარადიგმამ უნდა დაიმკვიდროს ადგილი ზოგადად ჰუმანიტარულ, კერძოდ კი ლინგვისტურ აზროვნებაში. ამავე დროს აუცილებლად იქნა მიჩნეული შემდეგი მეთოდოლოგიური ამოცანის შესრულებაც: არ არის საკმარისი სინერგიულობის როგორც საბუნებისმეტყველო წარმოშობის კონცეპტის უბრალო შენარჩუნება ჰუმანიტარულ სფეროში – საჭიროა მისი გარდაქმნა (ტრანსფორმაცია) იმ ზოგადჰუმანიტარული (მეტაპარადიგმული) პრინციპის მიხედვით, რომელიც საფუძვლად უდევს მთელ თანამედროვე ჰუმანიტარულ აზროვნებას. ერთ-ერთი თანამედროვე ავტორის გ. მოსკალჩუკის მიერ განხორციელებული მცდელობისადმი კრიტიკული მიდგომის გამოყენებით უკვე გავუსვით ხაზი იმ ფაქტს, რომ ამგვარ ზოგად (მეტა) პარადიგმულ პრინციპად მიჩნეულ უნდა იქნეს *კულტუროცენტრიზმი* (როგორც

ანთროპოცენტრიზმის უმთავრესი გამოვლინება). აღნიშნული იქნა ისიც, რომ ლინგვოკულტუროლოგია, რომელიც დღეისათვის წარმოადგენს დომინანტურ ლინგვისტურ პარადიგმას, სხვა არაფერია თუ არა კულტუროცენტრიზმის, როგორც ზოგადჰუმანიტარული პარადიგმის ლინგვისტური ინტერპრეტაცია (დაიკივან 1977).

ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად, ბუნებრივია, ისმის კითხვა: როგორ უნდა იქნეს ტრანსფორმირებული სინერგიულობის ცნება ისე, რომ მან მთლიანად შეინარჩუნოს წინა პარაგრაფში აღწერილი ამოსავალი ატრიბუტიკა და ამავე დროს მიანიჭოს ამ ატრიბუტიკას ადეკვატურად განსაზღვრული ჰუმანიტარული სტატუსი? ხსენებული ჰუმანიტარული, ჩვენს შემთხვევაში კი ლინგვისტური, სტატუსის გამოვლენა მოხდება კონკრეტული ტექსტოლოგიური ანალიზის დროს, მაგრამ აუცილებელია, რომ უკვე ამ ეტაპზე დასახელებული და ზოგადად განსაზღვრულ იქნეს ამ მეთოდოლოგიური ამოცანის შესრულების შემდეგი პრინციპები:

1) რადგან ჩვენი კვლევითი ობიექტი (ინტერვიუ და მისი შესაბამისი ტექსტობრივი სივრცე) თავისი არსებობითა და ფუნქციობით განეკუთვნება *მედიაკულტურას*, როგორც თანამედროვე კულტურის ცენტრალურ სეგმენტს, აუცილებელია დავინახოთ და აღვიქვათ თანამედროვე მედიაკულტურა, როგორც იმ *ენერგიის წყარო*, რომელიც ურთიერთმოქმედებს ინერტიუს საკუთრივ ტექსტობრივ ენერგიასთან. შესაბამისად ისმის ორი ურთიერთდაკავშირებული შეკითხვა: ა) როგორ უნდა განისაზღვროს და დახასიათდეს მოცემულ შემთხვევაში მედიაკულტურიდან მომდინარე ენერგია? და ბ) როგორ უნდა განისაზღვროს და დახასიათდეს ის *ტექსტობრივი შემხვედრი ენერგია*, რომელთანაც უნდა ურთიერთმოქმედებდეს ზემოთ დასახელებული *მედიაკულტურული ენერგია*?

2) იმის შემდეგ, როცა პრინციპულ დონეზე გაცემული იქნება პასუხები ზემოთ დასმულ კითხვებზე, აუცილებელი გახდება იმის პრინციპულ დონეზე განსაზღვრაც, რა ტრანსფორმაციას უნდა განიცდიდეს რთულ სისტემათა ის

ატრიბუტიკა, რომელსაც გამოყოფს სინერგეტიკა, და რომლებსაც ჩვენი კვლევის ფარგლებში უნდა მიეცეს ჰუმანიტარულ-ლინგვისტური შინაარსი.

პირველ რიგში აუცილებელია განვმარტოთ ენერჯის ის სახეობა, რომელსაც ზემოთ „*მედიაკულტურული ენერჯია*“ ვუწოდეთ. მაგრამ, ბუნებრივია, ცხადი უნდა იყოს ისიც, რომ სრულიად არ არის საკმარისი იმის თქმა, თუ რას ვუწოდებთ ამ ენერჯიას. ასევე აუცილებელია არა მარტო დავასახელოთ, არამედ დავახასიათოთ კიდევ ამ ენერჯიის წარმომშობი წიალი და წყარო, ანუ თანამედროვე საზოგადოება როგორც მის მთლიანობაში (ანუ ინტეგრალურად), ისე იმ სოციალური სეგმენტის მიხედვით, რომელსაც კონკრეტულად უნდა ეკუთვნოდეს ზემოთ ხსენებული ლინგვოკულტუროლოგიური ენერჯია. და სწორედ ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოდ უნდა მივიჩნიოთ შემდეგი ფაქტი, რომ თანამედროვე საზოგადოების ინტეგრალური თვალსაზრისით დახასიათება არსებითად ემთხვევა მედიაკულტურის დახასიათებას, რაც უნდა ნიშნავდეს შემდეგს: *მედიაკულტურა* (ანუ ლინგვოკულტუროლოგიური ენერჯიის უშუალო წყარო) წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოების არ უბრალოდ ერთ-ერთ, არამედ *ცენტრალურ სეგმენტს*. იმის დასადატურებლად, რომ ეს მართლაც ასეა, მოვიყვანთ შესაბამისი შინაარსის ორ ციტატას.

მსჯელობს რა თანამედროვეობაზე – თანამედროვე საზოგადოებაზე – სწორედ ინტეგრალური თვალსაზრისით, ვ. ბიჩკოვი წერს, რომ კულტურა მთლიანობაში და ყველა მისი ძირითადი კომპონენტი გლობალურად იმყოფებიან რაღაც *პრინციპულად განსხვავებულ* მდგომარეობაში. იმ მიზეზთა შორის რომლებმაც გამოიწვია ეს გრანდიოზული მოვლენა... მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს რომელსაც თან ახლავს ინფორმაციის ფეთქებადი ზრდა (ბიჩკოვი 2003:7). უფრო მეტიც: თანამედროვეობისთვის დამახასიათებელ ინფორმაციულობას ციტირებული ავტორი უწოდებს „ინფორმაციის ზეკონცენტრაციულობას (ibid.:7). და მაინც, რატომ მივიჩნიეთ საჭიროდ ზოგადად თანამედროვეობის, კერძოდ კი თანამედროვე საზოგადოების ამგვარი, ანუ გლობალურ-ინფორმაციული დახასიათება? სწორედ იმიტომ, რომ, როგორც ციტირებული ავტორი აღნიშნავს, შესაძლებელი გავხადოთ

სინერგიულობის კონცეპტის ორგანული (და არა მექანიკურ-ავტომატური) გადმოტანა ჰუმანიტარულ სფეროში. (ჰუმანიტარული სფერო კი, ბუნებრივია, დღეისთვის უნდა გამოხატავდეს თანამედროვეობის ეპოქალურ არსსა და სახეს).

მოგვიხდება დავუბრუნდეთ თანამედროვეობის ზემოთ მოცემულ ხატს იმისათვის, რომ შევძინოთ ჰუმანიტარული შინაარსი მთელ ჩვენთვის უკვე ცნობილ სინერგიულ ატრიბუტიკას, მაგრამ მხოლოდ იმის შემდეგ, როცა უკვე გვექნება მედიაკულტურის შესაბამისი ინფორმაციული ხედვაც.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ თანამედროვეობის ინტეგრალური (თუ გლობალური) დახასიათება არსებითად ემთხვევა მედიაკულტურის დახასიათებას. იმისათვის, რომ შევიქმნათ სინერგიულობის ჰუმანიტარული გააზრებისთვის აუცილებელი საფუძველი, მედიაკულტურის ფენომენისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში ვკითხულობთ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ იმ საინტერესო ეპოქაში, რომელსაც თანამედროვე მკვლევარები განსახვავებულ სახელებს ანიჭებენ, ზოგისთვის ეს არის „პოსტინდუსტრალური“ საზოგადოების განვითარების ეპოქა, სხვებისთვის კი „ინფორმაციული ეპოქა“ (კირილოვა 2005:7). აგრძელებს რა თანამედროვე ეპოქაზე მსჯელობას, ნ. კირილოვი ამბობს იმას, რაც არსებითად ემთხვევა თანამედროვეობის ზემოთ წარმოდგენილ ხატს. ცხადია ერთი, ჩვენ ვარსებობთ მედიას სამყაროში, ანუ მასობრივ კომუნიკაციათა სულ უფრო და უფრო გაფართოებულ სისტემაში, იმ *ინფორმაციული ავეთქების* სამყაროში (როგორც მას კანადელი სოციოლოგი მ. მაკლუენი უწოდებს), რომლის ძირითად ნიშან-თვისებად წარმოგვიდგება ქაოტურობა, უსაზღვროობა და სიჭარბე (ibid.:7).

შემდეგ კი იგივე ავტორი ავითარებს აზრს, რომელიც ადასტურებს ჩვენს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ არ უნდა ხდებოდეს სინერგიულობის კონცეპტის მექანიკური გადმოტანა ჰუმანიტარულ სფეროში: ამასთან დაკავშირებით კი რთულდება ჩვენი პოსტთანამედროვე იდენტურობის კავშირები და მოდელები, რაც გვაიძულებს კიდევ ერთხელ განვახორციელოთ მედიის გაგების (understanding media) მცდელობა... (ibid.:7).

როგორც ვხედავთ, მოყვანილმა ორმა ციტატამ ნათლად დაგვანახა, რა დიდი (შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი) როლი უნდა ეკისრებოდეს

მედიაკულტურის ჩვენეულ ხედვას იმისთვის, რომ გვექონდეს თანამდროვე კულტურის როგორც შინაგანად ერთიანი ფენომენის ინტეგრალურ-გლობალური ხედვა, შესაბამისად კი გვექონდეს ადეკვატური საფუძველი სინერგიულობის კონცეპტის ჰუმანიტარულ განზომილებაში გადმოტანისთვის.

მაგრამ ჩვენი მსჯელობის მოცემული სეგმენტი უნდა დასრულდეს მედიაკულტურის იმ დეფინიციით, რომელსაც მივანიჭებთ სასტარტო მნიშვნელობას მოცემულ ფენომენზე მსჯელობის მთელ კონტექსტში. გასაგებია, რატომ უნდა ჰქონდეს მედიაკულტურის დეფინიციას სასტარტო (ყოველ შემთხვევაში ერთ-ერთი სასტარტო) მნიშვნელობა ჩვენი კვლევისთვის. უკვე დავრწმუნდით, ერთის მხრივ, იმაში, რომ სინერგიულობის კონცეპტი აუცილებელი ხდება არა მხოლოდ ინტერტექსტუალურობის ფენომენის, არამედ მთელი თანამედროვე ჰუმანიტარული სინამდვილის ადეკვატური გააზრებისათვის. მეორეს მხრივ კი, დავრწმუნდით იმაშიც, რომ არსებობს ამ კონცეპტის ჰუმანიტარულ სინამდვილეში მექანიკურ-ავტომატური, ე.ი. არაგააზრებული გადმოტანის საფრთხეც. ამიტომ ჯერ მოვიყვანთ მედიაკულტურის ავტორისეულ დეფინიციას იმ სახით, როგორც იგი უშუალოდ არის შემოთავაზებული დასახელებულ მონოგრაფიაში და შემდეგ შევეცდებით მის კომენტირებას საკუთრივ სინერგიულ კონტექსტში. ნ. კირილოვა წერს: მედიაკულტურა წარმოდაგენს იმ ინფორმაციულ-კომუნიკაციურ საშუალებათა როგორც მატერიალურ, ისე ინტელექტუალურ ღირებულებათა ერთობლიობას, რომლებიც გამომუშავებული აქვს კაცობრიობას კულტურულ-ისტორიული განვითარების პროცესში და რომლებიც ხელს უწყობენ საზოგადოებრივი ცნობიერებისა და პიროვნების სოციალიზაციის ფორმირებას (კირილოვა 2005:8). რატომ უნდა მივანიჭოთ ამ დეფინიციას აღნიშნული სასტარტო მნიშვნელობა? მიუხედავად მისი ზოგადი ხასიათისა, ეს დეფინიცია მაინც მიუთითებს იმ „ინფორმაციულ-კომუნიკაციურ საშუალებებზე“, რომლებიც გააზრებულ უნდა იქნეს როგორც *სინერგიულად აღქმული სისტემები*, ანუ ისეთი სისტემები, რომლებსაც ახასიათებს ჩვენს მიერ უკვე განსაზღვრული სინერგიულობის ოთხი ატრიბუტი. აღსანიშნავია ასევე, რომ, მართალია, ძალიან სქემატურად, მაგრამ

გარკვეული სახით ავტორი მაინც მიუთითებს მედიაკულტურის დიქტომიურ სტრუქტურაზე. მედიაკულტურა მოიცავს როგორც ინფორმაციის გადაცემას, ისე მის აღქმას (ibid.:8). აღსანიშნავია ასევე, რომ ციტირებულ მონოგრაფიაში საუბარია არა მხოლოდ იმაზე, რომ მედიაკულტურა წარმოადგენს კულტურის ერთ-ერთ უმთავრეს სეგმენტს, არამედ თავად კულტურაც დანახულია როგორც „კომუნიკაციურ მიმართებათა ერთობლიობა“ (ibid.:17).

მედიაკულტურის როგორც ფენომენის ზემოთ მოცემულმა განმარტებამ მიგვითითა სოციალური სინამდვილის იმ სეგმენტზე, რომელიც უნდა გავიაზროთ როგორც ჩვენთვის საინტერესო ისეთ სისტემათა ერთობლიობა, რომლებიც ხასიათდებიან სინერგიულობის ატრიბუტიკით. მაგრამ აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ შემოთავაზებული დეფინიციის აბსტრაქტულობასაც. ეს დეფინიცია ვერ მიუთითებს საკმარისი გარკვეულობით იმაზე, როგორ უნდა იქნეს აღქმული „ინფორმაციულ-კომუნიკაციურ საშუალებები“ - როგორც საშუალებები ამ სიტყვის ტექნიკური გაგებით, თუ როგორც საშუალებები ამ სიტყვის დისკურსული გაგებით. ჩვენს შემთხვევაში მედიაკულტურის დეფინიცია თავიდანვე და ერთმნიშვნელოვნად უნდა ატარებდეს დისკურსულ ხასიათს. თვით კულტურის როგორც კომუნიკაციურ ურთიერთმიმართებათა სისტემების გაგება უნდა ნიშნავდეს მის (კულტურის) როგორც დისკურსის ტიპთა ერთობლიობის გაგებას. აქედან გამომდინარე კი თავად მედიაკულტურაც შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც სოციალურად ღირებულ ინფორმაციათა გაცვლის დისკურსული ფენომენი.

ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო დისკურსის როგორც კონცეპტის შემოტანა მედიაკულტურაზე, როგორც ფენომენზე მსჯელობის კონტექსტში, რადგან ეს საშუალებას მოგვცემს ბუნებრივად და უშუალოდ გადავიდეთ იმ მეორე კონცეპტის განხილვაზე (ცხადია, კვლავ სინერგიული თვალსაზრისით), რომელიც მნიშვნელოვანია მთელი მედიაკულტურისათვის, განსაკუთრებით კი ინტერვიუსთვის, როგორც მედიაჟანრისთვის – ვგულისხმობთ დიალოგის კონცეპტს. მოგვიანებით, როცა უშუალოდ შევეხებით ინტერვიუს ტექსტობრივ სივრცეს და გავაანალიზებთ მას ინტერტექსტუალური თვალსაზრისით

დავინახავთ, რომ სწორედ დიალოგზე როგორც ფენომენზე დაყრდნობით შესაძლებელი იქნება სინერგიულობის ლინგვოკულტუროლოგიური ინტერპრეტაცია. მაგრამ მოცემულ პარაგრაფში გვსურს განვიხილოთ დიალოგი არსებითად და ზოგადად, როგორც ის მოვლენა, რომლის გარეშე შეუძლებელია როგორც მედიაკულტურის, ისე ზოგადად კულტურის კომუნიკაციური ხედვა.

დიალოგის როგორც ფენომენის ზოგადმა განმარტებამ უნდა შეასრულოს მთელი ჩვენი კვლევის კონტექსტისთვის მნიშვნელოვანი როლი. თუ მედიაკულტურის ზემოთ მოცემულმა განმარტებამ დაგვანახა მისი (მედიაკულტურის) კომუნიკაციურ-სისტემური არსი, დიალოგის განმარტება საშუალებას მოგვცემს დავუკავშიროთ ეს არსი დისკურსის ფენომენსა და კონცეპტს. ეს კი თავის მხრივ მიგვიყვანს სინერგიულობის იმ ჰუმანიტარულ-ლინგვოკულტუროლოგიურ ხედვამდე, რომელიც საშუალებას მოგვცემს, უშუალოდ გადავიდეთ სინერგიულობის კონცეპტიდან ინტერტექსტუალურობის კონცეპტზე.

ინტერვიუს როგორც ჟურნალისტური ჟანრის დღეისთვის უკვე გამოვლენილ ფუნქციურ დ სტრუქტურულ არსზე დაყრდნობით, გასაგები გახდება, რომ დიალოგის კონცეპტი ისევე მნიშვნელოვანია ინტერვიუს როგორც ფენომენის ადეკვატურ ჟანრობრივ-სტრუქტურული ხედვისათვის, როგორც ზოგადად ინფორმაციის, კონკრეტულად კი იმ „ინფორმაციული აფეთქების“ ხედვისთვის, რომლის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი ზემოთ. მოგვიანებით, როცა მოგვიხდება ჩვენს თემასთან უშუალოდ დაკავშირებულ კვლევათა გათვალისწინება, ნათელი გახდება ისიც, რომ დიალოგზე ყურადღების კონცენტრაცია უაღრესად მნიშვნელოვანია თანამედროვე ეპოქის – „ინფორმაციული აფეთქების“ ეპოქის – სრულად დასახასიათებლად. მოცემულ ეტაპზე ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა სამი მეთოდოლოგიური პარადიგმის – ლინგვოკულტუროლოგიურის, ინტერტექსტუალურის და სინერგეტიკულის – ურთიერთდაკავშირება, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ, რომ აღნიშნული ტრიადის ურთიერთმიმართება აუცილებლად მოითხოვს სინერგიულობის ცნება-კონცეპტის ჰუმანიტარულ გააზრებას.

დიალოგურობის და „ინფორმაციული აფეთქების“ ურთიერთკავშირის განხილვამდე, საჭიროა შევეხოთ დიალოგის საკუთრივ ჰუმანიტარულ განმარტებას. როგორც ერთ-ერთი თანამედროვე კულტუროლოგი, სახელდობრ გ. პომერანცი წერს, რომ დიალოგი წარმოადგენს მეტყველების იმ ფორმას, რომლის ფარგლებში მთლიანის ერთიანი ხედვა ჩნდება და გზას იკვლევს განსხვავებულ რეპლიკათა შორის გავლის გზით (პომერანცი 1998:171).

აღსანიშნავია, რომ ყოველივე ზემოთ ნათქვამი ჯერ კიდევ ვერ უკავშირდება უშუალოდ ინტერვიუს როგორც ჟურნალისტურ ჟანრს და ვერც ამ ჟანრის იმ ტექსტობრივ სივრცეს, რომლის კვლევაც წარმოადგენს ჩვენს მთავარ მიზანს. მაგრამ, მნიშვნელოვანია, რომ დიალოგის ტექსტობრივი სივრცე დანახული და აღწერილი იყოს ინტერტექსტუალურად. ინტერტექსტუალურობის როგორც კონცეპტისა და პარადიგმის თანამედროვე ხედვა კი შეუძლებელი ხდება კვლევაში სინერგიულობის კონცეპტის ჩართვის გარეშე და ამ ფაქტზე მეტყველებს ჩვენს მიერ უკვე ნახსენები თანამედროვე ტექსტოლოგიური კვლევა. აქედან კი ორგანულად გამომდინარეობს ის მოსაზრება, რომ აღნიშნული ფაქტი ხასიათდება მეთოდოლოგიური ორაზროვნებით: ხაზი გაესმის *ინტერტექსტუალურობის სინერგიული ხედვის* აუცილებლობას. მაგრამ არ არის ექსპლიციტურად დანახული და განმარტებული, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ამ ხედვის საკუთრივ ჰუმანიტარული გაგება.

მოცემული თავის წინა პარაგრაფებში შევეცადეთ ნათლად გამოგვეყო კვლევითი მეთოდოლოგიის ორი ასპექტი – *ინტერდისციპლინარული* და *ინტერპარადიგმული*, ხოლო ჩვენი კვლევითი მიზნიდან გამომდინარე მოვახდინეთ ყურადღების კონცენტრირება სწორედ ინტერპარადიგმულ ასპექტზე, რის შედეგადაც ა) განვახორციელეთ სამწევრა პარადიგმული სისტემის მთლიანი დახასიათება და ბ) დავასკვნით, რომ ინტერტექსტუალურობის სინერგიული და, ამავე დროს, ადეკვატურად ჰუმანიტარული ხედვა მიიღწევა მხოლოდ ერთ შემთხვევაში და თუკი აღნიშნული პარადიგმული სისტემის დომინანტად მოიაზრება *ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა*. პრობლემის ამგვარი გადაჭრა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმიტომ, რომ მას შეუძლია მყარი ჰუმანიტარული

საფუძველი შეუქმნას „სინერგიულ ინტერტექსტუალურობას“ როგორც ტექსტოლოგიური კვლევის დომინანტურ მიმართულებას, არამედ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ლინგვისტურ კვლევათა ქართულ სივრცეში უკვე განხორციელებულია როგორც ინტერვიუს, ასე სხვა ჟურნალისტურ ჟანრთა ტექსტოლოგიური კვლევა თანმიმდევრულად ლინგვოკულტუროლოგიურ საფუძველზე, რაც გვაძლევს საშუალებას დავიცვათ კვლევითი მემკვიდრეობითობის პრინციპი და დავამყაროთ უშუალო კავშირი, თუნდაც ინტერვიუს ტექსტობრივი სივრცის უკვე რეალიზებულ კვლევასთან. თავად მემკვიდრეობითობის აღნიშნული პრინციპი კი უნდა დავუქვემდებაროთ შემდეგი პრობლემის და მისი გადაჭრის ამოცანას: ნაჩვენები უნდა იყოს ის თეორიულ-მეთოდოლოგიური *ტრანსფორმაცია*, რომელიც უნდა განიცადოს ჩვენმა კვლევამ იმ შემთხვევაში, როცა ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა მოგვევლინება ახალ როლში – ეს იქნება ის პარადიგმა, რომელსაც უშუალოდ დაეფუძნება სინერგიულად აღქმული ინტერტექსტუალურობა.

1.4. ინტერვიუს ტექსტობრივი სივრცის ლინგვოკულტუროლოგიური კვლევა. კვლევის შედეგები და პერსპექტივები

იმის გათვალისწინებით, რომ მოგვიხდება მკაფიოდ გავმიჯნოთ ჩვენი მეთოდოლოგიის ინტერდისციპლინარული და პარადიგმული ასპექტები, ხოლო პარადიგმულ ასპექტს კი ამ ეტაპზე ვანიჭებთ გადამწყვეტ მნიშვნელობას, აუცილებელი ხდება შევასრულოთ ორი შემდეგი ამოცანა: ა) გადავხედოთ (რა თქმა უნდა, შედეგობრივი თვალსაზრისით) აქამდე ჩატარებულ კვლევებს და ბ) შევეცადოთ იმის განსაზღვრას, როგორ უნდა იქნეს გაგებული (ზემოთ განმარტებული ახალი პარადიგმული თვალსაზრისით) ჩვენი საკვლევი ობიექტი – ინტერვიუს ტექსტობრივი სივრცე.

**1.4.1 ჟურნალისტურ ჟანრთა და მათი ტექსტობრივი სივრცის
ურთიერთმიმართება როგორც კვლევის ობიექტი. შედეგები და მათი
კონცეპტუალური ფორმულირება**

სანამ შევეხებოდეთ იმ კვლევათა შედეგებს, რომელთა ობიექტი იყო უშუალოდ ინტერვიუს ტექსტობრივი სივრცე, შევეცადოთ განვიხილოთ კვლევათა მთელი ხსენებული კორპუსი დროით პერსპექტივაშიც. ამგვარი ხედვა მოგვცემს იმის საშუალებას, რომ დროისა და განვითარების პერსპექტივაში აღვიქვათ კვლევისათვის მნიშვნელოვანი ზოგიერთი კონცეპტი. პირველ რიგში გვსურს აღვნიშნოთ, როგორ იქნა გამოკვეთილი ჩვენს კვლევასთან დაკავშირებული შემდეგი მომენტები:

ა) როგორ იქნა განსაზღვრული კონცეპტი, რომელიც ჩვენთვისაც ინარჩუნებს ფუნდამენტურ მნიშვნელობას - ანუ *ტექსტობრივი სივრცის კონცეპტი*;

ბ) როგორ უნდა იქნეს გაგებული ასევე ჩვენთვის ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე *არქიტექსტის ცნება*;

გ) როგორ უნდა იქნეს განსაზღვრული კვლევის ის პარადიგმული საფუძველი, ანუ *ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა*, რომელიც, მართალია, ჩვენთვისაც ინარჩუნებს ფუნდამენტურ მნიშვნელობას, მაგრამ, ამავე დროს, გვევლინება სრულიად ახალ და თანაც კონცეპტუალურად უფრო ტევადი სისტემის წევრად.

ა) რაც შეეხება „ტექსტობრივ სივრცეს“: ეს ის სივრცეა, რომელიც „იქმნება ჟანრის... რეალიზაციით და, რომელიც მუდამ წარმოადგენს ტექსტთა გარკვეულ და შინაგანად დაუსრულებელ ერთობლიობას“ (ჩაჩანიძე 2006:188). ბუნებრივია, შევინარჩუნებთ ტექსტობრივი სივრცის ამ ამოსავალ დეფინიციას, მაგრამ აღვიქვამთ მას განახლებული პარადიგმული პერსპექტივით. თავად ეს „სივრცე“ განისაზღვრება ინტერტექსტუალურად, ხოლო ინტერტექსტუალურობის ამგვარ განსაზღვრას საფუძვლად დაედება სინერგიულობის ფენომენი;

ბ) რაც შეეხება არქიტექსტის ცნებას, ციტირებულ ავტორთან არქიტექსტის ცნება დანახული და განსაზღვრულია ტექსტობრივ სივრცესთან ორგანულ კავშირში: „მიუხედავად ტექსტობრივი სივრცის შინაგანი დაუსრულებლობისა, იგი


მუდამ წარმოადგენს ერთი რომელიმე ფუძემდებლური ტექსტობრივი ტიპის ანუ არქიტექსტის ვარიაციას“ (ibid.:188). საგულისხმოა ის ლოგიკური განმარტება, რომელიც თან ახლავს არქიტექსტის ამ განსაზღვრას: „თვით არქიტექსტი, რა თქმა უნდა, წარმოადგენს აზრობრივ კონსტრუქტს, მაგრამ ისეთს, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა როგორც მოცემული ჟანრის ტექსტობრივი სივრცის საზღვართა დადგენა, ისე მისი ტიპოლოგიზაცია“ (ibid.:188). ბუნებრივია, რომ არქიტექსტის როგორც კონსტრუქტის დადგენა უნდა მოხდეს, ერთის მხრივ ტექსტის ლინგვოკულტუროლოგიურ თეორიაზე დაყრდნობით, მეორეს მხრივ კი მთელი იმ პარადიგმული სისტემის გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს ლინგვოკულტუროლოგიურ, სინერგიულ და ინტერპარადიგმულ თვალსაზრისთა სინთეზს.

გ) რაც შეეხება კვლევის ლინგვოკულტუროლოგიურ საფუძველს, როგორც ავტორი წერს „კვლევა უნდა ატარებდეს ლინგვოკულტუროლოგიურ ხასიათს, ე.ი უნდა დაეფუძნოს ლინგვისტიკისა და კულტუროლოგიის მონაცემთა თანმიმდევრულად რეალიზებულ სინთეზს“ (ibid.:189). იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს პარადიგმათა სინთეზი, საინტერესო უნდა იყოს იმის ხაზგასმაც, როგორ იყო გაგებული სინთეზის აზრი ციტირებულ ავტორთან: „ამგვარი სინთეზი შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკვლევი ობიექტისადმი ლინგვოკულტუროლოგიურ მიდგომას მიეცემა პარადიგმული სტატუსი, ხოლო თვით ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა დანახული იქნება თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების პარადიგმული დინამიკის ფარგლებში“ (ibid.:189). ასევე საინტერესო უნდა იყოს ჩვენთვის ის ფაქტი, რომ თვით პარადიგმულ დინამიკას ავტორი ხედავს მხოლოდ ლინგვისტურად, ე.ი მხოლოდ თანამედროვე ლინგვისტიკის დროში განვითარების პერსპექტივაში. იქედან გამომდინარე, რომ ჩვენი კვლევის ძირითად საფუძველს და მიზანს წარმოადგენს პარადიგმათა განახლებული სისტემის დამკვიდრება, საინტერესო და მრავლის მთქმელი უნდა იყოს იმის თვალნათლივ ჩვენება, რა განვითარება ჰპოვა კვლევის იმ პარადიგმულმა საფუძველმა, რომელიც ფაქტობრივად ატარებდა მხოლოდ


ლინგვოკულტუროლოგიურ ხასიათს, ზემოთ ხსენებულ კვლევით სივრცეში. ამ მიზნით გავითვალისწინებთ ორ მომენტს: ა) ინტერვიუ, როგორც არ უნდა იყოს მისი ჟანრობრივ-ტექსტობრივი სტრუქტურა, მაინც წარმოადგენს ერთ-ერთ ჟურნალისტურ ჟანრს, რაც ნიშნავს შემდეგს: როგორც ყველა დანარჩენ ამგვარ ჟანრს, მასაც წარმოშობს და „ასაზრდოებს“ აღნიშნული „ინფორმაციული აფეთქება“; ბ) იმის გათვალისწინებით კი, რომ ჩვენთვის პროგრამულ ხასიათს უნდა ატარებდეს შემდეგი ამოცანა. ვნახოთ, როგორი სქემატური სახით აღიქმებოდა ზემოთ ხსენებულ კვლევით სივრცეში ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა მისი ეპოქალური და ინტერდისციპლინარული სტრუქტურით. ამ თვალსაზრისით გამართლებული იქნება ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის განსხვავებულ ხედვათა ერთ დინამიურ ვერტიკალში მოქცევა. ამ ვერტიკალს კი უნდა ჰქონდეს როგორც რეტროსპექტული, ისე პროსპექტული ეტაპები. პირველ ეტაპზე უნდა ვხედავდეთ იმას, რაც უკვე წარმოდგენილი გვქონდა „შესავალში“ – კულტუროლოგიური პარადიგმა, დანახული ინფორმაციული ცნობის „გადმოსახედიდან“, მეორე ეტაპზე კი იგივე პარადიგმა, დანახული ინტერვიუს „გადმოსახედიდან“, ხოლო რაც შეეხება მესამე ეტაპს, იგი უნდა ატარებდეს უკვე პროსპექტულ ხასიათს და ნიშნავდეს შემდეგს: კვლავაც უნდა წარმოვადგინოთ ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა მისი ფუძემდებლური როლით, მაგრამ როგორც უკვე ინოვაციური პარადიგმული სისტემის წევრი, ე.ი. დავინახოთ იგი როგორც პარადიგმა, რომელიც სინერგიულობის პარადიგმასთან ერთად დაგვიფუძნებს ინტერვიუს ტექსტობრივი სივრცის ინტერტექსტუალურ სტრუქტურას.

ნათქვამის შესაბამისად ჯერ გამოვხატოთ სქემატურადვე ზემოთ ნახსენები პარადიგმული ვერტიკალი, შემდეგ კი განვახორციელოთ მისი თეორიულ-მეთოდოლოგიური კომენტირება.

საინფორმაციო ცნობის როგორც ჟანრის ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა




საინფორმაციო ცნობის როგორც ჟანრის პარადიგმა



ექირობთ, ფაქტობრივად იგივე, მაგრამ კონცეპტუალურად სახეშეცვლილი ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა ინტერვიუს გადმოსახედიდან გამოიყურება შემდეგნაირად:

ინტერვიუს ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა



აღნიშნული პარადიგმული ვერტიკალის ორივე ეს ეტაპი წარმოადგენს ამ ვერტიკალის რეტროსპექტულ ასპექტს. იმისათვის, რომ წარმოვადგინოთ ჩვენი კვლევისათვის გადამწყვეტი პროსპექტული ასპექტი, საჭირო იქნება უკვე წარმოდგენილ ეტაპთა თეორიულ-მეთოდოლოგიური კომენტირება და მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი ჩვენი კვლევის საკუთრივ პარადიგმული ასპექტის ადეკვატური სახით ფორმულირება. როგორც ითქვა, მეთოდური თვალსაზრისით გვჭირდება, ერთის მხრივ, უკვე ჩატარებულ კვლევათა გათვალისწინება, ხოლო, მეორეს მხრე კი, ჩვენი „ნოვაციური პარადიგმული სისტემის“ დამკვიდრება, რაც გულისხმობს რეტროსპექტულ და პროსპექტულ ხედვათა სინთეზს. ამ ამოცანის საფეხურებრივად შესრულების მიზნით მივყვით ზემოთ წარმოდგენილ დინამიურ ვერტიკალს:

რაც შეეხება „ტექსტობრივ სივრცეს“ როგორც ტერმინსა და კონცეპტს: როგორც ვიცით, ამ ტერმინის ჩამოყალიბებას უკვე შეეცადა ზ. ჩაჩანიძე ციტირებულ სტატიაში, სადაც ის განმარტავს: „პირველ რიგში, ბუნებრივია, უნდა განისაზღვროს, თუ როგორი იქნება ჟანრისა და მისი შესაბამისი ტექსტობრივი სივრცის ურთიერთმიმართების თეორიული ხედვა, თუ ამ ხედვის განსაზღვრის ფუძემდებელ მომენტად მივიჩნევთ სივრცის მეტაფორულ ცნებას. ამ შემთხვევაში შევძლებთ „დავინახოთ“ ჩვენთვის საინტერესო ტექსტობრივი სივრცე იმ ფენომენებთან ურთიერთკავშირში, რომელთა გარეშე შეუძლებელი იქნებოდა

როგორც მისი კვლევა, ისე მისი არსებობაც. პირველ ასეთ ფენომენს, რა თქმა უნდა, წარმოადგენს თვით *საინფორმაციო ცნობა* როგორც ჟანრი - სწორედ იგი თავისი ფუნქციური არსის შესაბამისად „წარმოშობს“ საკვლევ ტექსტობრივ სივრცეს“ (ibid.:188). რა უნდა მივიჩნიოთ ტექსტობრივი სივრცის აქ წარმოდგენილი კონცეფციის პერსპექტიულ ნიშნად? ავტორი სივრცითი თვალსაზრისით პარალელს ავლებს „ჟანრსა“ და „ტექსტს“ შორის და ვფიქრობთ, რომ ერთნაირი უფლებით შეიძლება ვისაუბროთ როგორც „ჟანრობრივ“, ისე „ტექსტობრივ“ სივრცეზე: „ჟანრობრივი სივრცეც უნდა წარმოვიდგინოთ ამა თუ იმ ფუნქციური სტილის მიერ „წარმოშობილ“ რეალობად“ (ibid.:189). ბუნებრივია, ჩვენ მოგვიხდება ერთნაირად დიდი მნიშვნელობა მივანიჭოთ „სივრცის“ მეტაფორული გამოყენების ორივე ამ ვარიანტს. ყოველივე იმის გათვალისწინებით კი, რაც უკვე ითქვა ინტერვიუსა და მის ტექსტობრივ ასპექტთან დაკავშირებით, შეგვიძლია დავძინოთ: ჟურნალისტურ *ჟანრთა სივრცე* უნდა გავიგოთ როგორც „*ინფორმაციული აფეთქებით*“ წარმოშობილი სინერგიული ველის კომპონენტი, ხოლო ტექსტობრივი სივრცე კი – როგორც იმ სინერგიული ველის კომპონენტი, რომელიც წარმოშობილია ინტერტექსტუალური ველის კომპონენტის წიაღში და განპირობებულია ჩვენს მიერ ხაზგასმული სამი პარადიგმის ურთიერთზემოქმედებით.

მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ორი მომენტი, რამაც მიმდინარე ეტაპზე ახლებურად უნდა დაგვანახოს „სივრცის“ ამგვარი ხედვა. ეს მომენტებია:

ა) ჟანრობრივ დონეზე აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ ინტერვიუს შემთხვევაში არ არის საკმარისი დავინახოთ სინერგიული ველი მხოლოდ „*ინფორმაციული აფეთქების*“ კონტექსტში. ასევე აუცილებელი იქნება ამ ველის დაკავშირება ეპოქის ისეთ კულტურულ - სოციალურ ნიშანთან, როგორცაა *დიალოგიზმი*. წინა პარაგრაფში უკვე გვქონდა საუბარი დიალოგზე როგორც თანამედროვე სოციალური სინამდვილის განმაპირობებელ პრინციპზე. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ვსაუბრობთ ჟურნალისტიკის ჟანრობრივ სივრცეზე, აუცილებელი ხდება ვიგულისხმოთ უკვე არა მხოლოდ დიალოგი როგორც დისკურსული ფენომენი, არამედ სწორედ **დიალოგიზმი**: ე. ი. ინტერვიუ უნდა

დავინახოთ, ერთის მხრივ, ისეთ ჟანრობრივ სივრცეში, რომლის სინერგიულ ველს მთლიანად ქმნის „ინფორმაციული აფეთქება“, მეორეს მხრივ კი – იმდენად, რამდენადაც საქმე გვაქვს თავად ინტერვიუსთან – აღნიშნული „აფეთქება“ დავინახოთ დიალოგურობის ნიშნით;

ბ) მაგრამ დიალოგურობასთან დაკავშირებული პრობლემის მთელი თავისებურება მდგომარეობს შემდეგში: ინტერვიუს ტექსტობრივი ასპექტი ისევე ღრმად და გამჭოლად ხასიათდება დიალოგურობით, როგორც თავად ინტერვიუ როგორც ჟანრი. აღნიშნულს კი ლოგიკურად მივყავართ დასკვნამდე, რომ აუცილებელი ხდება დავუკავშიროთ ერთმანეთს სამი შემდეგი ამოცანა:

1. როგორ უნდა იქნას დანახული ინტერვიუსეული დიალოგი, თუ მას დავინახავთ დიალოგის როგორც *სამეტყველო ჟანრის* თეორიის ფონზე?;
2. რა კავშირი უნდა ქონდეს ტექსტობრივად გაგებულ დიალოგს იმ სოციალურ-კულტურულად გაგებულ დიალოგთან, რომლის გარეშედაც ვერ იარსებებდა თავად ინტერვიუ?;
3. როგორ უნდა იყოს დანახული ინტერვიუს ტექსტობრივი ასპექტის ეს დიალოგურობა, თუ მას განვიხილავთ ტექსტის ზოგადლინგვისტური თეორიის შუქზე?;

ამავე დროს ბუნებრივია, იქმნება იმის აუცილებლობა, რომ ტერმინოლოგიურად და კონცეპტუალურად განხორციელდეს ზემოთ წარმოდგენილი ორგანოზომილებიანი (ინფორმაციული აფეთქება და დიალოგიზმი) სივრცის სინთეზური დახასიათება. ვფიქრობთ, ამგვარი სინთეზის განხორციელება შესაძლებელია ისეთი ტერმინ-კონცეპტის საშუალებით, როგორიცაა **კონტინუმი**, თუკი ჩვენ მას დავაკონკრეტებთ ჟურნალისტიკის ჟანრობრივ სივრცეზე დაყრდნობით. ამ თვალსაზრისით შესაძლებელია ვიხელმძღვანელოთ ნ. გორგოდის სადისერტაციო ნაშრომით „თანამედროვე მედიაკულტურა და ანალიტიკური სტატია როგორც ჟურნალისტური ჟანრი და ტექსტი“, სადაც საუბარია „ანალიტიკურ კონტინუუმზე“, ეს ტერმინი გამოიყენება ჟურნალისტური სივრცის იმ სეგმენტის დასახასიათებლად, რომელიც ამ სივრცეში ეთმობა

ანალიტიკურ სტატიას. სავსებით შესაძლებელი და საჭიროა გამოვიყენოთ აღნიშნული ტერმინ-კონცეპტი იმის აღსანიშნავად, რომ ინტერვიუ მის ჟანრობრივ და ტექსტობრივ მთლიანობაში დანახულ იქნეს სწორედ კონტინუალურად, რაც ნიშნავს შემდეგს: ინფორმაციული აფეთქება და დიალოგიზმი საბოლოო ანგარიშში ერთობლივად ქმნიან როგორც ინტერვიუს ჟანრობრივ, ისე ტექსტობრივ სივრცეს, მაგრამ ჩვენი ამოცანა უნდა იყოს, ერთის მხრივ, ამ კონტინუუმის როგორც ჭეშმარიტი მთლიანის, ხოლო მეორეს მხრივ ხსენებული ორგანოზომილებიანობის შენარჩუნება. როგორ უნდა იქნეს რეალიზებული ეს შინაგანად ერთიანი და ამავე დროს ორი განზომილების მქონე ამოცანა? ამ კითხვაზე პასუხს გავცემთ ნაშრომის მეორე თავში დასმული ინტერვიუს ტექსტობრივი სივრცის დამფუძნებელი არქიტექტის პრობლემის განხილვისას.

2. სწორედ ზემოთ ხსენებული არქიტექტის ტერმინ-კონცეპტთანაა დაკავშირებული ის თეორიული მსჯელობა, რომელიც ზ. ჩაჩანიძის ციტირებულ სტატიაში უკავშირდება „ჟანრის გატექსტების“ მექანიზმის განსაზღვრას. ვფიქრობთ აღნიშნული მსჯელობის ლოგიკა ფუძემდებლად უნდა ჩაითვალოს ჩვენი კვლევისათვისაც. „როგორ უნდა გამოიყურებოდეს ის „მექანიზმი“, რომლის საშუალებითაც ხდება ჟანრის „გატექსტების“, ანუ ჟანრისთვის დამახასიათებელ დიფერენციალურ ნიშანთა სისტემის ტრანსფორმირება ტექსტობრივ სივრცეში და, შესაბამისად, ტექსტობრივ „რეგისტრში“? როგორც ცნობილია, ტექსტის ლინგვო-სემიოტიკურ თეორიას შემუშავებული აქვს დიფერენციალურ ნიშანთა ისეთი ზოგადი სისტემა, რომელზე დაყრდნობითაც უნდა ხდებოდეს ყოველივე ცალკე აღებული ტექსტის ტიპოლოგიურ პარამეტრთა აღწერა და გააზრება“ (ჩაჩანიძე 2006:191). ეს მსჯელობა კი სრულდება დასკვნით, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ ნებისმიერ იმ შემთხვევაში, როცა გვსურს გავერკეთოთ ამა თუ იმ ჟანრისა და მისი შესაბამისი ტექსტობრივი სივრცის ურთიერთმიმართებაში. „უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან ცალკე აღებული ინფორმაციული ჟანრები. ვფიქრობთ, ეს ის პრობლემაა, რომლის დასმისა და გადაჭრის გარეშე შეუძლებელი იქნება იმ კითხვებზე პასუხის გაცემა, რომელიც გულისხმობს ჟანრის „გატექსტების“ მექანიზმის განსაზღვრას“ (ibid.:191).

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც წარმოდგენილ ციტატაზე დაყრდნობით მოვიპოვეთ გარკვეული თეორიულ-მეთოდოლოგიური პერსპექტივა, როგორც ინტერვიუს ჟანრობრივ-ტექსტობრივი სივრცის, ისე იმ ტექსტობრივი სივრცის დამფუძნებელი არქიტექსტის საკვლევად, რომელიც წამოადგენს ჩვენი კვლევის ძირითად ობიექტს.

1.5. სინერგიულობის და ინტერტექსტუალურობის პარადიგმათა ურთიერთმიმართება. თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობა და ანალოგიის პრინციპი როგორც ინტერპარადიგმულობის ლინგვისტურად გააზრების მეთოდოლოგიური საფუძველი

მოცემული თავის წინა პარაგრაფში უკვე გვქონდა მსჯელობა იმის შესახებ, როგორ უნდა მოხდეს სინერგიულობისა და ინტერტექსტუალურობის პარადიგმათა ადეკვატური ურთიერთდაკავშირება ჩვენს კვლევით კონტექსტში, ანუ მაშინ, როცა გვსურს ახლებურად ე.ი. ახლებურად სტრუქტურირებულ პარადიგმულ სივრცეში განვსაზღვროთ ურთიერთმიმართება ინტერვიუსა და მასთან დაკავშირებულ ტექსტობრივ სივრცეს შორის. ამისათვის, მოგვიხდა შემდგომი სამი პრობლემის როგორც დასმა, ისე ჰიპოთეტურად გადაჭრაც:

ა) განვიხილეთ თავად სინერგიულობის პარადიგმა იმდენად, რამდენადაც ის იწყებს უნივერსალურობის სტატუსის შექმნას თანამედროვე აზროვნებაში. ბუნებრივია, მოგვიხდება მთელი იმ ატრიბუტიკის აღწერაც, რომელსაც სინერგიულობის პარადიგმა ანიჭებს მისი გათვალისწინებით საკვლევ სისტემებს;

ბ) შევეცადეთ დაგვენახა იმის პერსპექტივა, როგორ უნდა მოხდეს სინერგიულობის ცნება-პარადიგმის ადეკვატური „ჰუმანიტარიზაცია“ და

გ) შევეცადეთ დაგვენახა იმ პარადიგმული სისტემის შინაგანი სტრუქტურა, რომელიც იქმნება თანამედროვე აზროვნებაში ლინგვოკულტუროლოგიურ, ინტერტექსტუალურ და სინერგიულ პარადიგმათა თანმიმდევრული ურთიერთდაკავშირების გარდუვალობით.

მაგრამ, ამავე დროს, აღინიშნა ისიც, რომ სინერგიულობის ცნება-პარადიგმის ჰუმანიტარულ სივრცეში „შემოჭრის“ შედეგს წარმოადგენდა არა მხოლოდ პარადიგმული სისტემის შინაგანი ტრანსფორმაცია, არამედ მთელი ჰუმანიტარული მეთოდოლოგიის გარკვეული ტრანსფორმაციაც. შეიძლება ითქვას, რომ, ერთის მხრივ, მკაფიოდ გამოიხატა განსხვავება ამ მეთოდოლოგიის ისეთ ორ ასპექტს შორის, როგორცაა **ინტერდისციპლინარულობა** და **ინტერპარადიგმულობა**, მეორეს მხრივ კი, ბუნებრივია, ახლებურად დაისვა კითხვა ამ ასპექტთა ურთიერთმიმართების შესახებ. შესაბამისად, აუცილებლად მიგვაჩნია განვიხილოთ ეს პრობლემა იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს ჩვენი კვლევითი მიზანი.

ზემოთ ფორმულირებული პრობლემა თავს უნდა იჩენდეს (და იჩენს კიდევაც) მთელ ჰუმანიტარულ სივრცეში, მაგრამ მიგვაჩნია, რომ მას თან ახლავს სრულიად განსაკუთრებული თავისებურებაც ერთ შემთხვევაში, სახელდობრ კი მაშინ, როცა საქმე გვაქვს ინტერტექსტუალურობისა და სინერგიულობის ფენომენტა ურთიერთმიმართებასთან: ეს თავისებურება კი თავის მხრივ განისაზღვრება შემდეგი ფაქტორითაც: ჩვენს მიერ ხსენებული ორი პარადიგმის ურთიერთდაკავშირება მოხდა და ხდება ძირითადად ისეთ ჰუმანიტარულ სფეროში, როგორცაა ლიტერატურათმცოდნეობა. უფრო მეტიც, როგორც ცნობილია, თვით ინტერტექსტუალურობის ცნებაც, რომელიც დომინანტურ სტატუსს იძენს ლინგვისტიკაში, თავისი წარმოშობით ასევე ეკუთვნის ლიტერატურათმცოდნეობას. შესაბამისად გვსურს დავსვათ კითხვა: ხომ არ ნიშნავს ხსენებული ფაქტი იმას, რომ რამდენადმე ახლებურად უნდა დაისვას წინა პარაგრაფში მინიშნებული მეთოდოლოგიური პრობლემა. კონკრეტულად კი პრობლემა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს დანახული ახლებურ სიტუაციაში ჰუმანიტარული მეთოდოლოგიის ორი კომპონენტის - ინტერდისციპლინარულობისა და ინტერპარადიგმულობის - ურთიერთმიმართება? ხომ არ უნდა ნიშნავდეს ხსენებული ურთიერთმიმართება იმას, რომ თუნდაც ჩვენი კვლევითი კონტექსტისთვის უნდა გადაიხედოს იმ დისციპლინათა როგორც თვისობრიობა, ისე რაოდენობრიობა, რომელთა ერთობლიობა ქმნის

ინტერდისციპლინარულობის პარადიგმას. როგორც რეტროსპექტულად ორიენტირებულმა კვლევამ გვიჩვენა, ჟურნალისტურ ჟანრთა ტექსტობრივი სივრცის კვლევისას ამგვარ დისციპლინებს წარმოადგენდა ლინგვისტიკა, ჟურნალისტურ ჟანრთა თეორია და კულტურის თეორია. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ იგივე უნდა დარჩეს ინტერდისციპლინარულობის სტრუქტურა ჩვენი კვლევის შემთხვევაში? კითხვის ასე დასმას, მივყავართ დილემამდე: ან უნდა შევინარჩუნოთ ინტერდისციპლინარულობის ზემოთ განსაზღვრული სტრუქტურა, ან მინიშნებული ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით უნდა შემოვიყვანოთ ამ სტრუქტურაში ისეთი ახალი კომპონენტი, როგორცაა ლიტერატურათმცოდნეობა. როგორც ვხედავთ, ხსენებული დილემის ორივე მხარეს აქვს თავისი გამართლება: პირველ შემთხვევაში ვინარჩუნებთ იმ სტრუქტურას, რომელიც მთლიანად გამართლებულია საკვლევი რეალობით და არ მიგვაჩნია საჭიროდ დავუკავშიროთ ეს რეალობა ისეთ მისთვის „უცხო“ რეალობას, როგორცაა ლიტერატურათმცოდნეობა; მეორე შემთხვევაში კი, ვითვალისწინებთ რა ისევ ისტორიულ გამოცდილებას, მივიჩნევთ, რომ იგი გარკვეული სახით უნდა იქნას ასახული თვით ინტერდისციპლინარულობის სტრუქტურაში. შეიძლება ითქვას თუ არა, რომ დილემის ორივე მხარეს აქვს თავისი გამართლება? შეიძლება, მაგრამ ალბათ, ერთ შემთხვევაში თუ განვახორციელებთ ამ ორი მხარის **სინთეზს**. ბუნებრივია, ზემოთ ხსენებული კონტექსტი გვამღებებს საშუალებას დავასკვნათ, რომ, ამგვარი სინთეზი უნდა განხორციელდეს **ანალოგიის პრინციპზე** დაყრდნობით. რაკი ლიტერატურათმცოდნეობის საკვლევ სივრცეს წარმოადგენს იგივე ფუნდამენტური რეალობა, რომელსაც იკვლევს ლინგვისტიკა და რომლის გარეშეც ვერ იარსებებდა ვერც ჟურნალისტურ ჟანრთა მთელი კორპუსი, ამით გვექმნება მეთოდოლოგიური შესაძლებლობა იმისა, რომ მივმართოთ ანალოგიის პრინციპს და განვახორციელოთ ზემოთ ხსენებული სინთეზი.

ზემოთ ნათქვამის შესაბამისად კი, ბუნებრივია, უნდა დაისვას მეთოდოლოგიური ხასიათის შემდეგი სახის შეკითხვა: რა სახე უნდა მიიღოს ჩვენს მიერ აღნიშნულმა ანალოგიის პრინციპმა, თუ მოხდება არა მხოლოდ მისი

დეკლარირება, არამედ კონკრეტული კვლევითი რეალიზაცია? სხვანაირად რომ ვთქვათ, პრინციპის **დეკლარირებას** (და მის ლოგიკურად დაფუძნების ცდას) უნდა მოყვეს მისი კონკრეტული სახით **რეალიზაციაც**. იქედან გამომდინარე, რომ აღნიშნული პრინციპის მნიშვნელობამ უკვე შეიძინა ლოგიკური გამართულობის გარკვეული “ხარისხი”, უკვე აუცილებელი ხდება იმაზე მსჯელობაც, თუ რა სახე უნდა მიიღოს მისმა რეალიზაციამ. ვფიქრობთ, შეიძლება დასახელდეს და დახასიათდეს მისი ამგვარი რეალიზაციის შემდეგი ასპექტები (თუ ეტაპები იმ შემთხვევაში, თუ ასპექტთა ერთობლიობას გავიაზრებთ ერთი კონკრეტული კვლევითი მიზნის განხორციელების დინამიკის თვალსაზრისით). ეს ასპექტებია:

1. იმ ფუნდამენტურ რეალობად, რომელთანაც არსებითად საქმე აქვთ როგორც ლიტერატურათმცოდნეობის, ისე ჩვენი კვლევის სფეროს, უნდა მივიჩნიოთ ჟანრობრივ-ტექსტობრივი სფერო მისი მაქსიმალურად განზოგადებული სახით, ანუ ჟანრობრივ-ტექსტობრივი სინამდვილე იმისდა მიუხედავად, თუ დისკურსის რომელი ტიპით (ქვეტიპით) არის იგი წარმოდგენილი. მაგრამ ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ ის პარადიგმული დინამიკაც, რომელიც, როგორც ვნახეთ, მოიცავს ხსენებულ სფეროს მის მთლიანობაში. საქმე ეხება იმ პარადიგმული სისტემის უწყვეტ **დინამიურობას**, რომლის შესახებ უკვე გვქონდა მსჯელობა. (თუმცა, ამავე დროს, ითქვა ისიც, რომ ხსენებულ სისტემას დინამიურობასთან ერთად თან ახლავს **კომპლექსურობაც** და **შინაგანი იერარქიულობაც**). მაგრამ აუცილებელია ყოველივე ამის ახლებურად დანახვა ანალოგიის პრინციპის პოსტულირების შემთხვევაში. ეს კი ნიშნავს შემდეგს. თუ ჟანრისა და ტექსტის ზოგადი ურთიერთმიმართების ერთ რომელიმე სეგმენტში ჩნდება პარადიგმული სისტემის ისეთი შინაგანი ტრანსფორმაციის აუცილებლობა, რომლის შესახებ უკვე გვქონდა მსჯელობა, ამგვარი ტრანსფორმაცია უნდა განხორციელდეს მთელ იმ სფეროში, რომელსაც ეკუთვნის აღნიშნული სეგმენტი. თუმცა ბუნებრივია ისმის კითხვა: ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ხსენებულ სეგმენტში განხორციელებული ტრანსფორმაცია უცვლელი სახით უნდა იქნეს გადატანილი (ტრანსპონირებული) მოცემული სფეროს სხვა სეგმენტში? ეს ის კითხვაა, რომელზეც უნდა გაიცეს ერთდროულად ორი პასუხი:

ა) ამგვარი ტრანსპოზიცია ვერ იქნება გამართლებული იმიტომ, რომ ჟანრობრივ-ტექსტობრივი ურთიერთმიმართება გვხვდება იქ და მხოლოდ იქ, სადაც არის დისკურსი, თვით დისკურსის ცნება კი აუცილებლად გულისხმობს დისკურსის განსხვავებულ ტიპთა არსებობას, ანუ იმას, რასაც ჩვენს კვლევით პროცესში დისკურსის ტიპოლოგიზაცია უნდა ეწოდოს (ჩაფერი, უოლისი 1994) შესაბამისად, იმ ფაქტით, რომ ჟანრთა და ტექსტთა ურთიერთმიმართებას საფუძვლად უდევს ერთიანი დისკურსული რეალობა, მართლდება ანალოგიის პრინციპის პოსტულირება როგორც მეთოდოლოგიური ნაბიჯი. მაგრამ აქვე აღსანიშნავია, რომ ჩვენს წინაშე დგას ანალოგიის პრინციპის პოსტულირების თანმხლები შემდეგი ამოცანა: ეს პრინციპი მისი არა მხოლოდ პოსტულირების, არამედ რეალიზაციის შემთხვევაში ისევე მოითხოვს ტიპოლოგიურ მიდგომას (ანუ ტიპოლოგიზაციას), როგორც თვით დისკურსის ცნება.

ბ) ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტიპოლოგიზაციის უკვე ხსენებული ამოცანა გარდაუვალად უნდა გარდაიქმნას მოდელირების ამოცანად. უნდა თანმიმდევრულად დაკონკრეტდეს მეთოდოლოგიურ ნაბიჯთა ის ეტაპობრიობა, რომელითაც უნდა განხორციელდეს ანალოგიის პრინციპი მოცემულ შემთხვევაში;

2. როგორი უნდა იყოს ჩვენს შემთხვევაში ანალოგიის პრინციპზე დაფუძნებული მოდელირების პირველი სეგმენტი? ჩვენის აზრით, ამ სეგმენტით უნდა მიეთითოს კულტურული სივრცის იმ მონაკვეთზე, რომელსაც ეკუთვნის დისკურსის მოცემული ტიპი და, შესაბამისად, იმ ჟანრობრივ-ტექსტობრივ მიმართებათა ერთობლიობაზე, რომელიც წარმოადგენს ჩვენი კვლევის უშუალო ობიექტს. ყოველივე იმის შემდეგ, რაც უკვე ითქვა ჩვენთვის საინტერესო პარადიგმული სისტემის შინაგან იერარქიაზე, ცხადი უნდა იყოს მოდელირების ამ მომენტის მნიშვნელობა. როგორც უკვე ითქვა, ანალოგიის პრინციპზე დაყრდნობით ვახდენთ პარადიგმული სიტუაციის ტრანსპონირებას ლიტერატურათმცოდნეობის სფეროდან ჩვენს კვლევით სფეროში. ხოლო ამგვარი ტრანსპოზიციის უფლებას გვაძლევს შემდეგი ფაქტი: როგორც ლიტერატურათმცოდნეობის, ისე ჟურნალისტიკის სფეროში საქმე გვაქვს

ფუნდამენტურად ერთსა და იმავე რეალობასთან, ანუ ტექსტობრივ რეალობასთან. და რაკი ვაღიარებთ პოსტულატს, რომლის მიხედვით ჟანრსა და ტექსტს შორის არსებობს **ონტოლოგიური** (ანუ საარსებო რეალობასთან დაკავშირებული) კორელაცია, ამ შემთხვევაში აუცილებელი ხდება ერთნაირად იქნეს გათვალისწინებული ხსენებული კორელაციის ორივე მხარე, როგორც ჟანრობრივი, ისე ტექსტობრივი (**ჰანსენი 1998**). სხვაგვარად რომ ვთქვათ, აუცილებელი იქნება ჟანრობრივი მხარის გათვალისწინებისას ერთნაირად დავეყრდნოთ როგორც ჟურნალისტური დისკურსის მთელ რეალობას, ისე იმ კორელაციურ მომენტს, რომლის მიხედვითაც ერთმანეთს გულისხმობენ ჟურნალისტური დისკურსის ქვეტიპები. ზუსტად ასევე უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს კორელაციის ტექსტობრივ მხარესთან.

მაგრამ ანალოგიის პრინციპის ამგვარი გამოყენებისას აუცილებელი ხდება გათვალისწინებულ იქნეს არა მხოლოდ ჟანრობრივ და ტექსტობრივ ასპექტთა მოცემული სტრუქტურა, არამედ ის ფუნდამენტური, ანუ კულტურულ რეალობასთან დაკავშირებული პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს, ერთის მხრივ, ლიტერატურათმცოდნეობით, მეორეს მხრივ კი, ჟურნალისტურ რეალობას. უკვე შესავალში, ხაზგასმით კი მოცემულ თავში გვქონდა მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა უდევს საფუძვლად კულტურული თვალსაზრისით ჟურნალისტურ ჟანრთა თანამედროვე სისტემას. მას საფუძვლად უდევს ინფორმაციის ეპოქალური აფეთქება. მაგრამ რომელია ის კულტურული რეალობა, რომელიც საფუძვლად უდევს ლიტერატურულ ჟანრთა თანამედროვე სისტემას? თუ გვსურს ანალოგიის პრინციპი ფუნქციობდეს მთელი თავისი ადეკვატურობით, ხოლო ტრანსპოზიციის პრინციპი კი – მთელი სისრულით, მაშინ აუცილებელი იქნება მინიმუმებით მაინც გავუწიოთ ანგარიში იმ კულტურულ ფუნდამენტს, რომელიც საფუძვლად უდევს ლიტერატურულ ჟანრთა ურთიერთმიმართებას;

3. ბუნებრივია, ანალოგიის პრინციპზე დაყრდნობისას სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული ის სისტემური ატრიბუტიკა, რომლის გამოყოფა და დახასიათება მოხდა სინერგიული (სინერგეტიკის) პარადიგმის საფუძველზე.

მაგრამ, ჩვენის აზრით, ანალოგიის პრინციპის სრული გამოყენება უნდა გულისხმობდეს არა მხოლოდ ჩვენთვის უკვე ნაცნობი სისტემური ატრიბუტივის გათვალისწინებას, არამედ **ენერჯის** როგორც სინერგიული პარადიგმის დამფუძნებელი კონცეპტის იმ შინაგან დიქტომიურობასაც, რომელმაც შეიძლება გადამწყვეტი როლი შეასრულოს ჟანრსა და ტექსტს შორის მიმართების განსაზღვრისას. სწორედ ამიტომ აუცილებელია დიქტომიურობის მიმნიშნებელი ციტატის მოყვანა ნ.ა. კუზმინას უკვე ციტირებული ნაშრომიდან. რა უდევს საფუძვლად ენერჯის ხსენებულ დიქტომიურობას? მას საფუძვლად უდევს ზოგადი თეზისი, რომლის თანახმად ენერჯით ხასიათდება როგორც ინტერტექსტი მის მთლიანობაში, ისე მისი ცალკეული კომპონენტები (კუზმინა 2004:37). აქედან გამომდინარე კი ავტორი გვთავაზობს შემდეგ თეზისს: ენერჯია ისეთი კომპლექსული სიდიდეა, რომელიც შედგება ექსპლიციტური და იმპლიციტური ნაწილებისაგან (ibid.:39). ენერჯის ექსპლიციტური ასპექტის დახასიათებისას ავტორი ამბობს, რომ იგი საშუალებას აძლევს ტექსტს ერთნაირად იქნას აღქმული ენის განსხვავებული მატარებლების მიერ... შესაბამისად ენერჯის ექსპლიციტური ნაწილი უნარჩუნებს ინტერტექსტს სტაბილურობას და აძლევს მას იმის საშუალებას, რომ გადაიტანოს ინფორმაცია თაობიდან თაობაში (ibid.:39). რაც შეეხება ენერჯის იმპლიციტურ შემადგენელს, იგი განიმარტება შემდეგნაირად: იგი წარმოადგენს ცვლად სიდიდეს, რომელიც დამოკიდებულია ინდივიდის ისეთ ნიშან-თვისებებზე, როგორცაა მისი დრო და სამყაროს მისეული მოდელი როგორც სისტემის ფილტრები (ibid.:39).

როგორც ცნობილია, ჩვენს მიერ საკვლევი პრობლემა, ანუ ინტერვიუს როგორც ჟურნალისტური ჟანრის ტექსტობრივი სივრცის ინტერტექსტუალური სტრუქტურა, უშუალოდ უკავშირდება თანამედროვე კულტურის ისეთ ფენომენს, როგორცაა **დიალოგი** და **ინფორმაციული აფეთქება**. ინფორმაციული აფეთქების შესახებ კიდევ მოგვიხდება მსჯელობა შემდეგ თავში, როცა უფრო კონკრეტულად შევხებით აღნიშნული ტექსტობრივი სივრცის ფუძემდებელ ისეთ კონცეპტს, როგორცაა ამ სივრცის შესაბამისი **არქიტექსტის კონცეპტი**. (და შესაბამისად დავსვამთ კითხვას იმის თაობაზე, თუ რა როლს ასრულებს ინფორმაციული

აფეთქება ამ არქიტექტის ენერგიული განზომილების ფორმირების პროცესში). მაგრამ, იქედან გამომდინარე, რომ ანალოგიის პრინციპს ვიყენებთ ლიტერატურათმცოდნეობაზე დაყრდნობით, ხოლო თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში საუბრობენ ავტორისეულ და მკითხველისეულ ენერგიაზე, აუცილებლად მიგვაჩნია შინაარსობრივად დავასრულოთ ანალოგიის ჩვენეული პრინციპის გამოყენება შემდეგნაირად: სწორედ ავტორისა და მკითხველის ურთიერთმიმართების დასაზუსტებლად (და ამავე დროს სინერგიულობის პრინციპთან შინაგან კონტაქტში) ლიტერატურათმცოდნეობაში ისმის გაგების პრობლემა, გაგება ინტერპრეტირებულია როგორც „ენერგეტიკული რეზონანსი“ (ibid.:42). იმდენად, რამდენადაც ეს რეზონანსი წარმოადგენს მხატვრული ნაწარმოების გაგების აუცილებელ წინაპირობას (ibid.:42). ხსენებული პრობლემის განხილვისას კი ხაზი გაესმის იმ გარემოებას, რომ ეს არის დისციპლინათაშორისი პრობლემა (ibid.:42), ამავე დროს კი ავტორი იძლევა გაგების ისეთ განსაზღვრას, რომელიც ანალოგიის პრინციპის სრულად გამოყენების შემთხვევაში შეიძლება საფუძვლად დაედოს ჩვენთვის საინტერესო ტექსტობრივი სივრცის კვლევას, როგორც ამ სივრცის არქიტექტის განსაზღვრისას, ის მისი ტიპოლოგიის აგებისას. სახელდობრ კი ავტორი წერს, რომ გაგება წარმოადგენს სუბიექტის ისეთ კოგნიტიურ ქმედებას, რომლის საწყისი ეტაპი არის ტექსტის აღქმა, შედეგობრივი ეტაპი კი – მისი გააზრება (ibid.:42). რადგან საკვლევი ტექსტობრივი სივრცის ტიპოლოგიზაცია, მოცემულ ეტაპზე საჭიროდ მიგვაჩნია იმის აღვნიშნვაც, რა ნიშან-თვისებებით გამოირჩევა ხსენებულ მონოგრაფიაში გაგების აქტი. ეს ნიშან-თვისებებია:

1. გაგება არის სუბიექტის მენტალურ-ფიზიოლოგიური აქტივობა;
2. გაგება ხასიათდება კრეატიულობით: გაგება მუდამ წარმოადგენს ტექსტის თავისებურად გააზრებას;
3. გაგება ხასიათდება სიძნელის და სიღრმის ხარისხით;
4. გაგება ხასიათდება დინამიურობით და დაუსრულებლობით;

5. ავტორი აღნიშნავს, რომ ტერმინით „ინტერპრეტაცია“ ხაზი ესმის იმ სუბიექტის აქტიურობას, მის შემოქმედებით ფუნქციას, რომლის მხრივ გაგებაზეც ვსაუბრობთ (ibid.:42;43).

ანალოგიის პრინციპზე დაყრდნობა თავის ლოგიკურ დასრულებას ჰპოვებს სწორედ მაშინ, როცა შესაძლებელი ხდება ვისაუბროთ ტექსტის გაგებაზე: როგორც გვახსოვს, სწორედ ტექსტობრიობა წარმოადგენს იმ ონტოლოგიურ საფუძველს, რომელიც ამართლებს ამა თუ იმ ჟანრის კომუნიკაციურ სივრცეში არსებობასა და ფუნქციობას. მაგრამ, მეორეს მხრივ, გვსურს ხაზი გავუსვათ იმ გარემოებასაც, რომ დიდი შეცდომა იქნებოდა მიგვეჩნია ანალოგიურობა იდენტურობად, რა თქმა უნდა, ჟურნალისტური ჟანრის დისკურსულ სივრცეშიც, ისე როგორც ლიტერატურულ (ან მხატვრული ტექსტის) სფეროშიც საქმე გვაქვს ერთის მხრივ ტექსტობრიობის, მეორეს მხრივ კი გაგების ფენომენებთან. მაგრამ ერთიც და მეორეც, ანუ ტექსტობრიობაც და გაგებაც, უნდა გამოიყურებოდნენ განსხვავებულად. და უფრო მეტიც, ეს განსხვავება უნდა ატარებდეს პრინციპულ ხასიათს, რადგან სხვანაირად მნიშვნელობას კარგავს თვით ისეთი ფენომენი, როგორცაა დისკურსის შინაგანი ტიპოლოგია (მისი როგორც ფენომენის დაყოფა ტიპებად და ჟანრებად). ყოველივე ამის შესაბამისად კი ისმის კითხვა, რომელზე პასუხიც საფუძველად უნდა დაედოს მომდევნო თავის ძირითად პრობლემატიკას, ანუ ინტერვიუს არქიტექსტის ფენომენთან დაკავშირებულ პრობლემას: რომელია ის ფენომენ-კონცეპტი რომელსაც უნდა დავეყრდნოთ არქიტექსტის კონცეპტუ-ალიზაციისა და მოდელირებისას? ვფიქრობთ, ასეთ ფენომენ-კონცეპტად უნდა მივიჩნიოთ **სუბიექტის** ფენომენ-კონცეპტი. შეუძლებელია არსებობდეს ტექსტი ავტორ-კრეატორისა და რეციპიენტის გარეშე. და ამავე დროს ცხადია ისიც, რომ სუბიექტის შესაძლო ტიპთა ეს ერთობლიობა უნდა წარმოადგენდეს იმ ერთიანი კატეგორიის (ანუ მეტაკატეგორიის) ტიპოლოგიზაციის შედეგს, რომელიც მუდამ წარმოადგენს ტექსტის როგორც შექმნა-აგების, ისე მისი გაგების ონტოლოგიურ საფუძველს.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის ძირითადი მეთოდოლოგიური ცნება-პრინციპი, რომელიც საფუძველად უდევს მთელ ჩვენს კვლევით

მეთოდოლოგიას, ვგულისხმობთ პარადიგმის ცნება-პრინციპს. ბუნებრივია, მუდამ არსებობს ადამიანის როგორც სუბიექტის სახეობათა ერთობლიობა, მაგრამ გარდაუვალია ისიც, რომ ამ ერთობლიობის კონცეპტუალიცაზია უნდა ხდებოდეს ეპოქისთვის დომინანტური პარადიგმის მიხედვით. შესაბამისად დაისმის კითხვა, რომელზეც პასუხის გაცემამაც ასევე საფუძველი უნდა ჩაუყაროს მომდევნო თავის შინაარსს: რომელია ის თანამედროვე პარადიგმა, რომელზე დაყრდნობითაც თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნება გაიაზრებს ადამიანს როგორც სუბიექტს და ამავე დროს განახორციელებს ამ სუბიექტის ტიპოლოგიზაციას სოციალური სინამდვილის სფეროთა მიხედვით? ზოგადი სახით შეიძლება ითქვას, რომ ამგვარ პარადიგმად მთელ თანამედროვე ჰუმანიტარულ აზროვნებაში მიჩნეულია **ანთროპოცენტრისტული პარადიგმა**, ანუ ის პარადიგმა რომლის მიხედვით ყოველი ჰუმანიტარული დისციპლინა მისთვის განკუთვილი ფენომენის (თუ ფენომენთა) კვლევისას პირველ რიგში უნდა ასახელებდეს და განსაზღვრავდეს ამ ფენომენის საფუძველთა საფუძველს – მათ **სუბიექტს**. მაგრამ ასევე ცხადია, რომ ყოველი ჰუმანიტარული დისციპლინა უნდა განსაზღვრავდეს მისთვის რელევანტურ სუბიექტს თავისებურად, ე.ი. იმ ფენომენთა რეალობაზე დაყრდნობით, რომლის ერთობლიობასაც იგი იკვლევს (დაიკვი ვან 1977).

კვლევის უახლოეს კონტექსტში დგება ორი პრობლემა:

1. როგორ უნდა დავუკავშიროთ ერთმანეთს კონცეპტუალურად ორი ისეთი პარადიგმა, როგორცაა ანთროპოცენტრიზმი და კულტუროცენტრიზმი?

2. როგორია სუბიექტის ის ტიპოლოგიური კონცეპტები, რომლებიც უნდა ურთიერთმოქმედებდნენ ინტერვიუს ტექსტობრივი სივრცის არქიტექსტის აგებისას?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემით დავიწყებთ ჩვენი კვლევის შემდგომ ეტაპს.

თავის I დასკვნები:

1. იქედან გამომდინარე, რომ კვლევის ცენტრალურ პრობლემად მიჩნეულ იქნა ინტერვიუ როგორც ჟურნალისტური ჟანრი და მისი ტექსტობრივი სივრცის კონცეპტუალიზაციისა და მოდელირების პრობლემა, საჭირო ხდება კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ ასპექტთა როგორც გამიჯნვა, ისე ურთიერთდაკავშირება. კვლევის თეორიულ საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ დისკურსის ზოგადი თეორია, მეთოდოლოგიურ საფუძვლად კი ინტერდისციპლინარულობისა და ინტერპარადიგმულობის ის პრობლემური ურთიერთმიმართება, რომლითაც ხასიათდება არა მხოლოდ ლინგვისტური, არამედ მთელი ჰუმანიტარული სააზროვნო სივრცე;

2. როგორც ლინგვისტური, ისე თანამედროვე ზოგადჰუმანიტარული აზროვნების ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემად მიჩნეულ უნდა იქნეს იმ **მიმართების** დადგენა და განსაზღვრა, რომელიც უნდა არსებობდეს კვლევის ისეთ ორ პარადიგმას შორის, როგორცაა ინტერტექსტუალურობისა და სინერგიულობის პარადიგმები. სინერგიულობის თუ „სინერგეტიზმის“ როგორც კვლევითი პარადიგმის გააზრებისას კი უნდა მკაფიოდ გაიმიჯნოს პრობლემის ორი ასპექტი: ა) იქედან გამომდინარე, რომ სინერგიულობის კონცეპტი თავისი გენეზისით ეკუთვნის საბუნებისმეტყველო სფეროს, აუცილებელი ხდება ამ კონცეპტის „ჰუმანიტარიზაცია“, როგორც ლინგვისტურ, ისე ზოგადჰუმანიტარული თვალსაზრისით; ბ) და რაც შეეხება პრობლემის მეორე ასპექტს: როგორც ზოგადჰუმანიტარული, ისე საკუთრივ ლინგვისტური თვალსაზრისით აუცილებელი ხდება იმის დადგენა და განსაზღვრა, თუ როგორ უნდა იქნეს გააზრებული სინერგიულობის მიმართება ინტერტექსტუალურობასთან;

3. მიუხედავად იმ მნიშვნელობისა, რომელიც უნდა მიენიჭოს ინტერტექსტუალურობისა და სინერგიულობის პარადიგმათა ურთიერთმიმართებას, საბოლოო ანგარიშში ცენტრალურ მეთოდოლოგიურ პრობლემად მიჩნეულ უნდა იქნეს ხსენებული ინტერპარადიგმული კომპლექსის მიმართება იმ პარადიგმასთან, რომელსაც დომინანტური სტატუსი უკავია როგორც ლინგვისტური, ისე ზოგადჰუმანიტარული თვალსაზრისით, ანუ ლინგვოკულტუროლოგიასთან

ლინგვისტური თვალსაზრისით და კულტუროცენტრიზმთან ზოგადჰუმანიტარული თვალსაზრისით;

4. გამომდინარე იქედან, რომ ჩვენი კვლევის ცენტრალურ პრობლემად მიჩნეული გვაქვს ინტერვიუს ჟანრისადმი დაქვემდებარებული ტექსტობრივი სივრცის ინტერტექსტუალური განზომილება, აუცილებელი ხდება იმის მხედველობაში მიღება, თუ როგორ ხდება ჩვენთვის ცენტრალური პარადიგმის, ანუ ინტერტექსტუალურობის პარადიგმის სინერგიულობასთან დაკავშირება ლინგვისტიკისაგან განსხვავებულ ისეთ ჰუმანიტარულ სფეროში, როგორცაა ლიტერატურათმცოდნეობა; ზემოთ მოყვანილი მეთოდოლოგიური პრობლემის გადაჭრისას გამიჯნული და ურთიერთდაკავშირებული უნდა იქნას შემდეგი ორი ასპექტი: ა) ზოგადმეთოდოლოგიური ასპექტი, რომლის გათვალისწინებასაც მივყავართ ანალოგიის პრინციპის გამოყენების აუცილებლობასთან; ბ) პრობლემის ის საკუთრივ ლინგვისტურ-ტექსტოლოგიური ასპექტი, რომელიც ანალოგიის პრინციპის გამოყენების შედეგად ნებისმიერ ტექსტში იწვევს სტრუქტურულ და ენერგიულ განზომილებათა როგორც გამიჯვნას, ისე ურთიერთდაკავშირებას;

თავი II.

ინტერვიუსეული ტექსტობრივი სივრცის არქიტექსტი. არქიტექსტის ფენომენის კონცეპტუალიზაციის პრობლემა

2.1. არქიტექსტი როგორც კონცეპტი: მისი გასაზღვრისა და მოდელირების თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

წინა პარაგრაფში განვითარებულმა მსჯელობამ დაგვანახა იმის აუცილებლობაც და შესაძლებლობაც, რომ სწორედ არქიტექსტი, როგორც ტერმინი და კონცეპტი უნდა იქცეს მთელი ჩვენი კვლევითი კონტექსტის პრობლემურ ტერმინად. იმ კონცეპტუალურმა სისტემამ, რომელიც ჩამოყალიბებული იქნა პირველი თავის ფარგლებში, უნდა პოვოს, ერთის მხრივ, თავისი ლოგიკური დასრულება და გამართლება სწორედ არქიტექსტის კონცეპტში, ხოლო მეორეს მხრივ, სწორედ ამ კონცეპტზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს მთელი კვლევის ძირითადი და საბოლოო მიზანი: ინტერტექსტუალურობის იდეაზე დაყრდნობით უნდა მოხდეს ხსენებული არქიტექსტით „დაბადებული“ ტექსტობრივი სივრცის ტიპოლოგიზაცია. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ (და ახლახან) ფორმულირებული ამოცანა მოცემული სახით ატარებს იმდენად ზოგად ხასიათს, რომ იგი შეიძლება გამხდარიყო ნებისმიერი ჟანრის ტექსტობრივი სივრცის კვლევის საფუძველი (როგორც თეორიული, ისე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით). აქედან გამომდინარე კი შეგვიძლია ვთქვათ: არქიტექსტის როგორც პრობლემური კონცეპტის ამგვარი ხედვა უნდა მივიჩნიოთ კვლევის იმ გარდაუვალ შუალედურ ეტაპად, რომლის შემდეგ აუცილებლად დგება დაკონკრეტების ეტაპი: რას უნდა ნიშნავდეს იმ ტექსტობრივი სივრცის არქიტექსტის დადგენა თუ განსაზღვრა, რომელსაც „ბადებს“ ინტერვიუს ჟანრი და, რა თქმა უნდა, ნიშან-თვისებათა რა ერთობლიობა უნდა წარმოადგენდეს ამგვარი („ინტერვიუსეული“) არქიტექსტის ტიპოლოგიურ ნიშნებს?

ზემოთ ნათქვამი შეიძლება დაგვეკონკრეტებინა შემდეგნაირად: იმ შემთხვევაში, თუკი შესრულდებოდა უკვე ფორმულირებული ამოცანა და, შესაბამისად, დადგენილი გეგმებოდა არქიტექსტის ნაგულისხმები „ვარიანტი“, მაშინ მისი ინტერტექსტუალური ბირთვი და საფუძველი თავად უნდა დაფუძნებოდა ინტერდისციპლინარულობისა და ინტერპარადიგმულობის ჩვენს მიერ უკვე შემუშავებულ სისტემას. ამიტომ აუცილებელი ხდება, მოცემული თავის დასაწყისშივე ფორმულირებული და შესრულებული იქნეს ის ამოცანა, რომელიც საწყისებრივი ფორმა-შინაარსით ჩამოყალიბებული იქნეს წინა თავის დასასრულს. გაგებული და განსაზღვრული უნდა იყოს სუბიექტის ის კონცეპტი, რომელიც უნდა წარმოადგენდეს ანთროპოცენტრიზმისა და კულტუროცენტრიზმის სინთეზს და ამავე დრო თავის თავში ატარებდეს ჟანრის ტექსტის კრეაციითა და გაგებით ნაგულისხმევ ნიშან-თვისებებს.

2.2 თანამედროვე ანთროპოცენტრიზმი და საკვლევე არქიტექსტისთვის ფუძემდებელი სუბიექტის პრობლემა

ჩვენი კვლევის მთელი კონცეპტიდან უკვე გამოიკვეთა იმის აუცილებლობა, რომ ინტერტექსტუალურობის როგორც თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი ცენტრალური კონცეპტის თეორიული დაფუძნება მოითხოვს შემდეგ მეთოდოლოგიურ ნაბიჯთა ერთდროულად გადადგმას: ა) უნდა გავმიჯნოთ, და ამავე დროს ორგანულად დავუკავშიროთ ერთმანეთს კვლევითი მეთოდოლოგიის ისეთი ორი მომენტი, როგორცაა ინტერპარადიგმულობა და ინტერდისციპლინარულობა; ბ) ინტერტექსტუალურობა კი როგორც კონცეპტი და პარადიგმა თავად მოითხოვს დაფუძნებას სინერგიულობისა და ლინგვოკულტუროლოგიის კონცეპტებზე დაყრდნობით; გ) რადგან როგორც ინტერტექსტუალურობის, ისე სინერგიულობის კონცეპტებს თანამედროვე ლინგვისტიკა „სესხულობს“ ლიტერატურათმცოდნეობიდან, საჭირო ხდება იმის თანმიმდევრული გათვალისწინება, როგორ ხდება ხსენებულ კონცეპტთა ინტერპრეტაცია ლიტერატურის თანამედროვე სფეროში, ანუ საჭირო გახდა თანმიმდევრულად დავყრდნობოდით წინა თავში შემოთავაზებულ ანალოგიის

პრინციპს. მაგრამ, მიუხედავად ანალოგიის პრინციპის მეთოდოლოგიური გამართლებულობისა, მისი გამოყენება, მაინც ბადებს შემდეგ კითხვებს: არის თუ არა პრობლემა, რომელიც, მიუხედავად ამ პრინციპის მართებულობისა, მაინც „იბადება“ სწორედ მისი გამოყენების პროცესში? სხვანაირად რომ ვთქვათ: არის თუ არა პრობლემა, რომელიც ზღვარს უდებს ანალოგიის პრინციპის გამოყენებას და, თუ ასეთი პრობლემა არის, როგორ უნდა იქნას იგი დანახული და ინტერპრეტირებული?

რა თქმა უნდა, ზემოთ აღნიშნული პრობლემა – და იგი რეალურად არსებობს – თავს უნდა იჩენდეს ჩვენს მიერ უკვე განხილულ პარადიგმათა მთელ სისტემაში. მაგრამ ზემოთ განვითარებულმა მსჯელობამ დაგვანახა, ალბათ, ამ ჯერ კიდევ ჰიპოთეტური პრობლემის შინაარსობრივი ბირთვი: უკვე ვიცით, რომ სინერგიულად დაფუძნებულ ლიტერატურათმცოდნეობაში ინტერტექსტუალურობის ფენომენს საფუძვლად უდევს ტექსტობრიობის კრეაციულ და რეცეფციულ ასპექტთა ერთობლიობა. ეს კი, როგორც უკვე იქნა აღნიშნული, ნათლად მიუთითებს ლიტერატურის სუბიექტის ისეთ გაგებაზე, რომელიც მაქსიმალურად ფართო თვალსაზრისით უნდა ნიშნავდეს როგორც თავად ტექსტობრიობის, ისე მის კრეაციულ და რეცეფციულ ასპექტთა კომუნიკაციურ ხედვას. სწორედ ამიტომ აუცილებელი ხდება, როგორც წინა პარაგრაფში იყო ნათქვამი, იმის დადგენა, თუ რა პრინციპული განსხვავება უნდა არსებობდეს ერთის მხრივ ლიტერატურულ, მეორეს მხრივ კი, ჟურნალისტურ ტექსტობრიობას შორის იმდენად, რამდენადაც თვით ტექსტობრიობა ნებისმიერ შემთხვევაში გულისხმობს კრეაციულ და რეცეფციულ ასპექტთა როგორც არსებობას, ისე ურთიერთდაკავშირებულობას.

როგორც უკვე ვიცით, ზემოთ ხსენებული პრობლემა უკავშირდება სუბიექტის ზოგადჰუმანიტარულ პრობლემას და, შესაბამისად, უკავშირდება ისეთ თანამედროვე სააზროვნო პარადიგმას, როგორცაა **ანთროპოცენტრიზმი**. აქედან გამომდინარე ჩვენს მსჯელობას საფუძვლად უნდა დაედოს შემდეგი თეზისი: ჟურნალისტური ტექსტობრიობის ნებისმიერი პრობლემის დასმა და გადაჭრა უნდა ხდებოდეს ანთროპოცენტრიზმის როგორც ზოგადჰუმანიტარული

პარადიგმის არსებითი განმარტების ფონზე (დაიკი ვან 1993). მხოლოდ ამგვარი ფონის არსებობის და გათვალისწინების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი ანალოგიის პრინციპის გამოყენებაც და პრინციპული შეზღუდვაც, ანუ მისადმი იმ ზღვრის დადგენა, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა მსჯელობა.

პირველ რიგში, ბუნებრივია, უნდა ვისაუბროთ ანთროპოცენტრიზმზე, როგორც ზოგადჰუმანიტარულ პარადიგმაზე. იქედან გამომდინარე კი, რომ კვლევის მოცემულ ეტაპზე სწორედ ამ პარადიგმას ენიჭება პრინციპული მნიშვნელობა, საჭიროა გავიხსენოთ და გავითვალისწინოთ შემდეგი ფაქტები: რაც არ უნდა დიდი და ყოვლისმომცველი იყოს ანთროპოცენტრიზმის როგორც პარადიგმის როლი და მნიშვნელობა, თანამედროვე ჰუმანიტარულ აზროვნებაში მას თეორიულ და მეთოდოლოგიურ „მეტოქეობას“ უწევს ისეთი პარადიგმები, როგორცაა კულტუროცენტრიზმი, ინტერტექსტუალურობა და სინერგეტიზმი. ამიტომ, გამართლებული იქნება ანთროპოცენტრიზმის კონცეპტუალური შინაარსის ახლებურად განსაზღვრა და დაკონკრეტება ჩამოთვლილ პარადიგმათა გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე კი, არა თუ შესაძლებლად, არამედ აუცილებლად მიგვაჩნია დაისვას კითხვები: რას უნდა ნიშნავდეს ანთროპოცენტრიზმი კულტუროცენტრიზმთან მიმართებაში, ანუ კულტუროცენტრისტულად გააზრებული ანთროპოცენტრიზმი? და რას უნდა ნიშნავდეს იგი სინერგიულად და ინტერტექსტუალურად მისი გააზრების შემთხვევაში? მიგვაჩნია, რომ მხოლოდ ამგვარ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ შესაძლებელი იქნება იმის თქმაც, როგორ უნდა იქნეს გაგებული და განსაზღვრული ჟანრის სუბიექტი. ამავე დროს კვლავ უნდა გავუსვათ ხაზი შემდეგ გარემოებას: ჩვენი ძირითადი მიზანია ინტერვიუს ტექსტობრივი სივრცის არქიტექსტის განსაზღვრა და მოდელირება და სწორედ არქიტექსტის პრობლემა მოითხოვს სუბიექტის, როგორც მისთვის ფუძემდებლური პრობლემის წინასწარ გააზრებას.

იმისთვის, რომ უფრო რელიეფურად გამოიკვეთოს ზემოთ ფორმულირებული პრობლემატიკა – პირველ რიგში სუბიექტისა და არქიტექსტის პრობლემათა შინაგანი კავშირი – საკმარისია იმის გახსენება, როგორ ხდებოდა

ანთროპოცენტრიზმის როგორც პარადიგმის განმარტება იმ ეტაპზე, როცა ჯერ კიდევ არ იყო პრობლემურად გააზრებული მისი შესაძლო კავშირი ზემოთ ჩამოთვლილ სხვა პარადიგმებთან.

როგორც ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარეობს, ანთროპოცენტრიზმის როგორც პარადიგმის პრობლემა ჩვენთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მას უშუალოდ უკავშირდება **სუბიექტის** პრობლემა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ერთის მხრივ გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან, ხოლო, მეორეს მხრივ არსებითად დავუკავშიროთ ერთმანეთს სუბიექტები მათი ჟანრობრივი და ტექსტობრივი მნიშვნელობებით. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სუბიექტის როგორც კონცეპტის ამგვარი პრობლემურობა ჩვენს კვლევით კონტექსტში განპირობებულია შემდეგი ორი ფაქტორით:

1. ფუძემდებლურ პარადიგმულ სისტემაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა **სინერგეტიზმმა**, ანუ იმ პარადიგმამ, რომელიც მოითხოვს ენერჯის და სტრუქტურის როგორც კომუნიკაციის ფაქტორთა ურთიერთდაკავშირებას. ენერჯის ფაქტორი კი, თავის მხრივ, უშუალოდ უკავშირდება სწორედ სუბიექტს;

2. ლიტერატურათმცოდნეობაში არა მხოლოდ ხდება სუბიექტის როგორც ენერჯის წყაროს ინტერპრეტაცია, არამედ ხდება თვით ენერჯიულობასთან დაკავშირებული სუბიექტის ტიპოლოგიზაციაც: საუბარია ენერჯის ავტორისეულ და მკითხველისეულ ტიპებზე.

როგორც ვხედავთ, სწორედ სუბიექტის ჟანრობრივ და ტექსტობრივ ასპექტთა გამიჯნვა და ურთიერთდაკავშირება წარმოგვიდგება მთელი ჩვენი კვლევითი კონტექსტის ერთ-ერთ ცენტრალურ მომენტად. ამ ცენტრალურობას კი განაპირობებს შემდეგი ფაქტები: სუბიექტთან როგორც პრობლემურ კონცეპტთან იძენს განსაკუთრებულ აქტუალურობას ჩვენი მეთოდოლოგიის ორი ისეთი ასპექტი, როგორცაა ინტერდისციპლინარულობა და ინტერპარადიგმულობა. თავად ანალოგიის გამოყენების ადეკვატურობას (ვგულისხმობთ მისი გამოყენების შესაძლო საზღვრებს) უკავშირდება საბოლოო ანგარიშში სუბიექტის პრობლემა.

იმისათვის, რომ შევძლოთ სუბიექტის პრობლემის დასმა და გადაჭრა ისე, როგორც უკვე იქნა მინიშნებული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ვიმოძრაოთ საპირისპირო მიმართულებათა შერწყმით:

1. ჯერ დავინახოთ სუბიექტის პრობლემა ანთროპოცენტრიზმთან როგორც თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნების მეტაპარადიგმასთან მიმართებაში. ეს კი ნიშნავს, რომ კონცეპტუალური თვალსაზრისით მივმართავთ უფრო მაღლა განლაგებულ კონცეპტუალურ კომპლექსს (ე.ი. ვმოძრაობთ პარადიგმიდან მეტაპარადიგმისაკენ);

2. ვნახოთ, რა სახეს იღებს ანთროპოცენტრიზმი სემიოესთეტიკურად ორიენტირებულ ჰუმანიტარულ აზროვნებაში;

3. ასევე ვნახოთ, როგორ შეიძლება მოხდეს ამგვარად (ანუ სემიოესთეტიკურად) გაგებული სუბიექტის დაკავშირება სინერგიულობის ფენომენთან;

4. მხოლოდ სუბიექტის როგორც ფენომენისა და კონცეპტის ამგვარი გააზრების შემდეგ გავიხსენოთ ის, რამაც საერთოდ შეგვიქმნა სუბიექტთან დაკავშირებული მთელი ეს პრობლემატიკა, ანუ გავიხსენოთ სუბიექტის პრობლემის შინაგანი კავშირი არქიტექტურის პრობლემასთან.

2.3 ანთროპოცენტრისტული პარადიგმა და მისი კავშირი თანამედროვე ლინგვისტიკასთან

ანთროპოცენტრიზმის როგორც კვლევითი პარადიგმის შინაარსი და მნიშვნელობა სცილდება ლინგვისტიკის ფარგლებს; მაგრამ, იქედან გამომდინარე, რომ საბოლოო ჯამში ჩვენი კვლევა, მიუხედავად მისი ინტერდისციპლინარულობისა ცენტრირებულია ლინგვისტიკურად, ამ პარადიგმის კონცეპტუალურ ასპექტს განვმარტავთ ლინგვისტიკური თვალსაზრისით. როგორც აღინიშნება თანამედროვე თეორიულ ლინგვისტიკაში, ანთროპოცენტრისტული პარადიგმა ნიშნავს იმას, რომ მკვლევარის ინტერესი შემეცნების ობიექტიდან გადაიტანება შემეცნების სუბიექტზე, ე.ი. ხორციელდება ანალიზი იმისა, თუ როგორაა წარმოდგენილი ადამიანი ენაში, ენა კი ადამიანში (მასლოვა 2004:6). ითქმის ისიც,

რომ ენის ანთროპოცენტრისტულობის იდეა ფუძემდებელია თანამედროვე ლინგვისტიკაში (*ibid.*:6). აქვე აღსანიშნავია, რომ ანთროპოცენტრისტული პარადიგმა თავიდანვე და არსებითად უკავშირდება კულტუროლოგიურ პარადიგმას და სწორედ ეს შინაგანი კავშირი ბადებს თანამედროვე ლინგვისტიკისათვის ისეთ მნიშვნელოვან პარადიგმას, როგორცაა ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სწორედ ანთროპოცენტრისტული პარადიგმის ფარგლებში ერთმანეთს უკავშირდება ორი ისეთი ანთროპოცენტრისტული მიმართულება თუ სუბპარადიგმა, როგორცაა კოგნიტიური ლინგვისტიკა და ლინგვოკულტუროლოგია (მასლოვა 2004:6-7).

როგორც ვნახეთ, ზემოთ ციტირებულ ნაშრომში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ზოგადად თანამედროვე ჰუმანიტარულ აზროვნებაში, კერძოდ კი ლინგვისტიკაშიც ანთროპოცენტრიზმს უხდება „ურთიერთობის გარკვევა“ ისეთ პარადიგმასთან, როგორცაა სინერგიული პარადიგმა (თუ სინერგეტიზმი). ჩვენ კი დავრწმუნდით იმაში, რომ სწორედ ხსენებული პარადიგმა ლამობს მოახდინოს გარდატეხა ადამიანთან დაკავშირებულ მთელ კვლევით სფეროში. დავრწმუნდით იმაშიც, რომ ისეთი ზოგადჰუმანიტარულ-ლინგვისტური პრობლემა, როგორცაა ინტერტექსტუალურობის პრობლემა, ვერ იქნება ადეკვატურად დასმული და გადაჭრილი სინერგიულობის გათვალისწინების გარეშე.

აუცილებლად მიგვაჩნია დავუბრუნდეთ ლიტერატურათმცოდნეობას და არა მხოლოდ იმის გათვალისწინებით, რაც უკვე ითქვა ანალოგიის პრინციპზე დაყრდნობით, არამედ იმ შინაგანი გარდატეხის გათვალისწინებით, რომელიც განიცადა მთელმა თანამედროვე ჰუმანიტარულმა აზროვნებამ და მათ შორის ლიტერატურათმცოდნეობამ. ვგულისხმობთ ლიტერატურული პროცესის იმ კომუნიკაციურ ხედვას, რომელიც დამკვიდრდა XX საუკუნის აზროვნებაში და, რომელიც უნდა მივიჩნიოთ ისეთი კვლევითი მეტაპარადიგმის განუყოფელ ასპექტად, როგორცაა **სემიოესთეტიკური პარადიგმა**. სხვანაირად რომ ვთქვათ, სემიოესთეტიკა უნდა გაგებულ იქნეს როგორც მხატვრული შემოქმედების კომუნიკაციური გაგება.

იმის ბოლომდე გასაგებად, რატომ მივმართავთ კვლევის ამ ეტაპზე აზროვნების ისეთ პარადიგმულ მიმართულებას, როგორცაა სემიოესთეტიკა, აუცილებელია, კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი ჩვენს მიერ უკვე გამოყენებულ ანალოგიის პრინციპს და მასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას. პირველ რიგში კი დავუბრუნდეთ კითხვას, როგორ უნდა იქნეს დანახული და განსაზღვრული ამ პრინციპის გამოყენების საზღვარი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სწორედ ამ საზღვრის დადგენის მიზნით მივმართეთ ანთროპოცენტრიზმს როგორც თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნების მეტაპარადიგმას: ჩვენთვის საინტერესოა იმ სუბიექტის სინერგიული განზომილება, რომელმაც საბოლოო ანგარიშში უნდა განაპირობოს როგორც სამეზბნი ტექსტობრივი სივრცის არქიტექსტის შიდა სტრუქტურა, ისე ამ არქიტექსტით „დაბადებული“ ტექსტობრივი სივრცის ტიპოლოგია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არ არის საკმარისი აღვიქვათ როგორც დასადგენი არქიტექსტი, ისე მასთან გენეტიკურად დაკავშირებული სუბიექტი მხოლოდ იმის გათვალისწინებით, რა მიმართებაში არიან ერთმანეთთან სუბიექტის ლიტერატურათმცოდნეობითი და ლინგვისტური კონცეპტები. საქმე ისაა, რომ თანამედროვე ანთროპოცენტრიზმი მისი ტრადიციული „ვარიანტისაგან“ განსხვავდება შემდეგი ნიშნით: იგი გამჭოლი სახით შერწყმულია ისეთ მეტაპარადიგმასთან, როგორცაა **კომუნიკაციური პარადიგმა**. აქედან გამომდინარე თუ გვსურს მეტი კონცეპტუალური სიზუსტე მივანიჭოთ ჩვენთვის უკვე რელევანტურად ქცეულ ანალოგიის პრინციპს, მართებული იქნება აღვიქვათ სუბიექტის ლიტერატურათმცოდნეობითი კონცეპტი არა მხოლოდ სინერგიულად, არამედ სემიოესთეტიკურადაც (სემიოესთეტიკა კი აღვიქვათ როგორც მხატვრულ და კომუნიკაციურ ხედვათა სინთეზი). შეიძლება ითქვას, რომ ანალოგიის უკვე გამოყენებული პრინციპი შეიძენს მეტ ევრისტიკულ პოტენციალს იმ შემთხვევაში, თუ ლიტერატურათმცოდნეობად გაგებული სუბიექტი აღიქმება არა მხოლოდ სინერგიულად, როგორც ციტირებულ ნაშრომებშია მითითებული, არამედ ერთდროულად სემიო-ესთეტიკურადაც. გვსურს ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ არქიტექსტის კონცეპტის მოდელირებისას ძირითადი საყრდენი ფენომენის როლში გარდაუვალად

მოგვევლინება **დიალოგი**. დიალოგი კი, როგორც ცნობილია, შეუძლებელია **კომუნიკაციის** გარეშე. ვფიქრობთ, სუბიექტის ამგვარი, ანუ ერთდროულად სინერგიული და სემიოესთეტიკური ხედვა საშუალებას მოგვცემს უფრო ეფექტურად და ნაყოფიერად დავუკავშიროთ – უკვე არქიტექსტის სტრუქტურირებისას – ჟურნალისტურად გაგებული სუბიექტი ინტერტექსტუალურობას და დავინახოთ საძებნი ტექსტობრივი სივრცე სწორედ მისი ტექსტობრივი არსის გათვალისწინებით.

კომუნიკაციური პარადიგმა თანამედროვე აზროვნებაში ისევე ყოვლისმომცველია, როგორც ანთროპოცენტრისტული პარადიგმა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რაკი ანალოგიის პრინციპის გამოყენებისას ვეყრდნობით ლიტერატურათმცოდნეობას, ბუნებრივი იქნება, თუ თავად კომუნიკაციური პარადიგმა დანახული იქნება ესთეტიკურად, ანუ იმ შემთხვევის გათვალისწინებით, როცა საქმე გვაქვს ლიტერატურულ კომუნიკაციასთან. ამ მიზნით მივმართავთ ავტორს, რომელსაც ეკუთვნის ლიტერატურის როგორც ფენომენის ორიგინალური კონცეფცია (ტიუპა 2001). როგორც იგი აღნიშნავს, ლიტერატურული ნაწარმოები – თუ მას მთელი „ხდომილებრივი სისავსით“ გავიგებთ – მოიცავს კომუნიკაციური ფაქტის ისეთ სამ ასპექტს, რომლებიც ერთნაირად არიან გამოვლენილი ტექსტში: კრეაციულის – კომუნიკაციური ინიციატივის სუბიექტი, რეფერენტულს – ინტენციონალური კომუნიკაციური ობიექტი და რეცეფციულს – ადრესატის ის ფიგურა, რომელიც ფლობს ამა თუ იმ კომუნიკაციურ კომპეტენტურობას. (ტიუპა 2001:25) ციტირებული ავტორი შემდეგნაირად აკონკრეტებს მხატვრულ დისკურსთან დაკავშირებულ ისეთ ცნებათა შინაარსს, როგორიცაა დისკურსის სუბიექტი და მისი (ანუ დისკურსის) ადრესატი. როგორც იგი განმარტავს, დისკურსის სუბიექტი წარმოადგენს მეტყველი პირის აქტიურ **პოზიციას** (*ibid.*: 25). და რაც შეეხება დისკურსის ადრესატს, იგი წარმოადგენს აქტიურ მოპასუხე პოზიციას(ტიუპა 2001:25). ჩვენთვის კი განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმ ფაქტს, რომ დისკურსის ადრესატი ისევე მიეკუთვნება ამა თუ იმ კულტურულ სფეროს და ისევე წარმოადგენს ადეკვატური აღქმის პოლუსს (*ibid.*:25), როგორც დისკურსის

სუბიექტი. მაშასადამე, მხატვრული დისკურსის ამგვარი, ანუ სემიოესთეტიკური გაგება, ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, როგორც უკვე იქნა ხაზგასმული, ვეყრდნობით ანალოგიის პრინციპს. ამ პრინციპით ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ სტრუქტურას და ენერგიას, რათა დავადგინოთ ის სინერგიული კავშირი, რომელიც უნდა ვიგულისხმოთ ინტერვიუს როგორც ჟურნალისტური დისკურსის ისეთ პოლუსებს შორის, როგორიცაა ერთის მხრივ, ჟურნალისტიკორესპონდენტი, მეორეს მხრივ კი, ამ დისკურსთან დაკავშირებული ისეთი ორი სუბიექტი, როგორიცაა თვით ინტერვიუში უშუალოდ მონაწილე სუბიექტი-ადრესატი და სუბიექტ-ადრესატი როგორც ინტერვიუს პოტენციური რეციპიენტი. როგორც ვხედავთ ანთროპოცენტრიზმის სემიოესთეტიკური განშტოება ნათლად მიგვითითებს ინტერვიუს როგორც ჟურნალისტური დისკურსის რთულ სინერგიულ სტრუქტურაზე. შედეგად გვიხდება ინტერვიუს ტექსტში როგორც **სტრუქტურაში** ისეთი „სინერგიული კომპლექსის“ აღმოჩენა, რომლის ფარგლებში ერთმანეთს „ხვდებიან“ და ურთიერთზემოქმედებენ სამი სუბიექტის – ჟურნალისტის, მის მიერ ინტერვიურებული სუბიექტის და ინტერვიუს ტექსტის რეციპიენტის – ისეთი ენერგიები, რომლებიც, რა თქმა უნდა, ხასიათდებიან განსხვავებული ვექტორებით. აქედან გამომდინარე კი შესაძლებლად მიგვაჩნია ვისაუბროთ, რა ნიშნით იქნა მოცემულ პარაგრაფში ანალოგიის პრინციპის შინაარსობრივი დაკონკრეტება: როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, აუცილებელი იქნება **ვექტორულობის პრინციპი**, რომელიც უკავშირდება ინტერვიუსეული სუბიექტის მთელ სუბიექტურ სპექტრს, შევსებულს **ველის პრინციპით**. სხვანაირად შეუძლებელი იქნება იმ არქიტექსტის ადეკვატურად მოდელირება, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს საძებნი ტექსტობრივი სივრცის ტიპოლოგიზაციას.

2.4. ველის კონცეპტი როგორც ინტერვიუსთან დაკავშირებული ტექსტობრივი სივრცის არქიტექსტის აგების კონცეპტუალური საფუძველი

ინტერდისციპლინარულობის და ინტერპარადიგმულობის პრობლემათა შერწყმამ განაპირობა ის, რომ აუცილებელი გახდა, ერთის მხრივ, ანთროპოცენტრიზმის როგორც მეტაპარადიგმის შინაარსობრივი სტრუქტურის

გათვალისწინება, მეორეს მხრივ კი, იმისა, რომ ხსენებული ანთროპოცენტრიზმი უშუალოდ დაგვეკავშირებინა ორ ისეთ პრობლემურ ცნებასთან, როგორებიცაა სტრუქტურისა და ენერჯის ცნებები. რა თქმა უნდა, ეს ორი აღნიშნული ცნება – როგორც სტრუქტურის, ისე ენერჯის ცნებები - პირდაპირ უკავშირდება სამეზბნი არქიტექსტის პრობლემას, რომელიც ფუძემდებლურია ჩვენთვის როგორც სინერჯიული, ისე ინტერტექსტუალური თვალსაზრისით. შესაბამისად, ჩნდება პრობლემა, რომლის დასმისა და გადაჭრის გარეშე ვერ შევუდგებით სამეზბნი არქიტექსტის ადეკვატურ კონსტრუირებას (არქიტექსტი, მის მიერ წარმოშობილი ტექსტობრივი სივრცისაგან განსხვავებით, წარმოადგენს აზრობრივ კონსტრუქტს და მოითხოვს სწორედ კონსტრუირებისათვის აუცილებელ პრინციპთა ნაბიჯ-ნაბიჯ დაკონკრეტებას). ისმის კითხვა: როგორ უნდა იქნეს ფორმულირებული ეს პრობლემა? იგი, ხასიათდება შემდეგი ორი ნიშნით: ა) მისი დასმითა და გადაჭრით საბოლოოდ უნდა დაკონკრეტდეს სამეზბნი არქიტექსტის კონცეპტუალური სტრუქტურა, და ბ) საბოლოოდ უნდა დაკონკრეტდეს ის როლიც, რომელიც არქიტექსტის კონსტრუირებისას უნდა შეასრულოს ჩვენს მიერ არა ერთხელ დასახელებულმა ისეთმა ორმა კონცეპტმა, როგორიცაა **ველისა და ვექტორულობის კონცეპტები** (ლევინსონი 1997).

ბუნებრივია, მოცემულ პარაგრაფში წარმოვადგენთ, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ამ ორი კონცეპტის როლი არქიტექსტის კონსტრუირების პროცესში. მაგარამ, სანამ უშუალოდ შევუდგებით ამ ამოცანის შესრულებას, აუცილებლად მიგვაჩნია დავუბრუნდეთ იმ მეთოდოლოგიურ პრინციპს, რომელმაც შეასრულა განსაკუთრებული როლი ჩვენი კვლევის პროცესში (აუცილებელია, მკაფიოდ გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან ორი ისეთი მეთოდოლოგიური კონცეპტი, **როგორიცაა მეთოდოლოგიური პარადიგმა და მეთოდოლოგიური პრინციპი**: სადაც პარადიგმა მიანიშნებს იმაზე, როგორ აღიქვამს მოცემული მეცნიერული დასციპლინა კვლევის ობიექტს თავისი არსებობის მოცემულ ეტაპზე. მეთოდოლოგიური პრინციპი კი ზოგადად **მიანიშნებს** იმაზე, როგორ უნდა შევუთავსოთ ჩვენი კონკრეტული კვლევა მეცნიერებაში არსებულ პარადიგმულ სიტუაციას). ძირითადი მეთოდოლოგიური

პრინციპის როლში ჩვენ, გამოვიყენეთ ანალოგიის პრინციპი, რადგან სხვანაირად შეუძლებელი იყო იმის დადგენა, როგორ უნდა იქნეს რეალიზებული ერთი დისციპლინის ფარგლებში სხვა დისციპლინის რეალობაში უკვე გამოყენებული პარადიგმათა აქტუალიზაცია იმ შემთხვევაში, თუ ამ დისციპლინებს აერთიანებს ტექსტობრიობა როგორც ერთიანი ონტოლოგიური რეალობა. რადგან კვლავ გვიხდება კვლევის განსხვავებულ სფეროთა კონცეპტუალური დაახლოება, დავუბრუნდებით ანალოგიის პრინციპს იმ მიზნით, რომ ადეკვატურად განვსაზღვროთ ველისა და ვექტორულობის, როგორც კვლევით პრინციპთა როლი სამეზბნი არქიტექსტის კონსტრუირებისას.

კვლევის წინა ეტაპებზე, როცა საუბარი გვქონდა სინერგიულობის პარადიგმაზე, აღნიშნული იქნა მისი (სინერგიულობის პარადიგმის) ნიშანი. თავისი გენეზისით სინერგიულობა როგორც კონცეპტი ეკუთვნის ბუნებისმეტყველებას (თუმცა ისტორიულად იგი გამოიყენებოდა ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში), მაგრამ ამჟამად აქტუალური ხდება ჰუმანიტარულ აზროვნებაშიც, განსაკუთრებით კი ლიტერატურათმცოდნეობაში. სწორედ აქედან გამომდინარე მივიჩნევთ, რომ საჭირო და აუცილებელია მისი გამოყენება ტექსტის ლინგვისტურ თეორიაში. საჭირო გახდა ამ მომენტის გახსენება მაშინ, როცა საქმე შეეხო ველის ცნებისა და პრინციპის გამოყენებას ჩვენს კვლევაში, ძირითადად კი სამეზბნი არქიტექსტის კონსტრუირებისას, რადგან ფაქტობრივად იგივე ითქმის ველის ცნებაზეც. თავისი გენეზისით ეს უკანასკნელი ეკუთვნის ბუნებისმეტყველებას, კერძოდ კი ფიზიკის დარგს. ამჟამად კი ფართოდ გამოიყენება ისეთ ჰუმანიტარულ დისციპლინებში, როგორცაა ლინგვისტიკა და ფსიქოლოგია. ასე რომ, ანალოგიის პრინციპის კვლავ გამოყენებით შეგვიძლია ისეთივე წარმატებით მივმართოთ ველის კონცეპტს, როგორც ეს უკვე მოხდა სინერგიულობის შემთხვევაში. მაგრამ მოგვიხდება ამ შთაბეჭდილების შემდეგნაირად კორექტირება: ველის კონცეპტი და პრინციპი უკვე გამოიყენება ლინგვისტიკაში, თუმცა ძირითადად ისეთ განსხვავებულ ლინგვისტურ სფეროში, როგორცაა ლექსიკური სემანტიკა. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე მოცემულ პარაგრაფში აუცილებელი ხდება იმის დაკონკრეტება, როგორ უნდა

იქნეს ასახული ჩვენს მიერ კონსტრუირებულ არქიტექსტში, უფრო სწორად კი მის სტრუქტურაში, ორივე ზემოთ ხსენებული პრინციპები – ველისა და ვექტორულობის – თანაც ისე, რომ ამ ორი პრინციპის რეალიზება ხდებოდეს არა მხოლოდ ერთდროულად, არამედ ურთიერთშეღწევის გზით. რა თქმა უნდა, მოგვიხდება არა მხოლოდ იმის განსაზღვრა, როგორ უნდა იქნეს ამ პრინციპთა ასახვა ჩვენს არქიტექსტში, არამედ იმის განსაზღვრაც, როგორ უნდა მოხდეს მათი ურთიერთშეღწევა.

ბუნებრივია დავიწყეთ იმით, რას უნდა ნიშნავდეს ველის პრინციპი (field principle) ჩვენი არქიტექსტის ფარგლებში. ამ შემთხვევაში კი საჭირო იქნება ითქვას, რომ ველის პრინციპის გამოყენებისას ისე ვეყრდნობით ანალოგიის პრინციპს, როგორც ვიყენებდით სინერგიულობის კონცეპტს, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებით: ველის პრინციპი „გადმოგვაქვს“ არა სხვა დისციპლინიდან, არამედ ჩვენივე დისციპლინის, ლინგვისტიკის სხვა სფეროდან, კერძოდ კი ლექსიკური სემანტიკიდან. ასე რომ, მოცემულ შემთხვევაში არა მხოლოდ კვლავ ვიყენებთ ანალოგიის პრინციპს, არამედ ვამცირებთ კიდევაც დისტანციას კვლევის იმ სფეროსა, სადაც იგი უკვე გამოიყენება და იმ სფეროს შორის, რომლის ფარგლებშიც გვსურს მისი გამოყენება (რა გაგებით „მცირდება“ ეს დისტანცია? იმ გაგებით, რომ ლექსიკური სემანტიკა ისევე ეკუთვნის ლინგვისტიკას, როგორც ტექსტის ლინგვისტური თეორია). ნათქვამიდან გამომდინარე კი – და იმის გათვალისწინებითაც, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ველის პრინციპს ჩვენი არქიტექსტის კონსტრუირებისას – საჭიროა ჯერ გავიხსენოთ, როგორ გამოიყურება ლინგვისტურად გაგებული ველის პრინციპი ზოგადად, შემდეგ კი დავაკონკრეტოთ იგი ისე, როგორც ეს ხდება თანამედროვე ლექსიკურ-სემანტიკურ კვლევაში. ველი როგორც ცნება ლინგვისტურ ენციკლოპედიაში განისაზღვრება შემდეგნაირად: ველი არის ისეთი ენობრივ (ძირითადად ლექსიკურ) ერთეულთა ერთობლიობა, რომლებსაც ერთმანეთთან აკავშირებთ მნიშვნელობათა ერთიანობა... და რომლებიც ასახავენ მინიმუმებულ მოვლენათა კონცეპტუალურ, საგნობრივ და ფუნქციურ მსგავსებას (კუზნეცოვი 1990:380). ციტირებულ სტატიაში ველის ეს განსაზღვრა კონკრეტდება

შემდეგნაირად, რომ ხდება სემანტიკური ველისათვის ისეთი საერთო (ინტეგრალური) სემანტიკური ნიშნის პოსტულირება, რომელიც აერთიანებს ველში შემავალ ყველა ერთეულს. ეს ის სემანტიკური ნიშანია, რომელიც გამოიხატება განზოგადებული მნიშვნელობის მატარებელი ლექსემით (*ibid.*: 380). რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ველის ამგვარი განსაზღვრებიდან, იმ შემთხვევაში, თუ გვსურს შემოვიტანოთ ველის პრინციპი ტექსტის ლინგვისტურ კვლევაში და, რაც მთავარია, გამოვიყენოთ იგი ისეთი საწყისი ტექსტობრივი მოდელის დასახასიათებლად, რომელიც საფუძვლად უნდა ედოს ტექსტობრივ სივრცეს, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენი კვლევისათვის მნიშვნელოვანი ამ ტექსტობრივი სივრცის არქიტექსტის გასაგებად. თუმცა, რა თქმა უნდა, თუ გვსურს ანალოგიის პრინციპზე დაყრდნობით ბოლომდე და ადეკვატურად გამოვიყენოთ ველის კონცეპტი და პრინციპი, აუცილებელია ორი მომენტის გათვალისწინება: ა) უნდა დაკონკრეტდეს ველის როგორც ლექსიკურ-სემანტიკური კონცეპტის თანმხლები ის პრინციპები, რომელთა მეშვეობით ხსენებული ფენომენი კონკრეტულად არსებობს ენის სისტემაში; ბ) მეტი სიზუსტით განისაზღვროს ის ადგილი, რომელიც უნდა ეკავოს ენობრივ სივრცეში ჩვენთვის საინტერესო არქიტექსტს (თუმცა, მიგვაჩნია, რომ ამგვარად გაგებული „ადგილი“ უნდა განისაზღვროს ნებისმიერ არქიტექსტთან მიმართებაში).

დავაკონკრეტოთ ჯერ ზემოთხსენებული პრინციპები და ამ მიზნით მივმართოთ ე. **ჩიგოგიძის** სადისერტაციო ნაშრომს „სიმბოლური ნომინაცია როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და სიმბოლურ-სემანტიკური ველი მხატვრულ ნარატიულ ტექსტში“, სადაც თანამედროვე ლექსიკურ სემანტიკაზე დაყრდნობით დანახული და განსაზღვრულია ეს პრინციპები:

1. „მთლიანობის (ინტეგრალურობის) პრინციპი;
2. სისტემურობის პრინციპი;
3. ურთიერთგანსაზღვრის პრინციპი;
4. სისრულის პრინციპი;
5. ურთიერთგამიჯნულობის პრინციპი;
6. სიცარიელეთა არარსებობის პრინციპი.“ (ჩიგოგიძე 2005:17)

დავუბრუნდებით ყოველივე ამ პრინციპს მაშინ, როცა შევეცდებით განვსაზღვროთ საძებნი არქიტექსტის, როგორც კონსტრუქტის სტრუქტურა, მაგრამ მხოლოდ იმის შემდეგ, როცა გავცემთ პასუხს კითხვას. როგორც ცნობილია, თანამედროვე ლინგვისტიკის თვალსაზრისით **ენა წარმოადგენს დიქტომიურად არსებულ ნიშნობრივ ფენომენს, აღნიშნული დიქტომია კი გულისხმობს, ერთის მხრივ, ენას როგორც სისტემას და, მეორეს მხრივ კი, ენის როგორც სისტემის ისეთ აქტუალიზაციას, რომლის შედეგია დისკურსი და ამ დისკურსის ის საკუთრივ ენობრივი ასპექტი, რომელსაც „ტექსტი“ ეწოდება.** აქედან გამომდინარე ბუნებრივია დავსვათ კითხვა: თუ ცხადია, რომ ყოველი რეალური ტექსტი უნდა განეკუთვნებოდეს ასევე რეალურ დისკურსს, მაშინ დასადგენია, როგორ უნდა განისაზღვროს იმ ფენომენის ადგილი, რომელსაც ჩვენ „არქიტექსტს“ ვუწოდებთ? სხვანაირად რომ ვთქვათ, დიქტომიის პრინციპით ნაგულისხმებ ენის რომელ პოლუსს, ენას როგორც სისტემას, თუ ენას როგორც დისკურსს, უნდა მივაკუთვნოთ ჩვენი (და, როგორც ჩანს, ნებისმიერი) არქიტექსტი? ვფიქრობ, ამ კითხვაზე უკვე წინასწარ და ადეკვატური პასუხის გაცემას შევძლებთ, თუ ხაზგასმით ვისაუბრებთ არქიტექსტზე როგორც კონსტრუქტზე, ხოლო ამ კონსტრუქტის სტრუქტურის განსაზღვრას მივიჩნევთ ყოველი ტექსტობრივი სივრცის კვლევისათვის მნიშვნელოვან ამოცანად. იმისათვის რომ, ამა თუ იმ კონკრეტულ ტექსტს „მივუჩინოთ ადგილი“ კონკრეტულ ტექსტობრივ სივრცეში, აუცილებელია წინასწარ (ჰიპოთეტურად) მოვახდინოთ ამ და სხვა ბევრი ტექსტისთვის ფუძემდებლური არქიტექსტის როგორც კონსტრუქტის მოდელირება. შესაბამისად, მოგვეცემა იმის საშუალება, რომ ნებისმიერ რეალურ ტექსტს მივიჩნევთ ხსენებული კონსტრუქტის აქტუალიზირებულ ვარიანტად.

აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელად და აუცილებლად მიგვაჩნია, რომ მოვახდინოთ არქიტექსტის კონცეპტთან დაკავშირებული შემდეგი თეზისის დეკლარირება: არქიტექსტის კონცეპტი და მოდელი წარმოადგენს აზრობრივ კონსტრუქტს, რომელიც პირდაპირი გაგებით არ ეკუთვნის **არც სისტემას და არც დისკურსს**, ისევე წარმოადგენს ორი ენობრივი რეალობის დამაკავშირებელ აბსტრაქტულ ფორმულას, რომლის საშუალებითაც ხდება ენის როგორც სისტემის

აქტუალიზაცია. დისკურსულ რეალობად კი იქცევა ამა თუ იმ ქანრს და-
ქვემდებარებული რეალური ტექსტი.

როგორც ვხედავთ, ჩვენ შევძელით, ჰიპოთეტურად მაინც, იმ ადგილის განსაზღვრა, რომელიც უნდა ეკავოს საძებნ არქიტექსტს ენის დიქტომიურად სტრუქტურირებულ სივრცეში. მაგრამ აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ჰიპოთეტურობის გარდა ამ განსაზღვრას თან ახლავს ერთი მომენტი. უპასუხოდ რჩება კითხვა იმის თაობაზე, როგორ უნდა იქნეს რეალიზებული მის ფარგლებში ველის თანმხლები ის პრინციპები, რომლებიც ზემოთ იქნა დასახელებული ე. ჩიგოგიძის სადისერტაციო ნაშრომზე დაყრდნობით. სწორედ იმისათვის, რომ პასუხი გავცეთ ამ შეკითხვას, საჭირო ხდება არქიტექსტის პრობლემასთან დაკავშირებული მეორე პრინციპის, ანუ ვექტორულობის პრინციპის განსაზღვრა და დაკონკრეტება.

2.5. ვექტორულობის კონცეპტი როგორც ინტერვიუსთან დაკავშირებული ტექსტობრივი სივრცის არქიტექსტის აგების კონცეპტუალური საფუძველი

როგორც უკვე მოცემული პარაგრაფის დასათაურება გვიჩვენებს, არქიტექსტის კონსტრუირებისას ერთნაირად აუცილებელია როგორც ველის, ისე ვექტორულობის პრინციპის გათვალისწინება. მაგრამ, ბუნებრივია, ისმის კითხვა: როგორ უნდა იქნეს ფორმულირებული ვექტორულობის პრინციპი მოცემულ შემთხვევაში და, რაც მთავარია, როგორ უნდა იქნეს იგი ორგანულად დაკავშირებული ველის პრინციპთან? ვფიქრობთ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა უნდა მოხდეს ეტაპობრივად, ანუ ყველა იმ თეორიული და მეთოდოლოგიური დონის გათვალისწინებით, რომლის გარეშე ვერ მოხდებოდა ხსენებული პრინციპის (ვექტორულობის პრინციპის) დაკონკრეტება ჩვენს კვლევით კონტექსტში. განვიხილოთ ყველა ეს დონე თანმიმდევრულად:

ა) ზემოთ როცა ვახდენდით ანალოგიის პრინციპის რეალიზაციას, მოგვიხდა იმის აღნიშვნა, როგორ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან ანალოგიის პრინციპის რეალიზაციის უკვე მოცემული ორი შემთხვევა. პირველ შემთხვევაში მივმართეთ არა ლინგვისტიკას, არამედ ლიტერატურათმცოდნეობას, ე.ი.

შემოვიტანეთ სინერგიული პარადიგმა „გარედან“, ლიტერატურათმცოდნეობიდან, იმაზე დაყრდნობით, რომ ამ მეცნიერულ დისციპლინაშიც საქმე გვქონდა, ისევე როგორ ლინგვისტიკაში, ტექსტობრიობის ფენომენტთან. მეორე შემთხვევაში კი, კვლავ ანალოგიის პრინციპზე დაყრდნობით, ჩვენთვის საჭირო ფენომენი და კონცეპტი არ შემოგვიტანია „გარედან“ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით - იგი შემოვიტანეთ ლინგვისტიკიდანვე, თუმცა ამ დისციპლინის ისეთი სფეროდან, რომელიც შინაარსობრივად არ ემთხვევა ჩვენი კვლევის უშუალო სფეროს, ანუ ტექსტობრიობას. მაგრამ, იქედან გამომდინარე, რომ კვლავ, უკვე მესამედ, მოგვიხდება ანალოგიის პრინციპის გამოყენება, საჭიროა უკვე ექსპლიციტურად განისაზღვროს ანალოგიის პრინციპის თანმიმდევრული გამოყენების პარადიგმული საფუძველიც, ეს საფუძველი კი, ჩვენის აზრით, გამოიყურება შემდეგნაირად:

1. რაც შეეხება ანალოგიის პრინციპის პირველ გამოყენებას, მას საფუძვლად დაედო ტექსტობრიობის, კვლევის კომუნიკაციურად ორიენტირებული ზოგადჰუმანიტარული პარადიგმა;

2. რაც შეეხება იგივე პრინციპის გამოყენების მეორე შემთხვევას, იგი ზოგადი სახით მაინც ინარჩუნებს მნიშვნელობას, მაგრამ იგი მაინც „ჩრდილში“ ექცევა შემდეგი გარემოების გამო: ველის კონცეპტი და პრინციპი, რომელსაც ჩვენ მივმართეთ, გამოყენებითა და „მოქმედებით“ მიეკუთვნება უკვე თანამედროვე ლინგვისტიკის ისეთ კონკრეტულ პარადიგმას, როგორცაა სისტემური პარადიგმა. უკვე ვნახეთ, რომ თავისი თავდაპირველი ფუნქციით ველის პრინციპი არეგულირებს ლექსიკურ სემანტიკას, ანუ ენობრივი სისტემის ერთ-ერთ ქვესისტემას. აქედან გამომდინარე კი, უფრო ნათელი ხდება ანალოგიის პრინციპის გამოყენების პარადიგმული მნიშვნელობაც. ჩვენს კვლევით კონტექსტში საქმე გვაქვს არა საკუთრივ სისტემურ პარადიგმასთან, არამედ ისეთი ორი პარადიგმის ერთიანობასთან, როგორცაა, კომუნიკაციური და ლინგვოკულტუროლოგიური. კომუნიკაციური პარადიგმა იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს თავად ტექსტობრიობა როგორც საკვლევი ფენომენი (სულ ერთია, ვიმსჯელებთ ტექსტობრივ სივრცეზე, არქიტექსტზე თუ ტექსტთა

ტიპოლოგიზაციაზე). და საქმე გვექონდა ასევე ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმასთან, რადგან ჩვენი კვლევის უშუალო ობიექტი (ინტერვიუს ტექსტობრივი სივრცე) ერთნაირად მიეკუთვნოდა როგორ ენობრივ, ისე კულტურულ რეალობას. შესაბამისად აუცილებელი ხდება იმის განსაზღვრაც, რა სახე უნდა მიიღოს ანალოგიის პრინციპის გამოყენების შემდეგმა (რიგით მესამე) შემთხვევამ, როცა საჭირო ხდება გადაიჭრას მომდევნო ამოცანა, კერძოდ მოვახდინოთ იმის ფორმულირება, როგორ უნდა გამოიყურებოდეს ვექტორულობის პრინციპის მიხედვით სამეზბნი არქიტექსტი.

ბ) სანამ დავაკონკრეტებთ იმას, როგორ უნდა მოხდეს ვექტორულობის პრინციპის მიხედვით სამეზბნი არქიტექსტის კონსტრუირება, აუცილებელია აღინიშნოს შემდეგი, რომ, ამ შემთხვევაშიც მოგვიხდება ანალოგიის პრინციპის გამოყენება, მაგრამ შემდეგი განსხვავებით: თუ წინა შემთხვევაში ველის პრინციპი გადმოვიტანეთ ისეთ ამ პრინციპისათვის „უცხო“ ენობრივ სფეროში, როგორცაა ტექსტობრიობის სფერო, მოცემულ შემთხვევაში, ანუ როცა საქმე გვაქვს ვექტორულობის პრინციპთან, უნდა აღინიშნოს შემდეგი ახალი გარემოება, კერძოდ ვექტორი როგორც კონცეპტი და ვექტორულობის პრინციპი, რომელიც ფართოდ გამოიყენება ბუნებისმეტყველებაში და ეს გამოყენება ხდება არა მხოლოდ შინაარსობრივად, არამედ ნომინაციურადაც. მაგრამ, თავად ლინგვისტიკაში არ ხდება ვექტორულობაზე მსჯელობა საკუთრივ ნომინაციური თვალსაზრისით, თუმცა ეს სრულიად არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ შინაარსობრივადაც არ გვექონდეს საქმე ამ პრინციპის გამოყენებასთან. ამ შემთხვევაში ასევე საჭიროა იგი განისაზღვროს შინაარსობრივადაც და ნომინაციურადაც, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული ვექტორულობის პრინციპი ჩვენი სამეზბნი არქიტექსტის კონსტრუირებისას.

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ ის მეთოდური ხერხი, რომელსაც ვიყენებდით ჩვენთვის საჭირო არქიტექსტის ადეკვატური მოდელირებისათვის, ანუ ანალოგიის პრინციპის მეთოდის გამოყენება, ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით: პირველ შემთხვევაში ჩვენთვის აუცილებელი კონცეპტუალური კომპლექსი შემოვიტანეთ „გარედან“ ანუ

ლიტერატურათმცოდნეობიდან, მეორე შემთხვევაში კი – უკვე არა „გარედან“, არამედ თანამედროვე ლინგვისტიკის ისეთ ქრონოლოგიურად პირველი პარადიგმიდან, როგორცაა სისტემური პარადიგმა. როგორც ვხედავთ, სახეუა ანალოგიის პრინციპით გამოყენებულ კონცეპტთა მიახლოება ჩვენი კვლევის კონტექსტთან. მოცემულ მესამე შემთხვევაში კი ხსენებული მიახლოება მიგვიყვანს შედეგთან. იმისათვის, რომ „მოვუნახოთ ადგილი“ ვექტორულობის პრინციპს საძებნი არქიტექსტის სტრუქტურაში, მოგვიხდება დავეყრდნოთ იმავე ლინგვისტურ პარადიგმას, რომელიც უკვე იყო ნახსენები მაშინ, როცა საუბარი გვქონდა გადმოტანილი კონცეპტის (ველის) „მიმღებ“ სფეროზე, ანუ ტექსტობრიობის სფეროზე. ყოველივე ეს კი უნდა ნიშნავდეს, რომ ტექსტობრიობის სფეროს თანამედროვე ლინგვისტური კვლევიდან უნდა გადმოვიტანოთ ისეთი კონცეპტი (თუ კონცეპტუალური კომპლექსი), რომელიც ექსპლიციტურად თუ არა, იმპლიციტურად მაინც უპასუხებს კითხვას იმის თაობაზე, თუ, როგორც ზემოთ ითქვა, რა ადგილი უნდა მივუჩინოთ ვექტორულობის პრინციპს საძებნი არქიტექსტის კონსტრუირებისას.

იმისათვის რომ გავცეთ პასუხი ბოლო აბზაცში დასმულ კითხვას, უნდა მივმართოთ ტექსტის ლინგვისტური თეორიის ისეთ კონცეპტს, როგორცაა **ტექსტობრივი ბადის** კონცეპტი. სანამ განვსაზღვრავდეთ უშუალოდ აღნიშნულ კონცეპტს, საჭიროდ მიგვაჩნია ხაზი გავუსვათ ჩვენს მიერ მისი გამოყენების შემდეგ სამ მომენტს:

1. როგორც ითქვა, ჩვენ ვეყრდნობით ხსენებული კონცეპტის შინაარსში იმპლიციტურად მოცემულ დინამიურობას, ანუ, შესაბამისად, **ვექტორულობის მომენტი**. თუმცა, რა თქმა უნდა, აუციებლად მიგვაჩნია ამ იმპლიციტურობის **ექსპლიკაცია**.

2. მეორე მომენტი კი მდგომარეობს შემდეგში: როგორც „ველის“ შემთხვევაში, ისე ახლაც საჭირო იქნება საძებნი არქიტექსტის „ლოკალიზაცია“ ტექსტობრიობის აბსტრაქტულ სფეროსა და ტექსტობრიობისვე რეალურ სფეროს შორის. სხვანაირად რომ ვთქვათ, საქმე უნდა გვქონდეს ისეთ კონცეპტთან, რომელიც

ერთნაირად შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც არქიტექსტის, ისე ნებისმიერი რეალური ტექსტის დასახასიათებლად.

3. ამავე დროს, აუცილებლად მიგვაჩნია იმ მეთოდური პირობის „შესრულებაც“, რომელზეც ზემოთ გვექონდა საუბარი: რქიტექსტის კონსტრუირებისას შესალებელი უნდა იყოს იმ ორი პრინციპის შერწყმა, რომლებიც ერთად ფიგურირებენ მოცემული პარაგრაფის სათაურში – საუბარია ველისა და ვექტორულობის პრინციპებზე.

მაგრამ, ბუნებრივია, კვლავაც საქმე გვაქვს - და ეს ამ შემთხვევაში გადამწყვეტია - ანალოგიის პრინციპის გამოყენებასთან. საქმე ისაა, რომ აღნიშნული კონცეპტი – ტექსტობრივი ბადე – წამოდგენილია ა. ნოზდრინას მონოგრაფიაში „გრამატიკულ კატეგორიათა ტიპოლოგია“, რომელშიც ავტორის მიზანია გვიჩვენოს „გრამატიკულ კატეგორიათა როლი ტექსტის სტრუქტურაში“ (ნოზდრინა 2004.:6). შეიძლება ითქვას, რომ კვლევითი მიზნის ამგვარი დაკონკრეტებით უკვე ვხედავთ მსგავსებას იმასთან, რასაც ვგულისხმობდით ველის კონცეპტის გამოყენებისას. ჩვენ მივუჩინეთ, ჯერ კიდევ ჰიპოთეტურად, ადგილი ისეთ კონცეპტუალურ კომპლექსს, რომელიც თავიდანვე არ ყოფილა ჩაფიქრებული ტექსტობრიობის დასახასიათებლად. ამ შემთხვევაში, კი როგორც ვხედავთ, საქმე ეხება ისეთ ფენომენტა გადმოტანას ტექსტობრიობის სფეროში, რომლებიც ზოგადად მუდამ განიხილებოდნენ ამ სფეროს გარეშე. საუბარია გრამატიკულ კატეგორიებზე. იმისათვის, რომ ბოლომდე გასაგები იყოს მთელი ჩვენი შემდგომი მსჯელობის კონტექსტი, დავასახელებთ ამ კატეგორიებსაც. ავტორის სიტყვით ყურადღების ცენტრში ექცევა ოთხი გრამატიკული კატეგორია. დროის, კილოს, პირის და განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობის. ყოველი გრამატიკული კატეგორია განიხილება როგორც ტექსტის შესაბამისი სტრუქტურის შექმნის ძირითადი საშუალება: გრამატიკული დრო როგორც ტექსტის ტემპორალური სტრუქტურის, კილო – როგორც მოდალური სტრუქტურის, პირი – პერსონალური სტრუქტურის და განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობა – როგორც ტექსტის რეფერენტული სტრუქტურის შექმნის ძირითადი საშუალება (ibid.: 6).

რატომ არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი ზემოთ მოყვანილი ციტატა? იმიტომ, რომ, კვლავაც ანალოგიის პრინციპზე დაყრდნობით ჩვენც უნდა განვახორციელოთ შემდეგი აზრობრივი ოპერაცია: გადმოვიტანოთ ტექსტის (პირველ რიგში არქიტექსტის) სტრუქტურაში ის კონცეპტუალური კომპლექსები, რომლებიც აქამდე უკვე ფიგურირებდნენ ჩვენს მსჯელობაში, მაგრამ ტექსტის სტრუქტურაში მათი ლოკალიზაციის გარეშე (ვგულისხმობთ ყოველგვ იმას, რაც აქამდე უკავშირდებოდა სინერგიულობას და მისით ნაგულისხმებ კონცეპტუალურ დიადას – სტრუქტურისა და ენერჯის კონცეპტების სახით).

იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ზემოთ ფორმულირებულ ამოცანათა შესრულება, საჭიროა გავცეთ პასუხი შემდეგ კითხვებს:

ა) როგორ წარმოუდგენია ტექსტობრივი ბადის კონცეპტის ავტორს ის ურთიერთმიმართება, რომელიც უნდა არსებობდეს ენობრივი სისტემის გრამატიკულ სტრუქტურასა და იმ ტექსტის სტრუქტურას შორის, რომლის „ბადესთანაც“ გვაქვს საქმე?

ბ) როგორ წარმოუდგენია ავტორს გრამატიკულ კატეგორიათა ის სისტემები, რომელთა აქტუალიზაციაც გვაძლევს ტექსტის შესაბამის ბადეს?

სამეზნი არქიტექსტის კონსტრუირებისათვის კი ჩვენთვის ერთნაირად აუცილებელია როგორც ველის, ისე ვექტორულობის პრინციპები (ლევინსონი 1997). ბუნებრივია, ბადის კონცეფციის ავტორი საერთოდ არ ლაპარაკობს ვექტორულობაზე (და ვერც ილაპარაკებს, რადგან როგორც უკვე ვიცით, ვექტორულობა გულისხმობს იმ ენერჯიათა მიმართულებას ტექსტში, რომელზეც მსჯელობა შეუძლებელი იქნებოდა სინერგიულობის ფენომენის გათვალისწინების გარეშე). მაგრამ, სამაგიეროდ, იგი ლაპარაკობს ველზე, როგორც ისეთ ენობრივ მოვლენაზე, რომლის გარეშეც ვერ შეიქმნებოდა თვით ტექსტობრივი ბადე. მაგრამ ეს სწორედ ის მომენტია, რომელიც გვიქმნის იმის საფუძველს, რომ შევიტანოთ კორექტივი ხსენებულ კონცეფციაში. ეს კორექტივი მდგომარეობს შემდეგში:

როგორც ვიცით, ა. ნოზდრინას მიხედვით ტექსტობრივი ბადე იქმნებოდა შესაბამის ენობრივ კატეგორიათა ტექსტში აქტუალიზაციის გზით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს კატეგორიები მთლიანად ეკუთვნის ენობრივ სისტემას, ტექსტში

კი ხდება მათი აქტუალიზაცია. იმისათვის, რომ ბოლომდე გასაგები იყოს აღნიშნულ კატეგორიათა და ტექსტს შორის ამგვარი ურთიერთმიმართება, უნდა გავიხსენოთ ის ოთხი კატეგორია რომელზეც საურობს ავტორი და სისტემაში წარმოდგენილი არის შესაბამისი ფუნქციურ-სემანტიკური ველების სახით. ასე მაგალითად, ტემპორალურობის კატეგორია (უფრო სწორად კი ტემპორალურობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია) არსებობს სისტემაში ტემპორალურობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის სახით და სწორედ ეს ველი გარდაიქმნება ტექსტში შესაბამის ტექსტობრივ ბადედ. მაგრამ ისმის კითხვა, რომელზეც, ჩვენის აზრით, უნდა გაიცეს პასუხი: საკმარისია თუ არა სისტემის ფარგლებში ფუნქციურ-სემანტიკურ ველთა არსებობა იმისათვის, რომ ტექსტში შექმნან შესაბამისი ბადეები? ხომ არ გამოიყურება ამ შემთხვევაში უკიდურესად აბსტრაქტულად (შეიძლება ითქვას „გაყინულად“) სისტემისა და ტექსტის ურთიერთმიმართება ამ კონცეფციაში? სხვანაირად რომ ვთქვათ, აქ საუბარია ტექსტის ისეთ ასპექტზე როგორცაა სტრუქტურა, მაგრამ არაფერია ნათქვამი ისეთ მეორე აუცილებელ ასპექტზე, როგორცაა ენერგია. ჩვენ უკვე ვიცით ის, რაც შემოიტანა ტექსტის ზოგად თეორიაში (ანუ ისეთ თეორიაში, რომელიც გულისხმობს ნებისმიერი ჟანრის ტექსტს) სინერგიულმა პარადიგმამ: ნებისმიერი სტრუქტურის მიღმა „დას“ (და უნდა იდგეს) გარკვეული ვექტორის მქონე ენერგია. ეს კი მოცემულ კონტექსტში ნიშნავს რომ, თუ გვსურს შევინარჩუნოთ ტექსტობრივი ბადის ცნება და გამოვიყენოთ იგი საძებნი არქიტექტურის კონსტრუირებისას, საჭიროა ყოველი ტექსტობრივი ბადე მივიჩნიოთ არა მხოლოდ სისტემაში არსებულ სტრუქტურათა აქტუალიზაციის, არამედ ასევე შესაბამის დისკურში მონაწილე სუბიექტთა ენერგიის (ენერგიათა) აქტუალიზაციის შედეგად („პროდუქტად“). შეგვიძლია ვთქვათ, ლინგვისტიკის განვითარების მოცემულ ეტაპზე, ტექსტობრივ ბადეთა კონცეფცია შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს მხოლოდ ერთ შემთხვევაში, თუ იგი დაეფუძნება სინერგიულობის პარადიგმასაც.

მაგრამ, ასევე ისმის კითხვა: მართალია, აქამდე (ანუ იმ მომენტამდე, როცა ზოგადად ჰუმანიტარული, კერძოდ კი ლინგვისტურ აზროვნებაში შემოიჭრა ინტერტექსტუალურობისა და სინერგიულობის კონცეპტუალური „ტანდემი“),

ველის პრინციპის მოქმედების არეალად მიჩნეული იყო მხოლოდ და მხოლოდ ველების სახით სტრუქტურირებული ენობრივი სისტემა. მაგრამ როგორ უნდა იქნეს წარმოდგენილი ველის პრინციპის მოქმედების არეალი იმ შემთხვევაში, თუკი ვსაუბრობთ მთელი გარკვეული ტექსტობრივი სივრცისათვის ფუძემდებლურ არქიტექსტზე? როგორც, ალბათ, დავრწმუნდებით, საძებნი არქიტექსტი ადეკვატურად სტრუქტურირებული იქნება ერთ შემთხვევაში, თუ მის ერთიან სტრუქტურაში (ერთიან ბადეში) მთლიანად იქნება გათვალისწინებული ამ სტრუქტურაში შემავალი ყველა ცალკეული სტრუქტურა. მაგრამ როგორ უნდა იქნეს ამ ცალკეულ სტრუქტურათა „განაწილება“ ამ ერთიან სტრუქტურში? შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ ამ კითხვაზე პასუხი გაცემულ იქნეს ველის პრინციპზე დაყრდნობის გარეშე. მხოლოდ ამ პრინციპს ძალუმს დაგვანახოს როგორ ხდება ამა თუ იმ ერთიანი სტრუქტურის ფარგლებში სხვადასხვა სტრუქტურულ კომპონენტთა განლაგება და განაწილება. როგორ ცნობილია, ნებისმიერი ველი არსებობს და ფუნქციობს ცენტრისა და პერიფერიის ურთიერთმიმართების საფუძველზე. ყოველივე აღნიშნულის შედეგად კი შეიძლება უკვე ითქვას, რომ როცა საუბარია არა ამა თუ იმ რეალურ ტექსტზე, არამედ არქიტექსტზე როგორც სისტემურ და ტექსტობრივ, ანუ განსხვავებულ ენობრივ არეალთა დამაკავშირებელ ფენომენზე, ვერ ავიღებთ ხელს ველის პრინციპზე და, შესაბამისად, აუცილებლად მივიჩნევთ, მოვახდინოთ ორი პრინციპის – ველისა და ვექტორულობის პრინციპთა – სინთეზი.

მაგრამ როგორ უნდა იქნეს განხორციელებული ზემოთ ნახსენები ეს სინთეზი? როცა ამ კითხვას ვსვამთ, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: ამგვარი სინთეზი (თუ, რა თქმა უნდა, იგი განხორციელდება) უნდა წარმოადგენდეს ჩვენი კვლევის მომენტს შემდეგი თვალსაზრისით: ჩვენს ძირითად მიზნად კვლავაც რჩება იმის ჩვენება, რა როლს ასრულებს ინტერტექსტუალურობის კონცეპტი და თეორია იმ ტექსტობრივი სივრცის არსებობა-ფუნქციობაში, რომელიც ჟანრობრივი თვალსაზრისით ექვემდებარება ინტერვიუს როგორც ჟურნალისტურ ჟანრს. მაგრამ უკვე ჩატარებულმა კვლევამ ნათლად დაგვანახა პარადიგმული სიტუაციის მთელი სირთულე: რა დიდი მნიშვნელობაც არ უნდა ჰქონდეს

ინტერტექსტუალურობის კვლევით პარადიგმას, ცხადი ხდება, რომ თავად ეს პარადიგმა არსებითადაა დამოკიდებული სინერგიულობის პარადიგმაზე. თვით სინერგიულობის პარადიგმა კი მოითხოვს დაფუძნებას ანთროპოცენტრიზმზე, როგორც მთელი ჰუმანიტარული აზროვნებისთვის ფუძემდებელ პრინციპზე დაყრდნობით.

წინა პარაგრაფებში უკვე გვეხსენება იმის თაობაზე, როგორ გამოიყურება დღეისათვის ჩვენს კვლევასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური სიტუაცია. ამ სიტუაციის ფარგლებში ერთიმეორეს თითქოსდა უპირისპირდება ორი მეთოდოლოგიური კომპლექსი – **ინტერდისციპლინარულობა და ინტერპარადიგმულობა**. ჩვენთვის კი, ბუნებრივია, მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, რამდენად ინარჩუნებს მოცემულ სიტუაციაში „ინტერტექსტუალურობა“ ამ ტერმინისთვის უკვე ტრადიციულად ქცეულ ინტერპრეტაციას, რომლის თანახმადაც ყოველი ტექსტი არის ინტერტექსტი, ანუ პრეცედენტულად არსებული ტექსტების ციტირება. როგორც ვხედავთ, ნებისმიერი ტექსტის ამგვარი (ანუ ტრადიციული) ინტერტექსტუალური გაგება გულისხმობს პირველ რიგში იმას, რომ ტექსტები თითქოსდა „მისდევნ“ ერთმანეთს დროში და დროში ამგვარი ურთიერთმიდევნება ქმნის მთელი ურთიერთციტირების საფუძველს. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ტექსტობრიობისათვის რელევანტურ დროის წმინდა **ჰორიზონტალურ** ხედვასთან. ამგვარ დროს (ტექსტობრიობისთვის რელევანტურს) არაფერი აფუძნებს თავად ტექსტთან ამ ურთიერთმიდევნების გარდა. ბუნებრივია, ჩვენ თავიდანვე დავეყრდნით ინტერტექსტუალურობის იმ „ვარიანტს“, რომელიც გულისხმობს ამ ფენომენის არა „ფართო“, არამედ „ვიწრო“ გაგებას: ყოველი ტექსტი უნდა ეკუთვნოდეს ამა თუ იმ ჟანრისადმი დაქვემდებარებულ ტექსტთა ერთობლიობას. მაგრამ, სწორედ ამ შემთხვევაში აუცილებელი ხდება იმის დადგენა, რა (ანუ როგორი აზრობრივი კატეგორიის ინსტანცია) განსაზღვრავს ტექსტსა და ჟანრს შორის ამგვარ ურთიერთდამოკიდებულებას. იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი კითხვა არ დაისმის, უნდა ვიფიქროთ, რომ ნებისმიერი ჟანრი უშუალოდ და პირდაპირ, ყოველგვარი მისგან კატეგორიალურად განსხვავებული ფენომენის „ჩარევის

გარეშე“ თავად იქმნის თავისთვის ტექსტთა ამგვარ ერთობლიობას. ამ შემთხვევაში აუცილებელი იქნებოდა დავსვათ შემდეგი კითხვები:

1. ხომ არ ნიშნავს ამგვარი ხედვა ჟანრობრივ და ტექსტობრივ რეალობათა შორის საზღვის წაშლას?

2. ხომ არ ვუშვებთ, რომ ამ შემთხვევაში ტექსტობრიობისათვის რელევანტურ დროს აქვს მხოლოდ ჰორიზონტალური, ე.ი. ყოველგვარ ვერტიკალურობას მოკლებული განზომილება?

თუ არა მხოლოდ დავუშვებთ, არამედ ვიგულისხმებთ კიდევაც, რომ დროში უნდა არსებობდეს ამგვარი ვერტიკალური ინსტანცია, მაშინ ეს ინსტანცია უნდა პასუხობდეს შემდეგ სამ პრინციპულ მოთხოვნას:

1. იგი უნდა ატარებდეს **ტექსტობრივ** ხასიათს და თანაც ისეთ ხასიათს, რომ უნდა შეეძლოს შეასრულოს შუა როლი შემდეგ სამ ფენომენს შორის: ა) **ჟანრი** (იმდენად, რამდენადაც ტექსტი უნდა ასრულებს მისგან მომდინარე მოთხოვნებს); ბ) **ენობრივი სისტემა**, რადგან მისი აქტუალიზაციის გარეშე ერთნაირად შეუძლებელი იქნებოდა როგორც ჟანრი, ისე ტექსტი; გ) და ბოლოს რეალურ, ანუ კონკრეტულ ტექსტთა ის ერთობლიობა, ანუ ის **ტექსტობრივი სივრცე**, რომელიც იქმნება დროში, ჟანრისა და ენობრივი სისტემების ურთიერთმოქმედების შედეგად;

2. ხსენებული ვერტიკალური ინსტანცია უნდა წარმოადგენდეს **ტექსტობრივ** ფენომენს, რადგან შეუძლებელი იქნებოდა, რომ სხვა სახის ფენომენს შეესრულებინა ერთდროულად ყველა ის როლი, რომლებსაც ხაზი გაესვა ზემოთ ფორმულირებული მოთხოვნების ფარგლებში. მაგრამ, ამავე დროს, საქმე უნდა ეხებოდეს ტექსტობრიობის ისეთ ტიპს, რომელიც თამამად შეიძლება ამის თქმა: ხსენებული (ვერტიკალური) ინსტანცია ჯერ კიდევ არ ფიგურირებდა არც ენობრივი სისტემის დონეებრივი სტრუქტურის და არც საკუთრივ ტექსტის როგორც კომუნიკაციური ფენომენის განხილვისას. პირველი თვალსაზრისით, ანუ როცა აქცენტს ვაკეთებდით (და ვაკეთებთ) ტექსტის როგორც უმაღლესი დონის ენობრივ ერთეულზე, ხაზი გაესმოდა, როგორც წესი, ტექსტის უნარს მოახდინოს “თავის თავში” ყველა მისგან განსხვავებული ენობრივი ერთეულის ინტეგრირება; მეორე შემთხვევაში კი, ე.ი. მაშინ, როცა საქმე გვაქვს ტექსტთან როგორც დისკურსის თანმხლებ კომუნიკაციურ

ერთეულთან, განიხილება, როგორც წესი, ტექსტის შინაგანი **კოჰეზიურობა**. მაგრამ ცხადია, რომ მიუხედავად ყოველი ზემოთ ხსენებული მომენტის უაღრესად დიდი მნიშვნელობისა, მათ არ შეუძლიათ შეასრულონ ჩვენი კვლევითი კონტექსტისათვის გადამწყვეტი დანიშნულება. ეს უნდა იყოს ისეთი ტექსტობრივი რეალობა, რომელიც შეასრულებს ერთდროულად ორ მოთხოვნას – იქნება **დროითი ვერტიკალი** იმ გაგებით, რომ მას უნდა დაქვემდებარებოდა მოცემულ ტექსტობრივ სივრცეში ყოველი ტექსტი და ამავე დროს შეასრულებდა **დროითი ჰორიზონტალის** როლსაც იმ თვალსაზრისით, რომ ყოველი ასეთი ტექსტი გარკვეული გაგებით მართლაც მოახდენდა ხსენებულ ჰორიზონტალში მოქცეული ტექსტების ციტირებას. როგორც ვხედავთ, საქმე ეხება სწორედ ინტერტექსტუალურობას, როგორც პარადიგმულ პრინციპს, თუმცა უკვე არქიტექსტის ფენომენტთან მჭიდრო და ორგანულ კავშირში;

3. უნდა აღინიშნოს ისიც, რაც, ასევე ახალია ინტერტექსტუალურობის როგორც კვლევითი პარადიგმის განხილვის თვალსაზრისით. გარდა იმისა, რომ ამ პარადიგმას არსებითად ვუკავშირებთ არქიტექსტის კონცეპტს, ასევე აუცილებელია ამგვარად აღქმული არქიტექსტის დაკავშირება ველისა და ვექტორულობის უკვე ცნობილ პრიციპებთან.

შესაბამისად, უკვე შეიძლება დაისვას კითხვა: როგორ უნდა მოხდეს არქიტექსტის ფარგლებში მოხსენიებული ორი პრინციპის ისეთი დაკავშირება, რომ თავად არქიტექსტმა შეძლოს ზემოთ ფორმულირებულ მოთხოვნათა სრულად შესრულება? ჩვენ უკვე გვექონდა ამ თვალსაზრისით მსჯელობა ველის პრინციპზე და ამავე დროს შევეხეთ ტექსტობრივი ბადის კონცეპტს იმ მიზნით, რომ წარმოგვედგინა ვექტორულობის პრინციპიც, შემდეგ კი მოგვეხდინა ამ ორი პრინციპის ისეთი სინთეზი, რომლის შედეგადაც მივიღებდით თვით არქიტექსტის კონცეპტსა და მოდელს მთელი შესაძლო სისრულით. ამავე დროს აღინიშნა ისიც, რომ კვლავაც ვეყრდნობით **ანალოგიის პრინციპს**, თუმცა ამჯერად უშუალო მნიშვნელობის მქონე ფენომენტთან მაქსიმალურ კავშირში: მართალია, ტექსტობრივი ბადის კონცეპტი არ ყოფილა შემოტანილი არქიტექსტის კონცეპტთან კავშირში, მაგრამ შეუძლებელია იმის იგნორირება, რომ იგი (ტექსტობრივი ბადე) უშუალოდ უკავშირდება ტექსტობრიობის ფენომენტს. სწორედ აღნიშნულის გამართლებისა და დაკონკრეტების მიზნით გვსურს

შევხვით იმას, როგორი უნდა იყოს ტექსტობრივი ბადის სტრუქტურა ამა თუ იმ კონკრეტულ ტექსტში (იმის საპირწონედ, რაც უკვე ითქვა ენობრივ სისტემაში ამა თუ იმ ველის სტრუქტურაზე).

ტექსტობრივი ბადის კონცეპტის ავტორის მიხედვით ტექსტობრივ ბადეს ამა თუ იმ ტექსტში უნდა ჰქონდეს შემდეგი ოთხი ძირითადი პარამეტრი:

1. **ბადის შემადგენლობა**, ანუ ის ენობრივი ერთეულები, რომლებიც მას შეადგენენ...
2. **ბადის სურათი**, – (рисунок сетки) ე.ი. იმის გრაფიკული გამოხატვა, როგორ ხდება ბადის შიგნით გადასვლა ერთი ფორმიდან მეორეში. . .
3. **გადასვლათა რიტმი**, ე.ი. ფორმიდან ფორმაში გადასვლის კანონზომიერება. . .
4. **ბადის განპირობებულობა** ე.ი. მის მახასიათებელთა კავშირი ტექსტის პრაგმატიკასთან, მის ჟანრობრივ თვისებებთან. (ნოზდრინა 2004: 53).

ტექსტობრივი ბადის ზემოთ წარმოდგენილ კონცეფციასთან დაკავშირებით აუცილებელია აღინიშნოს შემდეგი:

ა) არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რაც საფუძვლად დაედო ველისა და ბადის კონცეპტთა განხილვას. ამ კონცეპტებზე დაყრდნობით გვსურს გამოვხატოთ საძებნი არქიტექსტის ის ორი ასპექტი (უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა - ორი განზომილება), რომლებმაც უნდა შეითავსონ არქიტექსტის მიმართება სტრუქტურასა და ენერგიასთან ნებისმიერი ტექსტის იმ ორ განზომილებასთან, რომელთაგან ერთი უნდა ეფუძნებოდეს ინტერტექსტუალურობას, მეორე კი სინერგიულობის პრინციპს. რა თქმა უნდა, აუცილებელია იმის უფრო გაღრმავებულად თქმა, თუ როგორ ხდება ზოგადად ტექსტში, პირველ რიგში კი არქიტექსტში სტრუქტურულობისა და ენერგიულობის მომენტთა ამგვარი განაწილება. შესაბამისად ისმის კითხვა: როგორ უნდა იქნეს წარმოდგენილი ის შედარებით უფრო ფართო ტექსტობრივი სინამდვილე, რომელიც მოგვცემდა სტრუქტურულობისა და ენერგიულობის მომენტთა ადეკვატურად შერწყმის საშუალებას?;

ბ) შემდეგი პარაგრაფი, ბუნებრივია, უნდა დაეთმოს სწორედ იმ ფართო ტექსტობრივ სინამდვილეს – უფრო სწორად კი ამ სინამდვილის კონცეპტუალურ

ასპექტს, რომელმაც უნდა “შემოგვაბრუნოს” ზემოთ ხსენებულის შესასრულებლად. მაგრამ, სანამ ჩვენი კვლევის ამ ეტაპზე გადავიდოდეთ, გვსურს გამოვხატოთ მოსაზრება „ბადის იმ პარამეტრებთან“ დაკავშირებით, რომლებიც წარმოდგენილი აქვს ჩვენს მიერ ციტირებულ ავტორს. ეს მოსაზრება ჟღერს შემდეგნაირად: ამ პარამეტრთა ფარგლებში არსებობს პრინციპული განსხვავება, ერთის მხრივ, პირველ სამ პარამეტრსა, მეორეს მხრივ კი – ბოლო, ანუ მეოთხე პარამეტრს შორის. ეს სწორედ ის განსხვავებაა, რომელიც შეიძლება დაფუძავშიროთ ტექსტის სტრუქტურულობასა და ენერგიულობას შორის არსებულ განსხვავებას. უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, ხსენებული პრინციპული განსხვავება მდგომარეობს შემდეგში: პირველი სამი პარამეტრი მათი ურთიერთმიმართების თვალსაზრისით ატარებს სტრუქტურულ ხასიათს მიუხედავად იმისა, გამოხატავენ ისინი ტექსტის სტატიკასა თუ დინამიკას. რაც შეეხება მეოთხე პარამეტრს, აუცილებელია, გამოიყოს ორი შემდეგი შინაარსობრივი მომენტი: იგი უკავშირდება „ტექსტის პრაგმატიკას“ და ამავე დროს მის „ჟანრობრივ თვისებებს“. ვფიქრობთ, არ არის საკმარისი იმის უბრალოდ ხაზგასმა, რომ ეს შინაარსობრივი მომენტები უკვე უქმნის ამ პარამეტრს ტერმინოლოგიურ და, შესაბამისად, კონცეპტუალურ თავისებურებას. ტექსტი პრაგმატიკის ხსენება პირდაპირ მიუთითებს იმ სუბიექტებზე, რომლებიც მონაწილეობენ ტექსტის წარმომშობ დისკურსში, რაც უნდა ნიშნავდეს იმ ენერგიის წარმომშობ წყაროზე მითითებასაც, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა თვით ტექსტის არსებობა და ფუნქციობაც. თუმცა ამის თქმით ჩვენ მივუთითებთ ტექსტის ენერგიულობის ისეთ წყაროზე, რომელიც აუცილებლად უნდა არსებობდეს ნებისმიერი ტექსტის შემთხვევაში. მაგრამ საქმე სწორედ ისაა, რომ ხსენებული პარამეტრი ეხება ტექსტის „ჟანრობრივ თვისებებსაც“, რაც უკვე აღრმავებს და აფართოვებს ხსენებულ პრაგმატიკას.

რა თქმა უნდა, ყოველივე ზემოთ ნათქვამი მხოლოდ მაშინ შეიძენს ჭეშმარიტ, ანუ არქიტექსტის პრობლემასთან დაკავშირებულ მნიშვნელობას, თუ შესრულდება ნახსენები ამოცანა, ე.ი. თუ მოიძებნება ის ფართო კონცეპტუალური საფუძველი, რომლის გათვალისწინებითაც მოხდება ინტერტექსტუალურობისა და

სინერგიულობის (შესაბამისად კი – ველისა და ვექტორულობის) პრინციპთა რეალური სინთეზი არქიტექსტის დონეზე.

მიმდინარე პარაგრაფის ბოლო აბზაცში ფორმულირებულ იქნა ის ამოცანა, რომლის შესრულებას თეორიული და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით უნდა დაეთმოს მოცემული პარაგრაფი. იმისათვის, რომ ადექვატურად იქნეს განსაზღვრული აღნიშნული ამოცანის არსი, საჭიროა დავუბრუნდეთ უკვე განხორციელებულ მის ფორმულირებას იმ მიზნით, რომ შესაბამისი ადექვატურობით მოვახდინოთ პრობლემური თვალსაზრისით მოცემული პარაგრაფის სტრუქტურირება. თუ გავიხსენებთ ამოცანის არსებულ ფორმულირებას, მაშინ თვით ამ ფორმულირების სტრუქტურაში გამოვყოფთ ორ ურთიერთდაკავშირებულ, მაგრამ განსხვავებულ ასპექტს: ა) ასპექტს, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ მიუთითებს თავად შესრულებულ ამოცანებზე იმ თვალსაზრისით, რომ უნდა აიგოს საძებნი არქიტექსტის ისეთი მოდელი, რომლის ფარგლებში სინთეზირებული იქნება ინტერტექსტუალურობისა და სინერგიულობის (შესაბამისად კი ველისა და ვექტორულობის) პრინციპები; ბ) მაგრამ, ამავე დროს, თვით ამ ამოცანის ფორმულირებისას ნახსენებია მისი შესრულებისათვის აუცილებელი ისეთი წინაპირობა, რომელსაც უნდა ჰქონდეს გარკვეული (და, ბუნებრივია, შინაგანად ერთნაირი) კონცეპტუალური საფუძვლის სახე. შესაბამისად ისმის კითხვა: როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ეს საფუძველი, ანუ რა უნდა მივიჩნიოთ მის წყაროდ, და ამ წყაროს შესაბამისად მის სტრუქტურად?

ვფიქრობთ, მიმდინარე პარაგრაფში საკმაოდ მკაფიოდ იქნა ფორმულირებული ის რასაც გულისხმობს პუნქტი ა) ის, რომ საძებნი არქიტექსტს უნდა წარმოადგენდეს ჩამოთვლილ პრინციპთა სინთეზს, მაგრამ, როგორი უნდა იყოს ჩვენი წარმოდგენა ამ კონცეპტუალური საფუძვლის წყაროზე? ბუნებრივია, მივიჩნიოთ, რომ ხსენებული კონცეპტუალური საფუძვლის სტრუქტურირებისას, აუცილებელი იქნება მასთან დაკავშირებული კვლევითი მიზნის გათვალისწინებაც.

2.6. საძებნი არქიტექსტის ადექვატური მოდელის აგებისათვის აუცილებელი კონცეპტუალური საფუძველი: დიალოგურობა როგორც ამ საფუძვლის თეორიულ-ემპირიული წყარო

ინტერვიუს ტექსტობრივი სივრცის ჩვენს კვლევას წინ უსწრებდა ხსენებული “სივრცის” ის კვლევა, რომელიც, რა თქმა უნდა, ასევე ატარებს ინტერდისციპლინარულ ხასიათს, მაგრამ შემდეგი განსხვავებით: ამ კვლევებში არ უნდა იყოს ასახული თანამედროვე ჰუმანიტარული (პირველს რიგში კი – ტექსტოლოგიური) აზროვნების ის პარადიგმული მიმართულება, რომელიც, თუ მის რეზიუმირებას მოვახდენთ, გულისხმობდა (და დღესაც გულისხმობს) ორი შედარებით “ახალი” პარადიგმის – ინტერტექსტუალურობისა და სინერგიულობის – არა მხოლოდ ზოგადმეთოდოლოგიურ მნიშვნელობას, არამედ მათ **სინთეზსაც**. ამ კვლევებისათვის დამახასიათებელი იყო ის, რაც გადამწყვეტი უნდა იყოს ლინგვისტური თვალსაზრისით, კერძოდ ხსენებული კვლევა ატარებდა **ლინგვოკულტუროლოგიურ** ხასიათს. აქედან გამომდინარე კი, აუცილებელია მივიჩნიოთ ამ კვლევათა ერთობლიობა ჩვენთვის აუცილებელ თეორიულ-ემპირიულ მონაცემად.

2.6.1. დიალოგური კონტინუუმი როგორც ინტერვიუს ტექსტობრივი სივრცის სტრუქტურული საფუძველი

პირველ რიგში, ბუნებრივია, უნდა აღინიშნოს თვით დიალოგური კონტინუუმის როგორც კონცეპტის ფორმულირების ციტირება. როგორც ხსენებული კონცეპტის ავტორი ამბობს: „ინტერვიუ იძლევა იმის უნიკალურ შესაძლებლობას, რომ როგორც გენეტიკური, ისე სტრუქტურული თვალსაზრისით საქმე გვექონდეს სამგანზომილებიან **დიალოგურ კონტინუუმთან**“ (ჭეიშვილი 2006: 214). ციტირებული სტატიის ზოგადი შინაარსი იძლევა სრულ საფუძველს ვიფიქროთ, რომ აღნიშნული სამი განზომილებით იგულისხმება დიალოგი შემდეგ სამ სუბიექტს შორის: პირველია

– ჟურნალისტი, რომელიც იღებს ინტერვიუს ამა თუ იმ საჯარო პირისაგან, მეორე – თავად საჯარო პირი და მესამე – ამ ინტერვიუს მკითხველი.

მაგრამ სტატიის ავტორი არა მხოლოდ ახორციელებს დიალოგური კონტინუუმის როგორც კონცეპტის ფორმულირებას, არამედ ასახლებს და განმარტავს მოცემულ ჟურნალისტურ ჟანრთან დაკავშირებული სამი კატეგორიის განმარტებასაც. ეს კატეგორიებია:

ა) პირველი კატეგორია საინტერსოა უკვე იმით, რომ ინტერვიუს პირდაპირ მიეწერება **დიალოგურობა როგორც სამეტყველო ფორმა**: „ინტერვიუ როგორც განსაკუთრებული სამეტყველო ფორმა იგება ჟურნალისტსა და იმ პირს შორის დიალოგის ფორმით, რომლისგანაც ჟურნალისტი იღებს ინტერვიუს. მათი რეპლიკები, როგორც წესი, საგაზეთო ტექსტში აღნიშნულია განსხვავებული შრიფტით. ჟურნალისტის ყოველი რეპლიკა მიმართულია იმისკენ, რომ მიიღოს ინფორმაცია, რესპოდენტის რეპლიკები კი გადასცემს კორესპონდენტს ამ ინფორმაციას“ (*ibid.*: 214). როგორც ვხედავთ, ინტერვიუ როგორც დიალოგი აქ დახასიათებულია სამეტყველო ჟანრის ცნებაზე დაყრდნობით;

ბ) დიფერენციალურ ნიშანთა მეორე კატეგორიის ფარგლებში ავტორი იძლევა ჟურნალისტის გამონათქვამთა (რეპლიკათა) კლასიფიკაციას. ჟურნალისტის ყოველი გამონათქვამი – რეპლიკა დახასიათებულია როგორც **მიმართვა**. შესაბამისად, გამოიყოფა ამგვარი მიმართვის სამი ტიპი: მიმართვა – კითხვები, მიმართვა – შეტყობინება და მიმართვა – როგორც ბიბეი მოქმედებისაკენ (კისილიოვა 1998:17).

გ) დიფერენციალურ ნიშანთა მესამე კატეგორია გამოიყოფა იმ ურთიერთკავშირის თვალსაზრისით, რომლითაც ხასიათდებოდა ჟურნალისტისა და რესპოდენტის რეპლიკები. გამოიყოფა ამგვარი ურთიერთკავშირის შემდეგ სახეობები: „რესპოდენტის უშუალო პასუხი ჟურნალისტის კითხვაზე, რესპოდენტის მიერ ჟურნალისტისგან მომდინარე კითხვის „ატაცება“, კორესპონდენტის სიტყვიერი შეჭრა რესპოდენტისეულ სამეტყველო ნაკადში და ლექსიკური გარემოებანი“ (ჭეიშვილი 2006: 215)

ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილ ვრცელ ციტატაში საკმარისადაა ასახული ინტერვიუს როგორც ჟანრის და მისი ტექსტობრივი სივრცის კვლევის ის შედეგი,

რომლის მიღება შეიძლებოდა, ერთის მხრივ, ინტერდისციპლინარულობის, მეორეს მხრივ კი – ამ ინტერდისციპლინარულობის ლინგვისტურ ცენტრირებულობაზე დაყრდნობის გზით. თუმცა ხსენებულ ინტერდისციპლინარულობას არ ახლავს ინტერპარადიგმულობის ის მეთოდოლოგიური განზომილება, რომელიც გულისხმობს ლინგვოკულტუროლოგიურობის, ინტერეტექსტუალურობის და სინერგიულობის არა მხოლოდ გათვალისწინებას, არამედ მათ სინთეზსაც კი. შესაბამისად, სანამ გადავიდოდეთ აუცილებლად გასათავლისწინებელ თეორიულ–ემპირიულ მონაცემთა შემდეგი ასპექტის განხილვაზე, აუცილებლად მიგვაჩნია კიდევ ერთხელ გაესვას ხაზი არა მარტო დიალოგური კონტინუუმის კონცეპტს და ინტერდისციპლინარულობის როგორც მეთოდოლოგიის ცენტრალურ როლს, არამედ ინტერდისციპლინარულობასთან დაკავშირებულ შემდეგ ასპექტსაც: იგი (ინტერდისციპლინარულობა) უნდა იყოს ლინგვისტურად ცენტრირებული. დიალოგური კონტინუუმის მარეზიუმირებელ–სინთეზური კონცეპტი მიღებულია იმის შედეგად, რომ თანმიმდევრულად ხდება დიალოგის როგორც ლინგვისტურად გაგებული სამეტყველო ჟანრის ტრანსპონირება ინტერვიუს ტექსტობრივ განზომილებაში. შესაბამისად, ვგსურს ხაზი გავუსვათ, უკვე ჩვენი კვლევით კონტექსტთან უშუალოდ დაკავშირებულ ამოცანას: (ვგულისხმობთ ტრანსპოზიციის ხსენებულ ფაქტს) ეს ის მომენტია, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს შენარჩუნებული ჩვენი კვლევის საბოლოო შედეგში. რაც ნიშნავს შემდეგს, რომ ხელახლა უნდა მოხდეს დიალოგის როგორც ფენომენისა და ცნების ტრანსპონირების – როგორც ფაქტის – გადააზრება კვლევის იმ ახალ კონტექსტში, რომელიც გულისხმობს ლინგვოკულტუროლოგიის, ინტერეტექსტუალურობისა და სინერგიულობის ურთიერთზემოქმედების ფაქტს.

როცა ვსაუბრობთ ინტერვიუსთან დაკავშირებული ტექსტობრივი სივრცის დღეისათვის არსებული კვლევის შედეგებზე (და ბუნებრივია, ამ შედეგების ჩვენს კვლევით კონტექსტში ინტეგრირების ამოცანაზე), შეუძლებელია არ ვახსენოთ ის მეორე ნაშრომიც, როგორცაა ქ. ჭოხონელიძის სადოქტორო დისერტაცია: „პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობის ლინგვოპრაგმატიკული ანალიზი“. მართალია, არც ამ ნაშრომშია ასახული ზემოთ დასახელებულ პარადიგმათა

ურთიერთმიმართების პრობლემა, მაგრამ, სამაგიეროდ, ზემოთ განხილული ნაშრომისაგან განსხვავებით მეტი ხაზგასმით და კონკრეტულობით არის ასახული ამ ჟურნალისტური ჟანრის პრაგმატიკულ ასპექტთა ერთობლიობა. კვლევის ავტორი გვთავაზობს ორ მარეზიუმირებელ სქემას, რომელთა საშუალებით იგი იძლევა ინტერვიუს როგორც ჟანრის პრაგმატიკულ ასპექტთა (მისი ტერმინოლოგიით – მარკერთა) ერთობლიობის დახასიათებას. მოვიტანთ ორივე ამ სქემას, რადგან მათ მონაცემებს გარკვეული კავშირი უნდა ჰქონდეს ყოველივე იმასთან, რასაც გულისხმობს სამეზნი არქიტექსტის მოდელის ჩამოყალიბება:

სქემები გამოიყურება შემდეგნაირად:

სქემა №5


ინტერვიუს, როგორც კომუნიკაციის ორპლანიანი პროცესის კომპონენტების ანალიზი

კომუნიკაციის აქტი – 1 (მიკრო დონე)	ჟურნალისტის მიერ რესპოდენტისაგან ინტერვიუს აღება
კომუნიკაციის აქტი – 2 (მიკრო დონე)	რედაქციის მიერ მომზადებული მასალის (ჟურნალისტური ინტერვიუს) მკითხველზე მიწოდება
ადრესანტი – 1	ჟურნალისტი
ადრესანტი – 2	რედაქცია
ადრესატი – 1	რესპოდენტი
ადრესატი – 2	მკითხველი
შეტყობინება – 1	ჟურნალისტის შეკითხვა რესპოდენტს
შეტყობინება – 2	ინტერვიუ (რედაქციის მიერ მკითხველზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით გამოქვეყნებული ინტერვიუ)
კომუნიკაციის არხი – 1	ზეპირი ან წერილობითი (იმის მიხედვით, თუ რა ტიპის ინტერვიუსთან გვაქვს საქმე ზეპირთან თუ წერილობითთან)
კომუნიკაციის არხი – 2	მასობრივი საინფორმაციო საშუალება

გამოხმაურება – 1	რესპონდენტის პასუხი ჟურნალისტს (ეს ელემენტი შეტყობინება-1-თან ერთად ქმნის დიალოგურობას – ინტერვიუს, როგორც ჟანრის და ტექსტის მთავარ მახასიათებელს)
გამოხმაურება – 2	ეს ელემენტი ჩვეულებრივ არ არის წარმოდგენილი, თუმცა იშვიათად შეილება იყოს “წერილი რედაქტორს”, საპასუხო სტატია ან თუნდაც, ზეპირსიტყვიერი გამოხმაურება სხვა მასობრივი საინფორმაციო საშუალებით.

სქემა №6

ინტერვიუ როგორც კომუნიკაციის ორპლანიანი პროცესი



როგორც მოცემული პარაგრაფის დასაწყისშივე ითქვა, სამეზნი არქიტექტის მოდელირებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ყოველივე ის, რაც ამა თუ იმ

ფორმით და შინაარსით უკავშირდება ჩვენს კვლევით მიზანს – ეს მიზანი კი, როგორც უკვე ვიცით, მდგომარეობს ინტერვიუსთან დაკავშირებული ტექსტობრივი სივრცის ინტერტექსტუალურ ინტერპრეტაციაში. მაგრამ, როცა ვსაუბრობთ იმ კვლევებზე, რომლებიც უკავშირდება ხსენებულ ტექსტობრივ სივრცეს და გვსურს ამ კვლევათა ერთობლიობა აღვიქვათ ჩვენივე კვლევის ერთ–ერთ კონცეპტუალურ საფუძვლად, უნდა დაისვას შემდეგი კითხვა: როგორ უნდა განისაზღვროს ეს კონცეპტუალური საფუძველი? სხვანაირად რომ ვთქვათ, სად უნდა დავინახოთ მისი საზღვრები? რა თქმა უნდა, ჩვენი კვლევა კონცენტრირებულია ტექსტობრივ სივრცეზე და, შესაბამისად, იმ არქიტექსტის ძიებაზე, რომელმაც უნდა განაპირობოს ამ სივრცის ინტერტექსტუალური სტრუქტურა. მაგრამ ხსენებულ პრობლემაზე კონცენტრირებულობის მიღმა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კვლევის ლინგვისტური ცენტრირებულობის ბოლომდე შესანარჩუნებლად არ უნდა დავკარგოთ ის, რასაც შეიძლება ეწოდოს დისკურსისა და ტექსტის **კომუნიკაციური** საფუძვლები. თუკი მოვინდომებთ ამ საფუძველთა გაანალიზებას, დავინახავთ, რომ მათ ფარგლებში გარდუვალად გამოიყოფა შემდეგი სამი ასპექტი: ა) პირველი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ჩვენს მიერ განხილული ანთროპოცენტრიზმის თეორიულ–მეთოდოლოგიურ პარადიგმას და, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს სუბიექტის კომუნიკაციურად გააზრებულ ფენომენს; ბ) მეორე ასპექტი, რომელიც უკავშირდება დისკურსისა და ტექსტის **ინტერსუბიექტურობის** პრინციპს; და გ) მესამე პარადიგმამ კი უნდა დაგვაბრუნოს ჩვენი კვლევის აქტუალურ კონცეპტთან და დაგვანახოს, რომ თუ გვსურს რეალურად დავუკავშიროთ კომუნიკაციური სუბიექტის ცნება და ფენომენი სამეზბნი არქიტექსტის პრობლემას, იგი (ანუ კომუნიკაციური სუბიექტის ფენომენი) ასევე ორგანულად უნდა დაუკავშირდეს, ერთის მხრივ, სინერგიულობის ფენომენს, მეორეს მხრივ კი, ვექტორულობის იმ პრინციპს, რომელმაც ველის ასპექტთან ერთად უნდა განაპირობოს არქიტექსტის კონცეპტი და მოდელი. მაგრამ, ჩვენთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს არა მხოლოდ აღნიშნული ასპექტის დახასიათება, არამედ მათი კონცეპტუალური გაერთიანება სამეზბნი არქიტექსტის განზომილებრივ სტრუქტურაში. სანამ ამგვარ გაერთიანებას განვახორციელებთ, სქემატური სახით მაინც გავიხსენოთ კომუნიკაციურ სუბიექტთან დაკავშირებული

ასპექტი, რომელიც ითვალისწინებს *კომუნიკაციურ სუბიექტს და დისკურსის ინტერსუბიექტურობას*.

როგორც ვიცით, სუბიექტის პრობლემა თანამედროვე ჰუმანიტარულ აზროვნებაში ორგანულად და უშუალოდ უკავშირდება ანთროპოცენტრიზმს, როგორც ხსენებული აზროვნების პარადიგმულ საფუძველს. მაგრამ, აუცილებლად აღსანიშნავია ისიც, როგორ სახეს ღებულობს სუბიექტის ზოგადჰუმანიტარული ცნება ამა თუ იმ კონკრეტულ ჰუმანიტარულ დისციპლინაში. იქედან გამომდინარე, რომ ინტერდისციპლინარული კვლევა უნდა იყოს ლინგვისტურად ცენტრირებული, აუცილებელია იმის ჩვენება, როგორია სუბიექტის (უფრო ზუსტად კი კომინიკაციური სუბიექტის) ლინგვისტური ხედვის კონცეპტუალური საფუძველი. ეს კონცეპტუალური საფუძველი კი, ბუნებრივია, უკავშირდება თანამედროვე ლინგვისტიკის კომუნიკაციურ პარადიგმას და ლინგვისტურ პრაგმატიკას, რომელიც, როგორც ცნობილია, დამკვიდრებული და განვითარებული იქნა სწორედ კომუნიკაციური პარადიგმის ფარგლებში.

რა თქმა უნდა, ლინგვისტურმა პრაგმატიკამ, რომელიც თავიდანვე ეფუძნებოდა ზოგად სემიოტიკას, განიცადა შიდა კონცეპტუალური ცვლილება, თუმცა იგი ამავე დროს უწყვეტად უკავშირდებოდა სუბიექტის კომუნიკაციურ–ლინგვისტურად გაგებულ ცნებას. არ დავიწყებთ ლინგვისტური პრაგმატიკის მთელი ამ ისტორიის რეფერირებას, მაგრამ აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი კომუნიკაციურ სუბიექტთან დაკავშირებულ იმ პრინციპს, რომლის გარეშე შეუძლებელია ლინგვისტურად აღქმული ნებისმიერი ტექსტობრივი სინამდვილის კვლევა. აღნიშნულთან დაკავშირებით კი უნდა ითქვას: „თუ დასაწყისში პრაგმატიკა ნიშნავდა კავშირს სუბიექტსა და ნიშნებს შორის, დღეს კი აუცილებლად ვგულისხმობთ უკვე მინიმუმ ორ სუბიექტს, ე.ი. გვაქვს არა მარტო სუბიექტურობა, არამედ ინტერსუბიექტურობა“ (ლებანიძე 2004:253).

2.7. სამეზნი არქიტექსტის ადექვატური მოდელის აგებისათვის აუცილებელი კონცეპტუალური საფუძველი.

ინფორმაციულობა როგორც ამ საფუძველის თეორიულ–ემპირიული წყარო

იმით, რომ ჩვენ ვსაუბრობთ სამეზნი არქიტექსტის თეორიულ–ემპირიულ წყაროზე, გვსურს მივანიშნოთ მთელი ჩვენი კვლევისთვის ერთ–ერთ (იქნებ გადამწყვეტ) საკვანძო მომენტზე. კერძოდ, საჭიროა განვახორცილოთ მთელი ჩვენი თეორიულ–მეთოდოლოგიური მსჯელობის რეზიუმირება. ამ რეზიუმირებით კი რეალური გავხადოთ სამეზნი არქიტექსტის საბოლოო მოდელი. იმისთვის, რომ ბოლომდე ცხადი გახდეს მოცემული კვლევითი მომენტის მნიშვნელობა, საკმარისია, ითქვას, რომ არქიტექსტის ხსენებული მოდელი საშუალებას მოგვცემს არა მხოლოდ დეკლარირებული სახით ვისაუბროთ ინტერვიუსეულ (და არა მხოლოდ ინტერვიუსეულ) ინტერტექსტუალურ სტრუქტურაზე, არამედ მივანიჭოთ კიდევ ინტერტექსტუალურობის პრინციპს ინტერვიუსადმი დაქვემდებარებული ტექსტობრივი სივრცის ახლებურად გაგებული ტიპოლოგიზაციის კრიტერიუმის სტატუსი. მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ინტერტექსტუალურობისადმი ამგვარი სტატუსის მინიჭება მართლაც მოითხოვს იმას, რასაც ჩვენ ზემოთ „მთელი ჩვენი თეორიულ–მეთოდოლოგიური მსჯელობის რეზიუმირება“ ვუწოდებთ. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ წინა პარაგრაფში უკვე მივუთითეთ კონცეპტზე, რომელიც იძლევა ამგვარი რეზიუმირების პირველ და აუცილებელ საფუძველს, ანუ მივუთითეთ დიალოგურობის კონცეპტზე. მაგრამ, თუ მართლაც გავითვალისწინებთ ჩვენს მიერ განხორციელებული მსჯელობის რეალურ შინაარსს, აუცილებელი გახდება ვისაუბროთ თვით ამ თეორიულ–ემპირიული წყაროს **ორგანოზომილებიანობაზე**. რა თქმა უნდა, ეპოქის შინაგანმა პრობლემატიკამ მოითხოვა დიალოგურობა და სწორედ ეს დიალოგურობა იქცა იმ დიალოგური კონტინუუმის წარმომშობ წყაროდ, რომლის ბოლომდე ექსპლიცირებულ წარმომადგენლად მოგვევლინა **ინტერვიუ**. მაგრამ ასევე აუცილებელია იმის ხაზგასმაც, რომ არსებობს ზემოთ ხსენებული საფუძველის (თეორიულ–ემპირიული) მეორე განზომილებაც – სახელდობრ კი „ინფორმაციული

აფეთქება“, რომლითაც ხასიათდება ეპოქა (განსაკუთრებით და ხაზგასმით მაშინ, როცა საუბარია ჟანრთა დისკურსულ სფეროზე).

აუცილებელი ხდება არა მხოლოდ მივუთითოთ ეპოქის, როგორც ერთი მთლიანის ამგვარ ორგანოზომილებიანობაზე, არამედ მკაფიოდ წარმოვიდგინოთ ზემოთ ხსენებული „რეზიუმირებისთვის“ აუცილებელი შემდგომი ორი აზრობრივი მომენტი:

ა) დავასახელოთ, თუ ჩვენს მიერ გამოყოფილ და ხაზგასმული კონცეპტები შინაარსობრივად რომელისკენ უფრო „იხრება“, დიალოგურობისკენ თუ ხსენებული „აფეთქებისკენ“ და

ბ) სინამდვილეში როგორც დიალოგურობა, ისე ინფორმაციულობა უნდა დაუკავშიროთ ეპოქის შინაგან მთლიანობას, ე.ი. საჭირო იქნება განვახორციელოთ ორივე ამ ფენომენის (დიალოგურობისა და ინფორმაციულობის) **სინთეზი**, რომლის გარეშე საძებნი არქიტექსტი ვერ იქნება ადექვატურად მოდელირებული.

შეუძლებელია ნებისმიერი უკვე ხაზგასმული კონცეპტი ბოლომდე და ამომწურავად მივაკუთვნოთ დიალოგურობას თუ ინფორმაციულობას (ამიტომ ითქვას, რომ ეს კონცეპტები „იხრებიან“ ამა თუ იმ განზომილებისაკენ, სინამდვილეში კი მუდამ გულისხმობენ ერთმანეთს). აქედან გამომდინარე, აუცილებელია ითქვას, რომ თანამედროვე აზროვნების ორ ურთიერთდაკავშირებულ მეტაპარადიგმას წარმოადგენს კონცეპტუალური წყვილი ანთროპოცენტრიზმი და კულტუროცენტრიზმი. როცა ამა თუ იმ თვალსაზრისით ერთმანეთს ვუკავშირებთ დიალოგურობასა და ინფორმაციულობას, საჭიროა იმის გააზრებაც, თუ ამ წყვილის რომელი წევრისაკენ „იხრება“ ესა თუ ის კონცეპტი. ვიცით, რომ ანთროპოცენტრიზმის უშუალო გამოხატულებას წარმოადგენს **დიალოგურობა**, ინფორმაციულობა კი უნდა მივიჩნიოთ დიალოგურობის ერთ–ერთ რეალიზაციად, რომელიც დამახასიათებელია სწორედ მოცემული ეპოქისათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ დიალოგურობა თავისი არსით ბევრად უფრო ფართო და ღრმაა.

თავი II დასკვნები:

1. იქედან გამომდინარე, რომ ჩვენი კვლევის საბოლოო მიზანს წარმოადგენს ინტერვიუსეული ტექსტობრივი სივრცის ტიპოლოგიზაციის კონცეპტუალური საფუძვლის განსაზღვრა, აუცილებელი ხდება ამ საფუძვლის როგორც აზრობრივი კონსტრუქტის „არქიტექსტად“ წარმოდგენა. არქიტექსტი გააზრებულ უნდა იქნეს როგორც ენობრივ სისტემასა და ჟანრობრივ-ტექსტობრივი სივრცის ის დამაკავშირებელი ტექსტობრივი ინსტანცია, რომელიც ემპირიულად არ ეკუთვნის არც სისტემას და არც ხსენებულ სივრცეს, მაგრამ აუცილებელია, როგორც მათი ურთიერთდამაკავშირებელი შუალედური რგოლი. არქიტექსტი განისაზღვრება როგორც ის ტექსტობრივი ინსტანცია, რომლის საშუალებითაც ფუნდებია ინტერვიუსეულ ტექსტთა ინტერტექსტუალურობა ჰორიზონტალური და ვერტიკალური თვალსაზრისით;

2. აქვე წამოყენებულ იქნა თეზისი: არქიტექსტის კონცეპტუალიზაციისა და მოდელირების შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს, არა მხოლოდ ჩვენი კვლევისთვის ფუძემდებლური ის მეთოდოლოგია, რომელიც გულისხმობს ინტერდისიპლინარულობისა და ინტერპარადიგმულობის სინთეზს, არამედ ასევე ნებისმიერი (და არა მხოლოდ ჟურნალისტური) დისკურსისთვის ფუძემდებლური ინტერსუბიექტურობის პრინციპი. ამ პრინციპის ზოგადპარადიგმულ საფუძვლად კი მიჩნეული უნდა იყოს ანთროპოცენტრიზმი როგორც ზოგადჰუმანიტარული პარადიგმა. ამავე დროს, ბუნებრივია, აუცილებელია ხსენებული პარადიგმის დაკონკრეტება ინტერვიუს ჟანრობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით;

3. რადგან ანალოგიის პრინციპზე დაყრდნობით ჩვენი კვლევის კონტექსტში შემოტანილ იქნა კულტუროლოგიის, ინტერტექსტუალურობისა და სინერგიულობის შემცველი ინტერპარადიგმული კონმპლექსი, აუცილებელი ხდება ამ კომპლექსის ასახვა სამეზბნი არქიტექსტის როგორც კონცეპტისა და მოდელის ფარგლებში. არქიტექსტის ფარგლებში ხსენებული კომპლექსის ასახვისას კი გათვალისწინებულ იქნა ნებისმიერი ტექსტობრივი ფენომენის აუცილებელი ისეთი ორი ასპექტი, როგორცაა, ერთის მხრივ, **ტექსტის სტრუქტურა**, მეორეს მხრივ **ტექსტის ენერგია**. შესაბამისად ნაგულისხმები იქნა, რომ ტექსტობრივი სტრუქტურისა და ტექსტობრივი

ენერჯის მოდელირება უნდა ხდებოდეს ველისა და ვექტორულობის პრინციპზე დაყრდნობით;

4. სამეზნი არქიტექსტის ადექვატური კონცეპტუალიზაციისა და მოდელირებისათვის ასევე აუცილებელი ხდება იმ ორ თეორიულ-ემპირიულ წყაროზე დაყრდნობაც, რომლებიც საფუძვლად უდევს, ერთის მხრივ, ნებისმიერ დისკურსს, მეორეს მხრივ კი ჟურნალისტური დისკურსის ისეთ ქვეტიპს, როგორიცაა ინტერვიუ. ასეთ თეორიულ-ემპირიულ წყაროდ მიჩნეული იქნა ინფორმაციისა და დიალოგის თეორია.

თავი III

ინტერვიუსეული ტექსტობრივი სივრცის არქიტექსტი: არქიტექსტის ფენომენის მოდელირების პრობლემა

3.1. დიალოგი როგორც სამეტყველო-ჟანრობრივი ფენომენი. ინტერვიუს არქიტექსტის როგორც ფენომენის მოდელირების პრობლემა

სამეზნი არქიტექსტის კონცეპტუალიზაციისა და მოდელირების ძირითად თეორიულ და ემპირიულ წყაროებზე მუშაობის შედეგად, ცხადი ხდება, როგორ უნდა იქნეს გააზრებული დიალოგის როგორც ფენომენის კონცეპტი ინტერვიუსეულ არქიტექსტში. ზემოთ ჩვენ მიერ წარმოდგენილ იქნა კონცეპტთა მთელი სისტემა, ამ სისტემის არქიტექსტის დონეზე ინტეგრაციისათვის კი აუცილებელია განისაზღვროს როგორ ხდება დიალოგის როგორც ვერბალური კომუნიკაციის შინაგანად გამაერთიანებელი ფენომენის ტრანსფორმირება **ინტერვიუსეული დიალოგად?** ვიცით, რომ ინფორმაციულობასთან ერთად დიალოგურობა არის ინტერვიუსეული არქიტექსტის სტრუქტურულ საფუძველი. მიუხედავად ისეთი სამი კონცეპტის შინაგანი ურთიერთდაკავშირებულობისა, როგორცაა დიალოგი, დიალოგურობა და დიალოგური კონტინუმი, მაინც აუცილებელია ამ კონცეპტუალური ტრიადის ფარგლებში დასახელდეს მისი ცენტრალური და „დამფუძნებელი“ წევრი. ეს დასახელება კი მოხდეს შემდეგი ნიშნით: ექსპლიციტურულ უნდა იქნეს ის პრინციპი, რომლის საფუძველზე დიალოგი როგორც ვერბალური ფენომენი ერთდროულად, უწყვეტად და გამჭოლად ასრულებს თავის შემდეგ ორ ფუნქციას: ა) წარმოადგენს ვერბალური კომუნიკაციის ერთიან და შინაგანად უცვლელ ფორმას, და ბ) იძენს სრულიად განსხვავებულ სტრუქტურულ და შინაარსობრივ სახეს დისკურსის განსხვავებული ტიპებისა და ქვეტიპების ფარგლებში.

აუცილებელი ხდება იმის ხაზგასმა, რომ, როგორც თავად დიალოგისთვის (როგორც ვერბალური ფენომენისთვის), ისე მთელი დისკურსული სინამდვილისთვის ფუნდამენტურ მნიშვნელობას იძენს დიალოგის როგორც უნივერსალური ფენომენის

ის ტრანსფორმაცია, რომელსაც იგი უნდა განიცდიდეს ზემოთ ხსენებული ტიპებისა და ქვეტიპების ფარგლებში.

თავად დიალოგურობა, მთლიანად, როგორც ფენომენი, ინარჩუნებს კუთვნილ ფუნდამენტალურ მნიშვნელობას, მაგრამ სწორედ ეს ფუნდამენტალური მნიშვნელობა საჭიროდ ხდის, გაეცეს პასუხი კითხვას: როგორ და რა შინაგანი ფორმა–შინაარსით ხდება ტრანსფორმაციის ხსენებული, და რაც მთავარია, აბსოლიტურად აუცილებელი აქტი დისკურსის მოცემულ ტიპსა თუ ქვეტიპში? მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუს როგორც ჟანრსა და ტექსტს ეთმობა გარკვეული ყურადღება არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში, ეს სწორედ ის კითხვაა, რომელიც არა მხოლოდ რჩება პასუხგაუცემელი, არამედ ჯერ არც ყოფილა დასმული ექსპლიციტური სახით. რა თქმა უნდა გარკვევით აღინიშნება დიალოგურობის ფუნდამენტური მნიშვნელობა, როგორც ეპოქისთვის, ისე ინტერვიუსთვის, როგორც ჟურნალისტური ჟანრისთვის, მაგრამ, როგორც წესი, ეს ხდება ხსენებული კითხვის ექსპლიციტური სახით დასმის გარეშე.

და როგორ უნდა ჟღერდეს ეს კითხვა ექსპლიციტური სახით, თუ მას ინტერვიუსეული არქიტექტის „ძიების“ პროცესში დავსვამთ, შემდეგ კი მასზე გაცემულ პასუხს თანმიმდევრულად დავუკავშირებთ ჩვენ მიერ უკვე აქტუალიზირებულ კონცეპტუალურ სისტემას? ვფიქრობთ, ზემოთ ფორმულირებული კითხვის დასმის შემთხვევა გასათვალისწინებელი ხდება სწორედ მაშინ, როცა ეს კითხვა უშუალოდ ეხება ინტერვიუსეული არქიტექტის ორ შემდეგ მომენტს: ერთის მხრივ, კვლავაც უნდა გაესვას ხაზი ამ კითხვის როგორც აუცილებლობას, ისე „ჯერ არ დასმულობას“ ინტერვიუსეულ კონტექსტში, მეორეს მხრივ კი, უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული კითხვა ექსპლიციტირებულობის მეტი თუ ნაკლები ხარისხით დასმულია დისკურსის სხვა ტიპებისა თუ ქვეტიპების ფარგლებში, თუმცა არა არქიტექტულ კონტექსტში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაშიც უნდა მივმართოთ კვლევის იმ პრინციპს, რომელმაც წინა ეტაპზე მოგვცა იმის საშუალება, რომ ლინგვისტური სტატუსი მიგვენიჭებინა ინტერტექსტუალურობისა და სინერგიულობის ურთიერთკავშირისათვის. ეს კი არის ანალოგიის პრინციპი. ჩვენი კვლევის მეთოდოლოგია წარმოდგენილია ძირითადად ინტერდისციპლინარულობის და

ინტერპარადიგმულობის შერწყმით, მაგრამ, ამავე დროს, ეს კვლევითი კონტექსტი საჭიროებს ინტერდისციპლინარულობის და ინტერპარადიგმულობის ადეკვატური შერწყმას (სინთეზს), რაც ვერ მოხდება, თუ თავად ამ შერწყმის მეთოდურ საშუალებად არ გამოვიყენებთ ანალოგიის პრინციპს. უკვე გვექონდა მსჯელობა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ხდებოდეს ამ პრინციპის გამოყენება ჩვენს კვლევით კონტექსტში. და დავრწმუნდით, რომ იგი ხასიათდებოდა გარკვეული შინაგანი ვექტორულობით. ჯერ დავიწყეთ ლინგვისტიკის გარეშე (ლიტერატურათმცოდნეობაში) არსებული ვითარების ლინგვისტური ინტერპრეტაციით, შემდეგ კი, გავაგრძელეთ ხსენებული პრინციპის გამოყენება უკვე თვით ლინგვისტიკის ფარგლებში. კვლევის ამ ეტაპზე კი, ისმის კითხვა, რომელზე პასუხმაც უნდა მოახდინოს მთელი ჩვენ მიერ განვლილი კვლევითი გზის რეზიუმირება. რა სახის ტრანსფორმაციას უნდა განიცდიდეს დიალოგი როგორც ვერბალური კომუნიკაციის ერთიანი დისკურსული საფუძველი იმისთვის, რომ იქცეს ინტერვიუსეული არქიტექსტის სტრუქტურულ განზომილებად? სწორედ იქედან გამომდინარე, რომ დიალოგურობა, ისე როგორც ტექსტობრიობა, გვევლინება ვერბალური კომუნიკაციის ერთიან საფუძველად, ამ შემთხვევაშიც აუცილებელი ხდება, კვლავაც მივმართოთ ანალოგიის პრინციპს, მაგრამ შემდეგი მომენტის აუცილებელი გათვალისწინებით. ამ ეტაპზე ვეღარ იქნება საკმარისი, ანალოგიის პრინციპის უბრალოდ წარმოდგენა და მისი, ჩვენი კვლევითი კონტექსტისაკენ მიმავალი გზის სტრუქტურირებული ჩვენება (არაღლინგვისტური კონცეპტიდან ლინგვისტურისაკენ მიმავალი გზა). აუცილებელია მივუთითოთ ანალოგიის პრინციპის მიერ განვლილი ხსენებული გზის როგორც გარკვეული ვექტორის და „ტრაექტორიის“ მქონე ფენომენის სტრუქტურაზე. როგორ უნდა განისაზღვროს ეს „ტრაექტორია“? მიგვაჩნია, რომ ზემოთ დასმული კითხვის არსიდან გამომდინარე კვლავაც უნდა მივმართოთ ლიტერატურათმცოდნეობას, მაგრამ უკვე დიალოგურობაზე (და არა უშუალოდ ტექსტობრიობაზე) დაყრდნობით და, შესაბამისად, განვმარტოთ, რომელია ის ლიტერატურული გვარი, რომლის ფარგლებში დიალოგი აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი ექსპლიციტური სახით. თუ დავეყრდნობით ლიტერატურის თანამედროვე თეორიას (პოეტიკას), მაშინ ამგვარ ლიტერატურულ გვარად უნდა მივიჩნიოთ **დრამა**. სწორედ დრამა არის ის

ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც წარმოუდგენელია ექსპლიციტური სახით განხორციელებული დიალოგის გარეშე.

მოცემულ ეტაპზე ჩვენ წინაშე დგას ორი ამოცანა: ა) ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხის სახით განვსაზღვროთ ჩვენ მიერ გამოყენებული ანალოგიის პრინციპი, როგორც დინამიური ხასიათის ვექტორული სტრუქტურა. გავითვალისწინოთ როგორც ხსენებული გზის საწყისი მომენტი, ისე განვილილ ეტაპთა მთელი ერთობლიობა და, რაც მოცემულ ეტაპზე ჩვენთვის მთავარია, ლიტერატურათმცოდნეობასთან დაბრუნების აუცილებლობა. ვფიქრობთ, თავისუფლად შეგვიძლია განვსაზღვროთ ეს გზა როგორც გარკვეული **სახის ციკლი**;

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ გარკვეული თვალსაზრისით განვმარტეთ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ანალოგიის პრინციპი ნებისმიერ მსგავს შემთხვევაში, ანუ მაშინ, როცა გვსურს კონცეპტუალურად დავუახლოვოთ ერთმანეთს ორი განსხვავებული ტექსტობრივი რეალობა (ამ შემთხვევაში მხატვრული და ჟურნალისტური). ბ) მაგრამ, მოცემულ შემთხვევაში, აუცილებელი მხოლოდ ამ ციკლოზობის ზოგადი განსაზღვრა კი არ არის, არამედ უნდა დასრულდეს და დაზუსტდეს ლიტერატურის თეორიის (პოეტიკის) ის სეგმენტი, რომლითაც შევძლებთ პასუხი გავცეთ ზემოთ დასმულ კითხვას: როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ინტერვიუს ტექსტობრივ სინამდვილეში დიალოგის როგორც ზოგადვერბალური ფენომენის ჟანრობრივი ტრანსფორმაცია?

ვფიქრობთ, ზოგადი სახით უკვე გადაჭრილი გვაქვს წინა აბზაცში დასმული ორივე ამოცანა, თუმცა, რა თქმა უნდა, აუცილებელი ხდება მათი (ამ ამოცანების) დაკონკრეტება. დაკონკრეტების უპირველესი მომენტი კი უნდა მდგომარეობდეს იმის ჩვენებაში, თუ შეიძლება იქცეს **დრამა** როგორც ლიტერატურული გვარი ამ შემთხვევაში საჭირო ტექსტობრივ რეალობად. ეს შეიძლება შესაძლებელი გახდეს, ორი შემდეგი გარემოების გამო:

ა) როცა ლიტერატურულ თეორიაში საუბრობენ დიალოგზე, მას, როგორც ფენომენს, განიხილავენ დრამატული ნაწარმოების არსებით მომენტად. გარდა ამისა, უშუალოდ თუ არა, ირიბი სახით მაინც გულისხმობენ იმას, რაც ასე მნიშვნელოვანია ჩვენი კვლევითი კონტექსტისათვის: როგორ ხდება დიალოგის როგორც სამეტყველო

ჟანრის დრამატულ დიალოგად ტრანსფორმირება. როგორც დრამატულ ნაწარმოებთა არსებითი კომპონენტი, დიალოგი ძირეულად განსხვავდება დიალოგისგან როგორც სამეტყველო ჟანრისაგან (კრავჩენკო 2008:57). აღნიშნული ერთდროულად მიუთითებს ორ ისეთ მომენტზე, რომელთა გათვალისწინება ჩვენთვის აუცილებელია, რადგან, სწორედ დიალოგი (თუ დიალოგურობა) ისევე წარმოადგენს ინტერვიუს, როგორც ჟურნალისტური ჟანრის „არსებით კომპონენტს“, როგორც დრამისთვის. თუმცა აუცილებელია იმის განსაზღვრაც, როგორ უნდა იქნეს გაგებული მისი ტრანსფორმირება ხსენებული ჟანრის ფარგლებში;

ბ) ამავე დროს კი მიგვაჩნია, რომ უნდა გავითვალისწინოთ დრამატული დიალოგის ის არსი, როელზეც აგრეთვე მიუთითებს ხსენებული ავტორი: დრამაში თანამოსაუბრეები ერთმანეთს ელაპარაკებიან არა იმისათვის რომ ერთობლივად განახორციელონ ესა თუ ის აზრი, არამედ დაკავშირებული არიან ერთმანეთთან როგორც მოწინააღმდეგენი ან თანამოაზრეები, ... აქედან გამომდინარე კი უნდა ვიფიქროთ, რომ დრამატულ დიალოგში შეიძლება მონაწილეობდნენ მხოლოდ გარკვეული სახით დახასიათებული და განსაზღვრული პიროვნებები (ibid.:57). ასევე აუცილებლად მიგვაჩნია მივუთითოთ დრამატული დიალოგის როგორც მხატვრულ–ესთეტიკური მოვლენის იმ ზოგად ხასიათზეც, რომელსაც შეიძლება დავეყრდნოთ ანალოგიის პრინციპის ადეკვატურად გამოყენების შემთხვევაში: დრამის ფარგლებში დიალოგი ხასიათდება თემატური განვითარების დინამიურობით და ეტაპობრიობით ... დიალოგის მხატვრულობა განისაზღვრება იმით, რამდენად ავსებენ თანამოსაუბრეები ერთმანეთს თემის დინამიურად მოდიფიკაციის თვალსაზრისით (ibid.:57).

ყოველივე ზემოთ ნათქვამის შემდეგ, ბუნებრივია, შესაძლებელია ექსპლიციტური სახით დავსვათ კითხვა იმის თაობაზე, როგორ ხდება დიალოგის როგორც სამეტყველო ჟანრის ტრანსფორმირება იმ ფენომენად, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „ინტერვიუსეული დიალოგი“. და სწორედ იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს ზემოთ ნაგულისხმებ კითხვაზე პასუხის გაცემა და, შესაბამისად, საძებნი არქიტექსტის ძირითადი გაზომილების განსაზღვრაც, საჭიროა მივუთითოთ მოცემული პრობლემის თანმდევ შემდეგ მომენტებზე:

- არსებულ ლინგვისტურ ლიტერატურაში, ბუნებრივია, აღიარებულია დიალოგის ფუნქციონირების მნიშვნელობა დისკურსის განსხვავებული ტიპებისთვის და ამ ტიპებს შორის დასახელებულია ინტერვიუც. მაგრამ, ამავე დროს პირდაპირ ნათქვამია, რომ დისკურსის ნაგულისხმებ ტიპთა ფარგლებში აღარ მოიპოვება ცოცხალი დიალოგური მეტყველების ტიპოლოგიური ნიშნები (კრავჩენკო 2008:57). როგორც ვხედავთ, ავტორს უბრალოდ მიაჩნია, რომ დისკურსის შესაბამის ტიპთა ფარგლებში თითქოსდა იკარგება დიალოგი როგორც ცოცხალი სამეტყველო ფორმა. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა იმდენად ამ „ცოცხალი“ ფორმის დაკარგვასთან, არამედ მის **ტრანსფორმირებასთან**. დრამატული დიალოგის განხილვამ უკვე დაგვანახა თუ რამდენად ძალუმს ამ ტრანსფორმირების შედეგად „დაბადებულ“ დრამატულ დიალოგს, ჭეშმარიტი დიალოგისთვის აუცილებელი ნიშან-თვისებათა ტრანსფორმირებული სახით შენარჩუნება. თუკი გავითვალისწინებთ იმას, რამდენად განმსაზღვრელია ინფორმაციულობა თანამედროვე ეპოქისთვის (ამ შემთხვევაში ლაპარაკია „ინფორმაციულ აფეთქებაზე“) და გავიხსენებთ იმასაც, რომ ინტერვიუ თავისი შინაგანი დიალოგურობით ფაქტობრივად, თუმცა იმპლიციტურად, აფუძნებს ჟურნალისტურ ჟანრთა მთელ ერთობლიობას, ცხადი გახდება, ისიც, რომ ჩვენთვის საინტერესო ამ ჟანრის ფარგლებში დიალოგი მთლიანად უნდა ინარჩუნებდეს „სიცოცხლეს“ – თუმცა, რა თქმა უნდა, ტრანსფორმირებული სახით. იმ შემთხვევაშიც, თუ კვლავაც დავეყრდნობით ანალოგიის პრინციპით განპირობებულ გზას, საკმარისი იქნება იმის ვარაუდის გამოთქმაც, რომ ინტერვიუსეული დიალოგი არანაკლებად მნიშვნელოვანი ფენომენია, ვიდრე დრამატული, თუმცა აქვე აუცილებელია იმის ჩვენებაც, თუ ტრანსფორმირების რა პარალელთან გვაქვს ამ შემთხვევაში საქმე;

- ზემოთ ფორმულირებული ამოცანის შესასრულებლად აუცილებელია იმ **ზოგადენობრივი შინაარსის** ექსპლიკაციაც, რომელიც შინაგანად უნდა ახასიათებდეს დიალოგს როგორც სამეტყველო ჟანრს. იმ შემთხვევაში, როცა ხდება დიალოგის როგორც სამეტყველო ჟანრის ტრანსფორმირება დისკურსის ამა თუ იმ ტიპისათვის შესაფერის დიალოგად, ნებისმიერ შემთხვევაში, სწორედ ნაგულისხმები **ზოგადენობრივი შინაარსი** უნდა იქცეს ტრანსფორმირების ობიექტად. ამიტომ,

ბუნებრივია, განსაზღვრულ უნდა იქნეს ხსენებული შიდაენობრივი სტრუქტურა და მხოლოდ ამის შემდეგ შეგვეძლება დავადგინოთ ტრანსფორმირების ის ფორმა-შინაარსი, რომელთანაც საქმე გვაქვს ინტერვიუსეულ დიალოგში.

- ამ ზოგადენობრივ შინაარსად თუ სტრუქტურად უნდა მივიჩნიოთ ის ფენომენი, რომელსაც თემა-რემატული სტრუქტურა ეწოდება.

რადგან დიალოგის ზოგადენობრივ შინაარსობრივ სტრუქტურად მივიჩნიეთ თემა-რემატური სტრუქტურა, საჭიროდ მიგვაჩნია განვმარტოთ პირველ რიგში ხსენებული ენობრივი ფენომენის მიმართება იმ მოვლენასთან, რომელსაც უკვე ვუწოდეთ დიალოგი, როგორც სამეტყელო ჟანრის ტრანსფორმირება დისკურსის ამა თუ იმ ტიპის (ან ქვეტიპის) ჟანრისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ დიალოგად. სხვანაირად რომ ვთქვათ, დიალოგის თემა-რემატული სტრუქტურა ვერასოდეს იქნება „განდევნილი“ ამ ენობრივი ფენომენის ფარგლებიდან, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში საკვლევ პრობლემად უნდა მივიჩნიოთ სწორედ ის, როგორ გამოიყურება თემა-რემატული სტრუქტურა მოცემული ჟანრისათვის დაქვემდებარებულ ტექსტობრივ სივრცეში. (კირვალიძე 2008) ზემოთ, როცა ლაპარაკი გვქონდა დრამატულ დიალოგზე, და შესაბამის ციტატებზე დაყდნობით ითქვა, რომ დრამატული დიალოგი ემსახურება დრამის პერსონაჟთა ურთიერთმიმართების გამოხატვას, საჭირო იყო, შემდეგი მომენტის ხაზგასმაც. პერსონაჟთა როგორც პიროვნებათა ურთიერთმიმართება განპირობებულია დრამატული სიუჟეტის არსით და განვითარებით, მაგრამ სიღმისეულად არანაკლებ მნიშვნელოვანი უნდა იყოს (თუ, ბუნებრივია, ჩვენ ვაგრძელებთ და ვადრმავებთ დიალოგურობის როგორც ფენომენის კვლევას) შემდეგი კითხვის დასმა: როგორ ხდება მოცემულ შემთხვევაში (და ყველა მსგავს შემთხვევაში) დიალოგის იმ, უნივერსალური შინაარსობრივი სტრუქტურის ტრანსფორმირება თუნდაც იმ მიზნისთვის, რომ დრამის პერსონაჟების მიერ გამოვლენილ იქნეს სიუჟეტით განპირობებული ურთიერთდამოკიდებულება.

ჩატარებული მიმოხილვა საფუძველს გვამლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომელიც თეზისის სახით ფორმულირებულია შემდეგნაირად: იმის კვალდაკვალ, რომ დისკურსის ამა თუ იმ ტიპის (თუ ქვეტიპის) ფარგლებში აუცილებლად უნდა ხდებოდეს დისკურსის ზოგადსამეტყელო ჟანრის შესაბამისი ტრანსფორმირება,

უნდა ითქვას, კვლავაც ზოგადი თეზისის სახით, რომ ამ ტრანსფორმირების უშუალო ობიექტს (და შესაბამისად, საფუძველს) წარმოადგენს სწორედ თემა-რემატული სტრუქტურა. ნათქვამთან დაკავშირებით კი საჭიროდ მიგვაჩნია გავიხსენოთ ის, როგორი უნდა იყოს ჩვენი კვლევის მეთოდოლოგია-იგი უნდა იყოს არა მხოლოდ ინტერდისციპლინარული, არამედ **ლინგვისტურად ცენტრირებულიც**. შედეგად აღარ არის საკმარისი იმის მტკიცება, რომ დისკურსის ამა თუ იმ სპეციფიკური ჟანრის ფარგლებში ხდება დიალოგის ტრანსფორმირება. თუ მივიჩნევთ, რომ შეუძლებელია არსებობდეს დიალოგურობა (და ზოგადად მეტყველება) თემა-რემატულობის გარეშე, მაშინ ამ პირველ თეზისს გარდაუვლად უნდა მოსდევდეს (და ამგვარად მას „ზურგს უმაგრებდეს“) მეორე თეზისიც: დიალოგის ტრანსფორმირება უნდა ნიშნავდეს მისი თემა-რემატული სტრუქტურის ტრანსფორმირებას. ამ მეორე თეზისის ფორმულირების გარეშე ვერ იქნება ექსპლიციტურად მითითებული თვით ხსენებული ტრანსფორმირების შინაგანი, ანუ საკუთრივ ენობრივი საფუძველიც. ამ საფუძვლის ექსპლიციტურობის გარეშე კი, თითქოსდა „ჰაერში გამოკიდებული“ დარჩება პირველი თეზისი - ის, რომ შეუძლებელია ვილაპარაკოთ ჟანრობრივი თვალსაზრისით ამა თუ იმ სპეციფიკურ დიალოგზე თუ არ იქნება გათვალისწინებული ზოგადად დიალოგის შიდა ენობრივი, ანუ სიღრმისეული სტრუქტურა.

აუცილებელია იმის ექსპლიციტურად გახსენება, როგორ განისაზღვრება თანამედროვე ლინგვისტიკის ფარგლებში თემა-რემატული სტრუქტურა. (კირვალიძე 2008) მაგრამ, სანამ უშუალოდ შევუდგებით აღნიშნული ამოცანის განხორციელებას, აუცილებლად მიგვაჩნია ცალსახად და მკაფიოდ მივუთითოთ მოცემულ პარაგრაფში ჩვენ მიერ გადადგმულ იმ კონცეპტუალურ-მეთოდურ ნაბიჯებზე, რომლებსაც აუცილებელი წესით, გარკვეული სიახლე შეაქვთ მოცემულ პრობლემაში, კერძოდ კი ინტერვიუსეული დიალოგის ინტერდისციპლინარულ, მაგრამ ამავე დროს ლინგვისტურად ცენტრირებულ კვლევაში. თუ მოვახდენთ ყოველივე ზემოთ ნათქვამის რეზიუმეირებას, მაშინ შესაძლებელი იქნება შემდეგნაირად განიმარტოს ის, რასაც ჩვენ „კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური“ სიახლე ვუწოდეთ:

1. როგორც პრობლემასთან დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვამ გვიჩვენა, ინტერვიუ როგორც ჟურნალისტური ჟანრი, თანმიმდევრულად

უკავშირდება დიალოგის ფენომენს, მაგრამ არ ხდება ყოველ შემთხვევაში ექსპლიციტური სახით იმის განსაზღვრა, რასთან უნდა გვექონდეს ამ შემთხვევაში საქმე დისკურსის განსხვავებულ ტიპთა ურთიერთმიმართების თვალსაზრისით. ჩვენ შევეცადეთ შეგვეტანა კორექტივი ხსენებულ სიტუაციაში და გარკვევით ვთქვი, რომ არა მხოლოდ ინტერვიუსეული ტექსტის შემთხვევაში, არამედ ყველა იმ შემთხვევაში, როცა არსებობს დისკურსის ესა თუ ის ტიპი თუ ქვეტიპი, შეუძლებელია საქმე არ გვექონდეს დიალოგის, როგორც ზოგადსამეტყველო ჟანრის **ტრანსფორმაციასთან** (თუ ტრანსფორმირებასთან);

2. დავრწმუნდით შემდეგშიც (და ეს დაგვანახა დრამატული დიალოგის განხილვამ): სამეტყველო ჟანრის - დიალოგის ტრანსფორმირება - უნდა უკავშირდებოდეს **იმ სუბიექტებს**, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია დიალოგის არსებობა. დრამატული დიალოგის შემთხვევაში ამგვარად ტრანსფორმირებული დიალოგი ხასიათდებოდა შემდეგი ორი შიანაარსობრივი მომენტის შერწყმით: ა) მოცემულ შემთხვევაში ამგვარ სუბიექტებს წარმოადგენდნენ **პერსონაჟები** როგორც **პიროვნებები** და ბ) თავად ამ პერსონაჟთა დიალოგი კი უშუალოდ განპირობებულია დრამის სიუჟეტით. ბუნებრივია, თუ კვლავაც მივყვებით ანალოგიის პრინციპს, საჭირო იქნება იმის განსაზღვრაც, როგორ უნდა გამოიყურებოდეს პერსონაჟულ-სიუჟეტური სტრუქტურა ჟურნალისტურ, კერძოდ კი ინტერვიუსეულ სინამდვილეში.
3. ჩვენი მესამე და გარკვეული სიახლის მატარებელ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ ის, რაზეც ზემოთ უკვე გვექონდა მსჯელობა. დიალოგის როგორც ზოგადსამეტყველო ჟანრის ნებისმიერი ტრანსფორმაცია, თუ გვსურს მისი ადეკვატური და სიღრმისეული კვლევა ექსპლიციტურულ უნდა იქნეს თემატური სტრუქტურის, ანუ დიალოგის ზოგადენობრივი სტრუქტურის ტრანსფორმირება.

3.2. მეტყველების თემა–რემატული სტრუქტურა და დიალოგის ჟანრობრივი ტრანსფორმაციის კონცეპტუალური საფუძველი

წინა პარაგრაფში დასმული კითხვა ნიშნავდა გარკვეულ სიახლეს დიალოგურობის ჟანრობრივი ტრანსფორმაციის პრობლემის კვლევის თვალსაზრისით. სულ ერთია რომელი ჟანრისადმი დაქვემდებარებულ დიალოგთან გვექნება საქმე. ახლა კი განვიხილოთ, როგორაა წარმოდგენილი დიალოგის ის ზოგადენობრივი საფუძველი, რომელის გარეშე შეუძლებელია არქიტექსტის კონცეპტუალიზაცია და მოდელირება. ამგვარ ზოგადენობრივ სტრუქტურად მივიჩნიეთ თემა–რემატული სტრუქტურა. და სწორედ ეს არის ის სტრუქტურა, რომელიც უნდა განხილულ იქნეს მოცემულ პარაგრაფში შემდეგი თვალსაზრისით. რამდენად პასუხობს თემა–რემატულობის დღეისათვის არსებული კონცეფცია ზემოთ განმარტებული პრობლემის გადაჭრის ამოცანას? იმისათვის, რომ ადეკვატურად იქნეს გაგებული დასმული კითხვა, საკმარისი უნდა იყოს შემდეგი ფაქტის აღნიშვნა: თემა–რემატულობის სტრუქტურის კონცეპტი თავისი წარმოშობითა და შინაარსით უკავშირდებოდა (და დღესაც უკავშირდება) წინადადებას როგორც შინაარსობრივი „დატვირთვის“ პრობლემას. და სწორედ ამიტომ – წინადადების აქტუალური დანაწევრების პრობლემატიკას. აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს არის ის პრობლემათა ერთობლიობა, რომლებმაც მიიყვანა თანამდეროვე ლინგვისტიკა ტექსტის ვერბალური კომუნიკაციის უმაღლეს ერთეულად აღიარებამდე. (თევდორაძე 2010) სხვანაირად რომ ვთქვათ, თემა–რემატულობა როგორც ენობრივი მოვლენა „ვერ ეტეოდა“ წინადადების ფარგლებში. მაგრამ, ამ შემთხვევაში არ უნდა იყოს საკმარისი პრობლემის უბრალო გადატანა წინადადების დონიდან ტექსტის დონეზე. აუცილებელი ხდება აქტიური დანაწევრება არსებითად და ექსპლიციტურად უკავშირდებოდეს, ერთის მხრივ, დიალოგურობას, მეორეს მხრივ კი, იმ მეტაპარადიგმას, რომელიც უკვე იქნა ნახსენები როგორც ანთროპოცენტრისტული მეტაპარადიგმა. (ლევინსონი 1997) როგორც სამეზნ არქიტექსტთან დაკავშირებული მსჯელობა გვიჩვენებს, ამ ენობრივი ფენომენის (არქიტექსტის) კონსტრუირება ვერ მოხდება სწორედ ისეთი მეთოდოლოგიის გარეშე, რომლის ფარგლებში

მეტაპარადიგმული ხედვა შერწყმული იქნება ვერბალური კომუნიკაციის კონკრეტულობასთან. მაგრამ იმისათვის, რომ საბოლოოდ და ადეკვატურად გადაჭრილ იქნეს არქიტექტის პრობლემასთან დაკავშირებული ამოცანა, საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ თემა–რემატულობასთან დაკავშირებული პრობლემატიკა ისე, როგორც იგი წარმოდგენილია თანამედროვე ლინგვისტიკაში. და რაკი ასე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ თემა–რემატულობასთან დაკავშირებული ფენომენი, შევეცდებით კონკრეტულად და არსებითად წარმოვადგინოთ იგი შემდეგი სამი ეტაპის გავლით: ჯერ დავაკონკრეტოთ თუ როგორ განიმარტება თანამედროვე ლინგვისტიკაში ის ფენომენი, რომლის გარეშე ვერ იარსებებდა თვით თემა–რემატულობა, ანუ გავნიხილოთ პირველ რიგში წინადადების აქტუალური დანაწევრების თეორია, მომდევნო ეტაპზე კი განვასხვავოთ ჯერ **თემისა**, შემდეგ კი **რემის** ლინგვისტური ცნებები.

3.2.1. წინადადების აქტუალური დანაწევრების თეორია და არქიტექტის პრობლემა

ზემოთ, როცა მსჯელობა გვქონდა თემა–რემატულობის პრობლემაზე და, რა თქმა უნდა, ძირითადად იმის შესახებ, როგორ უნდა დაუკავშირდეს ხსენებული პრობლემა არქიტექტის პრობლემას, აღნიშნული იქნა კვლევისათვის მნიშვნელოვანი წინააღმდეგობრივი ფაქტი. მართალია, თემა–რემატულობის, და, შესაბამისად, აქტუალური დანაწევრების თეორიის გარეშე შეუძლებელია არქიტექტის პრობლემისადმი ისეთი მიდგომა, რომელიც ერთდროულად იქნება ინტერდისციპლინარული და ლინგვისტურად კონცენტრირებულიც, მაგრამ სწორედ ამგვარი მიდგომის გათვალისწინებით აუცილებელი ხდება აღვნიშნოთ წინააღმდეგობრივი ფაქტი. არქიტექტის ფენომენი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა წარმოადგენდეს **ტექსტობრივ** ფენომენს, მაგრამ როგორც საყოველთაოდ ცნობილია, აქტუალური დანაწევრების თეორია (და, შესაბამისად, თემისა და რემის ცნებები) უკავშირდება **წინადადებას და არა ტექსტს** (და ამიტომაც, როგორც წესი, მსჯელობა ეხება წინადადების აქტუალურ დანაწევრებას). აქედან გამომდინარე უნდა აღინიშნოს,

რომ არქიტექტის ფენომენის კონცეპტუალიზაციისა და მოდელირების პროცესში ერთნაირად უნდა იყოს რეალიზებული ინტერდისციპლინარულობა და ლინგვისტურად ცენტრირებულობაც, ერთდროულად აუცილებელია აქტუალური დანაწევრების როგორც თეორიის **შენარჩუნება** და ამავე დროს **განახლებაც**. განახლება კი, როგორც უკვე დავრწმუნდით, უნდა მდგომარეობდეს ამ თეორიის ტექსტობრივ რეალობასთან სრულ მისადაგებაში. მაგრამ, ბუნებრივია, ისმის კითხვა: არსებობს თუ არა თვით მეტყველების ფენომენტთან დაკავშირებული ისეთი ენობრივი სტრუქტურა, რომელიც შეასრულებდა „შუამავალ“ როლს ხსენებული „მისაგადების“ განხორციელების პროცესში? და რაკი ვახსენეთ „შუამავალი როლი“, ბუნებრივია, ეს უნდა იყოს ენობრივი სტრუქტურა, რომელიც ერთნაირად შეძლებდა წარმოდგენილი ყოფილიყო როგორც წინადადების, ისე ტექსტის როლში. ეს უნდა იყოს იმგვარი ენობრივი სამეტყველო სტრუქტურა, რომლის ფარგლებში თვით აქტუალური დანაწევრება შეიძენდა ისეთ მნიშვნელობას, რომელიც დაუკავშირდებოდა ამა თუ იმ ტექსტს არა აბსტრაქტულად, არამედ შესაბამის ჟანრთან მისი მიმართების გათვალისწინებით. ამგვარი კითხვის დასმა და ნაგულისხმები ენობრივი-სამეტყველო სტრუქტურის როგორც დასახელება, ისე განხილვა, შეუძლებელი უნდა იყოს თემისა და რემის ზემოთ ხსენებული ცნება-ტერმინის გარეშე. მაგრამ, პრობლემის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოცემულ ეტაპზე უკვე დავასახელებთ ნაგულისხმებ სტრუქტურას. ეს არის **სამეტყველო კომპოზიციური ფორმა**. იმისთვის კი, რომ რეალურად მოხდეს უკვე ხსენებული სტრუქტურის მისადაგება არქიტექტის პრობლემასა, გამართლებულად მიგვაჩნია ჯერ განვიხილოთ იმ ლინგვისტურ ცნებათა მნიშვნელობა, რომელთა გარეშე საერთოდ ვერ იარსებებდა აქტუალური დანაწევრების თეორია: ეს ცნებებია **თემა და რემა**.

სწორედ აქტუალურ დანაწევრებას უკავშირდება თემის ტრადიციული განსაზღვრა: თემა არის წინადადების აქტუალური დანაწევრების ის კომპონენტი, ანუ ის ამოსავალი პუნქტი, რომელთა მიმართებაშიც რაღაცის მტკიცება ხდება მოცემულ წინადადებაში (შევაკოვა 1990:507). როგორც ვხედავთ, თემა როგორც აქტუალური დანაწევრების კომპონენტი მართლაც უკავშირდება უშუალოდ **წინადადებას**, მაგრამ შემდეგი ნიშნით: იმის გამოსაყოფად, რის შესახებაც რაღაც მტკიცება ხდება. სწორედ ამ

მეორე მომენტზე დაყრდნობით აუცილებელია გავიხსენოთ ის, რის გარეშეც წამყვან კომუნიკაციურ ერთეულად ვერ იქნებოდა აღიარებული სწორედ ტექსტი (და არა წინადადება). ის, რის შესახებაც ხორციელდება მტკიცება (ან, პირიქით, უარყოფა), მთელი თავისი რეალური სისავსით შეიძლება იყოს წარმოდგენილი მხოლოდ ტექსტით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აქტუალური დანაწევრების თეორიაც უნდა მიესადაგოს სწორედ ტექსტს, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ამ თეორიის ერთდრულად შენარჩუნებისა და განახლების გზით.

რაც შეეხება ჩვენთვის აუცილებელ მეორე ცნება-კონცეპტს, ანუ რემას, ისიც, ბუნებრივია, უკავშირდება წინადადების აქტუალური დანაწევრების თეორიას. რემა არის წინადადების აქტუალურ დანაწევრებას ის კომპონენტი, რომლის საშუალებით რაღაცა მტკიცდება ვერბალური გზავნილის ამოსავალი პუნქტის შესახებ (ibid.:410). როგორც რემის ამ განსაზღვრიდან ჩანს, მისი გააზრება უნდა მოხდეს თემის გააზრებასთან ერთად, რაც უნდა ნიშნავდეს შემდეგს: შეუძლებელია ორივე ამ ფენომენის – თემისა და რემის – ერთობლივი გააზრება მხოლოდ წინადადების ფარგლებში, რადგან წინადადება თავად წარმოადგენს მეორე და უფრო „ტევადი“ ერთეულს, ანუ ტექსტის შემადგენელ ნაწილს.

და როგორი უნდა იყოს ის ზოგადი და ძირითადი დასკვნა, რომელიც გამოტანილი უნდა იქნეს მთელი ზემოთ ჩამოყალიბებული მსჯელობიდან? ვფიქრობთ, როცა საუბარია თემაზე და რემაზე და ხსენებულ კონცეპტებს ვიაზრებთ მთელი მათი შესაძლო შინაარსით, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ შემდეგ ორ მომენტს: ა) ტექსტის (და არა წინადადების) აქტუალური დანაწევრება უნდა უკავშირდებოდეს მოცემული ტექსტისთვის არა აბსტრაქტულად, არამედ კონკრეტულად არსებულ თემას, ხოლო, რაც შეეხება რემას, მისი სემატიკა მთლიანად იქნება დაკავშირებული ამ კონკრეტულ თემასთან; ბ) მაგრამ, არ არსებობს ტექსტი, რომლის თემა (თუ თემატიკა) არ იქნება დაკავშირებული და დაქვემდებარებული ამა თუ იმ კონკრეტულ ჟანრს, სხვაგვარად ტექსტის თემატურობაზე მსჯელობა მოკლებული იქნება რეალურ საფუძველს. მაგრამ, როგორც ვიცით, ჩვენი კვლევის ლინგვისტური ცენტრირებულობაც გარანტირებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქნება ადეკვატურად კონსტრუირებული არქიტექსტის ის კონსტრუქტი, რომლის

საშუალებითაც ესა თუ ის ჟანრი რეალურად დაუკავშირდებოდა მისდამი დაქვემდებარებულ ტექსტობრივ სივრცეს.

3.3. სამეტყველო კომპოზიციურ ფორმათა თეორია და ტექსტობრივი თემა-რემატული სტრუქტურა

იმისათვის, რომ გასაგები და მისაღები იყოს მოცემული პარაგრაფის მიზანდასახულობა, აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული არა მხოლოდ წინა პარაგრაფის შინაარსი, არამედ ჩვენი კვლევისათვის უაღესად მნიშვნელოვანი ფაქტიც. მთელი ჩვენი კვლევითი მეთოდოლოგიიდან გამომდინარე მივიჩნით, რომ პირველ რიგში აუცილებელია დიალოგის ინტერვიუსეული სტრუქტურის განსაზღვრა, ამ სტრუქტურის განსაზღვრა კი მოხერხდება მხოლოდ ერთ შემთხვევაში. ანალოგიის პრინციპზე დაყრდნობით უნდა დავსვათ ზოგადი შინაარსის კითხვა იმის თაობაზე, როგორ ხდება დიალოგის ტრანსფორმირება დისკურსის განსხვავებულ ტიპთა და ქვეტიპთა (ანუ ჟანრთა) ფარგლებში. სწორედ ამ ზოგადი კითხვის დასმამ მიგვიყვანა იმის აუცილებლობამდეც, რომ ბოლომდე გაგვეთავლისწინებინა შემდეგი თითქოსდა მარტივი, მაგრამ ამავე დროს ფუძემდებლური ფაქტი. ნებისმიერი დიალოგი შედგება რეპლიკებისაგან, ხოლო ნებისმიერი რეპლიკა უკვე დამოუკიდებლად წარმოადგენს დისკურს-ტექსტს, რადგან თუ ჩვენთვის საინტერესოა ინტერვიუსეული დიალოგის რეალური სტრუქტურა და ჩვენი მეთოდოლოგიიდან გამომდინარე ამგვარი დიალოგის საკუთრივ **ენობრივი განზომილება**, აუცილებელია სწორედ იმ ტექსტობრივი რეალობის გააზრებაც, რომლის გარეშე ვერ შედგებოდა ვერცერთი დიალოგი.

ნებისმიერი დიალოგისათვის ფუძემდებლური ტექსტობრივი რეალობა შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სამეტყველო ვერტიკალის სახით:

- ა) ყოველი დიალოგური რეპლიკა უნდა წარმოადგენდეს ტექსტს;
- ბ) ყოველი ტექსტი, როგორც დისკურსის თანმხლები ფენომენი, უნდა წარმოადგენდეს თემა-რემატულ სტრუქტურას – რა თქმა უნდა, ამ ფენომენის **ტექსტობრივი** და არა წინადადებრივი გაგებით;

გ) ყოველი თემა–რემატული სტრუქტურა თავის მხრივ უნდა წარმოადგენდეს ისეთი უნივერსალური სამეტყველო ფენომენის აქტიურ დანაწევრებას, რომლის გარეშე, და სწორედ ამაზე მეტყველებს დისკურსის თანამედროვე ზოგადი თეორია, წარმოუდგენელია თავად მეტყველება როგორც საკომუნიკაციო აქტი. ასეთ უნივერსალურ ენობრივ ფენომენს კი წარმოადგენს **სამეტყველო კომპოზიციური ფორმა**.

როგორია სამეტყველო კომპოზიციურ ფორმათა ტიპოლოგია? ამ კითხვაზე პასუხს გავცემთ მოცემული პარაგრაფის შემდეგ მონაკვეთში. მიმდინარე ეტაპზე კი საკმარისია ითქვას, რომ ყოველი ჩვენი გამონათქვამი სწორედ იმიტომ რომ წარმოადგენს ტექსტს უნდა იყოს:

- ან რაიმეს მტკიცება
- ან რაიმეს აღწერა
- ან რაიმეზე მსჯელობა

დ) და თუ ყოველი ტექსტი უნდა წარმოადგენდეს ამა თუ იმ სამეტყველო კომპოზიციურ ფორმას, მაშინ თავისთავად აუცილებელი ხდება, რომ ნებისმიერი მტკიცება, აღწერა თუ მსჯელობა ეფუძნებოდეს გარკვეული შინაარსის თემა–რემატულ ურთიერთმიმართებას. (რა თქმა უნდა, ამ ფენომენის ტექსტობრივი გაგებით).

როგორც ვხედავთ, დიალოგის ტექსტობრივი სტრუქტურის გათვალისწინებამ მოგვცა ის, რასაც შეიძლება ვუწოდოთ „სამეტყველო ვერტიკალი“. მაგრამ, როგორც ვიცით, ნებისმიერი ვერტიკალი შეიძლება აღქმულ იქნეს ორი ვექტორით – როგორც ზემოდან ქვემოთ, ისე ქვემოდან ზემოთ. და, ბუნებრივია, დავსვათ კითხვა: რას უნდა ნიშნავდეს ნებისმიერი ვერტიკალის ეს „ორმაგი ვექტორულობა“ ჩვენი კვლევის კონტექსტში. როგორც გვახსოვს, ვიკვლევთ ინტერვიუს ტექსტობრივ სივრცეს ინტერტექსტუალურობის როგორც იდეისა და თეორიის იმ ვერსიაზე დაყრდნობით, რომელიც ტექსტის ციტატურობას უკავშირებს სწორედ ტექსტისა და ჟანრის ურთიერთმიმართებას. ანუ, ვსაუბრობთ ინტერტექსტუალურობაზე სწორედ ამა თუ იმ ჟანრისადმი დაქვედებარებული ტექსტობრივი სივრცის ფარგლებში. ეს კი უნდა ნიშნავდეს შემდეგს: თუ ზემოთ ჩამოყალიბებულ ვერტიკალს აღვიქვამთ „ქვემოდან ზემოთ“, მაშინ ამ ვერტიკალის ზემოთ ექსპლიცირებული სტრუქტურაც უნდა

დავუკავშიროთ იმ ჟანრს, რომლის ტექსტობრივ სივრცესაც ვიკვლევთ. ეს კი, თავის მხრივ, უნდა ნიშნავდეს მთელი იმ მეთოდოლოგიური კონტექსტის განახლებულად დანახვას, რომლის გამომუშავებაც მოვახდინეთ კვლევის წინა ეტაპებზე.

როცა ვლაპარაკობთ იმ „სამეტყველო ვერტიკალზე“, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ინტერვიუს ტექსტობრივი სივრცის ლინგვისტურად ცენტრირებულობის გააზრება, აუცილებელია, კიდევ ერთხელ მივუთითოთ ინტერვიუს როგორც ჟანრის სრულიად განსაკუთრებულ სტატუსზე. გარდა იმისა, რომ ამ ჟანრს ტექსტობრივი თვალსაზრისით საფუძვლად უდევს დიალოგი, ანუ მეტყველების უნივერსალური ფორმა, გასათვალისწინებელია ამ ჟანრის საკუთრივ დისკურსული სტრუქტურა. დისკურსი წარმოადგენს საკომუნიკაციო ფენომენს და სწორედ ამის გათვალისწინებითაც ინტერვიუს უნდა მივანიჭოთ ზემოთ ხსენებული განსაკუთრებული სტატუსი. სტატუსი კი მდგომარეობს შემდეგში: ა) ინტერვიუ როგორც დისკურსის ტიპი აუცილებლად გულისხმობს – როგორც მინიმუმ სამ საბიექტს – ჟურნალისტს, რომელიც იღებს ინტერვიუს, რესპონდენტს – ვისგანაც იგი იღებს ინტერვიუს და იმ პოტენციურ მკითხველს თუ მსმენელს, ვისთვისაც განკუთვნილია ინტერვიუს მთელი შინაარსი; ბ) მაგრამ, ამავე დროს, არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მრავალფუნქციობით ხასიათდება ინტერვიუს როგორც დისკურსული ფენომენის თითქმის ყოველი მონაწილე. რესპონდენტი არის ადრესატი და ადრესანტი, ინტერვიუერიც, ამავე დროს, არის როგორც ადრესატი, ასევე ადრესანტი, ხოლო, რაც შეეხება პოტენციურ მკითხველს, იგი, რა თქმა უნდა, წარმოადგენს ადრესატს, მაგრამ ისეთს, რომელსაც ერთდროულად ჰყავს ორი ადრესანტი (ჟურნალისტი და რესპონდენტი).

ყოველივე ამის გახსენება საჭირო იყო იმ მოსაზრების გამო, რომ ჩვენ ვმსჯელობთ ზემოთხსენებულ „სამეტყველო ვერტიკალზე“, ეს ვერტიკალი კი გვჭირდება იმისათვის, რომ ადეკვატურად წარმოვადგინოთ სამეზბნი არქიტექსტის სტრუქტურული მოდელი. მაგრამ, საბოლოო ანგარიშში, არქიტექსტის ხსენებული მოდელი უნდა წარმოადგენდეს ორი ისეთი კონცეპტუალური სტრუქტურის შეხვედრას და სინთეზს, რომლებიც როგორც გენეზისით, ისე შინაარსით ეფუძნებიან ორ განსხვავებულ წყაროს: ა) ერთის მხრივ, არქიტექსტის სტრუქტურაში უნდა

აისახოს ის ინტერდისციპლინარული და ინტერპარადიგმული მეთოდოლოგია, რომლის შესახებაც გვიხდება მსჯელობა, და ბ) მეორე მხრივ კი, იგივე არქიტექსტის სტრუქტურაში უნდა აისახოს ის „სამეტყველო ვერტიკალი“, რომელსაც ვიკვლევთ მოცემულ ეტაპზე. ეს კი, როგორ უკვე აღვნიშნეთ, გვესაჭიროება ლინგვისტურად ცენტრირებულობის წარმოსაგენად. ყოველივე ამის შემდეგ, ალბათ, სასურველია წარმოვიდგინოთ – როგორც კონცეპტუალურად, ისე მოდელირებულად – თუ რა სახეს იღებს ზემოთ ხსენებული შეხვედრა–სინთეზი. „სამეტყველო ვერტიკალი“ რომლის მოდელირებასაც აქამდე ვახდენდით „ზემოდან ქვემოთ“, უნდა შეიბრუნოს ვექტორი ე.ი. შინაარსობრივად დაუბრუნდეს თავის ფუძემდებლურ დონეს, ანუ დიალოგურობას (დიალოგს). ამავე დროს კი, მთელმა ჩვენმა ინტერდისციპლინარულმა და ინტერპარადიგმულმა მეთოდოლოგიამაც უნდა შეიძინოს ვერტიკალის სახე და აისახოს დიალოგის იმ განახლებულ სტრუქტურაში, რომლის შესახებაც უკვე შეგვიძლია ვიმსჯელოთ. ყოველივე ზემოთ ნათქვამს კი ლოგიკურად მივყავართ იმის აუცილებლობასთან, რომ სქემატურად წარმოვადგინოთ სამეტყველო კომპოზიციურ ფორმათა თეორია.

როგორც სამეტყველო კომპოზიციურ ფორმათა თეორიის ფარგლებში ითქმის, სინამდვილის აღქმისას ადამიანის ცნობიერება ავლენს თავის აქტიურ ბუნებას. . . ან ხდება სინამდვილის როგორც ფაქტის ფიქსირება, ან ხდება არჩევანი, ანდა შეფასება (შევაკოვა 2009:14). შესაბამისად კი ტექსტის თანამედროვე თეორიაში გამოიყოფა სამი შემდეგი კომპოზიციური ფორმა: **შეტყობინება, აღწერა, მსჯელობა**. ეს სინამდვილის აღქმის სწორედ ის ბაზისური ფორმებია, რომლებზე დაყრდნობითაც ხდება ამ სინამდვილის ტექსტობრივი ასახვა (ibid.:14). სანამ უფრო საფუძვლიანად შევეხებით ამ კომპოზიციურ ფორმათა შინაარსობრივ სტრუქტურას, გავითვალისწინოთ ინტერვიუს როგორც დისკურსის ის სუბიექტური სტრუქტურა. ყოველი ზემოთ ნახსენები სუბიექტი (ჟურნალისტი, რესპოდენტი, მკითხველი) წარმოადგენს ადამიანს თუ პიროვნებას და, შესაბამისად, ყოველი მათგანის ტექსტობრივი გამოვლინება უნდა წარმოადგენდეს შეტყობინებას, აღწერას, მსჯელობას. მაგრამ როგორ უნდა ხდებოდეს ამ ფორმათა განაწილება ინტერვიუსეულ ტექსტში, თუ გათვალისწინებული იქნება როგორც ჟანრი, ისე მის ფარგლებში განხილული პრობლემა? ეს ის კითხვაა,

რომლებიც ჰიპოთეტური პასუხი უნდა იქნეს ასახული საქმეში არქიტექტის სტრუქტურაში.

კომპოზიციურ ფორმათა თეორიაში თავად კომპოზიციური ფორმები ხასიათდება შემდეგნაირად:

- კომპოზიციური ფორმა „შეტყობინება“ – წარმოადგენს ისეთ აბსტრაქტულ შინაარსობრივ ტიპს, როგორცაა „ხდომილება“;
 - კომპოზიციური ფორმა „აღწერა“ – წარმოადგენს ისეთ აბსტრაქტულ შინაარსობრივ ტიპს, როგორცაა „საგანი“;
 - კომპოზიციური ფორმა „განმარტება (მსჯელობა)“ – წარმოადგენს ისეთ აბსტრაქტულ შინაარსობრივ ტიპს, როგორცაა „პრობლემა“;
- ყოველი შინაარსობრივი ტიპი სტრუქტურირებულია. მათი ამ სტრუქტურის საფუძველს კი წარმოადგენს სივრცის, დროის და მიზეზობრიობის კრიტერიუმები (ibid.:16).

სამეტყველო კომპოზიციურ ფორმათა ჩამოყალიბებული ასპექტები სქემატურად შემდეგნაირად გამოიყურება:

სქემა №7

სამეტყველო კომპოზიციურ ფორმათა ძირითადი ნიშნები

სამეტყველო კომპო- ზიციური ფორმები	ლოგიკური ინვარიანტები			
	აბსტრაქტული ტიპი	ფუძემდებლური სტრუქტურული ელემენტები		
		დროითი (დრო)	სივრცითი (სივრცე)	მიზეზობრივი (მიზეზი)
შეტყობინება	ხდომილება	+	-	-
აღწერა	საგანი	-	+	-
განმარტება/მსჯელობა	პრობლემა	-	-	+

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, სამეტყველო აქტის კომპოზიციურ-ფორმალური სტრუქტურა წარმოადგენს იმის სქემატურ გამოხატულებას, როგორ აღიქვამს ადამიანი სინამდვილეს (ზემოთ მოცემული სქემა კი წარმოადგენს ამ აღქმის ზოგად ტიპოლოგიზაციას). იქედან გამომდინარე, რომ ჩვენს კვლევით მეთოდოლოგიას საფუძვლად უდევს ანთროპოცენტრისტული მეტაპარადიგმა, ცხადია, რომ ინტერვიუს ნებისმიერი მონაწილე – როგორც ინტერვიუერი, ისე რესპონდენტი და ინტერვიუს ტექსტის პოტენციური რეციპიენტი – საბოლოო ანგარიშში წარმოადგენს ადამიანს, მისაღები უნდა იყოს შემდეგი: ინტერვიუსეული დიალოგის შემადგენელი ნებისმიერი რეპლიკა უნდა წარმოადგენდეს ამა თუ იმ სამეტყველო კომპოზიციურ ფორმას. ამიტომ გასაგები უნდა იყოს შემდეგიც: ნებისმიერი რეპლიკა – დიალოგის რომელ ნაწილსაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი – უნდა წარმოვიდგინოთ ამა თუ იმ კომპოზიციური ფორმის სახით, ხოლო თვით ამ კომპოზიციურ ფორმას დაუქვემდებარებთ **ტექსტობრივად** გაგებულ აქტუალურ დანაწევრებას. მაშინ თითოეულ ასეთ რეპლიკაში უნდა აისახოს მთელი ინტერვიუსეული დიალოგის როგორც ინტერტექსტუალურად, ისე სინერგიულად განპირობებული შინაარსობრივი სტრუქტურა. შესაბამისად, სანამ შევუდგებით საძებნი არქიტექსტის კონცეპტუალიზაციას და მოდელირებას, საჭირო იქნება რამდენადმე მაინც დავაკონკრეტოთ უკვე დასახელებულ სამეტყველო კომპოზიციურ ფორმათა შინაარსობრივი სტრუქტურა.

სამეტყველო კომპოზიციურ ფორმათა თანამედროვე კონცეფციის ფარგლებში ამ ფორმათა ხსენებული დაკონკრეტების სქემატური აღქმა ხდება შემდეგნაირად:

“სამეტყველო კომპოზიციური ფორმა „მეტყობინება“.

ლოგიკური ინვარიანტები და ტექსტის ნიშან-თვისობრიობა

კომპოზიციური ფორმა	ლოგიკური ინვარიანტები		ტექსტის ნიშან – თვისობრიობა
	აბსტრაქტული ტიპი	ფუძემდებლური სტუქტურული ელემენტები	
შეტყობინება	ხდომილება	1. დროითი თანმიმდევრობა 2. რეტროსპექტულობა 3. დროის კონცენტრირება	დინამიკა დასრულებულობა კონცენტრირებულობა

როცა საუბარია ისეთ სამეტყველო კომპოზიციურ ფორმაზე, როგორცაა აღწერა, აღინიშნება, რომ იგი შეიძლება რეალიზებულ იქნეს ორი ფორმით: როგორც **საგნის** აღწერა და როგორც **პროცესის** აღწერა. შესაბამისად უნდა წარმოვადგინოთ აღწერის ორივე ქვეტიპი სქემატური სახით:

სქემა №9

**სამეტყველო კომპოზიციურ ფორმა „საგნის აღწერა“
(ლოგიკური ინვარიანტები და ტექსტის ნიშან-თვისობრიობა)**

კომპოზიციური ფორმა	ლოგიკური ინვარიანტები		ტექსტის ნიშან – თვისობრიობა
	აბსტრაქტული ტიპი	ფუძემდებლური სტუქტურული ელემენტები	
საგნის აღწერა	საგანი/ობიექტი	1. სივრცეში ერთიმეორესთან პარალელური მოცემულობა 2. სამეტყველო აქტის დროისა და საგანზე დაკვირვების თანხვედრა. 3. განგრძობითობა	უშუალო აღქმის პლასტიკურობა აწმყოში გადმოტანა სტატიკურობა

რაც შეეხება პროცესის აღწერას, იგი სქემატურად შემდეგნაირად გამოიყურება:

სამეტყველო კომპოზიციური ფორმა „პროცესის აღწერა“ (ლოგიკური ინვარიანტები და ტექსტის ნიშან-თვისობრიობა)

კომპოზიციური ფორმა	ლოგიკური ინვარიანტები		ტექსტის ნიშან – თვისობრიობა
	აბსტრაქტული ტიპი	ფუძემდებლური სტუქტურული ელემენტები	
პროცესის აღწერა	პროცესი	1. სივრცეში ერთიმეორესთან პარალელური მოცემულობა 2. სამეტყველო აქტის დროისა და საგანზე დაკვირვების თანხვედრა. 3. დროითი თანმიმდევრობა	უშუალო აღქმის პლასტიკურობა აწმყოში გადმოტანა დინამიკა

რაც შეეხება ისეთ კომპოზიციურ ფორმას, როგორცაა განმარტება (მსჯელობა), იგი წარმოდგენილია შემდეგი სქემის სახით:

სამეტყველო კომპოზიციური ფორმა „განმარტება (მსჯელობა)“
(ლოგიკური ინვარიანტები და ტექსტის ნიშან-თვისობრიობა)

კომპოზიციური ფორმა	ლოგიკური ინვარიანტები		ტექსტის ნიშან – თვისობრიობა
	აბსტრაქტული ტიპი	ფუძემდებლური სტუქტურული ელემენტები	
განმარტება (მსჯელობა)	პრობლემა	1. მიზეზობრივი მიმართებები 2. იერარქიული მიმართება ძირითად აზრთან	ლოგიკური თანმიმდევრობა ფენებად დაყოფა

სანამ დავუბრუნდებით იმ ზემოთ ხსენებული ვერტიკალის ურთიერთმიმართებას და, რა თქმა უნდა, ამ ურთიერთმიმართების უფრო საფუძვლიან ხედვას ერთიანი არქიტექსტის ფარგლებში, საჭიროდ მიგვაჩნია, დავინახოთ ზემოთ ჩვენ მიერ სქემატურად წარმოდგენილი კომპოზიციური ფორმები ისეთ შინაარსობრივ პერსპექტივაში, რომ უკვე ცხადი გახდეს მათი მნიშვნელობა ჟურნალისტური ტექსტის განხილვის პროცესში. ამასთან წინასწარ ხედვა, რა თქმა უნდა, ატარებს მხოლოდ ჰიპოთეტურ ხასიათს, მაგრამ თუნდაც ამიტომ საჭიროა ითქვას შემდეგი: უნდა გავიხსენოთ, რომ ჟურნალისტურ ჟანრთა მთელი ერთობლიობა იყოფა სამ კატეგორიად: ინფორმაციულ, ანალიტიკურ და მხატვრულ-პუბლიცისტურ ჟანრებად; ხოლო ამ კატეგორიათა შინაგანი ჟანრობრივი შემადგენლობიდან გამომდინარე ცხადი ხდება სამეტყველო კომპოზიციურ ფორმათა გადამწყვეტი მნიშვნელობა როგორც ჟურნალისტურ ჟანრთა, ისე მათი შესაბამისი ტექტობრივი სივრცის სტრუქტურირების შემთხვევაში. კომპოზიციური ფორმა „შეტყობინება“ და „აღწერა“ უშუალოდ მიესადაგება ჟურნალისტურ ჟანრთა პირველ, ანუ ინფორმაციულ კატეგორიას. „განმარტება (მსჯელობა)“ კი, ბუნებრივია, ასევე მთლიანად მიესადაგება ანალიტიკურ ჟანრთა კატეგორიას. რაც შეეხება მხატვრულ-პუბლიცისტურ ჟანრთა კატეგორიას, მან შეიძლება „დაიტიოს“ თავის თავში ნებისმიერი სამეტყველო კომპოზიციური ფორმა. აქედან გამომდინარე კი ლოგიკურად ისმის კითხვა: ეს თუ ასეა, საინტერესო და ბუნებრივი უნდა იყოს იმის გამოკვლევა, თუ როგორ უნდა ნაწილდებოდეს ეს კომპოზიციური ფორმები ინტერვიუში მონაწილე სამ სუბიექტს შორის (ინტერვიუერი, რესპონდენტი და სავარაუდო რეციპიენტი)? ასევე მნიშვნელოვანია კომპოზიციურ ფორმათა მიმართება იმ **თემასთან**, რომელთან დაკავშირებითაც ინტერვიუერი მიმართავს რესპონდენტს. რადგან ჩვენი კვლევის ძირითადი აქცენტი არის ლინგვისტურად ცენტრირებულობა და, ე.ი., ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს არა იმდენად თვით ჟანრები, არამედ შესაბამისი ტექსტობრივი სივრცე, ცხადია ისიც, რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი კვლევისათვის აქტუალური დანაწევრების თეორიას. თანაც გავითვალისწინოთ, რომ აქტუალური დანაწევრების შესახებ ვმსჯელობთ არა წინადადების, არამედ ტექსტის დონეზე.

მიგვაჩნია, რომ ზემოთ ჩამოყალიბებულმა მსჯელობამ დაგვიდასტურა ჩვენი შემდეგი მოსაზრება, თუ გვსურს განვიხილოთ ინტერვიუ როგორც ისეთი ჟანრი, რომლის ფარგლებშიც ხდება დიალოგის როგორც სამეტყველო ჟანრის ინტერვიუსეულ დიალოგად ტრანსფორმირება, შეუძლებელია არ განვიხილოთ ხსენებული ტრანსფორმირების მონაწილეებად როგორც კომპოზიციური ფორმები, ისე აქტუალური დანაწევრების ფენომენი (ლევინსონი 1997). მაგრამ, ენობრივ ფენომენტა მთელი ეს კომპლექსი მაშინ შეიძენს შესაძლო მნიშვნელობას, თუ მათ ფუნქციობას დაუქვემდებარებთ ჟურნალისტური დისკურსის ინტერსუბიექტურ პრინციპს. თავად ამ პრინციპს კი დაუქვემდებარებთ ერთდროულად როგორც ანთროპოცენტრისტულ, ისე კულტუროცენტრისტულ მეტაპარადიგმებს.

3.4. სამეზნი არქიტექსტი როგორც დინამიური ვერტიკალი

ზემოთ განვითარებული თეორიულ–მეთოდოლოგიური მსჯელობის შემდეგ, ბუნებრივია, აგებულ იქნეს სამეზნი არქიტექსტის მოდელი. თანაც ისეთი მოდელი, რომელიც შეძლებდა ერთდროულად შემდეგი ორი ფუნქციის შერულებას: ა) იგი უნდა შეიცავდეს, რა თქმა უნდა სქემატური სახით, მთელი ჩვენი განვლილი მსჯელობის ძირითად მომენტებს ბ) უნდა გახდეს ინტერვიუს ტექსტობრივი სივრცის იმ ტიპოლოგიზაციის საფუძველი, რომლითაც დაკავებული ვიქნებით ნაშრომის მესამე თავში.

პირველი კითხვები, რომლებიც უნდა დაისვას არქიტექსტის ასაგებ მოდელთან დაკავშირებით, ჟღერს შემდეგნაირად: 1. როგორი უნდა იყოს ეს მოდელი - სტატიკური თუ დინამიური?; 2. როგორი უნდა იყოს იგი განზომილებრივი თვალსაზრისით, ანუ იმ თვალსაზრისით, რომელიც გულისხმობს ამ მოდელში ინტერდისციპლინარულობისა და ლინგვისტური ცენტრირებულობის შეთავსებას?; 3. როგორი უნდა იყოს ეს მოდელი ორივე წინა ასპექტის გათვალისწინების შემთხვევაში? ამ ბოლო კითხვაზე პასუხის გაცემისას მნიშვნელოვანია ყველა იმ ასპექტის მინიშნების სახით მაინც გათვალისწინება, რომლებსაც შეიცავდა ჩვენი მეთოდოლოგიის ყველა განზომილება – როგორც ინტერდისციპლინარული, ისე ინტერპარადიგმული,

როგორც დიალოგური, ისე სამეტყველო კომპოზიციური და თემა–რემატული. იქედან გამომდინარე, რომ სადისერტაციო ნაშრომის შემდეგ თავში ჩასატარებელი ანალიზი უნდა დაეფუძნოს სამეზბნი არქიტექსტის მოდელს, ჯერ გავცეთ პასუხი ზემოთ დასმულ კითხვებს და შემდეგ შევეცადოთ ხსენებული მოდელის აგებას.

1. როგორი უნდა იყოს ეს მოდელი სტატიკური თუ დინამიური? განვლილ ეტაპებზე არა ერთხელ გვქონდა მსჯელობა იმის თაობაზე, რომ სამეზბნი არქიტექსტის მოდელში უნდა აისახოს ერთდროულად ამ არქიტექსტის დროში მოცემულობის როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური ასპექტები. მაგრამ ამავე დროს ცხადია ისიც, რომ შეუძლებელია ვერტიკალს არ ჰქონდეს გარკვეული უპირატესობა ჰორიზონტალთან მიმართებაში; ამ ორი ასპექტის ამგვარი დაკავშირება კი ქმნის იმის საფუძველს, რომ სამეზბნი არქიტექსტის მოდელი უნდა ატარებდეს **დინამიურ** ხასიათს. ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს უნდა იყოს **დინამიური ვერტიკალი**. და როგორი უნდა იყოს ამგვარი ვერტიკალის კონკრეტულად შინაარსობრივი სტრუქტურა? ვფიქრობთ, ამ კითხვაზე ადეკვატურ პასუხს გავცემთ მოგვიანებით კითხვის შინაარსობრივი გაანალიზების შემდეგ;
2. როგორი უნდა იყოს სამეზბნი არქიტექსტის მოდელი განზომილებრივი თვალსაზრისით? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას გასათვალისწინებელია ასაგები მოდელის შემდეგი სამი აუცილებელი ასპექტი: ა) ის, რომ საქმე გვაქვს ვერტიკალთან, ყოველი ვერტიკალი კი თავის სტრუქტურაში გულისხმობს გარკვეულ დონეებს; ბ) ის, რომ საქმე გვაქვს არა უბრალოდ ვერტიკალთან, არამედ **დინამიური ვერტიკალთან** და, შესაბამისად, ზემოთ ხსენებული დონეები უნდა იმყოფებოდნენ ერთმანეთთან როგორც დიალოგურობის, ისე „შეჯახების“ რეჟიმში. გ) აუცილებელია, იმის ცოდნაც, როგორ უნდა გამოიყურებოდეს ამ ვერტიკალის „ზემო“ და „ქვემო“ განზომილებები;
3. როგორი უნდა იყოს სამეზბნი არქიტექსტის მოდელი ორივე წინა ასპექტის გათვალისწინების შემთხვევაში? რაც შეეხება არქიტექსტის მოდელს როგორც მთლიანს, იგი უნდა შეიცავდეს ერთდროულად როგორც ველის, ისე

ვექტორულობის პრინციპით გათვალისწინებულ შინაარსს. ეს ორი პრინციპი კი უნდა გულისხმობდეს ნებისმიერ ინტერვიუსეულ ტექსტში სტრუქტურისა და ენერჯის ურთიერთშეთავსებას.

ყოველივე ზემოთ ნათქვამის გათვალისწინებით შევეცადოთ წარმოვადგინოთ საძებნი არქიტექსტის მოდელი შემდეგი მეთოდური ნაბიჯების გადადგმის გზით: 1. ჯერ წარმოვიდგინოთ მოდელირებული ვერტიკალი მის მთლიანობაში; 2. მეორე ნაბიჯით წარმოვიდგინოთ ცალ-ცალკე ვერტიკალის ორივე დონე: „ზემო“ და „ქვემო“; 3. შემდეგი ნაბიჯით დავაკონკრეტოთ უკვე გააზრებული ვერტიკალი დისკურსის (კონკრეტულად კი ჟურნალისტური დისკურსის) ინტერსუბიექტურობის პრინციპზე დაყრდნობით, რაც უნდა ნიშნავდეს ერთდროულად ორი პრობლემის გადაჭრას. უნდა გადაწყდეს, თუ მოდელის რომელ განზომილებას – ვერტიკალურს თუ ჰორიზონტალურს – უნდა მივაკუთვნოთ ინტერსუბიექტურობის პრინციპით ნაგულისხმებ სუბიექტთა ერთობლიობა და ამ ერთობლიობით ვიგულისხმოთ როგორც ინტერვიუერი, ისე რესპონდენტი და ინფორმაციის რეციპიენტი. უკვე შეიძლება ითქვას, რომ შეუძლებელია ვიგულისხმოთ იერარქიულობა ამ სამ სუბიექტს შორის და, შესაბამისად, სამივე ეს სუბიექტი უნდა განლაგდეს ერთ ჰორიზონტალზე. ეს კი ნიშნავს, რომ ხსენებული ვერტიკალი უნდა გადაიკვეთოს ამ ჰორიზონტალით. ბოლო ნაბიჯი კი, როგორც ჩანს, უნდა გულისხმობდეს ამ ვერტიკალისა და ჰორიზონტალის ურთიერთმიმართების გამოხატვას; 4. რაც შეეხება მეოთხე დამასრულებელ მეთოდურ ნაბიჯს, მეთოდოლოგიური სინთეზირების ამ პროცესში აუცილებლად უნდა „ჩაერთოს“ ანალოგიის პრინციპიც. და, რაც მთვარია, „ჩაერთოს“ ისე, რომ ბოლომდე მიიყვანოს ამ პრინციპის გამოყენების ზემოთ უკვე აღნიშნული ციკლურობა. რას უნდა ნიშნავდეს ეს თუ არ დავივიწყებთ შემდეგს: მეთოდურ ნაბიჯებს ვდგამთ უკვე არა ფართოდ წარმოდგენილ მეთოდოლოგიურ სივრცეში, არამედ საძებნი არქიტექსტის მოდელირების პროცესში. აღნიშნული ნაბიჯი უნდა გადაიდგას ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ურთიერთდაკავშირების მიზნით.

ყოველივე ამის თქმა კი ნიშნავს შემდეგს, რომ ჯერ განვსაზღვროთ, ძალიან ზოგადი სახით, რას ნიშნავს შინაარსობრივად ზემოთ დასახელებული ნაბიჯები,

შემდეგ კი შევეცადოთ ამ ნაბიჯთა ერთობლიობაზე დაყრდნობით საძებნი არქიტექტურის როგორც დინამიური ვერტიკალის მოდელირებას.

1) შესაბამისად, პირველი მეთოდური ნაბიჯის თანახმად დინამიური ვერტიკალი უნდა გულისხმობდეს ორი დონეებრივი სტრუქტურის ისეთ ერთ ვერტიკალში გაერთიანებას, რომლის შიდა ლოგიკის თანახმად ვერც ერთ მათგანს ვერ მივაკუთვნებთ ვერტიკალის მხოლოდ „ქვემო“ ან მხოლოდ „ზემო“ დონეს. და ვერ მივაკუთვნებთ მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია ვერტიკალი არსებობდეს დონეთა ასეთი ურთიერთშეფარდების გარეშე. ნათქვამი კი, ჩვენის აზრით, უნდა დაკონკრეტდეს შემდეგნაირად: ამ ორი დონიდან ერთი უნდა მოიცავდეს ინტერდისციპლინარულობისა და ინტერპარადიგმულობის ისეთ ინტეგრაციას, რომლის ფარგლებში ინტერექსტუალურობის პარადიგმა მაინც შეინარჩუნებს „ლიდერობას“. რაც შეეხება მეორე დონეს: იგი უნდა მოიცავდეს მთელი ჩვენი ამგვარი მეთოდოლოგიის ლინგვისტურ ცენტრირებულობას, ეს ცენტრირებულობა კი, როგორც ვიცით, უნდა გულისხმობდეს ისეთი დონეებრივი სტრუქტურების სინთეზს, როგორიცაა დიალოგის რეპლიკური სტრუქტურა და სამეტყველო ვერტიკალი. ეს სამეტყველო ვერტიკალი გულისხმობდა დიალოგურ რეპლიკათა ისეთ ხედვას, როცა მათი სტრუქტურა მოიცავს თემა–რემატულობისა და კომპოზიციურობის ურთიერთზემოქმედებას;

2) მეორე ნაბიჯის შინაარსობრივი დაკონკრეტებისას უნდა გავითვალისწინოთ წინა პუნქტში ნათქვამი. ვერტიკალის დონეთა იერარქიულ ურთიერთმიმართებაზე საუბარი (ანუ მათთვის „ქვემო“ და „ზემო“ სტატუსის მინიჭება) შესაძლებელია იყოს მხოლოდ პირობითი. რაც შეეხება ამ დონეთა შინაარსობრივ კონკრეტიკას, ეს კონკრეტიკა უნდა შეიცავდეს უკვე ცხადად ქმნილი მეთოდოლოგიური მთლიანის აუცილებელ „სუბიექტივიზაციას“, ანუ იმას, რომ იგი თავს უნდა იჩინდეს ინტერვიუსეულ დისკურსში მონაწილე სამივე საბიექტის სამეტყველო პარტიებში;

3) როგორც ზემოთ იქნა განსაზღვრული, მესამე მეთოდური ნაბიჯი უნდა ატარებდეს ინტეგრაციულ, ანუ „გამამთლიანებელ“ ხასიათს იმ გაგებით, რომ ვერტიკალის დონეთა ურთიერთმიმართება უნდა ვლინდებოდეს სუბიექტის დონეზე – იქნება ეს ინტერვიუერის, რეციპიენტის თუ რესპონდენტის დონე. მაგრამ მესამე

მეთოდური ნაბიჯის დაკონკრეტებისას მთავარია ის, რომ იგი გულისხმობდეს მთელი მეთოდოლოგიური ვერტიკალის სუბიექტივიზაციას: ამის თქმით, ჩვენ მეტ-ნაკლები სახით ვიმეორებთ ზემოთ ნათქვამს, ამგვარი გამეორება გარდუვალია შემდეგი თვალსაზრისით, სხვანაირად ვერ იქნებოდა გამართლებული ის აზრი, რომ დახასიათებული ვერტიკალი უნდა იკვეთებოდეს **სუბიექტური ჰორიზონტალით**, ანუ იმ ჰორიზონტალით, რომელიც ერთნაირად იგულისხმება როგორც ანთროპოცენტრიზმის მეტაპარადგიმით, ისე დისკურსის ინტერსუბიექტურობის პრინციპითა და ჩვენ მიერ თანმიმდევრულად რეალიზებული ანალოგიის პრინციპით. სხვანაირად რომ ვთქვათ, არქიტექსტის მოდელში მეთოდოლოგიური ვერტიკალი უნდა გადაიკვეთოს იმ ჰორიზონტალით, რომელსაც გულისხმობს **დიალოგურობის პრინციპი**. როგორც არ უნდა იყოს ხსენებული სამი სუბიექტის ადგილი ინტერვიუსეულ დიალოგში, ამ სუბიექტთა ურთიერთმიმართება არ უნდა განიხილებოდეს ურთიერთდაქვემდებარებულობის პრინციპზე დაყრდნობით, რადგან დიალოგურობა როგორც პრინციპი გამორიცხავს ურთიერთდაქვემდებარებულობას;

4) რაში უნდა მდგომარეობდეს მეოთხე მეთოდური ნაბიჯი? როგორც უკვე ითქვა, იგი უნდა წარმოადგენდეს ანალოგიის პრინციპის უკვე დამასრულებელ გამოყენებას, ანუ ისეთ გამოყენებას, რომლის დროსაც დადასტურდება მისი გამოყენების ციკლური ხასიათი; ამავე დროს კი ამ დამასრულებელ ეტაპზე კიდევ ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს ლინგვისტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა. მაგრამ რა ფორმით და შინაარსით უნდა მოხდეს ანალოგიის პრინციპის ამგვარი გამოყენება არქიტექსტის დინამიური მოდელირების პროცესში? როგორც უკვე ითქვა, სამეზბნი არქიტექსტის ჩვენეული მოდელი გულისხმობს დინამიურ ვერტიკალს ორი შესაბამისი დონის სახით. თუ „ზემო“ დონე ახდენს კვლევის ზოგადმეთოდოლოგიურ სინთეზს, „ქვემო“ დონე, გულისხმობს არქიტექსტის საკუთრივ ენობრივ ასპექტს და წარმოადგენს ამ ასპექტს **სამეტყველო ვერტიკალის** სახით. სწორედ ეს სამეტყველო ვერტიკალი გულისხმობს სტრუქტურულ შევსებას ორი თვალსაზრისით: ა) ვერტიკალი თავისი დონეებრივი სტრუქტურით უნდა ატარებდეს თავის თავში გარკვეული კონცეპტუალური შესაბამისობის ნიშანს არქიტექსტის მეთოდოლოგიურ დონესთან მიმართებაში, ანუ უნდა იმყოფებოდეს მასთან („ზემო“ დონესთან)

გარკვეულ „დიალოგში“. ბ) თუ აქამდე სამეტყველო ვერტიკალის კონცეპტუალური სტრუქტურირებისას მთლიანად ვეყრდნობოდით რეპლიკათა შესაძლო შინაარსობრივ ასპექტს, ხოლო ამ შინაარსობრიობის ცენტრალურ მომენტად გვევლინებოდა თემა-რემატულობის ფენომენი, ახლა უკვე საჭირო ხდება ამ სტრუქტურის არა მხოლოდ შენარჩუნება, არამედ **შეესებაც**. ბუნებრივია, ვლავარაკობთ რეპლიკათა კომპოზიციურობასა და თემა-რემატულობაზე და მივიჩნევთ, რომ ამგვარად უნდა იქნეს განხილული **ნებისმიერი დიალოგი** სამეტყველო ვერტიკალის ჭრილში. მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმე გვაქვს არა დიალოგთან ზოგადად, არამედ ინტერვიუსეული ჟანრის ფარგლებში განხორციელებულ დიალოგთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არქიტექტის მოდელირებისას არა მხოლოდ მისი დინამიური ვერტიკალის „ზემო“ დონეში, არამედ „ქვემო“ დონის ფარგლებშიც გარკვეული ფორმა-შინაარსით უნდა აისახოს დიალოგის ინტერვიუსეული ტიპი. ეს უნდა გულისხმობდეს ინტერვიუს, როგორც ჟურნალისტური ჟანრის, კუთვნილებას ამ ჟანრთა ერთობლიობის ინფორმაციულ კატეგორიას. და ამ კატეგორიას აქვს გარკვეული ენობრივი სტრუქტურა, რომელიც მოცემულ შემთხვევაში უნდა იქნეს კონცეპტუალურად ასახული ისევე, როგორც რეპლიკათა კომპოზიციური და თემა-რემატული სტრუქტურა. იმისათვის კი, რომ ხსენებული ასახვა მოხდეს და, შესაბამისად, გადაიდგას მეოთხე მეთოდური ნაბიჯი, უნდა გავიხსენოთ არა მხოლოდ ინტერვიუს, არამედ ჟანრთა მთელი საინფორმაციო კატეგორიის ენობრივ-სტრუქტურული დახასიათება. იმისათვის, რომ ნათლად წარმოვადგინოთ ეს დახასიათება საჭიროა, ჯერ აღვიქვათ ინტერვიუ ჟურნალისტურ ჟანრთა მთელ ტიპოლოგიურ სივრცეში, შემდეგ კი იმ სტრუქტურული დახასიათების მიხედვით, რომელიც მას ეძლევა ამ სივრცის ფარგლებში.

ზემოთ აღნიშნულ ამოცანათაგან პირველის შესასრულებლად მოგვყავს ჟურნალისტურ ჟანრთა შემდეგი მაინტეგრირებელი სქემა:

ჟურნალისტურ ჟანრთა ტიპოლოგია

ჟანრთა ინფორმაციული ჯგუფი	ჟანრთა ანალიტიკური ჯგუფი	ჟანრთა მხატვრულ-პუბლიცისტური ჯგუფი
საინფორმაციო ცნობა რეპორტაჟი ანგარიში ინტერვიუ	კორესპონდენცია სტატია მიმოხილვა რეცენზია პრესის მიმოხილვა წერილი	ნარკვევი ჩანახატი ფელეტონი პამფლეტი ეპიგრამა

ჟურნალისტურ ჟანრობრივ ჯგუფთა კლასიფიკაციის დახასიათება

საინფორმაციო ჟანრები	ანალიტიკური ჟანრები	მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრები
ციკლური ფაქტის, მოვლენის, ახალი ამბის შესახებ ოპერატიული შეტყობინება, შემჭიდროვებული შეტყობინება. აქედან გამომდინარე: დროითი პარამეტრის, მონომოვლენათა და რეგლამენტირებულობის ნიშანი.	ფაქტების ურთიერთდამოკიდებულების გამოვლენა . . .	მხატვრული ტიპიზაციის საშუალებათა გამოყენება. . .

როგორც ვხედავთ, ჩვენ გამოვტოვეთ ანალიტიკური და მხატვრულ-პუბლიცისტურ ჟანრთა დახასიათების სრული ციტირება, რადგან გვსურს გავამახვილოთ ყურადღება საინფორმაციო ჟანრებზე იმ გასაგები მიზეზის გამო, რომ სწორედ ამ ჯგუფს ეკუთვნის **ინტერვიუ**. იქედან გამომდინარე კი, რომ გვსურს ჟანრთა ამ კატეგორიის ერთობლივი დახასიათება, გამოვიყენოთ ციტირებული სქემა ზემოთ განსაზღვრული მიზნის განსახორციელებლად. ეს მიზანი გულისხმობს ინტერვიუსეული ტექსტის ენობრივი სტრუქტურის გამოვლენას. ამ შემთხვევაში კი უნდა მივიჩნიოთ, რომ ჟანრთა ზოგადი თვისობრიობის გამაერთიანებელ მომენტად მიჩნეულია „**დროითი პარამეტრი**“ – ყველა დანარჩენი მახასიათებელი კი გულისხმობს ამ პარამეტრისადმი გარკვეულ დამოკიდებულებას.

რას უნდა ნიშნავდეს დროითი პარამეტრის ამგვარი აქცენტირებულობა ზემოთ დეკლარირებული ჩვენი „მეოთხე ნაბიჯისთვის“? როგორც ითქვა, არქიტექსტის დინამიური ვერტიკალის „ქვემო“ დონის, ანუ სამეტყველო ვერტიკალის კონცეპტუალური სტრუქტურირებისათვის არ უნდა იყოს საკმარისი რეპლიკათა კომპოზიციური და თემა-რემატული ხედვა, რადგან ამგვარი ხედვა შესაძლებელი იქნებოდა ნებისმიერი დიალოგისთვის. აქედან გამომდინარე კი, მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია, რომ ა) სამეტყველო ვერტიკალი უნდა „შეივსოს“ აქ წარმოდგენილი დიალოგის, ანუ ინტერვიუსეული დიალოგის ჟანრობრივი ნიშნით. ბ) ჩვენთვის ამ ახალ ჟანრობრივ ნიშანს უნდა ჰქონდეს გარკვეული ანარეკლი არქიტექსტული მოდელის „ზემო“ დონეში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საჭიროა დავასახელოთ ენობრივი კატეგორია, რომელიც შეასრულებდა ამგვარ ფუნქციას.

ხსენებულ ენობრივ კატეგორიას უნდა წარმოადგენდეს დროის კატეგორია. მაგრამ დრო როგორც ენობრივი კატეგორია თანამედროვე ლინგვისტიკის მიხედვით, შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ოთხ დონეზე: 1. დრო, როგორც გრამატიკული კატეგორია; 2. დრო, როგორც ლექსიკური კატეგორია; 3. დრო, როგორც ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია; 4. დრო, როგორც ფუნქციურ-სემანტიკური ველი. მაგრამ, ბუნებრივია, გასარკვევია როგორი უნდა იყოს ინტერვიუსეული სამეტყველო ვერტიკალისთვის აუცილებელი „დროითი პარამეტრის“ ენობრივ-კატეგორიალური კვალიფიკაცია. ვფიქრობთ, ამ მიზნისთვის მაქსიმალურად შესაფერისი უნდა იყოს

დროის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია. წინა ორი კატეგორიის დასახელება უმართებულოდ შეზღუდავდა დროითი პარამეტრის სემანტიკურ სივრცეს, ხოლო მეოთხე კატეგორია, ანუ დროის ფუნქციურ-სემანტიკური ველი, მეტისმეტი კონკრეტულობით დაუკავშირებდა ხსენებულ პარამეტრს მოცემული ენის შინაგან ტიპოლოგიას.

ჩვენი „მეოთხე ნაბიჯის“ ფარგლებში საძებნ ენობრივ კატეგორიას უნდა ჰქონდეს ანარეკლი (შეიძლება ითქვას, კონცეპტუალური პარალელი) არქიტექსტის „ზემო“, ანუ მეთოდოლოგიურ დონესთან. აქედან გამომდინარე კი უნდა მივიჩნიოთ, რომ ჩვენ წინაშეა ორი ურთიერთდაკავშირებული ამოცანა: ა) უნდა შევინარჩუნოთ დროითობა როგორც ზოგადკატეგორიალური კონცეპტი და ბ) აღნიშნული ზოგადკატეგორიალური კონცეპტი ერთიანად და ამავე დროს განსხვავებულად უნდა მივასადაგოთ არქიტექსტული მოდელის ორივე დონეს.

ზემოთ აღნიშნული უნდა გულისხმობდეს უკვე არა მეთოდურ ნაბიჯებზე მსჯელობას, არამედ მათ კონკრეტულ რეალიზაციას გრაფიკული სახით წარმოდგენილი მეთოდოლოგიური ვერტიკალის ფარგლებში, შემდეგ კი, ამ მეთოდოლოგიის გამოყენებას ინტერვიუსადმი დაქვემდებარებული ტექსტობრივი სივრცის ტიპოლოგიზაციის პროცესში. თავად ტიპოლოგიზაციის კვლევით პროცესს ეთმობა ჩვენი ნაშრომის მესამე თავი, რადგან სწორედ მის ფარგლებში უნდა წარმოჩინდეს ჩვენს მიერ შემუშავებული თეორიულ-მეთოდოლოგიური სისტემის ადეკვატურობა. მაგრამ, სანამ უშუალოდ განვახორციელებდეთ ტიპოლოგიზაციის ამ პროცესს, სასურველია ორიოდე სიტყვით მაინც კვლავ შევხვით ინტერვიუსეული ტექსტისადმი მიძღვნილ იმ ორ დისერტაციას, რომლებიც უკვე შესრულებულია ქართულ კვლევით სივრცეში:

პირველ ამგვარ დისერტაციაზე, რომელიც ეკუთვნის სოფიო ჭეიშვილს, უკვე გვექონდა მსჯელობა. თუ ამ მსჯელობის შინაარსს შევაჯამებთ, მაშინ უნდა ითქვას ის, რაც მნიშვნელოვანია არქიტექსტის მოდელირებისათვის. ამ ნაშრომის ფარგლებში გამოიყენებოდა ინტერდისციპლინარული და ლინგვისტურად ცენტრირებული მეთოდოლოგია, ხოლო აღნიშნული ცენტრირებულობის საფუძვლად ფიგურირებდა თანამედროვე ლინგვისტიკის ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა. (ჭეიშვილი

2006) ჩვენც ვაგრძელებთ ხსენებულ მეთოდოლოგიურ მიმართულებას, მაგრამ ვითვალისწინებთ რა ზოგადად ჰუმანიტარული აზროვნების თანამედროვე პარადიგმულ ტენდენციებს, ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმას ვაღრმავებთ ზოგადჰუმანიტარული სტატუსის მქონე ისეთი ორი პარადიგმით, როგორცაა ინტერტექსტუალურობა და სინერგეტულობა. უფრო მეტიც, ხსენებული გაღრმავება შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ გამოგვეყენებინა ანალოგიის პრინციპი და ამ პრინციპზე დაყრდნობით არ განგვეხორციელებინა ლინგვისტურობისა და ზოგადჰუმანიტარულობის გარკვეული სინთეზი.

ასევე ინტერვიუსეული ტექსტის ფენომენს ეძღვნება ქრისტინე ჭოხონელიძის სადისერტაციო ნაშრომი: „პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობის ლინგვოპრაგმატიკული ანალიზი“, თუმცა უკვე განსხვავებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით: მის ფარგლებში აქტუალიზირებულ იქნა ენობრივი ნიშნის განზომილებრივი სტრუქტურა, კერძოდ კი ენობრივი პრაგმატიკა. ამგვარმა მიდგომამ დისერტაციის ავტორს მისცა იმის საშუალება, რომ, თავის მხრივ, დაყრდნობოდა ჟურნალისტური დისკურსისათვის მნიშვნელოვან ინტერსუბიექტურობის პრინციპს. სწორედ ამგვარი მიდგომის შემდეგ დისერტანტი აგებს ინტერვიუს როგორც „კომუნიკაციის ორპლანიან მოდელს“ (ჭოხონელიძე 2014:20). ამ მოდელის ფარგლებში კი გამოყოფს ჟანრის ისეთ სუბიექტებს, როგორცაა ადრესანტი და ადრესატი, შესაბამისად ინტერვიუსეულ რესპონდენტს და თავად ინტერვიუერს. ხსენებული დისერტაცია შეიცავს სიახლეს იქედან გამომდინარე, რომ მასში გათვალისწინებული იყო ჟურნალისტური დისკურსის პრაგმატული სტრუქტურა.

ბუნებრივია, გავითვალისწინებთ ორივე ზემოთ ხსენებული ავტორის მიერ მიღებულ შედეგებს და პარალელურად შევეცდებით აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში განვახორციელოთ ამ შედეგთა სინთეზი: როგორც უკვე ითქვა, ჩვენ კვლავაც ვიყენებთ, ისე როგორც ს. ჭეიშვილი, ლინგვისტურად ცენტრირებული ინტერდისციპლინარულ მეთოდოლოგიას, მაგრამ ამავე დროს ვახორციელებთ ინტერდისციპლინარულობისა და ინტერპარადიგმულობის სინთეზსაც. ამავე დროს კი, თუკი მხედველობაში მივიღებთ ქრ. ჭოხონელიძის დისერტაციას, ჩვენც ვეყრდნობით, თუმცა ამის ვერბალური ექსპლიციტების გარეშე, ლინგვისტურ

პრაგმატიკას იმდენად, რამდენადაც ვსაუბრობთ საკვლევი ჟანრის ინტერსუბიექტურობაზე. თუმცა, ამ მეორე დისერტაციის ავტორისაგან განსხვავებით ხაზგასმით გამოვყოფთ ინტერვიუსათვის დამახასიათებელ არა ორ, არამედ სამ სუბიექტს, ე.ი. არა მხოლოდ რესპონდენტსა და ინტერვიუერს, არამედ აგრეთვე რეციპიენტსაც, როგორც ამ ჟანრის ინტერსუბიექტურობისათვის აუცილებელ კომპონენტს. შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვახორციელებთ ერთდროულად პრაგმატიკისა და ინტერპარადიგმულობის სინთეზს. ასევე აღსანიშნავია, რომ ეს მეორე სინთეზი მოწმობს შემდეგ ფაქტს. ინტერსუბიექტურობის პრინციპს ვიყენებთ ანალოგიის პრინციპზე დაყრდნობით და ამ გზით ვცდილობთ გამოვიყენოთ კვლევის ლინგვისტურ ასპექტში ის, რაც მეტ-ნაკლებად უკვე რეალიზებულია ზოგადჰუმანიტარული კვლევის სივრცეში.

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან კი გამომდინარეობს ჩვენი იმ ბოლო მეთოდოლოგიური ამოცანის აუცილებლობა, რომლის შესრულების გარეშე საძებნი არქიტექსტის მოდელი ვერ მიიღებს დასრულებულ სახეს: ა) საჭიროა დავასახელოთ ისეთი დროითი კატეგორია, რომელიც თავისი შინაგანი კონცეპტუალური შინაარსით შეძლებდა „დაეფარა“ არქიტექსტული ვერტიკალის ორივე დონე ბ) ამავე დროს კი უფრო კონკრეტულად დავახასიათოდ ის საკუთრივ ენობრივი დროითი კატეგორია (ანუ დროის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია), რომელიც არა მხოლოდ შინაარსობრივად „მოერგებოდა“ საინფორმაციო ჟანრათა მთელ ჯგუფს (და მათ შორის ინტერვიუსაც), არამედ შეძლებდა ყოფილიყო ზემოთ ნახსენები უფრო ფართო დროითი კატეგორიის ბუნებრივი კომპონენტი (მეგრელიშვილი et al 2012).

ა) რაც შეეხება პირველ ამოცანას: ვფიქრობთ, ამგვარი შინაარსის დროით კატეგორიად უნდა დავასახელოთ **ქრონოტოპი**. მ. ბახტინის, ანუ იმ მოაზროვნის მიხედვით, რომელმაც ჰუმანიტარული აზროვნების სივრცეში შემოიტანა ეს ტერმინი-ცნება, ამ ცნებისათვის ცენტრალურ მომენტად უნდა მივიჩნიოთ სივრცით-დროითი ერთიანობის ის აქსიოლოგიური მიმართულება, რომელიც მხატვრულ ნაწარმოებში გამოხატულია ამა თუ იმ პიროვნული პოზიციით (**ირზა 1998:337**). როცა ჩვენი კვლევით კონტექსტიდან გამომდინარე მივმართავთ ქრონოტოპის კონცეპტს, მხედველობაში ვიღებთ შემდეგ ორ ერთნაირად მნიშვნელოვან მომენტს: 1.

ქრონოტოპის კონცეპტი თავისი გენეზისით მიეკუთვნება ლიტერატურულ-ესთეტიკურ სფეროს, რაც მიუთითებს შემდეგზე: ამ კონცეპტის მოშველიებით ჩვენ კვლავაც მივმართავთ ანალოგიის პრინციპს და, შესაბამისად, ვიყენებთ მას იმ დამასრულებელ ეტაპზე, რომელიც ნათლად ავლენს ამ გამოყენების ციკლურ ხასიათს;

2. მიუხედავად იმისა, რომ ქრონოტოპი როგორც კონცეპტი გენეტიკურად ეკუთვნის მხატვრულ-ლიტერატურულ სფეროს, მან შეიძინა ბევრად უფრო ფართო მნიშვნელობა და ხშირად გამოიყენება ამა თუ იმ კულტურულ-ცივილიზაციური ფენომენის დახასიათებისას იმისათვის, რომ განისაზღვროს ამ ფენომენის ადგილი ეპოქის კულტურულ-ცივილიზაციურ სფეროში;

ბ) რაც შეეხება ჩვენ წინაშე მდგომ მეორე ამოცანას, ზემოთ უკვე დასახელებული გვაქვს ის ენობრივი დროითი კატეგორია, რომელმაც, ერთის მხრივ, უნდა „შეავსოს“ უკვე დასახელებული სამეტყველო ვერტიკალი, მეორეს მხრივ კი, შინაარსობრივად უნდა მიესადაგოს არქიტექსტული ვერტიკალის „ზემო“ დონეს. რაკი ჩვენ უკვე დავასახელეთ „ზემო“ დონისათვის მისადაგებული ამგვარი დროითი კონცეპტი - ქრონოტოპი, უკვე აუცილებელი ხდება შესაბამის ლინგვისტურ კატეგორიებზე დაყრდნობით დავახასიათოთ დროის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია.

თანამედროვე ლინგვისტიკაში **ტემპორალურობა**, ანუ დროის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია, განისაზღვრება შემდეგნაირად: ეს ის სემანტიკური კატეგორიაა, რომელიც ასახავს ადამიანის მიერ იმ სიტუაციათა და მათ ელემენტთა დროით აღქმას და გააზრებას იმ მომენტთან კავშირში (ან სხვა ათვლით წერტილთან კავშირში), რომელიც ეკუთვნის მეტყველ პირს (**ბონდარკო 1990:5**)

მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფუნქციურ-სემანტიკური მახასიათებლები, რომლებიც ახლავს ამ კატეგორიის დეფინიციას. ეს მახასიათებლებია:

1. **ტემპორალური სიტუაცია** განსხვავებული ენობრივი საშუალებებით გამოხატული ის შინაარსობრივი სტრუქტურაა, რომელიც ეფუძნება ტემპორალურობასა და მასთან დაკავშირებულ ფუნქციურ-სემანტიკურ ველს (ibid.: 5);

2. ტემპორალობა წარმოადგენს **მააქტუალიზირებელ** კატეგორიას. ციტირებული ავტორის მიხედვით მააქტუალიზირებელი კატეგორიები ახლოს არის პრედიკატულ

კატეგორიებთან იმ გაგებით, რომ ორივე შემთხვევაში გამოხატავენ მეტყველი პირის თვალსაზრისს იმასთან დაკავშირებით, რა კავშირი აქვს გამონათქვამს სინამდვილესთან. (ibid.: 5);

3. ტემპორალურობა წარმოადგენს **ვექტორულ კატეგორიას**, ანუ ისეთ კატეგორიას, რომელიც მიუთითებს გარკვეულ მიმართულებაზე. (ibid.: 7);

ვფიქრობთ, ტემპორალობის, ანუ დროის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის ზემოთ მოცემული მახასიათებლები მეტყველებს იმაზე, რომ ამ კატეგორიას ძალუმს შეასრულოს ჩვენ მიერ მისთვის მინიჭებული როლი. ერთის მხრივ, იგი წარმოადგენს სწორედ **ენობრივ კატეგორიას**. და თუ გავიხსენებთ, რომ არქიტექსტის ჩვენეული მოდელიც უნდა შეიცავდეს ინტერვიუთი, როგორც ჟანრით ნაგულისხმებ სუბიექტთა ურთიერთმიმართებას, ცხადი ხდება ტემპორალურობის მთელი მნიშვნელობა არქიტექსტული მოდელის სტრუქტურისთვის (მეგრელიშვილი at al 2012:28). მაგრამ, თუ ზემოთ ნახსენებ ქრონოტოპს ადვიქვამთ მთელი მისი შესაძლო შინაარსის გათვალისწინებით, მაშინ მისი ჟანრობრივ-ტექსტობრივი დაკონკრეტება უნდა გულისხმობდეს სწორედ ტემპორალურობის ჩამოთვლილ მახასიათებელთა ერთობლიობას.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ შეგვიძლია ვიფიქროთ იმაზე, რომ უნდა აიგოს საძებნი არქიტექსტის მოდელი. მაგრამ, სანამ დავსვამთ კითხვას იმის თაობაზე, როგორ (რა ფორმითა და სტრუქტურით) უნდა აიგოს ეს მოდელი, გავიხსენოთ მისი ფუნქციური დახასიათება: იგი უნდა წარმოადგენდეს ისეთ აზრობრივ კონსტრუქტს, რომელიც თავისი ფუნქციური როლით მოიაზრება ენობრივ სისტემის და იმ ტექსტობრივ სივრცეს შორის, რომელიც თავის მხრივ ემსახურება დისკურსის ამა თუ იმ ტიპთა და ქვეტიპთა „გატექსტებას“.


თუ გვსურს ხსენებულმა მოდელმა მთლიანად ასახოს ის აზრობრივი გზა, რომელიც უკვე გავიარეთ, სწორი იქნება, თუ მასაც (ანუ არქიტექსტის მოდელსაც) გარკვეული თვალსაზრისით მიეცემა ისეთი ფორმა და შინაარსი, რომელიც ნაგულისხმებია სიტყვით „**გზა**“. რა უნდა ვიგულისხმო ამ ფორმა-შინაარსით? ამ შემთხვევაშიც, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ ერთგვარ დინამიურობასაც, მაგრამ უკვე იმ გაგებით, როცა ვლაპარაკობთ მოდელზე როგორც დინამიურ ვერტიკალზე. წინა

პარაგრაფების მსჯელობაზე დაყრდნობით უნდა გამოგვეყო ორი გადამწყვეტი ეტაპი:

1. საჭიროდ ჩავთვალოთ, რომ უკვე ხსენებული ორდონიანი ვერტიკალი გადაკვეთილიყო ჰორიზონტალურად განლაგებული იმ ინტერსუბიექტური სტრუქტურით, რომელიც, ინტერვიუს ჟანრიდან გამომდინარე, უნდა გულისხმობდეს რესპონდენტის, ინტერვიუერისა და რეციპიენტის ერთობლიობას; 2. რაც შეეხება ჩვენს მეორე გადაწყვეტილებას, საჭიროდ მივიჩნიეთ, რომ ამ მიმართულებით გადაგვედგა კიდევ ერთი ნაბიჯი, ე.ი. ინტერსუბიექტურობით უკვე გადაკვეთილი დინამიური ვერტიკალი კიდევ ერთხელ გადაკვეთილიყო, მაგრამ უკვე არა ჰორიზონტალურად, არამედ ვერტიკალურად და დროის ისეთი კომპლექსური კატეგორიით, რომელიც შინაარსობრივად არეკლავდა ინტერვიუს როგორც ჟურნალისტური ჟანრის შინაგან მიმართებას დროითობასთან, ანუ იმ ფაქტს, რომ მის მახასიათებლებს შორის ცენტრალურს წარმოადგენს „დროითი პარამეტრი“. რაც შეეხება თვით დროითი პარამეტრის სტრუქტურას, იგი დიქტომიურია, ანუ გულისხმობს ქრონოტოპისა და ტემპორალურობის შინაგან ერთიანობას. მეტი თვალსაჩინოებისათვის შეგვიძლია გრაფიკულად გამოვსახოთ ზემოთ ხსენებული „გზა“.

სქემა №14


დინამიური ვერტიკალის მარტივი სტრუქტურული ფორმა



მაგრამ, რა თქმა უნდა, სამეზბნო არქიტექსტის მოდელად უნდა მივიჩნიოთ არა ზემოთ წარმოდგენილი ჩვენი „გზა“, არამედ ამ გზის გავლით მიღებული გრაფიკულ-კონცეპტუალური შედეგი, რომელიც უნდა გამოიყურებოდეს შემდეგნაირად:

სქემა №15

არქიტექსტის დნამიური ვერტიკალის მოდელი



ამ გრაფიკულ მოდელს უნდა ჰქონდეს იმის პრეტენზია, რომ შეასრულოს ერთდროულად ორი ამოცანა: 1. ასახოს მთელი საძებნი არქიტექსტი მისი ფუნქციონალური ფორმით და 2. ასახოს ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობითი „გზა“ როგორც მისი საწყისი, ისე შედეგობრივი ეტაპით. შესაბამისად ჩვენს მოდელში საწყისი ეტაპი წარმოდგენილია სწორი ხაზით, ხოლო გზის ეტაპები და საბოლოო შედეგი წყვეტილი ხაზით.

იმის შემდეგ, როცა უკვე განხილული გვაქვს ინტერვიუს ტექსტობრივი სივრცის არქიტექსტი როგორც კონცეპტუალური, ისე მოდელური თვალსაზრისი, საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი ხსენებული კონცეპტისა და მოდელის ფუნქციურ დანიშნულებას: იგი (ანუ არქიტექსტის დინამიურად წარმოდგენილი კონცეპტი და მოდელი) უნდა წარმოადგენდეს იმ ტექსტობრივი სივრცის ტიპოლოგიზაციის საფუძველს, რომელიც ემსახურება დასახელებული ჟანრის „გატექსტებას“.

იმის შემდგომ, რაც ხაზი გაესვა არქიტექსტის ფუნქციურ დანიშნულებას, საჭიროდ მიგვაჩნია გაეცეს პასუხი ორ შემდეგ კითხვას: 1. პირველი კითხვა ატარებს როგორც ზოგადთეორიულ, ისე ზოგადმეთოდოლოგიურ ხასიათს და გულისხმობს შემდეგს: როგორ უნდა იქნეს ასახული ჩვენ მიერ კონცეპტუალიზირებული და მოდელირებული არქიტექსტი ტიპოლოგიზირებულ ტექსტებში. ნებისმიერი ინტერვიუსეული ტექსტის დახასიათებაში მეტად თუ ნაკლებად უნდა იყოს ასახული ჩვენ მიერ კონსტრუირებული მოდელი ორი მომენტის გათვალისწინებით: ა) ეს ასახვა უნდა იქნეს სინთეზირებული ტექსტის დროით პარამეტრში (ამ პარამეტრის ორივე დონის გათვალისწინებით); ბ) ხოლო ამ ასახვით გამოვლენილი სპეციფიკა, თავის მხრივ, უნდა აისახოს ინტერვიუსეული ტექსტის ინტერსუბიექტურ სტრუქტურაში. რა თქმა უნდა, არც ერთ ინტერვიუსეულ ტექსტში არ იქნება დასახელებული ამ ტექსტის რეციპიენტი, როცა, ბუნებრივია, სწორედ იგი უნდა იქნეს მიჩნეული ინტერვიუს მთავარ ადრესატად; 2. მეორე კითხვა: როგორ უნდა იქნეს ასახული ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურაში, კერძოდ კი ნაშრომის დამასრულებელ ეტაპზე, ტიპოლოგიზაციის ზემოთ კომენტირებული პრინციპები? ცხადია, შეუძლებელია ამა თუ იმ ნაშრომის ფარგლებში განხორციელდეს ტიპოლოგიზაციის

მთელი შესაძლო პროცესი. მაგრამ, სამაგიეროდ, შესაძლებელი და აუცილებელიცაა თუნდაც შეზღუდული ტექსტების მაგალითზე იყოს ნაჩვენები ის, როგორ მუშაობენ ტიპოლოგიზაციის ნახსენები პრინციპები.

შესაბამისად მოვიყვანთ ინტერვიუსეულ ტექსტთა ამგვარი ტიპოლოგიზაციის რამდენიმე მაგალითს. რა თქმა უნდა ინტერვიუსეულ ტექსტთა ამჟამინდელი სიგრძის გამო შეუძლებელია მათი სრულად გადმოტანა, მაგრამ, სამაგიეროდ, აუცილებელია რომ, თავიდანვე ჩანდეს ის, თუ რატომ შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი შესაბამისი რეციპიენტის მიერ აქ გამოთქმული აზრი და, გარდა ამისა, უნდა ჩანდეს ისიც, თუ რა მიზანი აქვს დასახული ჟურნალისტს რესპონდენტის გამოკითხვისას.

ტექსტი I: ჟურნალისტი მერი რიდელი ესაუბრება ლორდ გლასმანს, რომელიც ინტერვიუსეულ „ქუდში“ დახასიათებულია შემდეგნაირად: „Lord Glassman is the most influential thinker behind “Blue Labour“- with policies that even the Tories might balk at introducing. . . მომდევნო კონტექსტში კი დასახელებულია მისი ძმა და პოლიტიკოსი დავით/ედ მილიბენდი. თავად ინტერვიუ მიმდინარეობს შემდეგნაირად:

„ - Should David come back to the front bench and help his brother?

- That is for David to call... but Ed's leader, and we have to show him love and support... David's got to do that, and David will do that because he loves his brother. The party, David as well, has got completely to support Ed into growing into the leader he can be... The incredible work David's done.

-What did he mean when he described the older Miliband as “non-relational”?

- Put very bluntly, David could have won the election if he'd made a serious offer to the unions about partnership. He could have won with a constructive offer to all areas of the party to work together. He didn't do it, and Ed's did, and Ed's won. David has tremendous quality, but so... have many people in the party who aren't it's leader.“ (1)

ამ ინტერვიუსეული ტექსტის კომენტარებისას, როგორც უკვე ითქვა, სასტარტო მომენტს უნდა წარმოადგენდეს სამი ისეთი მონაცემი, როგორცაა ერთის მხრივ დროითი პარამეტრი, მეორეს მხრივ ინტერსუბიექტური სტრუქტურა. მასამე

მომენტად კი უნდა მივიჩნიოთ ამ სტრუქტურის ის მონაწილე, რომელიც, არ იქნება დასახელებული თავად ტექსტში, მაგრამ წარმოადგენს მის რეციპიენტს.

შესაბამისად, დავასახელოთ და დავახასიათოთ ჯერ დროითი პარამეტრი მის მთლიანობაში, შემდეგ კი შევეცადოთ იმის განსაზღვრას, რა მიმართებაში უნდა იყვნენ ერთმანეთთან დრო და რეციპიენტი.

რაც შეეხება დროით პარამეტრს, თუ ვილაპარაკებთ ამ პარამეტრზე ჩვენი მოდელის ზემო, ანუ ზოგადმეთოდოლოგიურ დონეზე, ცხადი იქნება, რომ ინტერვიუ ხდება იმ ქრონოტოპის ფარგლებში, რომლითაც ხასიათდება თანამედროვე დასავლეთის მრავალპარტიული პოლიტიკური სივრცე. ამიტომ შეუძლებელია ინტერვიუსეული ტექსტის რეციპიენტი არ ეკუთვოდეს ამ ქრონოტოპს, სხვა შემთხვევაში იგი ვერ დაინტერესდებოდა ტექსტის შინაარსით. რაც შეეხება დროითი პარამეტრის ქვემო, ლინგვისტურად ცენტრირებულ დონეს, შეიძლება ითქვას, რომ იგი მთლიანად ინტეგრირებულია ზემოთ ხსენებულ ქრონოტოპში, ინტეგრირება კი ხდება ისეთი ტემპორალური ფუნქციურ-სემანტიკური ველის საშუალებით, რომლის ფუნქციურ ცენტრს წარმოადგენს გრამატიკური Simple Present, ხოლო პერიფერიულ სეგმენტს კი – ამ ცენტრთან შინაარსობრივად დაკავშირებული Simple Past, Present Perfect და ასევე კილოს ფორმები.

როგორც ვხედავთ, ტექსტის კომენტირებისას დადგენილ იქნა ორი ისეთი სტრუქტურული მომენტი, რომლებიც ერთი შეხედვით ტოვებენ მარტივ შთაბეჭდილებას, მაგრამ რომლებზეც შეიძლება იყოს დამოკიდებული მოდელით წარმოდგენილი კომპლექსის სხვა კომპონენტები.

პირველ რიგში ჩვენთვის საინტერესო უნდა იყოს ტექსტის ის ასპექტი, რომელიც ფიგურირებს ჩვენი ნაშრომის სათაურში და რომლის განსაზღვრაც წარმოადგენს ჩვენს მთავარ მიზანს. აქ ჩვენ ვგულისხმობთ ინტერტექსტუალურობას როგორც ინტერვიუსეული ტექსტის ცენტრალურ მახასიათებელს. თუ გავიხსენებთ იმას, რომ ინტერტექსტუალურობა ნიშნავს ტექსტის ციტატურობას, მაშინ საინტერესოა, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული ტექსტის ეს ციტატურობა იმ ჟანრის გათვალისწინებით, რომელსაც იგი ატექსტებს. აღნიშნული მომენტი უნდა

ეფუძნებოდეს, ერთის მხრივ, დიალოგურობის ჟურნალისტურ გაგებას, მეორეს მხრივ კი, რეციპიენტისა და დროითი პარამეტრის ურთიერთმიმართებას.

ზემოთ დახასიათებულ ქრონოტოპში ჩართული რეციპიენტისთვის ბუნებრივია არა მხოლოდ ის, რა ხდება ამ ქრონოტოპით ნაგულისხმებ მრავალპარტიულ პოლიტიკურ სივრცეში – მისთვის ასევე ბუნებრივია, რომ შესაბამისი ინფორმაცია მან მიიღო ისეთ ინტერვიუსეულ სტრუქტურაზე დაყრდნობით, როგორცაა ჟურნალისტი და რესპონდენტი. და ეს ხდება იმიტომ, რომ ზემოთ ხსენებული სოციალური ქრონოტოპი ხასიათდება „ინფორმაციული აფეთქების“ ქრონოტოპით. და რას უნდა ნიშნავდეს ეს ინტერტექსტუალურობის თვალსაზრისით? სტრუქტურული თვალსაზრისით ყოველი ინტერვიუსეული ტექსტი უნდა წარმოადგენდეს პრეცედენტულად არსებული ტექსტების ციტირებას: ყოველ მათგანს უნდა ჰქონდეს რეპლიკური სტრუქტურა, რეპლიკები კი შინაარსობრივად უნდა ასახავდეს „ინფორმაციული აფეთქების“ სოციალურ ქრონოტოპს. შესაძლებელია გვქონდეს განსხვავება დროითი პარამეტრის ზემო, ისე ქვემო დონეებს შორის, მაგრამ ა) შეუძლებელია ზემო დონე საბოლოო ანგარიშში მაინც არ განეკუთვნებოდეს ხსენებულ ქრონოტოპს, და ბ) ასევე შეუძლებელია, რომ ქრონოტოპში ჩართული და მის მიერ განპირობებული ფუნქციურ–სემანტიკური ველი თავის ფუნქციურ ცენტრად არ გულისხმობდეს ტემპორალობის უკვე დახასიათებულ ფუნქციურ–სემანტიკურ ველს.

როგორც ვხედავთ, ინტერვიუსეული ტექსტის ინტერტექსტუალური ანალიზის პროცესში ცენტრალურ მომენტად იქცევა ის, რამდენად შეესაბამება ერთმანერთს ჩვენი მოდელის დონეებრივი სტრუქტურა. სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა მიეთითოს იმ თემა–რემატულ მომენტზე, რომელიც საბოლოო ანგარიშში, განსაზღვრავს სწორედ ამ დონეთა ურთიერთშესაბამისობას. თუმცა ჟურნალისტისთვის, და ალბათ ვირტუალური რეციპიენტისთვისაც, ინფორმაციის ძირითად წყაროს უნდა წარმოადგენდეს ლორდ გლასმანი და სწორედ მისი პოლიტიკური მოღვაწეობა უნდა წარმოადგენდეს ინტერვიუს როგორც ტექსტის ძირითად თემას. მაგრამ ამ თემის ფარგლებში შემოჭრილია მისი ძმის დევიდის თემა, ე.ი. უკვე რემა არსებულ და საწყის თემასთან მიმართებაში. ასევე ვხედავთ, თუ როგორ

განსაზღვრავს სწორედ ეს რემა რეპლიკაში შემავალ კომპოზიციურ ფორმებს. ვფიქრობთ, სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა დაისვას სამი შემდეგი კითხვა:

1. როგორია ჟურნალისტის რემით განპირობებული რეპლიკის კომპოზიციური სტრუქტურა?

2. როგორია რესპონდენტის იგივე რემით განპირობებული რეპლიკის კომპოზიციური სტრუქტურა?

3. როგორ უნდა იქნეს ჩვენ მიერ წარმოდგენილი იმ მესამე რეპლიკის სავარუდო კომპოზიციური სტრუქტურა, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს ამ ინტერვიუს ქვეტექსტში მყოფ, მაგრამ გადამწყვეტ სუბიექტს – **რეციპიენტს**?

რა თქმა უნდა, ჩვენ არ შეგვიძლია ასეთივე სიცხადითა და სიზუსტით დავახასიათოთ რეციპიენტისეული რეპლიკა, როგორც დავახასიათოთ რესპონდენტის და ინტერვიუერის რეპლიკები. ამ უკანასკნელთა რეპლიკები ხასიათდება სწორედ უკვე დასახელებული რემით განპირობებული იმ კომპოზიციური ფორმით, რომელიც უნდა ვიგულისხმოთ როგორც ჟურნალისტის, ისე რესპონდენტის პასუხებში: ორივე რეპლიკაში **დომინირებს** შეტყობინება როგორც კომპოზიციური ფორმა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ როგორც ინტერვიუერი, ისე რესპონდენტი წინასწარ ფლობდნენ ინფორმაციას ინტერვიუს თემასთან დაკავშირებით. მაგრამ, ამავე დროს, მთელი ინტერვიუსეული ტექსტი გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ვიფიქროთ შემდეგი: შეტყობინების ის დომინირება, რომელიც ზემოთ იქნა აღნიშნული, განსხვავებულ როლს ასრულებს ინტერვიუერისა და რესპონდენტის რეპლიკებში. ინტერვიუერის რეპლიკაში იგი თითქოსდა ბადებს მეორე კომპოზიციურ ფორმას – მსჯელობას: „Should David come back to the front bench and help his brother?...“ (ibid.:17) და მიუთითებს იმაზე, რა ფორმითა და შინაარსით სურს ჟურნალისტს მიიღოს ინფორმაცია ლორდის ძმასთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ, როგორც ეს ციტატიდან ჩანს, კითხვით დასმული შეტყობინება გადადის მსჯელობაში. მსჯელობა კი, უკვე თავისი შინაგანი სტრუქტურით – აღწერაში. რაც შეეხება რესპონდენტის რეპლიკას, იგიც ეფუძნება მისი მხრიდან მომდინარე შეტყობინებას, მაგრამ ისე, რომ თავად შეტყობინება რჩება ქვეტექსტში, ანუ ფიგურირებს იმპლიციტურად. ღია ტექსტის დონეზე კი შეტყობინება მთლიანად გადადის მსჯელობაში, რითაც

იგულისხმება, რომ ლორდმა კარგად იცის როგორ და რით უნდა დახმარებოდა მისი ძმა. აღსანიშნავია ასევე რესპონდენტის რიგით მეორე რეპლიკა, რომელშიც მოყვანილია ძმის ისეთი დახასიათება, რომელიც ენობრივად მოითხოვს აღწერას როგორც კომპოზიციურ ფორმას „David has tremendous quality, but so... have many people in the party who aren't it's leader.“ (ibid.:17).

შევეცადეთ, ტექსტის კომენტარებისას არ დაგვერღვია ჩვენი მოდელის როგორც ვერტიკალის სტრუქტურა და ერთმანეთთან შესაბამისობაში მოგვეყვანა მისი ორივე დონე. თუმცა, თითქოსდა ხსენების გარეშე დაგვრჩა შემდეგი მომენტი: ა) რა როლს ასრულებს სინერგიულობის ფენომენი მოდელის ზემო დონის სტრუქტურაში და რა უნდა შეესაბამებოდეს მას (როგორც ეს მოხდა ქრონოტოპისა და ტემპორალურობის ურთიერთმიმართების ჩვენებაში) ქვემო დონეში? ბ) რა როლს ასრულებს ინტერვიუ როგორც დისკურსის სუბიექტური სტრუქტურა, თუ ამ სტრუქტურას განვიხილავთ სამივე კომპონენტის ჩათვლით?

ვფიქრობთ, ამ კითხვებზე უნდა გაიცეს ისეთი ერთიანი პასუხი, რომელიც მნიშვნელოვანი იქნება არა მხოლოდ ინტერვიუსეული ჟანრის, არამედ მთელი ჟურნალისტური დისკურსისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტისთვის განკუთვნილი სოციალური სივრცის ზედაპირზე მუდამ ჩანს თავად ჟურნალისტი, ზოგჯერ კი (და სწორედ ინტერვიუს შემთხვევაში) მისი რესპონდენტი, საბოლოო ანგარიშში, ჟურნალისტურ ჟანრთა მთელი ერთობლიობის ფუნქციონისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმ **სინერგიულობას**, რომლის გარეშე ვერ შედგებოდა ჟურნალისტური დისკურსი როგორც ფენომენი. იმ შემთხვევაში, როცა ჟურნალისტის საქმიანობა წარმატებულია, ეს საქმიანობა, უფრო სწორად – ეს ქმედება უნდა წარმოადგენდეს პასუხს იმ კითხვაზე, რომელსაც იგი უნდა გულისხმობდეს შესაძლო რესპონდენტის მხრიდან. და, რაც მთავარია, კითხვის **შიდა ენერგია**, ანუ რეციპიენტის როგორც სოციალური პიროვნების დაინტერესება მოცემული თემით, მოითხოვს ამ კითხვაზე ასეთივე ენერგიით აღბეჭდილ პასუხს, თუმცა პასუხის ენერგია უნდა იყოს სტრუქტურირებული (კითხვის ენერგიისგან განსხვავებით) უკვე წმინდა ინფორმაციულად (როგორც ვნახეთ, შესაძლო რეციპიენტის კითხვა იკვებებოდა სოციალური ინტერესის ენერგიით და სწორედ ამგვარ ენერგიას

სინერგიულად უნდა შეუერთდეს ინფორმაციულად სტრუქტურირებული ჟურნალისტური ტექსტი).

როგორ შეიძლება მოვახდინოთ მოცემული ინტერვიუსეული ტექსტის ამ ჩვენი კომპონენტის რეზიუმირება? რეზიუმირება პირველ რიგში უნდა ნიშნავდეს იმის კიდევ ერთხელ ხაზგასმას, რასაც გულისხმობდა ჩვენი ნაშრომის სათაურში დაფიქსირებული კვლევითი მიზანი. უნდა გვეჩვენებინა როგორ გამოიყურება ინტერვიუსეული ტექსტის **ინტერტექსტუალური სტრუქტურა**. დავრწმუნდით იმაშიც, რომ ამ სტრუქტურის ჩვენება და განსაზღვრა შეიძლება ხდებოდეს მხოლოდ შემდეგი სამი მომენტის არა გათვალისწინებით, არამედ ერთ მთლიან ფარგლებში უწყვეტი ინტეგრირების გზით: ა) პირველი მომენტი გულისხმობს, რომ მოცემული ტექსტის ინტერტექსტუალურობა უნდა განისაზღვროს ჩვენ მიერ მოდელირებული არქიტექტურის ორივე დონის ერთობლივ სტრუქტურაში; ბ) ინტერტექსტუალურობა როგორც ტექსტის ნიშან-თვისება განისაზღვროს სინერგიულობის თანმხლებ მომენტად; გ) ხსენებული ინტერტექსტუალურობა, საბოლოო ანგარიშში, წარმოადგენს ორი სუბიექტის – ჟურნალისტისა და რეციპიენტის – შემხვედრ ენერჯიათა პროდუქტს.

ტექსტი II: ჟურნალისტი ბრაიონ გორდონი ინტერვიუს დასაწყისში შემდეგნაირად გვიხასიათებს თავის რესპონდენტს სერ დევიდ ფრედერიკს: „Sir David Frederick Attenborough has an awful lot of letters after his name. He is a member of Order of Merit, a Commoander of the Royal Victorian Order, a Companion of Honour, and has been given 29 honorary degrees by various universities, more then eny other person“. და რაკი გადაწყვეტილი გვაქვს, რომ ინტერვიუში ჩაბმული სამი სუბიექტიდან, საბოლოო ანგარიშში, მთავარია ექსპლიციტურად არდასასახელებული, მაგრამ იმპლიციტურად უმთავრესი რეციპიენტი, თავიდანვე უნდა ითქვას, რომ თუ ჟურნალისტი მას (რეციპიენტს) აწვდის ამგვარ ინფორმაციას რესპონდენტის შესახებ, ამით იგი უკვე განსაზღვრავს ინტერვიუსთვის ფუძემდებელ **თემას** და, შესაბამისად, უნდა მივიჩნიოთ, რომ ყოველივე ის, რასაც რესპონდენტი ეტყვის ჟურნალისტს, უნდა წარმოადგენდეს **რემას** რეციპიენტისათვის. ვფიქრობთ, თემა–რემის ამგვარი განსაზღვრა გამართლებულია იმის გათვალისწინებით, როგორი უნდა იყოს ზოგადად ურთიერთმიმართება ინტერვიუსეულ სუბიექტებს შორის. მაგრამ, განსაკუთრებულ

მნიშვნელობას მსგავს შემთხვევაში უნდა იძენდეს კომპოზიციურ ფორმათა ის ერთობლიობა, რომლითაც არის წარმოდგენილი რესპონდენტის რეპლიკათა ჯაჭვი. ყოველივე ამის თქმით საფუძველი უნდა ჩავუყაროთ იმის განსაზღვრასაც, რა სპეციფიკით უნდა ხასიათდებოდეს ამ შემთხვევაში ინტერვიუსეული ტექსტის ინტერტექსტუალურობა და როგორ უნდა იქნეს დანახული ის **სინერგიულობაც**, რომლითაც ეს ინტერტექსტუალურობა იკვებება.

ინტერვიუ შეეხება თანამედროვე საინფორმაციო, კერძოდ სატელევიზიო სივრცეს, მის გავლენას ახალაგაზრდა თაობაზე. ჟურნალისტი ცდილობს დაადგინოს რესპონდენტის ხედვა თანამედროვე სატელევიზიო სივრცეზე:

- „Who will inspire children to dig in the mud for worms?
- Well there are bags of talented people around, what is not around is bags of money and natural history programmes are very expensive to make. There are not many organisations prepared to put in the hundreds of thousands of pounds it takes to make a decent series...
- As you were the controller of BBC Two and the director of programming for BBC television, there has, naturally, been huge changes during that time there...Is that change for the better, or for the worse?

- Both. People are much more transitory; In the old days BBC was a monopoly, there was nowhere else to go, so you had a huge amount of expertise, and you knew you were on top of things... I watch natural history programmes that my mates are doing – or perhaps I should say my competitors – but apart from that I don't watch EastEnders... The thing is I've got enough in my life without trying to discover new things. So I don't watch quiz programmes, or serials. I will watch anything that makes me laugh. The problem with that is that obviously sense of humour stays with your age and what makes young people laugh doesn't necessarily make me laugh.“ (2)

ინტერვიუს წარმოდგენილ ნაწყვეტში რესპონდენტის რეპლიკებიდან იკვეთება ორი მომენტი: ა) დომინანტურ კომპოზიციურ ფორმად გვევლინება **შეტყობინება**, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მას ეჭვი არ ეპარება ნათქვამის სისწორეში, მაგრამ, ამავე დროს, ამ შეტყობინების მტკიცებით მოცემულ რეპლიკებში დიდი ადგილი უკავია ორი კომპოზიციური ფორმის – აღწერისა და მსჯელობის – ჰიბრიდს. ეს ჰიბრიდი გამოყენებულია იმ ტელევიზორის დასახასიათებლად, რომელიც რესპონდენტის აზრით დომინირებს თანამედროვე ბრიტანეთში; ბ) არანაკლებ მნიშვნელოვანია ის

ფაქტი, რომ ზემოთ აღნიშნული თემა – ანუ დღეისათვის დომინანტური ტელესივრცის დახასიათება – დანახულია **ქრონოტოპული თვალსაზრისით**. სოციალურად აღქმული აწმყო შედარებულია სოციალურად აღქმულ წარსულთან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი რემატიზაციით რესპონდენტი იმპლიციტურად მიუთითებს მის მიერ ნათქვამის სინერგიულ ასპექტზე. ქვეტექსტურად ცხადია, რომ სოციალური დროის მსგავსი შედარებით იგი ცდილობს მოიპოვოს მისივე თაობის რეციპიენტთა სიმპატია. რესპონდენტის რეპლიკებში, თუ ყურადღებას გავამახვილებთ მათში ჩართულ კომპოზიციურ ფორმებზე, უკვე ჩანს, თუ როგორ უერთდება მისეულ ენერგიას იმ რეციპიენტთა ენერგია, რომლებსაც იგი ქვეტექსტურად მიმართავს. ყოველივე ამის თქმით, პირდაპირ თუ არა ირიბად მაინც, შევხვდეთ მთელი ამ ინტერვიუსეული ტექსტის ინტერტექსტუალურობასაც. მოცემული ტექსტი თითქოსადა ახდენს უკვე განხილული, და ამდენად პრეცედენტული, ტექსტის ციტირებას, მაგრამ ამავე დროს სწორედ ამ ციტირებისას და მასზე დაყრდნობით გამოთქვამს ზემოთ ხსენებულ სინერგიულობაზე დაფუძნებულ ხედვებს.

ტექსტი III: ჟურნალისტი ლუის არმიტსტედი წარმოგვიდგენს ინტერვიუს წარმატებულ თანამედროვე ბიზნესმენ სტევენ კელისთან, რომლის ავტობიოგრაფიაშიც მოთხრობილია, რომ „Kelly has commanded board and executive roles at highly regarded companies“, ინტერვიუერს სურს დაგვანახოს, რაში მდგომარეობს რესპონდენტის წარმატების სადუმლო:

- What is the key of your success?
- When I arrived at Micro Focus they they all thought I'd landed from Mars. I was the latest in a line of bosses an I guess they must have thought that they should just sit tight and I wouldn't last long either. I started talking about how we could effect big change, all together. They thought I had crazy aspiration, but that was OK, you have to have a sense of humour... we had a few bumps on the road but we were soon in a better place because staff were engaged... we want to engage the workforce, allow them to have a part and shape the businesses they work in.” (3)

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოცემული ტექსტი თავისი ინტერტექსტუალური სტრუქტურით მთლიანად იმეორებს ყოველივე იმას, რაც ჩვენმა კომენტარმა გამოავლინა წინა ტექსტების ანალიზისას. მაგრამ, ამავე დროს, მოცემულ ტექსტს აქვს თავისებურება, რომელიც, თავის მხრივ, გარკვეულ სიცხადეს ჰფენს წინა, თითქოსდა უფრო რთულ ტექსტებს: ეს თავისებურება პირდაპირაა დასახელებული სიტყვათშეთანხმებით „the key of your success“. თუ გავითვალისწინებთ ამ სიტყვათშეთანხმების ნომინაციურ ასპექტს, ანუ მის ქრონოტოპულ შინაარსს, მაშინ დავინახავთ იმ შინაგან კავშირსაც, რომელიც არა მხოლოდ არსებობს ამ ტექსტის ფარგლებში, ვგულისხმობთ კავშირს ინტერტექსტუალურობასა და სინერგიულობას შორის, არამედ ჩვენი ტექსტობრივი ტრიადის ფარგლებში მიუთითებს კიდევ მთელი ამ პოლიტიკურ-სოციალური ქრონოტოპის სიღრმისეულ ბირთვზეც (the key of your success). ეს სიტყვათშეხამება ისეთი ნომინაციური ასპექტია, რომელმაც ინტერვიუერის გათვლით მაშინვე უნდა მიიპყროს პოტენციური რეციპიენტის ყურადღება და ამით შექმნას ის ენერგიული ველი, რომლის ფარგლებში ერთმანეთს შეხვდება მისეული და რეციპიენტისეული ენერგია.

რაც შეეხება ჩვენი არქიტექსტის „ქვემო“ დონეს და მის მიმართებას უკვე დახასიათებულ „ზემო“ დონესთან: რესპონდენტის ტექსტში შემავალ ყველა წინადადებას თან სდევს ერთი და იმავე კომპოზიციური ფორმის – შეტყობინების – უწყვეტი ჯაჭვი, რაც იმას ნიშნავს, რომ რესპონდენტი დარწმუნებულია, რომ შეტყობინებათა ამ ჯაჭვით იგი ატყობინებს ჟურნალისტსაც და რეციპიენტსაც იმას, რაში მდგომარეობს მისი წარმატების საიდუმლო. ბუნებრივია, უნდა მივიჩნიოთ, რომ ეს სწორედ შეტყობინებათა ის ჯაჭვია, რომელიც შინაარსობრივად მთლიანად ესადაგება ზემოთ უკვე დასახელებულ ქრონოტოპს.

მთლიანობაში კი შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მიერ გაანალიზებული ამ ბოლო ტექსტს სწორედ თავისი შედარებით უფრო მარტივი სტრუქტურით, თითქოსდა ზედაპირზე გამოაქვს ჩვენი მოდელით ნაგულისხმები ინტერტექსტუალურ-სინერგიული შინაარსი.

იმის გათვალისწინებით, რომ ნაშრომის მესამე თავი სინამდვილეში წარმოადგენს მის შემაჯამებელ სეგმენტს, შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ მისი შემაჯამებელი დასკვნები დაემთხვეს მთლიანად ნაშრომის დასკვნებს.

დასკვნები

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობამ მიგვიყვანა შემდეგ დასკვნებამდე:

- იქედან გამომდინარე, რომ კვლევის ცენტრალურ პრობლემად მიჩნეულ იქნა ინტერვიუ როგორც ჟურნალისტური ჟანრი და მისი ტექსტობრივი სივრცის კონცეპტუალიზაციისა და მოდელირების პრობლემა, საჭირო ხდება კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ ასპექტთა როგორც გამიჯნვა, ისე ურთიერთდაკავშირება. კვლევის თეორიულ საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ დისკურსის ზოგადი თეორია, მეთოდოლოგიურ საფუძვლად კი ინტერდისციპლინარულობისა და ინტერპარადიგმულობის ის პრობლემური ურთიერთმიმართება, რომლითაც ხასიათდება არა მხოლოდ ლინგვისტური, არამედ მთელი ჰუმანიტარული სააზროვნო სივრცე. როგორც ლინგვისტური, ისე თანამედროვე ზოგადჰუმანიტარული აზროვნების ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემად მიჩნეულ უნდა იქნეს იმ მიმართების დადგენა და განსაზღვრა, რომელიც უნდა არსებობდეს კვლევის ისეთ ორ პარადიგმას შორის, როგორცაა ინტერტექსტუალურობისა და სინერგიულობის პარადიგმები. საბოლოო ანგარიშში კი ცენტრალურ მეთოდოლოგიურ პრობლემად უნდა დასახელდეს ინტერპარადიგმული კომპლექსის მიმართება იმ პარადიგმასთან, რომელსაც დომინანტური სტატუსი უკავია როგორც ლინგვისტური, ისე ზოგადჰუმანიტარული თვალსაზრისით, ანუ ლინგვოკულტუროლოგიასთან ლინგვისტური თვალსაზრისით და კულტუროცენტრიზმთან ზოგადჰუმანიტარული თვალსაზრისით.

- გამომდინარე იქედან, რომ ჩვენი კვლევის ცენტრალურ პრობლემად მიჩნეულია ინტერვიუს ჟანრისადმი დაქვემდებარებული ტექსტობრივი სივრცის ინტერტექსტუალური განზომილება, ამიტომ აუცილებელია იმის მხედველობაში მიღება, როგორ ხდება ჩვენთვის ცენტრალური პარადიგმის, ანუ ინტერტექსტუალურობის პარადიგმის სინერგიულობასთან დაკავშირება ლინგვისტიკისაგან განსხვავებულ ისეთ ჰუმანიტარულ სფეროში, როგორცაა ლიტერატურათმცოდნეობა. ზემოთ მოყვანილი მეთოდოლოგიური პრობლემის

გადაჭრისას გამიჯნული და ურთიერთდაკავშირებული უნდა იქნეს შემდეგი ორი ასპექტი: ა) ზოგადმეთოდოლოგიური ასპექტი, რომლის გათვალისწინებასაც მივყავართ ანალოგიის პრინციპის გამოყენების აუცილებლობასთან; ბ) პრობლემის ის საკუთრივ ლინგვისტურ-ტექსტოლოგიური ასპექტი, რომელიც ანალოგიის პრინციპის გამოყენების შედეგად ნებისმიერ ტექსტში იწვევს **სტრუქტურულ და ენერგიულ** განზომილებათა როგორც გამიჯვნას, ისე ურთიერთდაკავშირებას.

- კვლევის საბოლოო მიზნიდან გამომდინარე, რომელსაც ინტერვიუსეული ტექსტობრივი სივრცის ტიპოლოგიზაციის კონცეპტუალური საფუძვლის განსაზღვრა წარმოადგენს, აუცილებელი ხდება ამ საფუძვლის როგორც აზრობრივი კონსტრუქტის „არქიტექსტად“ წარმოდგენა. არქიტექსტი გააზრებულია როგორც ენობრივ სისტემასა და ჟანრობრივ-ტექსტობრივი სივრცის ის დამაკავშირებელი ტექსტობრივი ინსტანცია, რომელიც ემპირიულად არც სისტემას და არც ხსენებულ სივრცეს არ ეკუთვნის, მაგრამ აუცილებელია, როგორც მათი ურთიერთდამაკავშირებელი შუალედური რგოლი. არქიტექსტი ეს ის ტექსტობრივი ინსტანციაა, რომლის საშუალებითაც ფუძნდება ინტერვიუსეულ ტექსტთა ინტერტექსტუალურობა ჰორიზონტალური და ვერტიკალური თვალსაზრისით, მაგრამ ამავე დროს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს არა მხოლოდ ჩვენი კვლევისთვის ფუძემდებლური ის მეთოდოლოგია, რომელიც გულისხმობს ინტერდისიპლინარულობისა და ინტერპარადიგმულობის სინთეზს, არამედ ასევე ნებისმიერი (და არა მხოლოდ ჟურნალისტური) დისკურსისთვის ფუძემდებლური ინტერსუბიექტურობის პრინციპს.

- იქედან გამომდინარე კი, რომ ანალოგიის პრინციპზე დაყრდნობით ჩვენი კვლევის კონტექსტში შემოტანილია კულტუროლოგიის, ინტერტექსტუალურობისა და სინერგიულობის შემცველი ინტერპარადიგმული კომპლექსი, აუცილებელი ხდება ამ კომპლექსის ასახვა სამეზბნი არქიტექსტის როგორც კონცეპტისა და მოდელის ფარგლებში. არქიტექსტის ფარგლებში ხსენებული კომპლექსის ასახვისას კი გათვალისწინებულ უნდა იქნეს ნებისმიერი ტექსტობრივი ფენომენისთვის აუცილებელი ორი ისეთი ასპექტი, როგორცაა, ერთის მხრივ, **ტექსტის სტრუქტურა**, მეორეს მხრივ, **ტექსტის ენერგია**. ტექსტობრივი სტრუქტურისა და ტექსტობრივი

ენერჯის მოდელირება კი უნდა ხდებოდეს ველისა და ვექტორულობის პრინციპზე დაყრდნობით.

- სამეზნი არქიტექსტის ადეკვატური კონცეპტუალიზაციისა და მოდელირებისათვის ასევე აუცილებელია იმ ორი თეორიულ–ემპირიული წყაროზე დაყრდნობაც, რომლებიც საფუძვლად უდევს, ერთის მხრივ, ნებისმიერ დისკურსს, მეორეს მხრივ კი, ჟურნალისტური დისკურსის ისეთ ქვეტიპს, როგორცაა ინტერვიუ. ასეთ თეორიულ–ემპირიულ წყაროდ მიჩნეული უნდა იქნეს ინფორმაციისა და დიალოგის თეორია.

- ყოველივე ზემოთ განხილულის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ ინტერვიუს როგორც ჟურნალისტური ჟანრის ტექსტობრივი სივრცის შემქმნელი არქიტექსტი უნდა იქნეს მოდელირებული როგორც კვლევის ზოგადი, ანუ ინტერდისციპლინარულ–ინტერპარადიგმული მეთოდოლოგიის, ისე ამ მეთოდოლოგიის ლინგვისტურად ცენტრირებულობის გათვალისწინებით. არქიტექსტის ამგვარი მოდელირების ზოგად პრინციპად კი მიჩნეულია იმ სამწტყველო ვერტიკალის (ანუ დიალოგური ვერტიკალის) ჟანრობრივი ტრანსფორმაციის ფენომენი, რომლის გარეშე ვერ შედგებოდა ვერც დისკურსის ნებისმიერი ტიპი თუ ქვეტიპი და ვერც ამ ქვეტიპით ნაგულისხმები სამეტყველო ჟანრი.

- ინტერვიუსეული არქიტექსტის ადეკვატურად მოდელირებისათვის, საჭიროა კვლავაც მივმართოთ ანალოგიის პრინციპს და უნივერსალური სტატუსი მივანიჭოთ იმ პრინციპს, რომელზე დაყრდნობითაც ლიტერატურულ–ტექსტობრივი სივრცე განიხილება როგორც ზოგადი სამეტყველო ჟანრის (და ამ ჟანრის ვერტიკალის) კონკრეტულ ჟანრობრივ და ტექსტობრივ ვერტიკალად ტრანსფორმირების შედეგი.

- რადგან ჟურნალისტურ ჟანრთა ზოგადი თეორიის თანახმად ინტერვიუ განეკუთვნება ჟანრთა ამ ერთობლიობის საინფორმაციო კატეგორიას, ხოლო ამ კატეგორიის ძირითად ნიშან–თვისებად მიჩნეულია **დროითი პარამეტრი**, აუცილებელი ხდება სამეზნი არქიტექსტის მოდელირებისას გრაფიკული სახით გამოვხატოთ ისეთი ორდონიანი დინამიური ვერტიკალი, რომლის გამაერთიანებელ ასპექტად მივიჩნევთ დროით პარამეტრს. ამ პარამეტრს კი მივანიჭებთ ორი დონის

მქონე ვერტიკალის სტატუსს: „ზემო“ დონეზე დროითი პარამეტრი გაიგება, როგორც სოციალურ–ეპოქალური ქრონოტოპი, „ქვემოზე“ კი განხორციელდება ამ ქრონოტოპის ისეთი ენობრივი დაკონკრეტება, რომლითაც მთლიანად გამოხატულ იქნება ჩვენი კვლევითი მეთოდოლოგიის ლინგვისტური ცენტრირებულობა. ნათქვამის თანახმად ვერტიკალის „ქვემო“ დონეზე ინტერვიუსეული ტექსტი წარმოდგენილია დიალოგის რეპლიკურ სტრუქტურათა ისეთი ტექსტობრივი სტრუქტურებით, როგორიცაა კომპოზიციური ფორმები და ამ ფორმათა თემა–რემატული სტრუქტურა.

- იმის გათვალისწინებით, რომ საძებნი არქიტექსტის სტრუქტურა უნდა „ემსახურებოდეს“ შესაბამისი ტექსტობრივი სივრცის ტიპოლოგიზაციას, ნებისმიერი ტექსტობრივი რეალობის ანალიზი უნდა ხდებოდეს სამი მეთოდური ნაბიჯის გათვალისწინებით:

- გასაანალიზებელი ტექსტი უნდა აღიქმებოდეს არქიტექსტის როგორც ერთი მთლიანი დინამიური ვერტიკალის მხედველობაში მიღების საფუძველზე;
- ხსენებული გამამთლიანებელი ეტაპის შემდეგ უნდა მოხდეს ვერტიკალის დონეთა ცალ–ცალკე (და ურთიერთგათვალისწინებით) გაანალიზება;
- ვერტიკალი კვლავაც უნდა იქნეს დანახული მის მთლიანობაში, მაგრამ უკვე დისკურსისათვის (ნებისმიერი ჟანრის) ფუძემდებლური ინტერტექსტუალურობის პრინციპზე დაყრდნობით.

ბიბლიოგრაფია

1. აბრაჰამი 1991 – Abraham W. (ed.). (1991) Discourse particles across languages. Berlin: Mouton de Gruyter, pp. 125-147.
2. ალავიძე 2011 – ალავიძე მ. (2011). ინტერვიუს ქვეტექსტის ლინგვისტური ანალიზი (ინგლისური და ქართული ენების მასალაზე) ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011, 184 გვ.
3. ალენი 1966 - Allen R. L. (1966). The Verb System of Present Day American English. The Hague: Paris: Mouton, 303 p.
4. ანდერსონი 1973 - Anderson J. (1973). An Assay Concerning Aspect. The Hague: Paris: Mouton, 112 pp.
5. არნოლდი 1981 - Арнолд И.В. (1981). Стилистика современного Английского языка, Ленинград.
6. არუტიუნოვა 1990 - Арутюнова Н. Д. (1990). Дискурс. Лингвистический энциклопедический словарь, Москва.
7. არუტიუნოვა 1972 - Арутюнова Н. Д. (1976). Предложение и его смысл: Логико-семантические проблемы. Москва, Высшая школа.
8. არუტიუნოვა 2003 - Арутюнова Н. Д. (1976). Предложение и его смысл. Москва: Наука, 1976, 3-е изд., Удиторил УРСС, 383 с.
9. არჩვაძე 2009 – არჩვაძე ე. (2009). იმპლიკაციის გამოხატვის საშუალებები სხვადასხვა სისტემის ენებში (ინგლისური და ქართული ენების მასალაზე), ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 170.
10. ახმანოვა 1966 - Ахманова О. С. (1966). Словарь лингвистических терминов. Москва: советская энциклопедия.
11. Москва: советская энциклопедия.
12. ბაბენკო 2004 - Бабенко Л. Г. (2004). Лингвистический анализ художественного текста. Москва: изд. Московского университета.
13. ბანცეროვსკი 1974 - Banczerowski J. (1974). Some contrastive considerations about semantics in the communicative process. Papers and studies in contrastive Linguistics, 2: 11-31.
14. ბარტი 2004 - Барт Р. (2004). Лингвистика дискурса in: "Система моды. Статьи по семиотике культуры", Москва.

15. ბაუგრანდი 2001 – Beaugrande De R. (2001). Text, Discourse and Process. Toward a Multidisciplinary Science of Texts. London: Longman, 351 p.
16. ბახტინი 1975 - Бахтин М. (1975). Формы времени и хронотипа в романе. Вопросы литературы и эстетики. Москва. худож. литература.
17. ბახტინი 1979 - Бахтин М. М. (1979). Проблемы текста в лингвистике, филологии и других гуманитарных науках. Москва: Высшая школа.
18. ბახტინი 1996 - Бахтин М. М. (1996). Проблема речевых жанров, Бахтин М. М. Собрание сочинений в семи томах, Москва, Русские словари, Т. 5.
19. ბარხუდაროვი 2004 - Бархударов Л. С. (2004). Общая лингвистика. Уровни лингвистического анализа. in: "Лингвистика XX века Система и структура языка", Часть 1, Москва: № Прогресс".
20. ბარხუდაროვი 1975 (2) - Бархударов Л. С. язык и перевод. Москва: Междунар. отношения, (2).-239 с.
21. ბენვენისტი 1965 - Бенвенист Э.(1965). Уровни лингвистического анализа. В кн.: Новое в лингвистике. москва: Пролгресс, выш. III. -С. 434-450.
22. ბენფილდი 1982 - Banfield Ann. (1982). Unspeakable Sentences: Narration and Representation in the Language of Fiction, Boston; Routledge Kegan Paul. London.
23. ბესმერტნაია, ვიტმერსი 1979 - Bessmertnja N, Wittmers E. (1979). Übungsbuch zur Textlinguistik” (1979). Moskau, Vysšaja škola.
24. ბლოხი 1942 - Bloch B. (1942). Outline of Linguistic Analysis. Baltimore: Linguistic Soc. of America.
25. ბოლნოვი 1999 - Больнов О. (1999) Философия экзистенциализма, Санкт-Петербург.
26. ბენფილდი 1982 - Banfield Ann. (1982). Unspeakable Sentences: Narration and Representation in the Language of Fiction, Boston; Routledge Kegan Paul. London.
27. ბიულერი 2001 - Бюлер К. (2001). Теория языка. москва. Прогресс.
28. ბიულერი 1943/63 - Bühler, K. (1934/63). Theory of Language. (translated into English by D. Fraser Goodwin) Amsterdam/Philadelphia; John Benjamins Publishing.

29. ზიჩკოვი 2003 - Бычков В.В. (2003). К Философии Лексикона” in Лексикон Нонкласики Художественно-эстетическая культура XX века, москва, РОССПЕН, ст. 7
30. ზლუმფილდი 1933 - Bloomfield L. Language. New York, holt, (1933). IX+564 p.
31. ზოდუენ დე კურტენე 1963 - Бодуэн де Луртенэ И. А. (1963). Избранные труды по общему языкознанию. Москва: Изд. АН СССР, т. 1. 384 с.
32. ზოიბი 1990 - Beun, R. (1990). The Recognition of Pragmatics. Oxford: Oxford University Press
33. ზონდარკო 1971 - Бондарко А. В. (1971). Грамматическая категория и контекст. Ленинград: "Наука".
34. ზონდარკო 1990 - А.В. Бондарко. (1990). Темпоралонльონსტ , in “ теория функциональной грамматики ”. Теморалонльონსტ , Модальность. Изд . “наука” ленинград . ст. 5
35. ზოლინჯერი 1977 - Bolinger, D. (1977). Meaning and form. Ldn. and N. Y.: Longman.
36. ზრაუნი 1998 - brown, G. (1998). Context creation in discourse understanding. in k. malkjaer and j. williams (eds.) context in language learning and language understanding. Cambridge: Cambridge University Press. 171-92.
37. ზუდაგოვი 1976 - Будагов Р. А. (1976). Человек и его язык. Изд. 2-у изд. Москва: Московского гос. ун-та, 428 с.
38. გამყრელიძე 2002 - Гамкрелидзе Е. В. (2002). Лингвистическая типология и проязыковая реконструкция, html, [http://www.philology.ru/linguistics/gamkrkrelidze-99, htm](http://www.philology.ru/linguistics/gamkrkrelidze-99.htm), 16.05.2009. С. 211-218.
39. გამყრელიძე et al 2003 – გამყრელიძე თ., კვიციანი ზ., შადური ი., შენგელია ნ. (2003). თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 753 გვ.
40. გალპერინი 1981 - Гальперин И. А. (1981). Текст как объект лингвистического исследования. Москва: "Наука".
41. გარდინერი 1951 - Gardiner A. (1951). The Theory of Speech and Language. Oxford: Clarendon Press.
42. გასპაროვი 2001 - Гаспаров М. (2001). Литературная энциклопедия терминов и понятий. Москва. Интелвак.

43. გვენცაძე 1986 - Гвенцадзе М. А. (1986). коммуникативная лингвистика и типология текста. Москва: "Прогресс".
44. გოგლი 2008 - gorl von Claus. (2008). Prosa/Drama/Lyrik, Stuttgart.
45. გოლანოვა 2000 - Голанова Е. И. (2000). Публичный диалог вчера и сегодня (лицммуникативно-речевая эволюция жанра интервью). Русский язык сегодня. Москва. Вып. 1.
46. გორგოძე ნ. 2006 - აუჰუჯ'ტ უ8 ~@__^`8 „თანამედროვე მედიაკულტურა და ანალიტიკური სტატია როგორც ჟურნალისტური ჟანრი და ტექსტი".
abkjkjubehb cthbf7 tyf lf reknehf7 1!7 ud8 %*8
47. გრაიმსი 2004 - Грейфс А., Курте Ж. (2004). Словарь лингвистических терминов, in: Лингвистика XX века: Система структура языка, Часть II. М.
48. გრიბი 1989 - Green G. (1989). Pragmatics and Natural Language Understanding. Hillsdale, N. J.: Erlbaum Associates.
49. გრაისი 1975 - Grice H. (1975). Logic and Conversation. In Syntax and Semantics, Vol. 3, Speech Acts, New York: Academic Pres ed. by P. Cole & J. L. Morgan (141-58).
50. გრესერი 1994 - Greasser, Arthur C. Singer, Murray (1994). Trabasso, Tom. Constructing Inferences during Narrative Text Comprehension, Psychological Review 101, 371-395.
51. გულიგა, შენდელსი 1969 – Гулыка Е. И., Шендельс Е. И. (1969). Грамматико-лексические поле. Москва: Просвещение, 184 с.
52. გუხმანი 1968 - Гухман М. М. (1969). Грамматическая категория и структура парадигм. В кн: Исследования по общей теории грамматики. Москва: Наука, -С. 117-175.
53. დაივერი 1963 - Diver W. (1963). The Chronological System of the English Verb. In Word, vol. 19, No 2. -pp. 141-181.
54. დაიკი ვან 1977 - Dijk T. A. (1977). van. Text and context: Exploration in the Semantics and Pragmatics of Discourse. - New York: Longman, -XVII+261 p.
55. დეიკი ვან 1978 - Дейк Ван С. (1978). Вопросы прагматики текста. новое в зарубежной лингвистике. Москва: Прогресс.
56. დე ბონმე 1981 - de Beaunme, R. (1981). Introduction to Text Linguistics, L., Longman.
57. დრესლერი 1981 - Dressler, W. U. (1981). Introduction to Text Linguistics. Oxford: Oxford University Press.

58. დელაჰუნტი, გარვეი 2001 – Delahunty G. P. Garvey S. J. (2001). Language, Grammar and Communication. VcGRAW-HILL, INC., 517 p.
59. დემერივა 1975 - Дешериева Т. И. (1975). Лингвистический аспект категории времени в его отношении к физическому и философическому аспекты. Вопросы языкознания, №2. -С. 111-117.
60. დოლონი 1985 - Долинин Н. (1985). Интерпретация текста. Москва: "Просвещение".
61. დოლონაძე 2010 - დოლონაძე ქ. (2010). რეფერენცია, როგორც ტექსტობრივი ფენომენი და როგორც ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემა, აწსუ, ქუთაისი.
62. ელისონი 2000 - Alison, L. (2000). culture and Text: Discourse and Methodology in social research and Cultural Studies. Cambridge: Allen&Unwin.
63. ელისი 1966 - Ellis, J. (1966). On Contextual Meaning. London: Longman.
64. ვალგინა 2003 - Валгина Н. С. (2003). Теория текста. Москва: "Менеджер".
65. ვალვერდე 2001 - Вальверде К. (2001). Философская антропология. Серия АМАТЕКА, "Христианская Россия", Москва.
66. ვაინრაიხი 1968 - Weinreich U. (1968). Language in contact. the hague, paris: mouton, - 148 p.
67. ვაკუროვი et al 1978 - Вакуров В. Н., Кочтев Н. Н., Солганик Г. Я. (1978). Стилистика газетных жанров. Москва.
68. ვეჟბისკა 1985 - Вежбиска А. (1985). Речевые акты. Новое в зарубежной лингвистике. Вып. XVI. Москва: "Прогресс".
69. ვეჟბიცკაია 2006 - Вежбицкая А. (2006). Сопоставление культур через посредство лексики и прагматики. языки славянской культуры. Москва, 272 с.
70. ვინოგრადოვი 1972 - Виноградов В. В. (1972). Русский язык (Граммвтическое учение о слове). Изд. 2-е, Москва: Высшая школа, 614 с.
71. ვორონცოვა 1960 -Воронцова Г. Н. (1960). Очерки по грамматике английского язвыка, Москва: Изд. Иностр. Лит., -339 с.
72. ვუდი 2006 - Wood J. (2006). An Introduction to the Field of communication. Wadsworth.
73. ზარუბინა 1981 - Зарубина Р. Д. (1981). Тексл: Лингвистический и методический аспекты. Москва: "Русский Язык".

74. ზვეგინცევი 1976 - Звегинцев В. А. (1976). Предложение и его отношение к языку и речи. Москва: Изд. Моск. гос. ун-та, -307 с.
75. ზვიადაძე 2005 - ზვიადაძე ნ. კ. ლ. (2005). პაიკის ტაგმემიკური თეორია და მისი ანთროპოცენტრისტულ-კულტუროცენტრისტული განზომილება, ქუთაისი, ქსუ-ს გამომცემლობა, 91 გვ.
76. ზოგადი ენათმეცნიერება 1970 (I გამოშვება) - Общее языкознание. Формы существования функции историч. языка. / Под ред. Б. А. Серебренникова. Москва: Наука, (1970), вып. 1. -602 с.
77. ზოგადი ენათმეცნიერება 1972 (II გამოშვება) – Общее языкознание. Внутренняя структура языка. / Под ред. Б. А. Серебренникова. Москва: Наука, (1972), вып. 2, -564 с.
78. ზოგადი ენათმეცნიერება 1973 (III გამოშვება) – Общее языкознание. методы лингвистических исследований. // Под ред. Б. А. Серебренникова. Москва: Наука, (1973), вып. 3, 318 с.
79. თევდორაძე 2010 - თევდორაძე ნ. (2010). ტექსტის ლინგვისტიკა, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 151 გვ.
80. იაკობსონი 1961 – Якобсон Г. К. (1961). Поэзия грамматики и грамматика поэзии // Poetics, Poetica. Warszawa. -С. 400-412.
81. იესპერსენი 1943 - Jespersen O. (1943). The Philosophy of Grammar, 5th impr. London, 387 p.
82. ილინი 2001 - Ильин И. П. (2001). Нарратология. Москва: "Интелвак".
83. ივანოვა 1961 – Иванова И. П. (1961). Вид и время в современном английском языке. Ленинград: Изд. Ленингр. гос. ун-та, 200 с.
84. ივანოვა 2008 - Иванова И. П. (2008). Политический медиа-дискурс к фокусу лингвокультурологии. политическая лингвистика, Вып. 1(24), Екатеринбург, с. 29-33.
85. ირზა 1998 - Ирза Н.Д. , “ Хронотоп “. (1998). in Культурология ,XX век, том второй. Санкт-петербург , Университетская книга, ст 337.
86. იუსუპოვი 1980 - Юсупов У. К. (1980). Проблемы сопоставительной лингвистики. Ташкент: Фан., 135 с.
87. კანკე 2001 - Канке В., (2001). Концепций сщвременного естествоведения, москва, ст. 312.

88. კარასიკი 2004 - Карасик В. И. (2004). Языковой круг, личность, концепты, дискурс, Москва.
89. კარასიკი 2000 - Карасик В. И. (2000). О типах дискурса. Языковая личность: институциональный и персональный дискурс: Сб. науч. тр. волгоград: Перемена, С. 5-20.
90. კაცნელსონი 1972 - Кацнельсон С. Д. (1972). Типология языка и речевое мышление. Ленинград: Наука, -216 с.
91. კარტერი 1997 - Carter R. A. and Nach, W. (1997). Seeing through Word Oxford: Blackwell.
92. კარტენი 1990 - Carten, R. A. (1990). Working with Texts. London: Routledge and Kegan Paul. 1997.
93. კვირკი, გრინბაუმი, ლიჩი, სვარტვიკი (1975) - Quirk R. Greenbaum S. Leech G. Svartvik J. A Grammar of Contemporary English. - London: Longman, XII+1120p.
94. კირვალაძე 2008 - კირვალაძე ნ. (2008). გრამატიკის თანამედროვე თეორიები. თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, 146 გვ.
95. კირვალაძე, კობახიძე 2005 - კირვალაძე ნ., კობახიძე შ. (2005). მეტაფორული აზროვნება და ხატოვანი შედარებები. თბილისი, გამომცემლობა ენა და კულტურა, 162 გვ
96. კისილევა 1998 - Кисилева Н. В. (1998) "Интервью как речевой жанр", Москва.
97. კირილოვა 2005 - Кириллова Н. (2005) "Медиакультура", Москва,
98. კირილიევა 1998 - Кирилева Н. В. (1998) "Интервью как речевой жанр", Москва.
99. კომლევა 2011 - Комлева Е. В. (2011). Соотношение понятий "речевой жанр" и "речевой акт" (на материале немецких апеллятивных текстов). Теория и практика
100. კოსერიუ 1977 - Косериу Э. (1977). Современное положение в лингвистике. Москва: "Серия литературы и языка".
101. კოლშანსკი 1980 - Колшанский Г. В. (1980). Контекстная семантика. Москва: Наука, 149 с.
102. კომრი 1989 - Comrie D. (1989). Language Universals and Linguisticsa Typology. (2nd ed.). Chicago, IX+221).
103. კონორი 1996- Connor U. (1996). Contrastive Rhetoric: Cross-Cultural Aspects of Second Language Writing. Cambridge. Cambridge University Press.

104. კორდერი 1985 - Corder S. P. (1985). *Introducing Applied Linguistics*, Harmondsworth: Penguin 6th. ed. -pp. 287-305.
105. კრავჩენკო 2008 - Кравченко Э. (2008). "Диалог" in: *Поэтика. "Словарь актуальных терминов и понятий"*. ст. 57.
106. კრისტალი 1987 - Crystal D. (1987). *The Cambridge Encyclopedia of Language*. Cambridge. Cambridge University Press.
107. კრუზი 1986 - Cruse D. (1986). *Lexical Semantics*. Cambridge: Cambridge University Press.
108. კუზნეცოვი 1990 - Кузнецов А., (1990). *статья "Поле" in: Лингвистический энциклопедический словарь. москва, "Советская энциклопедия", ст. 380.*
109. კუკი 1994 - Cook, G. (1994). *Discourse and Literature*. London: Routledge and Kegan Paul.
110. კურილოვი 1976- Куриловича Е. (1976). *Заметки о знании слова*. В кн.: *Общее языкознание. Хрестоматия*. Минск: Высшейшая школа, 430 с.
111. კუხარენკო 1968 - Кухаренко В. А. (1968). *Интерпретация текста*. Москва: Просвещение, 327 с.
112. კუზმიანა 2004 - Кузьмина Н. А. (2004). *"Интертекст и его роль в процессах эволюции поэтического языка"*, Москва.
113. ლადო 1957 - Lado R. (1957). *Linguistics across Cultures. Syntactic Structures*. Ann Arbor, VII+141 p.
114. ლაიონზი 1968 - Lyons J. (1968). *Introduction to Theoretical Linguistics*. Oxford: Oxford University Press.
114. ლაკოფი 1977 - Lakoff G. (1977). *Semantics*. Vambridge: Cambridge University Press.
115. ლაიონზი 197. - Lyons J. (1977). *Semantics*, London: New York: Melbourne, vol. 2. 897 p.
116. ლეხანიძე 1998 - ლეხანიძე გ. (1998). *ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა*. თბილისი: თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტის გამომცემლობა „ენა და კულტურა“.

117. ლებანიძე 2004 - ლებანიძე გ. (2004). კომუნიკაციური ლინგვისტიკა. თბილისი: თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტის გამომცემლობა „ენა და კულტურა“.
118. ლებანიძე 2009 - ლებანიძე გ. (2009) „შესავალი ფილოლოგიაში“, წახნაგი. ფილოლოგიის კვლევათა წელიწდეული 1. თბილისი: გამომცემლობა „მემკვიდრეობა“.
119. ლებანიძე 2004 - ლებანიძე გ. (2004). კულტუროლოგიის საფუძვლები, თბ., გამომცემლობა „ენა და კულტურა“.
- 120 ლებანიძე 2006 - ლებანიძე გ. (2006). სიღრმეთა დიალოგი და „ტრაგიკული ტრიადა“ (ლექციები მეტათეორიასა და კულტურის თეორიაში), თბილისი: ენა და კულტურა, 312 გვ.
121. ლევინსონი 1983 - Levinson, S. (1983). Pragmatics, Cambridge: Cambridge University Press.
122. ლიჩი 1983 - Leech G. (1983). Principles of Pragmatics. London: Longman.
- 123 ლოკი 2002 - Lock G. (2002). Functional English Grammar. Cambridge University Press, 296 p.
124. ლოტმანი 1970 - Лотман Ю. М. (1970). Структура художественного текста. Москва.
125. ლონგაკრი 1960 - Longacre, R. (1960). String Constituent Analysis. Cambridge:
126. მასლოვა 2004 - Маслова В. А. (2004). "Лингвокультурология", Москва, Академия. სტ. 6.
127. მაკაროვი 2003 - Макаров, М. (2003). Основы теории дискурса, Москва: ИТДГК: ГНОЗИС.
128. მარტინი 1963 - Мартине А. (1963). Основы общей лингвистики. В кн.: Новое в лингвистике. Москва: Изд. Иностран. Лит., выф. 3, -С. 356-566..
129. მარტინი 2010 - Мартин Б. Ф. (2010). Рингхем "Словарь Семиотики",
130. მეგრელიშვილი et al 2012 - მეგრელიშვილი მ., გვილავა რ., ალავიძე მ., ნიჟარაძე ნ., ზვიდაძე ნ. (2012). ინგლისური და ქართული ენების შეპირისპირებითი ლინგვისტიკა (ზმნის კატეგორიათა მასალაზე), ქუთაისი, გამომცემლობა: აწსუ.

131. მეცლერი 2007 - Metzler, (2007). Lexicon Literatur und Kulturtheorie. Verlag, Stuttgart. Weimar.
132. მირკინი ვ. 1978 - Мыркин В. Я. (1978). Типы контекстов. Коммуникативный
133. მოსკალჩუკი 2003 -Москальчук Г. Г. (2003). "Структура текста как синергетический процесс", Москва.
134. ნებერიძე 2003 - ნებერიძე გ. (2003). ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 325 გვ.
135. ნიკოლაევა 1978 - Николаева Т. М. (1978). Лингвистика текста. Новое в зарубежной лингвистике. Москва: Прогресс.
136. ნიჟარაძე 2010 - ნიჟარაძე ნ. (2010) - საკომუნიკაციო კომპეტენცია და სინტაქსური სინონიმია, როგორც ფსიქოლინგვისტური პრობლემა. დისერტაცია. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
137. ნოზდრინა 2004 - Ноздрина Л. А. (2004). Поэтика грамматических категорий. Москва, Тезаурус, -211 с.
138. პალმერი 1965 - Palmer F. R. (1965). A Linguistic Study of the English Verb. London: Longmans, I+199 p.
139. პაპინა 2002 - Папина А. (2002). Текст: его единицы и глобальные категории, Москва.
140. პომერანცი 1998 - Померанц Г. (1998). "Диалог" Диалог „Культурология XX века", САНКТ-Петербург, ст. 171.
141. პოლინსკი 2007 - Polinsky M. Kluender, R. (2007). Linguistic typology and theory construction, pdf, -pp. <http://www.fas.harvard.edu/language-teaching>. 23: 1990, 143-151.
142. პრადის ლინგვისტური წრე 1976 - Пражский лингвистический кружок, Принципы и методы семантических исследований. (1976). Москва: Наука, 379 с.
143. რებოული 1996 - Reboul A. (1996). (ed.). Evolving reference: time and Benjamins, Amsterdam.
144. რეფეროვსკაია 1983 - Реферовская Е. А. (1983). Лингвистические исследования структуры текста. Ленинград: Наука.
145. როჟდესტვენსკი 1968 - Рождественский Ю. В. (1968). О лингвистических универсалиях. Вопросы языкознания, №2, -С. 3-14.

146. საგი 1981 - Sag, Ivan. (1981). "Formal Semantics and Extralinguistic Context", in Peter Cole (ed.), *Radical Pragmatics*, Academic Press, NY.
147. საქსი 1978 - Sacks, Schegloff - Jefferson. (1978). A simplest systematics for the organization of turn - taking in conversation. In Schenkein 97-55.
148. სგალი 1985 - Сгалл П. К.(1985). Значение, содержание, прагматика. Новое в зарубежной лингвистике, Москва: вып. 16.
149. სერლი 1969 - Searle J. R. (1969). *Speech Acts*. Cambridge, Cambridge University Press.
150. სეულსი 1990 - Swales J. M. (1990). *Genre Analysis*. Cambridge, Cambridge University Press.
151. სიდოროვი 2008 - Сидоров Е. В. (2008). "Онтология дискурса", Москва.
152. სკალიჩკა 1966 - Скаличка В. (1966). ОК. К вопросу о типологии. Вопросы языкознания, №4. -С. 22-30.
153. სკალიჩკა 1968 - Скаличка В. (1968). О современном состоянии типологии, html, <http://www.philology.ru/linguistics/skalicka-63.htm>.
154. სოსიური 1977 - Де Соссюр. (1977). Ф. Курс общей лингвистики. В кн.: Труды по языкознанию. Москва: Прогресс, -С. 31-274.
155. ტიუპა 2009 - Тюпа В. (2009). Анализ жудожественного текста. М., Академия.
156. ტურაევა 1979 – Тураева З. Я. (1979). Категория времени. Время грамматическое и время жудожественное. Москва: Высшая школа, -220 с.
157. ტურაევა 1986 - Тураева З. Я. (1986). *Лингвистика текста*. Москва: Просвещение, 128 с.
158. ფილიპოვი 2003 - Филиппов К. А. (2003). "Лингвистика текста", Санкт-Петербург.
159. ფილიპსი 2004 - Филлипс Л., Йоргенсен М. (2004). *Дискурс-анализ*. (Телория и метод. Харьков.
160. ფილმორი 1977 - Fill,ore, C. J. (1977). Pragmatocs and the description of discourse. In P. cole (ed.). *Radical Pragmatics*. Mew York: Academic Press, 143-66.
161. ფურცელაძე 1998 - ფურცელაძე ვ. (1998). ტექსტი როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი გაცხადება. ნაწილი პირველი, გამომც. „სამშობლო“, თბილისი.

162. შარაშენიძე 1972 - შარაშენიძე თ. (1972). თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
163. შევჩენკო 2003 - Шевченко И.В. (2003). "Основы лингвистики текста" Москва.
186. შიბაევა - Шибаева Л. "Жанры в теории и практике журналистики" (<file://Internet/> Жанры в теории и практике журналистики) .
164. შევაკოვა 1990 - Шевакова В. (1990). Тема in: Лингвистический энциклопедический словарь. Москва, “Советская энциклопедия“. Ст. 507
165. შევჩენკო 2003 - Шевченко Н. В. (2003). Основы лингвистики текста. Москва: "Менеджер".
166. შმიდი 2008 - Шмид В. (2008). Нарратология. Москва: Языки Славянской Культуры.
167. შური 1974 - Шури Г. С. (1974). Теория поля в лингвистике. Москва. Наука, 255с.
168. შმიდტი 1978 - Шмидт Э. И. (1978). "Текст" и "история" как базовые категории. Москва: Новое в зарубежной лингвистике Вып. VII.
169. ჩაფერი, უოლსი 1994 - Chafer, Wallace, (1994). Discourse, Consciousness, and time. Chicago: University of Chicago Press.
170. ჩაჩანიძე 2006 - ჩაჩანიძე ზ. (2006). „საინფორმაციო ცნობა, როგორც ჟანრი და ტექსტი: მისი მიმართება თანამედროვე მედიაკულტურასთან და მისი ტიპოლოგიზაციის ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემატიკა“, ენა და კულტურა, ფილოლოგიური სერია, №3, თბილისი.
171. ჩერნიავსკაია ვ. 2005 - Чернявская В. Е. (2005). "Лингвистика текста", Москва.
- Хейფი 1975 - Чейф У. Л. (1975). Значение и структура языка: Москва: Прогресс, 432с.
172. ჩოგოვაძე 2005 - ჩოგოვაძე ე. (2005). „სიმბოლური ნომინაცია როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და სიმბოლურ-სემანტიკური ველი მხატვრულ ნარატიულ ტექსტში“, თბილისი, გვ. 17.
173. ჩხეიძე 1993 - ჩხეიძე მ. (1993). ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის სტრუქტურირების პრობლემა. თბილისი: პეგრამენტი, 190 გვ.
174. ქეიშვილი 2006 - ქეიშვილი ს. (2006). „ინტერვიუს როგორც ინფორმაციული ჟანრის ტექსტობრივი სივრცე: მისი სტრუქტურა, ტიპოლოგია და კვლევის

ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემატიკა”. ენა და ლიტერატურა, ფილოლოგიური სერია №3, თბილისი.

175. ჭოხონელიძე 2014 - ჭოხონელიძე ე. (2014). სადოქტორო დისერტაცია თემაზე „პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობის ლინგვოპრაგმატიკული ანალიზი“ ქუთაისი.
176. ხეცურიანი 2000 - ხეცურიანი ნ. (2000). ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია და ენათა შეპირისპირებითი ანალიზი. თბილისი: გამომცემლობა ენა და კულტურა, 141 გვ.
177. ხორუჯი 2005 - Хоружий С. (2005). Очерки синергиинной антропологии. Москва, ст. 6.
178. ჰალიდაი 1989 – Halliday M. A. Requiya H. (1989). Language, context and text: aspects of language in a social-semiotic perspective, Oxford University Press, 125 p.
179. ჰანსენი 1998 - Hansen, M. (1998). The Functions of Discourse Particles: A Study with Special Reference to Spoken French. Amsterdam/Philadelphia: Benjamins.
180. ჰილი 1958 - Hill A. A. (1958). Introduction to Linguistic Structures. New York: Harcourt, Brace, and Co, 496 p.
181. ჰირტლი 1975 - Hirtle W. H. (1975). Time, Aspect and the Verb. Quebecules presses de l'Univ. Laval, 149 p.
182. ჰუმბოლდტი 1964 - Гумбольдт В. О. (1964). О сравнительном изучении языков применительно к различным эпохам их развития. В кн.: Звегинцев В. А. История языкознания XIX-XX веков в оценках и извлечениях. Москва: Просвещение, 1964, - С. 73-85.

ვებგვერდები:

<http://plato.stanford.edu/entries/implicature>

<http://www.phon.ucl.uk/home/robyn/pdf/woc.pdf>

<http://www.ling.canterbury.ac.nz/documents/implicature.pdf>

<http://userwww.sfsu.edu/~kbach/Myth.htm>

<http://userwww.sfsu.edu/~Top Ten.pdf>

<http://www.ling.su.se/staff/harmut/UIIL.pdf>

www.dictionary.cambridge.org.

გამოყენებული მასობრივი საინფორმაციო საშუალებები

1. (The Daily Telegraph No 48461 Monday, July 18.2011 “Labour’s anti-immigration guru. P.17)
2. (The Daily Telegraph No 48560 Saturday, July 16.2011, “ We’re part of nature, we have to care” P.18)
3. (Business, Monday, July 18, 2011 “The ’£100m man’s giving civil service an overhaul” p.5)